# მატიანე

ჟურნალი გამოდის 1989 წლიდან, 26 მაისი, 2024 წ., № 1-2 (47-48)

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი -
- ეროვნული აღორძინების"
თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი




# 85



გმირთა მოედანზე უსახური კოშკის ნაცვლად
დაიდგას ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ძეგლი,
ხოლო თბილისში პეკინის გამზირს ეწოდოს ზვიად
გამსახურდია სახელი!

ზვიადი და მერაბი!
მათი ერთობლივი ძეგლი სამშობლოს უგუმბათო
სულიერ ტაძარშია შენახული,
ზეციდან უფალი დასცქერის და მისივე იმედადაა
დარჩენილი!

# მ ო წ ა მ ე თ ა

(მერაბს და ზვიადს, მოწამეთაში გათენებული ღამის სახსოვრად)

თუ არ ვიწამეთ,
თუ არ ვეწამეთ,
მერე ლოცვით თუ არ ვიწამლეთ,
თუ არ ვიწამეთ „მოწამეთა“
რა იქნება ჩვენი სიცოცხლე?!

თუ ერთმანეთი არ ვიწამეთ,
ან „მოწამეთის“ ერთღამეთი,
თუ ერთმანეთი არ ვაწამეთ
და წამებით თუ არ ვიწამეთ,

თუ არ ვიწამლეთ მოწამეთი,
თუ არ ვიწამეთ...
რა იქნება ჩვენი სიცოცხლე...

სანთელზე უფრო თუ არ ვიწვით,
წვა თუ არ ვიცით,
ერის ანგელოზს თუ არ მივწვდით
სათაყვანებლად,
ჩვენს ანაზარა მინდობილი ჩვენი ცა-მიწის
სიყვარულით თუ არ დავმიწდით,
წვა თუ არ ვიცით,
რა ყოფილა ჩვენი სიცოცხლე...

რონინი წამთა ლოცვის სიმზე
და ბულბულები...
ბულბულები...
სიმთვარე თვალთა და თვალთა სიმზე...
თუ არ ვახსოვართ მოწამეთაში
ანგელოსებს,
მოწამეთის მთებს და მდელოებს,
თუ არ გვნატრობენ...
თუ მოლოდინით არ გვიმზერენ,
რა იქნება ჩვენი სიცოცხლე?!
თუ არ ვიწამეთ მოლოდინი,
თუ არ ვიწამეთ,
თუ არ ვეწამეთ...
მერე ლოცვით თუ არ ვიწამლეთ,
თუ არ ვიწამეთ მოწამეთა...
თუ არ ვიწამეთ...
რა იქნება ჩვენი სიცოცხლე.

დენიზა სუმბაძე, 1970 წ.

**მსოფლიოს თანამეგობარ სახელმწიფოთა ხელისუფალთ, მათ მმართველ პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და მესვეურთ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს, ნოტა, როგორც გზამკვლევი დინების წინააღმდეგ, ზნეობრივ პოლიტიკაზე აგებული მსოფლიო წესრიგისკენ.**
**წარმოდგენილი პოლიტიკური პლატფორნის ფორმით, საქართველოს ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის მისია-დანიშნულებაზე და მის პოლიტიკურ დიალოგზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან და მსოფლიო საზოგადოებასთან,**
**საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ მინისტრს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებებს, საქართველოს საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებს და საქართველოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ორგანიზაციებს**

**მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინებისა" და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის**

# ს ტ რ ა ტ ე გ ი უ ლ ი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ლ ა ტ ფ ო რ მ ა

## *ზ ო გ ა დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ი*

მოგეხსენებათ, ცივილიზაციის განვითარება იმ ფაზაში შევიდა, როდესაც მოწინავე დემოკრატიული ქვეყნები ერთობლივად ცდილობენ გადაჭრან ზოგადსაკაცობრიო პრობლემები. ცხადია, მსოფლიოს ახლებურად მართვის ეტაპზე დიდად მნიშვნელოვანია მოვლენების ახლებურად განსჭვრეტა და წარმართვა. მსოფლიო პროცესები საკმაოდ პრობლემატური და იმდენად დაჩქარებულია, რომ უახლოეს ხანში ამ წინააღმდეგობათა მოუგვარებლობა უაღრესად ზრდის საყოველთაო კატასტროფის შესაძლებლობას.

მშვიდობისათვის, თავისუფლებისათვის, სამართლიანობისათვის ბრძოლა მოწინავე მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა და წარმოადგენს დღესაც. კაცობრიობის, მოქალაქეობრივი შემწყნარებლობის, მოქალაქეთა უფლებრივი გარანტიების დაცვის უმაღლესი შეგნება, ყოველთვის სახელმწიფოებრიობის ფუძემყარ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს, ურომლისოდაც ვერც ერთი ქვეყანა ვერ განვითარდება და განმტკიცდება როგორც სახელმწიფო, მაგრამ, ამისათვის, მარტო პროგრესული, დემოკრატიული აღმშენებლობის სურვილი საკმარისი არ არის, მას ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის სწორად წარმართვამაც, რომელიც ამ სახელმწიფოს ისტორიულად ჩამოყალიბებულ, ევოლუციურად აღმავლობაში მყოფი მისივე ბუნებიდან გამომდინარეობს და სარგებლობს როგორც სახელმწიფოს მკვიდრი ხალხის, ასევე მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა საყოველთაო მოწონებით.

ჩვენი სააზროვნო არსენალიდან დღეს ბევრი რამ საჭიროებს აუცილებელ სამართლებრივ გამოსწორებას, სულიერ ფასეულობათა სასწრაფო და გადაუდებელ გადარჩევა-გადაფასებას, რაც დამყარებული იქნება სამართლიანობისა და კანონიერების ბაზაზე და მომავალში სახელმწიფოთა და ერების ისტორიული მეხსიერების, დროთა მიერ ტრაგიკულად დარღვეული კავშირისა და „ჩატეხილი ხიდების'' გამთელების აუცილებელ წინაპირობად უნდა იქცეს.

სიცოცხლისათვის, არსებობისათვის, გადარჩენისათვის, სიყვარულისათვის, მემკვიდრეობის დატოვება-გაგრძელებისათვის, სწავლისა და ზრდა-განვითარებისათვის ბრძოლამ დღეს მოითხოვა როგორც ადამიანის, ასევე სახელმწიფოთა ახალი პარადიგმის აუცილებლობის შეჰქმნა: გულისხმიერად მოქცევა, შემოქმედებითად გამოყენება და საზოგადოებისათვის პატიოსანი სამსახური დადგა დღის წესრიგში. ადამიანმა და სახელმწიფომ უნდა გააკეთოს არჩევანი დაბალი იერარქიიდან მაღლისაკენ: წინააღმდეგობა-აჯანყებიდან, ბოროტი დამორჩილებიდან და საკუთარი სურვილის დათმობიდან ხალისიან თანამშრომლობამდე, გულსავსე ვალდებულებამდე და შემოქმედებით აღტკინებამდე.

თავიდანვე, ჩვენი თავის უკეთ შეხსენებისათვის მოგახსენებთ:

როგორც მსოფლიოს საზოგადოებრიობისათვის არის ცნობილი, ვინაიდან გასული საუკუნის გარიჟრაჟზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა კანონიერი გზით არ გაუქმებულა, საქართველოს კანონიერ მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია, არ არსებობდა საქართველოს სსრკ-ის შემადგენლობაში შეყვანის სამართლებრივი საფუძველი.

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანომ – უზენაესმა საბჭომ 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით აღადგინა 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადებული დამოუკიდებლობა ამ პერიოდის სახელმწიფოებრივი საზღვრებისა და ყველა შესაბამისი ნიშნების ჩათვლით. დამოუკიდებლობის დღედ გამოცხადდა 9 აპრილი.

1991 წლის 21 დეკემბრიდან დაიწყო სახელმწიფო – საქართველოს რესპუბლიკის ცნობა და საქართველოს ტერიტორია, ფაქტობრივად, მაგრამ არასამართლებრივად, განისაზღვრა 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით, რაც ნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორიისა და, შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დადგენის საფუძვლად, ასევე არასამართლებრივად აღიარებულ იქნა საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში მოკავშირე რესპუბლიკებთან საქართველოს სსრ-ის ადმინისტრაციული საზღვრები, რაც არასამართლებრივად სახელმწიფო დამოუკიდებლობა ასევე მცდარად მიება არა 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტს, არამედ არალეგიტიმურად განსაზღვრულ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიღებულ ტერიტორიულ მონაცემებს, რაც ასევე არალეგიტიმურად სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ე. წ. ხუნტისა და მისი სამართალმემკვიდრე არალეგიტიმური იმდროინდელი ხელისუფლების ფარული გარიგების შედეგად არასამართლებრივად მიღებულ იქნა გაერო-ს, საერთაშორისო თანამეგობრობისა და ორგანიზაციების მიერ. თუმცა გაეროს ჩანაწერებში, რომლის მოძიება გართულებულია, საქართველოს რესპუბლიკა იურიდიულად და ფაქტობრივად, მაგრამ არასამართლებრივად აღიარებულ იქნა მისი საბჭოთა კავშირის ადმინისტრაციულ საზღვრებში, თუმცა ასევე შესამამის ჩანაწერებში არის აღნიშნული მისი სამართლებრივად სწორი აზრიც, რომ გაეროს გადაწყვეტილება ასევე ეყრდნობა 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობითა და 1918 წლის მაისს გამოცხადებული დამოუკიდებლობის აქტს იმდროინდელი სახელმწიფო ტერიტორიების გათვალისწინებით. ეს ორი ურთიერთსაპირისპირო აზრი მიუღებელია ასეთი რანგის გადაწყვეტილებისათვის და სათანადო გამოკვლევის საგანია!

თუ დავუბრუნდებით სამართლებრივ პერიოდს, 1991 წლის დეკემბრის პერიოდს, რა დროსაც ექსტრემისტული ძალები გარედან უხეში ჩარევის შედეგად მალევე აწყობენ სახელმწიფო-სამხედრო-კრიმინალურ გადატრიალებას, დევნიან კანონიერ ხელისუფლებას, ქვეყანაში იწყებენ ტერორსა და ძალადობას.

ახლა უკვე საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საქართველოში 1991-1993 წლების შეიარაღებული, სისხლიანი სახელმწიფო, სამხედრო, კრიმინალური გადატრიალების გზით დაამხეს კანონიერი ეროვნული, სახალხო ხელისუფლების ყველა შტო და შესაძლებლობა მოუსპეს ლეგიტიმურ ხელისუფლებას ეწარმოებინა აქტიური პოლიტიკა სახელმწიფოებრიობის აღორძინებისა და განვითარების მიმართულებით, დაამკვიდრეს ანტისახელმწიფოებრივი და ანტისახალხო კრიმინალური, ნომენკლატურული რეჟიმი.

საქართველოს ტერიტორიულ დანაწევრებას სათანადო გეზს აძლევდა გეოპოლიტიკური ტენდენციები და მათ განსახორციელებლად შემუშავებული ქვეყნის შიდა, თუ გარე ფარული სქემები. გადატრიალებამ ამ მხრივაც ძირითადი სამართლებრივი ბაზა გამოაცალა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობას.

1991-93 წლების სახელმწიფო გადატრიალებამ და ხუნტის მიერ კანონიერი კონსტიტუციის შეჩერებამ დაარღვია ზემოთაღნიშნული მოწესრიგებული სახელმწიფოებრივი მდგომარეობა. კანონიერი კონსტიტუციის შეჩერებით ძალადბრივი გზით შეჩერდა და მოქმედებდა კანონი, რომელიც არეგულირებდა ქვეყნის ასევე ადმინისტრაციულ დამოკიდებულობას საქართველოს ხელისუფლებას, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს – ე. წ. ,,სამხრეთ ოსეთის'' ხელისუფლებას შორის, რისი ერთ-ერთი ძირითადი შედეგიც არის 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომით გამოწვეული ტერიტორიების შემდგომი ფაქტობრივი დაკარგვა და მსოფლიო ცივილიზებული ქვეყნების აზრის საწინააღმდეგოდ რუსეთის მიერ ცალმხრივად აფხაზეთისა და ე. წ. ,,სამხრეთ ოსეთის" ,,რესპუბლიკების'' დამოუკიდებლობის ცნობა...

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოში 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტის საფუძველზე. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა კი, იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ იქნებოდა 1918 წელს

არსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე იმ დროს არსებული ტერიტორიების ჩათვლით.

თუმცა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიოს სახელმწიფოებმა და გაერომ საქართველოს დამოუკიდებლობა მალულად, არასამართლებრივად ცნეს არა როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრის, არამედ როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დაშლის შედეგად სამართალმემკვიდრე სახელმწიფო.

დღეს ზოგიერთები ღაღადებენ, რომ საქართველომ სამართლებრივად დაკარგა თავისი სახელმწიფოებრივი ტერიტორიების 20%. მაგრამ თუ შევხედავთ სამართლებრივ 1918 წლის რუქას, ტერიტორიული დანაკარგი 50-60% -ზე მეტია!

ყველა უბედურება, რაც საქართველოს დაატყდა თავს 1992 წლიდან, ლეგიტიმურობის დარღვევითაა გამოწვეული და დღესაც არ ძალუძთ ლეგიტიმურობაზე დაბრუნება.

1991-1993 წლების შეიარაღებულმა სამხედრო-კრიმინალურმა სახელმწიფო გადატრიალებამ საფუძველი დაუდო ტოტალურ უკანონობას, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მასობრივ დარღვევებს, დაამკვიდრა რა ძალმომრეობის კულტი, მოსახლეობის ნაწილში დაამდაბლა სამართალშეგნება, ან სულაც უარი ათქმევინა მას კანონის უზენაესობის პრინციპზე. ამან კი თავისთავად დააბრკოლა საქართველოში სამართლიანობის, დემოკრატიისა და თავისუფლების განმტკიცება, ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს გაძლიერება და, ამასთან, ქვეყნის საკაცობრიო განვითარებაც. ცხადია, შექმნილმა ვითარებამ განსაზღვრა თავისუფლებისა და დემოკრატიის საფუძვლად ძალადობის მიჩნევა, რამაც მრავალ უკიდურესობას მისცა გასაქანი.

არადა, დღეს საქართველო კვლავ ქვეყნის არაკანონიერ ხელისუფალთა შეცვლა-ჩანაცვლების არასამართლებრივ და არალეგიტიმურ პროცესშია. ქვეყანა კვლავაც სახელმწიფო გადატრიალებების და ვითომ სახალხო ჯანყი-ბრძოლებში დაღვრილ სისხლიან გზაზე დგას. გრძელდება შემოთავაზებული, მოჩვენებითი, ყალბ სამართლებრივ-კანონიერ ჩარჩოებში მოქცეული ე. წ. „დემოკრატიულ არჩევნებში" მონაწილეობის მორიგი სპექტაკლები. მხოლოდ სამართლებრივი და კანონიერი არჩევნების გზით მოსული ერთადერთი ლეგიტიმური ხელისუფლება უნდა გახდეს სამართლებრივად წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირმშო, საერთო-ეროვნული სუვერენიტეტის განსახიერება და არა სახელმწიფო გადატრიალების პროდუქტი.

საქართველოს მოსახლეობის ფართო ფენების მიზიდულობის ცენტრი უდავოდ სამართლებრივი, კანონიერი და ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის იდეა უნდა იყოს და იგი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების კონტექსტში უნდა გავიაზროთ. ეროვნულ-პოლიტიკურ თვითიდენტიფიკაციაში უნდა დავინახოთ ამ მოვლენის არსი და ნომენკლატურულმა ფაქტობრივმა რეჟიმმა სწორედ რომ ვერ უნდა გაუწიოს რეალური წინააღმდეგობა სამართლებრივი, კანონიერი, ეროვნული ძალების ხელისუფლების სათავეში დაბრუნების პროცესს, რამეთუ პოლიტიკური ტრანსფორმაციის შეფასება კომპლექსურ-ინდუქციური პოლიტიკური ანალიზის საფუძველზე გაცილებით მართებული, ობიექტური იქნება და უნდა შეფასდეს შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებთან ერთიან სისტემაში და არა მათგან იზოლირებულად, განყენებულად.

პრეცენდენტული და მისასალმებელია, რომ დღესაც არსებობს სამართალმემკვიდრე, კანონიერი ხელისუფლების, საქართველოს რესპუბლიკის დევნილი ხელისუფლების ეროვნული ინსტიტუციები და კანონიერი სახელისუფლებო წარმომადგენლობა, ლეგიტიმური საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახით. დღესაც და იმედია უახლოეს მომავალშიც რეალურად შესაძლებელია მისი ერთიანი, კანონიერი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ბაზის ფაქტობრივი მოქმედება.

როგორც მოგეხსენებათ, ლეგიტიმურობა კანონიერებას, სამართლებრივი საფუძვლების არსებობას ნიშნავს. ასევე ცნობილია დევნილი ლეგიტიმური ხელისუფლების – საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის – საკუთრივ სამშობლოში, თუ სხვა ქვეყანაში დევნილობაში მოქმედება, სამართლებრივი, თუ პოლიტიკური თვალსაზრისით მისი პრეცედენტულობა.

მიგვაჩნია, რომ კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის ლეგალიზაცია და აღდგენა გარდამტეხ როლს შეასრულებს ქვეყანაში სამართლიანობისა და ამომრჩეველთა ღირსების აღდგენის და ზოგადად, საქართველოს სახელმწიფოს მოწყობის თვალსაზრისითაც. ცხადია, ამას ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო დონეზე გლობალურმა პროცესებმაც, რისი იურიდიული ბაზა, საჭიროებისამებრ, უნდა შექმნას მსოფლიო თანამეგობრობამ, თუნდაც მაგალითისათვის, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, სპეციალური დეკლარაციით, რითაც ბოლო მოეღება ე. წ. თალასოკრატიული სახელმწიფოების არსებობას, მათ ტერიტორიულ-

სახელმწიფოებრივ სტრუქტურას მეტროპოლია-კოლონიის სუბორდინაციის სისტემაზე აგებული იურიდიული ხასიათი უნდა ჰქონდეს.

ლეგიტიმურობა აუცილებელია იყოს სამართლებრივ–კანონიერი, ანუ რაციონალური. მთავარი ამოცანაა სამართლებრივი, კანონიერი და დემოკრატიული სახელმწიფოს აღორძინება და აღმშენებლობა.

თავისუფლება უფლებებისა და მოვალეობების გონივრული გაწონასწორებაა. ერიც და პიროვნებაც, ასევე მათ შორის ურთიერთობა, ამის საფუძველზე უნდა ყალიბდებოდეს. რამეთუ დამოუკიდებლობა და თავისუფლება ერთი და იგივე არ არის. დამოუკიდებლობა მხოლოდ პირველი ნაბიჯია თავისუფლებისაკენ, მას საქართველომ ჯერ კიდევ ეროვნული ხელისუფლების დროს – 1990–1993 წლებში მიაღწია, მაგრამ შემდეგ ჩვენმა სახელმწიფომ ფაქტობრივი, უკანონო ხელისუფლებების სახით, სამწუხაროდ, გეზი არ აიღო თავისუფლებისაკენ და დღესაც ასეა. დამოუკიდებლობის მოპოვება ურთულესი პროცესია. ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიაში ცნობილია ტერმინი – შიში დამოუკიდებლობისადმი. 1991–1993 წლების სახელმწიფო გადატრიალებიდან მოყოლებულ ფაქტობრივ ხელისუფალთ სწორედ ეს შიში სჭირდათ და სჭირთ, რაც უკან გვხევს თავისუფლებისკენ სავალ გზაზე. ამით კი, საფრთხე ჩვენს თავისუფლებასთან ერთად ემუქრება დამოუკიდებლობასაც, რომელიც თავისუფლების გარეშე დიდი ვერაფერი ღირებულებაა. დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას შორის არსებული დიდი განსხვავების არცოდნამ მიიყვანა ფაქტობრივი ხელისუფლების მეშვეობით სახელმწიფო აქამდე.

## *მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება“ როგორც საფუძველი ერთადერთი შემორჩენილი სამართლებრივი, ლეგიტიმური და მმართველი პოლიტიკური ორგანიზაცია ამჟამადაც უწყვეტად მოქმედი კანონიერი ხელისუფლებისა – საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა*

მოგახსენებთ, რომ XX საუკუნის საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვისათვის ბრძოლას თავისი ისტორია აქვს და იგი დაკავშირებულია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის – ბატონ ზვიად გამსახურდიას სახელთან, რომლის თაოსნობით 1976 წელს საქართველოში შეიქმნა ,,ჰელსინკის ხელშეკრულებისათვის" ხელშემწყობი ჯგუფი, რომელიც თავს დამტყდარი დევნისა და რეპრესიების მიუხედავად განაგრძობდა და დღესაც განაგრძობს ადამიანის უფლებათა დაცვას და მსოფლიოს ინფორმირებას საქართველოში შექმნილი მძიმე ვითარების შესახებ.

,,საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის" საქმიანობა თავიდანვე წარმოადგენდა საქართველოში მანამდე არსებული ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფის საქმიანობის გაგრძელებას და უფრო ფართო მასშტაბით გაშლას. კერძოდ, ჯგუფის მიზანი იყო ,,ჰელსინკის შეთანხმების" აქტის პოპულარიზაცია, თვალყურის დევნება, თუ როგორ სრულდებოდა ეს ხელშეკრულება საქართველოში, როგორ ხორციელდებოდა მისი ჰუმანიტარული პუნქტები. 1989 წლის მაისიდან ,,საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი" გაიზარდა და გარდაიქმნა ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირად", ხოლო იმავე წლის ოქტომბერში „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნულ აღორძინებად" (შემოკლებულად „საქართველოს ჰელსინკის კავშირი"). კავშირის სახელწოდებას დაემატა მისი მიზანი, რასაც ისახავდა ორგანიზაცია – ,,ეროვნული აღორძინება”.

ამრიგად, მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება” არის თანამოაზრეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის – ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ საქართველოში 1976 წელს შეჰქმნილი ,,ჰელსინკის ხელშეკრულებისათვის" ხელშემწყობი ჯგუფის, შემდგომ „საქართველოს ჰელსინკის კავშირისა” და მოგვიანებით მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაქმნის შედეგად ჩამოყალიბებული ორგანიზაცია „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" სამართალმემკვიდრე, საქმიანობისა და ტრადიციების გამგრძელებელი.

კავშირის საქმიანობის ფუძემდებლურ პრინციპებს წარმოადგენს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა. კავშირი მიიჩნევს, რომ ამ პრინციპებიდან გამომდინარე ადამიანის ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება წარმოადგენს ადამიანის ღირსებების უზრუნველყოფის, მისი კანონიერი რეალიზაციის, მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიული და სამართლებრივ სახელმწიფოთა მშენებლობის, მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის საძირკველს. კავშირი პატივს სცემს ხალხთა თანასწორუფლებიანობას, საკუთარი ბედის გამგებლობას, მხარს უჭერს საომარი კონფლიქტების, გათიშულობისა და კონფრონტაციის თავიდან აცილების სამშვიდობო ცივილიზებულ პოლიტიკას.

კავშირი იბრძვის ადამიანის უფლებების დარღვევის ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგ, საქართველოს სახელისუფლებო კანონიერებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-შენარჩუნებისათვის, საქართველოსა და კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური კატასტროფის წინააღმდეგ, დემოგრაფიული ექსპანსიის შესაჩერებლად, ეროვნული თანხმობისა და ერთიანობისათვის, რათა მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი ყველა ის ძირითადი უფლებანი, რომლებიც განსაზღვრულია საერთაშორისო სამართლის ნორმებით.

კავშირი, დასახული მიზნების მისაღწევად, ყოველთვის მჭიდროდ თანამშრომლობდა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და საშინაო სამართალდამცავ ორგანიზაციებთან, გაერთიანებებთან, სახელმწიფო საელჩოებთან, მასობრივი ინფორმაციის დეპარტამენტებთან, ცალკეულ მოქალაქეებთან. „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება” მხარს უჭერს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირების დასკვნით აქტებსა და მასალებს. ადამიანის უფლებებსა და ძირითადი თავისუფლებების დარგში მოქმედებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო საერთაშორისო დეკლარაციის მიზნების, დებულებებისა და პრინციპების შესაბამისად, ეყრდნობა ადამიანის მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო აქტებს.

მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" ამოცანაა ასევე, ყველა სფეროში ერის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობის, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება. კავშირის საქმიანობის ფუძემდებლურ პრინციპებს აშკარად მივყევართ მომავლისაკენ, სადაც წარმატების კრიტერიუმი შრომა, ნიჭი და მსახურება იქნება, სადაც მთავარია: შესაძლებლობა, პასუხისმგებლობა და სოციალური სოლიდარობა. კავშირის ფუძემდებლურ პრინციპებს წარმოადგენს ასევე ქვეყანაში ახალი ეკონომიკური რეფორმისტული პროგრამების შემუშავება და დანერგვა, როგორიცაა: ლეგიტიმურ-კონსტიტუციონალური, ინსტიტუციონალური რეფორმა, მაკროეკონომიკურ სტაბილიზაცია, ფასების რეფორმა და საწარმოების პრივატიზაცია-რესტრუქტურიზაცია, ასევე ღია ეკონომიკის განვითარება, ფიზიკური და ადამიანური რესურსების აკუმულირება და ტექნოლოგიური განვითარება.

კავშირს კვლავაც სურს იღვაწოს, რათა ჩვენს ქვეყანაში შეიქმნას: 21-ე საუკუნის არა ყალბი, ახალი ცოდნის საზოგადოება, ახალი ლიდერები; ახალი მსოფლიო პოლიტიკა და ეკონომიკა; ახალი მართვის ხელოვნება, ქართული ინოვაციების სახეობები; ახალი რეგიონალური პოლიტიკა – ე. წ. „საბსიდიარობა", ანუ დეცენტრალიზაცია; სოციალური უსაფრთხოების ბადეები და ახალი სოციალური სექტორი.

კავშირი კვლავ განაგრძობს ბრძოლას სახელმწიფოს ახალი ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი სიძლიერისათვის, კრიმინალის, კორუფციის, სიღატაკის, უსამართლობის, გულგრილობის, უცოდინარობის, უსულგულობის დასამარცხებლად და მისი მთავარი მიზანია გამარჯვება, რომელიც ჩვენი შვილების მომავალს ეძღვნება.

კავშირს დასახული მიზნების მისაღწევად, კვლავ სურს განაგრძოს მჭიდრო თანამშრომლობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანიზაციებთან, პარტიებთან, გაერთიანებებთან, სახელმწიფო საელჩოებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, ცალკეულ მოქალაქეებთან, რომელთა საქმიანობა არ ეწინააღმდეგება კავშირის წესდებასა და პროგრამას.

ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებისათვის ბრძოლა ხომ მოწინავე მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა და წარმოადგენს დღესაც. კაცობრიობის, მოქალაქეობრივი შემწყნარებლობის, მოქალაქეთა უფლებრივი გარანტიების დაცვის უმაღლესი შეგნება, სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის ქართველ ჰუმანისტთა მთელი პლეადა, ყოველთვის სახელმწიფოებრიობის ფუძემყარ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს, ურომლისოდაც ვერც ერთი ქვეყანა ვერ განვითარდება და განმტკიცდება როგორც სახელმწიფო, რადგან თუ ის სახელმწიფოა, მაშინ სწორედ მან უნდა შეუწყოს ხელი პიროვნების გათავისუფლებას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვით.

უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში განვითარებულმა მსოფლიო პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ძვრებმა იმედია წარსულს ჩააბარეს დრო, როდესაც ბოროტ იმპერიას შეეძლო ცინიკურად და ქედმაღლურად გაეთელა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი. იმთავითვე უაღრესად რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდა 1975 წლის ზაფხულში ფინეთის დედაქალაქში დაწყებული პროცესი. მას ხელი უნდა შეეწყო ადამიანის უფლებათა რეალიზაციისათვის ბარიკადების ორივე

მხარეს – დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც. მისი კეთილშობილი საქმიანობის შთამბეჭდავ შედეგებზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ საბოლოო ჯამში იგი იქცა ერთადერთ საერთო ინსტიტუტად, რომელმაც „ცივი ომის" დამთავრებას მიაღწია. უკვე არსებული ოფიციალური ორგანიზაციებისაგან ,,ჰელსინკის მოძრაობას" მუდამ ჰქონდა და დღემდისაც შემოინარჩუნა კლასიკური ანტიბიუროკრატიული ხასიათი.

მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინებას" საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად შემუშავებული აქვს კონკრეტული საკანონმდებლო პროექტები, რომელშიც ცხადია რელიეფურადაა წარმოდგენილი საერთაშორისო სამართლის ნორმებით განსაზღვრული მუხლები ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისა, რომლის აღსრულებისათვის ჩვენი ორგანიზაცია მაქსიმალურ ძალისხმევას გაიღებს, რადგან იგი პატივს სცემს კონსტიტუციურ კანონს და ადამიანურ მოვალეობას.

მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება" იყო არის და მომავალშიც სურს იყოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის საკითხებში მებრძოლი რეალური ძალა.

კავშირი 1976 წლიდან არის „საერთაშორისო ამნისტიის" (ცენტრი-ლონდონში) წევრი, 1990 წლის 22 სექტემბრიდან არის „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშირისო ასოციაციის" (IGFM-ISHR, მაინის ფრანსკფურტი) ასოცირებული წევრი.

მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება" მჭიდროდ თანამშრომლობდა და კვლავაც სურს გააფართოვოს ურთიერთობები აშშ-ს სამართალდამცავ ორგანიზაცია „ჰიუმან რაითს ვოთჩთან" და ამერიკის კონგრესის ჰელსინკის ჯგუფთან, ბრიტანეთისა და ფინეთის ჰელსინკის ჯგუფებთან, ფინეთის პარლამენტის ე. წ. „საქართველოს ჯგუფთან", პატიმართა უფლებების დამცავ ორგანიზაცია „საერთაშირისო ამნისტიასთან" (ინგლისი) და ა.შ. ყოველივე ეს და არაერთი სხვა მასალა თვალნათლივ ადასტურებს მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" საერთაშორისო სტატუსსა და ავტორიტეტს.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და მპგ ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნულ აღორძინებას" აქვს ქვეყნისა და კავკასიის რეგიონის განვითარების კონკრეტული სამართლებრივი გზა, რომელსაც პოსტულატებად, შემდგომშიც წარმოგიდგენთ განხილვებისათვის, ერთი რამ კი ცხადია:

აუცილებელია სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი წყვეტის აღმოფხვრა და მომავალი ლეგიტიმური, სამართლებრივი საყოველთაო არჩევნების დანიშვნა-ჩატარება, რამეთუ სწორედ ასეთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებასა და გამარჯვებას აქვს აზრი. მხოლოდ მას შემდეგაა შესაძლებელი და აუცილებელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ემიგრანტთა, ლტოლვილთა და დევნილთა მშობლიურ კერაზე დასაბრუნებლად ხელსაყრელი პირობების რეალურად შექმნა. ლეგიტიმური საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიზანი არ არის თანამდებობების დაბრუნება, არამედ ჩვენს ქვეყანაში კანონიერებისა და სამართლიანობის პირობებში კანონიერი ხელისუფლების აღდგენა-აღორძინება და განვითარებაა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და მასთან ლეგიტიმური ხელისუფლების მმართველი პარტია - „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" ასევე იმედოვნებს, რომ სრული მხარდაჭერა ექნება ფორს-მაჟორულ სიტუაციაში საერთაშორისო თანამეგობრობისაგან და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სახელისუფლებო ორგანოებისგან. რამდენადაც უახლესმა ისტორიამ დაგვანახა, რომ სხვაგვარად მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება", როგორც სამართლებრივად კანონიერი ხელისუფლების მმართველი პოლიტიკური და კონსტიტუციურად მმართველი ორგანო შეიძლება გახდეს მომავალი პოლიტიკური დევნის საგანი.

## *კავკასია როგორც განახლებული იდეა და მსოფლიოს ახალი, ცენტრალიზირებული გეოპოლიტიკური რეგიონი*

გეოგრაფიიდან ვიცით, რომ ევროპა და აზია ერთიანი კონტინენტის – ევრაზიის ნაწილებია, მაგრამ ისინი დამოუკიდებელ კონტინენტებად განიხილებიან, რადგან ევროპისა და აზიის მოსახლეობა, მათი ისტორია, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ევროპის კავშირი, როგორც ცნობილია, აგებულია ევროპული თანამეგობრობის ურთიერთობების მთელი ერთობლიობის, უმეტესად ეკონომიკურ-მიზნობრივ საფუძველზე. მისი ძირითადი პოლიტიკის მიზანია

ადამიანების, საქონლის, სერვისებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა ერთიან, შიდა ბაზარზე, ანუ ძირითადად მისი ეკონომიკური ერთობა, იურისპრუდენციული კანონმდებლობისა და ამ მიმართულებით საერთო პოლიტიკის შენარჩუნება რეგიონულ განვითარებაში.

საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, უძველესი ერის მტკიცე სახელმწიფოებრივი და კულტურული ტრადიციების გამო, ყოველთვის მიზანმიმართულად ახერხებდა მოწინავე აზრის, კულტურის ექსპორტირებას მეზობელ მონათესავე ტომებში და არამარტო. ამ მოვლენას ნოყიერი ნიადაგი ასაზრდოებდა – იბერიულ-კავკასიური სამყაროს არსებობა, რომელიც უძველესი და უნიკალური ცივილიზაციის პოლიეთნიკურ და ამავე დროს ერთიან გეოპოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ სივრცეს, დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაჯვარედინს წარმოადგენდა. საქართველოს კავკასიელ მეზობლებთან სარწმუნოებრივი სხვადასხვაობის მიუხედავად, ისტორიულად მუდამ ჰქონდა მთლიანი კავკასიური სამყაროსადმი კუთვნილების, საერთო წარმომავლობის, ბიოგენეტიკური ნათესაობის გრძნობა, ეროვნული წიაღიდან აღმოცენებულ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ მეზობელ ცივილიზაციებთან შეჯერებული საერთო მენტალიტეტი, კულტურული, მორალური და ზნეობრივი ღირებულებები.

სწორედაც რომ, სრულიად სხვაა კავკასია. იბერიულ-კავკასიურ ერებს აქვთ საკუთარი ენა და დამწერლობა, ერთიანი, ოდნავ განსხვავებული ისტორია და სახლობენ მკვეთრად შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე, რაც დამატებით საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ კავკასია პოლიტიკურად და გეოგრაფიულადაც ცალკე როგორც რეგიონალური, ასევე გეოკონტინენტალური ერთობაა.

კავკასიის კონტინენტის საზღვრები, გაჰყვება წყალგამყოფ და წყლის გამყოფ ზოლებს. პირველი უფრო საიმედოა, არ იცვლის მიმართულებას, მეორე კი, რთულად განსასაზღვრია მთაგორების რთული რელიეფის გამო. კავკასიის, როგორც მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის განმსაზღვრელი ახალი რეგიონის შიდა მოწესრიგების პრინციპი ისტორიულ-ეთნიკური პროცესების განვითარებამ და მისმა ღრმა ფესვებმა უნდა განსაზღვროს. ეს კი საქართველოს, იბერიულ-კავკასიურ ტომებთან ნათესაობით, შავი ზღვის, კასპიისა და ხმელთაშუა ზღვის აკვატორიულ ნავსადგურთა გარკვეული ნაწილის კონტროლით, განსაზღვრულ უპირატეს მდგომარეობაში აყენებს. ცხადია, კავკასიური სახლი არ გულისხმობს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთი მიმართულებით განვითარებას. ასეთი პოლიტიკა განსაზღვრულია საქართველოს და მსოფლიოს კეთილდღეობის ინტერესებით და ოთხივე მხრივ უნდა წარიმართოს.

იდეაში მიგვაჩნია, რომ უნდა აღდგეს ისტორიული სამართლიანობა და მომზადდეს საფუძველი, რათა ჩამოყალიბდეს მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის განმსაზღვრელი ახალი რეგიონი და ერთობა – კავკასია, როგორც გარანტი მსოფლიოში მშვიდობისა, სამართლიანობისა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვისა, სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თანხმობა-ერთობისა და თანასწორობისა.

საქართველოს ისტორია ნათლად მეტყველებს, რომ ქართული ფენომენისათვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო ეროვნული და რელიგიური თავსებადობა. ჩვენს ქვეყანაში ათასწლეულების მანძილზე ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების გარეშე გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნების, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლები. საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ძველი ერის მტკიცე სახელმწიფოებრივი და კულტურული ტრადიციების გამო ყოველთვის მიზანმიმართულად ახერხებდა მოწინავე აზრის, კულტურის ექსპორტირებას მეზობელ მონათესავე ტომებში. ამ მოვლენას ნოყიერი ნიადაგი ასაზრდოებდა – იბერიულ-კავკასიური სამყაროს არსებობა, რომელიც უძველესი და უნიკალური ცივილიზაციის პოლიეთნიკურ და ამავე დროს ერთიან გეოპოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ სივრცეს, დასავლეთსა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაჯვარედინს წარმოადგენდა. საქართველოს კავკასიელ მეზობლებთან სარწმუნოებრივი სხვადასხვაობის მიუხედავად, ისტორიულად მუდამ ჰქონდა მთლიანი კავკასიური სამყაროსადმი კუთვნილების, საერთო წარმომავლობის, ბიოგენეტიკური ნათესაობის გრძნობა, ეროვნული წიაღიდან აღმოცენებული, ერთმანეთისაგან განსხვავებულ მეზობელ ცივილიზაციებთან შემაჯერებელი საერთო მენტალიტეტი, კულტურული, მორალური და ზნეობრივი ღირებულებები. ევროპის კავშირი კი, როგორც ცნობილია, განსხვავებით, აგებულია ევროპული თანამეგობრობის ურთიერთობების მთელი ერთობლიობის, უმეტესად ეკონომიკურ-მიზნობრივ საფუძველზე და მისი ძირითადი პოლიტიკის მიზანია ძირითადად მისი ეკონომიკური ერთობა.

გეოგრაფიულად კავკასიის კონტინენტს ორი მხრიდან (აღმოსავლეთით და დასავლეთით) ზღვა აკრავს, ჩრდილოეთით სრუტე, სამხრეთით (წყალგამყოფი) მდინარეები და მხოლოდ 1–2% შეიძლება საღვრად წარმოჩინებულ იქნეს ხმელეთი, რაც კონტინენტის საერთაშორისო განმარტებებს შეესაბამება. სამყაროს გამგებელმა ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა. რადგანაც ადამიანია დედამიწის მთავარი შემადგენელი არსება ყველა ხალხთა ჯგუფს თავიანთი ტერიტერიული ფართი გამოუყო.

თეთრი რასა, თავისთავად, შედგება სემიტებისაგან, ინდოევროპელებისაგან და იაფეტებისაგან. სემიტები უმეტეს წილად ჩრდილოეთ აფრიკაში სახლობენ, იაფეტის შთამომავალნი კი უმეტესწილად კავკასიაში, აპენინის ნახევარკუნძულზე და ირლანდიაში. ცნობილია, რომ სამხრეთ კავკასიაში უმთავრესი სამწერლო ენის მქონე ქართველები სახლობენ, მათ გვერდით ასევე სხვა იაფეტები. ასევე სამხრეთ კავკასიაში სახლობენ ინდოევროპული მოდგმის ერები: არმენები (სომხები) და აზერბაიჯანელები. ჩრდილოეთ კავკასიაში იაფეტებს – იბერიულ–კავკასიურ ხალხებს, მიეკუთვნება: ადიღეელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, ინგუშები, ჩეჩნები, დაღესტნელები. ჩრდილოეთ კავკასიაში ისტორიული ქარტეხილების შედეგად შემოსახლებულები არიან ყარაჩაეველები, ბალყარელები – ეს ის ერებია, რომლებიც დავით აღმაშენებელმა ყივჩაღების სახით საქართველოში ჩამოასახლა, აქ ფეხი ვერ მოიკიდეს და შემდგომში ქართველებმა ჩრდილოეთ კავკასიაში, ქართველთა სავანეში, ჯიქეთში დაასახლეს. ყარაჩაეველები და ბალყარელები არიან თურქული მოდგმის ერები. თუ გადავინაცვლებთ აღმოსავლეთით სახლობენ ოსები, რომელნიც ირანული მოდგმის ერია. მათ აღმოსავლეთით სახლობენ ინგუშები და ჩეჩნები, რომლებსაც მოუწყეს გენოციდი და გადაასახლეს ყაზახეთის სტეპებში. დაღესტნელები უფრო მრავალრიცხოვანიკი არიან მაგრამ მათი ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში ყუმიკებია შესახლებული და ა. შ. ასე და ამგვარად, იბერიულ–კავკასიურ ერებს აქვთ საკუთარი ენა და დამწერლობა, განსხვავებული ისტორია და სახლობენ მკვეთრად შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე, რაც დამატებით საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ გეოგრაფიულადაც და გეოპოლიტიკურადაც კ ა ვ კ ა ს ი ა ცალკე კ ო ნ ტ ი ნ ე ნ ტ ი ა.

ასევე, ცნობილია, რომ სამხრეთ ევროპის: პირინეების, იტალიის, ხმელთაშუა ზღვის კუნძულების პირველადი ავტოქტონური მოსახლეობა იყო იბერიული მოსახლეობა. ამ მოსახლეობას უწოდებენ პროტოიბერებს, მათგან მომდინარეობს გვიანდელი ევროპული მოსახლეობა. მეცნიერებაში მიღებულია აგრეთვე ტერმინი–ხმელთაშუა ზღვის რასა, მედიტერანული რასა, ანუ მედიტერანული მოდგმა. იმ მოდგმის აღსანიშნავად, რომელიც იდენტურია ტერმინისა კავკასიური რასა, არის აგრეთვე ტერმინები: პალეოკავკასიური რასა, ანუ უძველესი კავკასიური რასა, უძველესი მედიტერიანული რასა, რაც ურთიერთის იდენტურია.

საუბარია იმ მოსახლეობაზე, იმ მოდგმაზე, რომელიც სახლობდა პირინეების ნახევარკუნძულიდან ხმელთაშუა ზღვის აუზში, ბალკანებზე, თანამედროვე საბერძნეთში, კავკასიაში და ინდოეთის თანამედროვე ტერიტორიაზე, აგრეთვე, მცირე აზიაში და პალესტინაში. ეს არის გავრცელების არეალი იმ პროტოიბერიული მოდგმისა, რომელსაც ჰქონდა მრავალი განშტოება. ენა ამ მოდგმისა, ამ რასისა იყო ერთი ძირითადი, რომელსაც ჰქონდა მრავალი დიალექტური განშტოება და თუ ეს ენაკავები ღებულობდნენ ცალკე ენების ხასიათს, ისინი იყვნენ მონათესავენი და ვითარდებოდნენ როგორც ურთიერთმონათესავე ენები. ეს არის სხვადასხვა განშტოებები ერთი და იმავე მოდგმისა, რომელსაც მეცნიერებაში ქართველური, ან პროტოიბერიული მოდგმა ეწოდება, ხოლო საკუთრივ ქართველი ერი, ლოკალიზებული კავკასიის მასშტაბით, დაკავშირებულია იბერიულ–კავკასიურ განშტოებასთან. იბერიულს აქვს მრავალი განშტოება და დღესდღეობით შემორჩენილია პირინეულ-იბერიული, ანუ ბასკური და კავკასიურ–იბერიული, ანუ ქართული და მისი მონათესავე ტომები ჩრდილოეთ კავკასიაში. დანარჩენი კი ამჟამად ასიმილირებულია ინდოევროპული კაცობრიობის მიერ, რომელიც არის გვიან მოსული ევროპის კონტინენტზე, კერძოდ მეორე ათასწლეულის შემდეგ, ხოლო პროტოიბერიული კაცობრიობის, ანუ პალეომედიტერანული, პალეოკავკასიური კაცობრიობის მოღვაწეობის, მისი ზნეობის ხანად მიჩნეულია ეპოქა უძველესი დროიდან ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულამდე. მესამე ათასწლეულში იწყება დაკნინება ამ რასისა, მისი რიცხობრივი შემცირება, მისი ასიმილირება მოსული ინდოევროპელების მიერ. ამ დროიდან და უფრო გვიან წამოიწევს წინ ხეთური და ძველბერძნული, ელინური სამყაროები. მაგრამ აქ ხდება კულტურათა სინთეზირება: პალიომედიტერანულ, ანუ პროტოიბერიულ მოდგმასთან დაკავშირებულია პირველადი კულტურები მინოსისა, ეგეოსური კულტურები, კოლხური (ძველკოლხური), რომელიც უაღრესად მჭიდროდ არის მინოსურთან დაკავშირებული. ხოლო შემდგომ, უკვე მეორე ათასწლეულიდან იწყება წამოწევა ხეთური სამყაროსი, რომელიც უკვე ინდოევროპული სამყაროა, აგრეთვე ძველბერძნული სამყაროსი, რომელიც ვედური ტომიდან მომდინარეობს და მოსულია იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც შემდგომ აღმოცენდა ძველბერძნული კულტურა და

ძველბერძნული სამყარო, ხოლო პირველადი მოსახლეობა ძველი საბერძნეთისა, ძველბერძენი ისტორიკოსების მონაცემებზე დაყრდნობით, განსაზღვრულია როგორც პელაზგური, ანუ პროტოიბერიული. პელაზგები არიან ერთ-ერთი განშტოება პროტოიბერებისა, ისევე როგორც ეტრუსკები და სხვა ხალხები, ისევე როგორც კოლხები. კოლხური, პელაზგური, ტროული, მინოსური სამყაროები მონათესავე სამყაროებია, უფრო სწორად, ერთ სამყაროს წარმოადგენენ. მართალია, არსობრივად არა, მაგრამ არის ნიუანსური განსხვავება ქართულსა და ქართველურს შორის. ქართული და ქართველური მაინც უნდა განვასხვავოთ იმიტომ, რომ ქართული აღნიშნავს უშუალოდ საქართველოს, ყოველივეს ისტორიულ საქართველოსთან, ქართულ ენასთან დაკავშირებულს, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ ჩვენი ისტორიიდან და რომელიც სწორედ ამ გეოგრაფიულ არეალში მდებარეობს. ქართველური კი, გაცილებით უფრო ფართო და ყოვლისმომცველი ცნებაა. ქართველურნი არიან ტომები, რომლებიც „ქართები" არ არიან და არც, უშუალოდ ქართველები, მაგრამ ისინი ქართველური წარმოშობისანი არიან. ქართველური არის რასიული გაგება, უფრო ყოვლისმომცველი ვიდრე ეროვნული. როგორც არსებობს სემიტური რასა, ასევე არსებობს იაფეტური რასაც. ეს იაფეტური რასა არის ქართველური რასა. ქართველური ენები მომდინარეობენ სწორედ ამ პირველადი იაფეტური ენიდან, რომელსაც ჩვენ პროტოქართულ ენას ვუწოდებთ. ქრისტიანობის განვითარებაში ქართველური მოდგმის ხალხები ძირითად როლს ასრულებენ („საქართველოს სულიერი მისია", ზ. გამსახურდია).

სულაც არ არის ნონსენსი ასეთი ცნება – ერის ფსიქოლოგია, ერის ფსიქიკა. ფსიქიკა სულიერი არსების მახასიათებელია, მაგალითად, ადამიანისა და აქედან გამომდინარე, თუ ვამტკიცებთ, რომ ერსაც აქვს ფსიქიკა, ხასიათი, გონი, დადებითი და უარყოფითი თვისებები, ე. ი. ერიც სულიერი არსებაა! ფიზიკური არსება მხოლოდ გარემოებებზეა დამოკიდებული, ანუ დეტერმინირებულია. მას „საკუთარი ინიციატივით" არაფრის შეცვლა არ ძალუძს. ადამიანს კი – სულიერ არსებას, არა მხოლოდ აწმყოში ცხოვრების და წარსულის ხსოვნის თვისება აქვს, არამედ მომავლის ამოცანის, გეგმის დასახვაც შეუძლია. ეს ყოველივე ერსაც ახასიათებს, მას აქვს ცნობიერება! ცნობიერება კი ისეთ არსებას აქვს, რომელიც აყალიბებს სისტემას, თუ რა უნდა გააკეთოს გარკვეული ხნის განმავლობაში და თუ ეს არა აქვს, ე. ი. აღარ ცოცხლობს არც ერი და არც ადამიანი, ის, უბრალოდ, სულდგმულობს. ერთი სიტყვით – ერი არის სულიერი არსება, ინდივიდი, ყველასგან განსხვავებული, რომელსაც სჭირდება გეგმა, პლატფორმა თავისი შემდგომი განვითარებისათვის. სწორედ ეს „გეგმა" არის იდეოლოგია და თუ იგი სხვებისაგან გამორჩეულია (და ასეც უნდა იყოს), ეს უკვე ეროვნული იდეოლოგიაა.

ერი ვეღარ გახდება კაცობრიობის წევრი, თუ იქ თავისი ინდივიდუალიზმი, თავისი განსაკუთრებული კულტურული „წილი" არ შეიტანა. ერი არ არის მარტო ადამიანების, პიროვნებების უბრალო გაერთიანება, რადგან პიროვნება უკვე ის არის, ვის ჩამოყალიბებაშიც ეროვნულმა ნიშანმა გადამწყვეტი როლი ითამაშა და ის სხვა ერს ვეღარ შექმნის. თავისუფლება უფლებებისა და მოვალეობების გონივრული გაწონასწორებაა და ერიც და პიროვნებაც, ასევე მათ შორის ურთიერთობა, ამის საფუძველზე უნდა ყალიბდებოდეს.

წამალიც სწორედ ეს არის – ჩვენ კვლავ ერად უნდა ვიქცეთ.

სწორედ ამაშია ჩვენი მ თ ა ვ ა რ ი რ ო ლ ი, ვფიქრობ, სამართლებრივმა, ლეგიტიმურმა, კანონიერმა მთავრობამ და ქვეყნის პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა იკისრონ, მათ ზუსტად უნდა იცოდნენ და იციან კიდეც, რა სჭირდება ერს და როგორ მიაღწიონ ამას. მსოფლიოს ახლებურად მართვის ეტაპზე დიდად მნიშვნელოვანია პოლიტიკური მოვლენების ახლებურად განსჭვრეტა და წარმართვა. საქართველომ მიზანმიმართულად უნდა გამოიყენოს გეოპოლიტიკური უპირატესობანი და შესძლოს დამოუკიდებელი პოლიტიკურ-დიპლომატიური აქტიურობა. უნდა აღსდგეს ისტორიული სამართლიანობა და უნდა მომზადდეს საფუძველი, რათა ჩამოყალიბდეს მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის განმსაზღვრელი ახალი გეოპოლიტიკური რეგიონი, კონფედერაციის ერთიანი ურყევი ფორმატით და ერთობა – კავკასია (კავკასიის ერთიანი კონფედერაცია, დღევანდელი გეოპოლიტიკის გათვალისწინებით სურვილის მქონე ყველა სამეზობლო გეოპოლიტიკური სახელმწიფოების მონაწილეობით), როგორც გარანტი მსოფლიოში მშვიდობისა, სამართლიანობისა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებისათვის დაცვისა, სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თანხმობა-ერთობის, ღირსებისა და თანასწორობისა.

## *მსოფლიო ერთა ანსამბლეა – ახალი, უმაღლესი კლასის ერთა გაერთიანება*

საქართველოს სახელმწიფოს გეოპოლიტიკური რეალიზმი და სამართლებრივი ტენდენციები მუდმივ თანაფარდობაში და ჰარმონიაში უნდა იყოს მომავალი მსოფლიოს სამართლებრივ წესრიგთან. ამასთან, ზემოთქმულიდან გამომდინარე, უკვე ახალ საუკუნეში მსოფლიო ისტორიული მისიაა საფუძველი ჩაეყაროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (მისი უფრო ეფექტური გადაწყვეტილებების გამარტივებულად მიღებისა და მათი დროულად შესრულების აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს) თვისობრივად ახალ ინსტიტუტს – ახალ, მსოფლიოს ერთა ანსამბლეას, რომლის უზენაესი მიზანი ასევე იქნება, ადამიანის უფლებათა დაცვასთან ერთად, ეროვნული ღირსების მქონე მსოფლიოს ერთა კულტურათა და სახელმწიფოთა უსაფრთხოების უზრუნველყოფაც. ამდაგვარ ახალ სიტუაციაში მკვეთრად გაიზრდება როლი საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის სფეროშიც. ასევე გადაუდებელ ამოცანადაა აღიარებული ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილ კონფლიქტთა რეალური მიზეზების ობიექტური შესწავლა. ეს კი აღმოფხვრის ამა თუ იმ ქვეყნის მიერ ინიცირებულ ეთნიკურ კონფლიქტებს.

სასურველია, თუ კავკასიაში და სწორედ საქართველოში განთავსდება და მოეწყობა სახელმწიფოთა უსაფრთხოების, ერების კულტურათა, უფლებების, თავისუფლებებისა და ეროვნული ღირსების დაცვისა და მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის „მსოფლიო ერთა ანსამბლეა“. რამდენადაც საქართველოს, როგორც მსოფლიოს გეოგრაფიული და პოლიტიკური ცენტრის „კავკასიური სახლის" ქვეყანას, სახელმწიფოს ისტორიული, გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე და ეროვნული სულის მეოხებით ძალუძს, ეზიაროს ჭეშმარიტად საღვთო საქმეს და განახორციელოს მსოფლიოს სახელმწიფოთა მშვიდობიანი ურთიერთობისა და თანამშრომლობისათვის აუცილებელი გარანტის როლი. იგი, როგორც მსოფლიოს ცენტრი უნდა გახდეს მედიატორი სახელმწიფო, აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ქრისტიანულ, მუსლიმურ და სხვა რელიგიათა სამყაროებს შორის, რაც მისი ოდინდელი ისტორიული მისიის დაბრუნება იქნება.

მსოფლიო ქვეყნების სახელმწიფოებრიობის დონის ამაღლებისა და აღორძინების მიზნით, ახალი რეალობიდან გამომდინარე, სასურველია დაიხვეწოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა აქტები უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განხრითაც, რათა ახალ საუკუნეში სახელმწიფოებმა და ხალხებმა იცხოვრონ მშვიდობიან, განვითარებად, მსოფლიო თანამეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოში. უნდა ჩამოყალიბდეს შესაბამისი პოლიტიკური წყობა, დაფუძნებული თვითოეული ქვეყნის მოქალაქეთა თავისუფლებებისა და თანასწორობის კანონებზე. მოწინავე ქვეყნები უნდა ადასტურებდნენ ერთა თანასწორუფლებიანობის, საკუთარი ბედის განმგებლობის უფლების პატივისცემის საყოველთაო მნიშვნელობას, რაც აუცილებელია სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების განვითარებისათვის. უნდა გამოირიცხოს ამ პრინციპის დარღვევა ნებისმიერი ფორმით. მართალია ისტორიულ ეტაპებზე ხდება ღირებულებათა გადაფასება, მაგრამ მისი მუდმივობის ცვალებადობა ფაქტობრივად არ ხდება. მიგვაჩნია, რომ ეს საკითხები სიღრმისეულად არის დაკავშირებული მსოფლიო წესრიგის ახალ მსოფლმხედველობასთან, მის პრინციპებთან და დღეს, უმწვავესი საჭიროებით, ჰაერივით სჭირდება დღევანდელ მსოფლიო საზოგადოებრიობას, თავად მსოფლიოს ხალხებსა და კაცობრიობის მომავალს.

აქედან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობა და მისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი მიზანია დაანახოს და გააცნოს საქართველოსა და მთელ მსოფლიოს ქვეყნის და კავკასიის მოწყობის მისეული ხედვა. პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის მიღწევის, განათლებული სამოქალაქო და სოციალური სოლიდარული საზოგადოების ჩამოყალიბების, ჭეშმარიტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების, დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების შექმნა-განმტკიცების რეალური გეგმა. ამ გზით მოხდება საქართველოსა და კავკასიის კონფედერაციის სახელმწიფოთა მიერ ადამიანის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება, რომელიც დაფუძნებული იქნება სახელმწიფოებრიობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური ჰარმონიის პრინციპებზე. დაცული იქნება ეროვნული თვითმყოფადობის, დემოკრატიისა და თვითმმართველობის იდეალები და გატარდება საომარი კონფლიქტების, გათიშულობისა და კონფრონტაციის თავიდან აცილების სამშვიდობო ცივილიზებული პოლიტიკა. საქართველოსა და კავკასიის სახელმწიფოთა ერთობის ამოცანა იქნება ახალი რეგიონის – „კავკასიის“ პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა და მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისა და სრულიად კავკასიისათვის

ღირსეული ადგილის დამკვიდრება. ამ ფუძემდებლურ პრინციპებს კი აშკარად მივყავართ მომავლისაკენ, სადაც წარმატების კრიტერიუმი შრომა, ნიჭი და მსახურება იქნება, სადაც მთავარია ერის ღირსება, შესაძლებლობა, პასუხისმგებლობა და სოციალური სოლიდარობა. საქართველომ და კავკასიამ პირუთვნელად უნდა აღასრულოს თავისი სულიერი მისია კაცობრიობის წინაშე. ვთვლით, რომ დროა ბოლო მოეღოს ყოველგვარ სახელმწიფოებრივ პრობლემებსა და დაბრკოლებებს, რათა საქართველოს რესპუბლიკას მართავდეს ლეგიტიმური მთავრობა, მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნულ აღორძინებამ“, როგორც ყველა ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა ორგანიზაციებმა, ასევე, ყველა ეროვნულმა ძალებმა და ორგანიზაციებმა აღიდგინონ ჩვეული სახელმწიფოებრივი ფორმა, აღიარებული და ჩვეული ფუნქცია მათი მიზნებისა და ამოცანების სრულ ამოწურვამდე და აღორძინდნენ.

ვგრძნობთ რა ჩვენს ვალდებულებასა და შესაძლებელ ძალას, ვაცხადებთ მზადყოფნას და უდიდეს სურვილს ყოველივე ზემოთთქმულში, ყველა შესაბამისი ფუნქციის მქონე ორგანიზაციათა ურთიერთშორის მუდმივი და უცილობელი კავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავებაში, რომელიც დადასტურდება ბუნებასა და საზოგადოების შემეცნებისა და ურთიერთთანამშრომლობის პროცესში, რისთვისაც ყველას ვთხოვთ შესაბამისსა და შესაძლო კონსულტაციებსა, თუ დახმარებებს ერთიანი სრული ძალით სახელმწიფოებრივ ამოქმედებაში. შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად მნიშვნელოვანია მსოფლიო ეროვნულ ანსამბლეაში მონაწილე სახელმწიფოთა როლიც. მონაწილე ქვეყნებმა პატივი უნდა სცენ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს: აზრის, სინდისის, ეროვნული ღირსების, რელიგიისა და შეხედულებათა თავისუფლებების ჩათვლით ყველასთვის, განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა, თუ რელიგიისა. სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ და განავითარონ სამოქალაქო, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და სხვა უფლებებსა და თავისუფლებების ეფექტურ განხორციელებას, რომელნიც გამომდინარეობენ ადამიანის პიროვნების ღირსებებიდან და არსებით პირობას წარმოადგენენ მისი სრული და თავისუფალი განვითარებისათვის.

მონაწილე ქვეყნები ამით აღიარებენ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საყოველთაო მნიშვნელობას, რომელთა პატივისცემაც არის არსებითი ფაქტორი მშვიდობისა, სამართლიანობისა და კეთილდღეობისა, მეგობრული ურთიერთდამოკიდებულებებისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის. ამით ისინი, ეროვნულ ღირსებათა და სახელმწიფოებრივ უფლებებთან ერთად აღიარებენ პიროვნებათა უფლებებსაც საკუთარ უფლებამოვალეობათა ცოდნისას ამ სფეროში და მათ შესაბამისად მოქმედებას. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში მონაწილე მსოფლიოს ქვეყნები იმოქმედებენ ახალი, უმაღლესი კლასის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის – მ ს ო ფ ლ ი ო ე რ თ ა ა ნ ს ა მ ბ ლ ე ი ს წესდების, მიზნებისა და პრინციპების, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი საყოველთაო დეკლარაციის შესაბამისად. ამასთან შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს იმისდამიხედვით, თუ როგორ არიან ისინი დადგენილნი საერთაშორისო დეკლარაციებში და შეთანხმებებში, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტების ჩათვლით. მონაწილე ქვეყნებმა ასევე პატივი უნდა სცენ ერთაშორის თანასწორობას და მათ უფლებას. აგრეთვე უნდა იმოქმედონ საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, იმ ნორმების ჩათვლით, რომელნიც ეხება სახელმწიფოთა ტერიტორიულ სამართლებრივ მთლიანობას. მონაწილე ქვეყნები ამით დაადასტურებენ ერთა თანასწორუფლებიანობის საყოველთაო მნიშვნელობას, საკუთარი ბედის განმგებლობის უფლების, სახელმწიფოებრივი და პიროვნული ღირსების პატივისცემას, მათ ეფექტურ განხორციელებას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების განვითარებისათვის. ისინი ყოველივეთი შეახსენებენ ურთიერთს აგრეთვე იმის მნიშვნელობას, რომ უნდა გამოირიცხოს ამ პრინციპის დარღვევა ნებისმიერი ფორმით.

კავკასიური ერთობის – მსოფლიოს ახალი რეგიონალური კონფედერაციული გაერთიანების შესაქმნელად კი, რომლის საფუძველი იდეაში ყოველთვის არსებობდა, საჭიროა მკაფიო და მკაცრი, თანმიმდევრული მსოფლიო პოლიტიკური კურსის შემუშავება, რაც საჭიროების შემთხვევაში როგორც კავკასიური სახლის, ასევე მსოფლიოს სახელმწიფოთა უსაფრთხოების დამცველ მექანიზმად ამოქმედდება. ცხადია, კავკასიური სახლი არ გულისხმობს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთი მიმართულებით განვითარებას. ასეთი პოლიტიკა განსაზღვრულია საქართველოს და მსოფლიოს კეთილდღეობის ინტერესებით და ოთხივე მიმართულებით უნდა წარიმართოს. მნიშვნელოვანია ურთიერთობების გაღრმავება ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ევროკავშირის რეგიონალურ ქვეყნებთან და მომავალში შესაძლო ახალ რეგიონალურ გაერთიანებებთან, ასევე – ახლო აღმოსავლეთის რეგიონალურ ქვეყნებთან, მათ შორის:

თურქეთთან, ისრაელთან და შესაძლოდ სხვა ქვეყნებთან, ევროპის ქვეყნებთან, მათ შორის საბერძნეთთან, იტალიასთან, ესპანეთთან, საფრანგეთთან, დიდი ბრიტანეთის ქვეყნებთან, ირლანდიასთან, ისლანდიისა და ყველა დემოკრატიულ ქვეყნებთან ახლო მეგობრული კავშირების გაღრმავება. ასევე, მნიშვნელოვანია მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბება ჩრდილო აფრიკის ქვეყნებთან: ეგვიპტე და სხვა პროგრესულად განვითარებად ქვეყნებთან. ასევე მნიშვნელოვანია ურთიერთობების დამყარება მცირე აზიის ქვეყნებიდან დაწყებული, შუა აზიის ქვეყნებთან, ინდოეთთან, ჩინეთთან და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობების გაღრმავება, არაა გამორიცხული მსოფლიოს სხვა მიმართულებების ქვეყნებთან შესაძლო მეგობრული ურთიერთობების დაწყება. კვლავ გავმეორდებით, რომ გადაუდებელ ამოცანადაა აღიარებული ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილ კონფლიქტთა რეალური მიზეზების ობიექტური შესწავლა, რაც ბოროტ ძალებს საშუალებას აღარ მისცემს თავიანთი ეგოისტური ინტერესებიდან გამომდინარე პერმანენტული ხასიათი მისცენ ეთნიკურ კონფლიქტებს. ,,ახალი მსოფლიოს" პროცესივე უნდა იქცეს ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ერთა თვითგამორკვევის გარანტად, რომელიც საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით განუყოფელია საზღვრების ურღვევობის სამართლებრივი და ფუძემდებელი პრინციპებიდან გამომდინარე.

კვლავაც ვასკვნით, რომ საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ძველი ერის მტკიცე სახელმწიფოებრივი და კულტურული ტრადიციების გამო ყოველთვის მიზანმიმართულად ახერხებდა მოწინავე აზრის, კულტურის ექსპორტირებას მეზობელ მონათესავე ტომებში. ამ მოვლენას კი თავის დროზე ნოყიერი ნიადაგი ასაზრდოებდა – იბერიულ-კავკასიური სამყაროს არსებობა, რომელიც უძველესი და უნიკალური ცივილიზაციის პოლიეთნიკურ და ამავე დროს ერთიან გეოპოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ სივრცეს, დასავლეთსა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაჯვარედინს წარმოადგენს. ვინაიდანაც, საქართველოს კავკასიელ მეზობლებთან სარწმუნოებრივი სხვადასხვაობის მიუხედავად, ზოგჯერ, კიდევაც გარდაუვალი სახელმწიფოთაშორისი მტრული ქმედებებისა, მას ისტორიულად მუდამ ჰქონდა მთლიანი კავკასიური სამყაროსადმი კუთვნილების, საერთო წარმომავლობის, ბიოგენეტიკური ნათესაობის გრძნობა, ეროვნული წიაღიდან აღმოცენებული, ერთმანეთისაგან განსხვავებულ მეზობელ ცივილიზაციებთან შემაჯერებელი საერთო მენტალიტეტი, კულტურული, მორალური და ზნეობრივი ღირებულებები.

## *საქართველოსათვის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ-სარწმუნოებრივი ვექტორის უცილობელი აღორძინება, დემოგრაფიული პირობების გაუმჯობესება და ქვეყნის კეთილდღეობის აღორძინება-შენარჩუნება*

არსებული კრიზისული მდგომარეობიდან საქართველოს გამოსახსნელად ერთადერთი გზაა მშვიდობიანი და სამართლებრივი გზით საქართველოს დამოუკიდებელიდან თავისუფლებისაკენ სავალ გზაზე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი – ეროვნულ-სარწმუნოებრივი აღდგენა-აღორძინება და განვითარება. ცივილიზაციათა გასაყარზე, ეთნოსოციალური მეხსიერების ფორმირების საკითხისათვის, წარმართულ ცივილიზაციაში ქრისტიანობის გავრცელებამ ძირეული გადატრიალება მოახდინა კაცობრიობის მსოფლმხედველობაში, კულტურაში, ეთიკაში, პოლიტიკაში, მაგრამ ამ ყველაფერს წინ უძღოდა კაცობრიობის ცნობიერების შემოტრიალება ახალი სარწმუნოებრივი იდეალებისკენ. ასევე, მნიშვნელოვანი და აღსანიშნავია, რომ ეთნოსოციალური მეხსიერების წინააღმდეგობრივი გამოვლინება ამ ფენომენის ანგაჟირებულობითაცაა განპირობებული. ერის სოციალური მეხსიერება რთული და მრავალკომპონენტიანი მოვლენაა, რომელიც სავალდებულო პირობაა ნებისმიერი საზოგადოების არსებობისა, ეფუძნება დაგროვებას, შენახვას და სოციალურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის ტრანსლირებას. ეთნოსოციალური მეხსიერება, როგორც ქვესისტემა სოციალური მეხსიერების, სპეციფიკური ფორმის აკუმულირებისა და სოციალურ-ეთნიკური გამოცდილების ტრანსლირებას განსაზღვრავს. ამ მეხსიერების შემადგენელ საფუძველს კი ერის კულტურული გენოფონდი შეადგენს, რომელიც თავისთავში მოიცავს ეთნიკური კულტურის ელემენტებს: ენა, ხალხური ხელოვნება, ერის მატერიალური კულტურა, ნაციონალური ჩვეულებანი და ტრადიციები, ხალხური ფილოსოფია და ტრადიციული აღზრდის სისტემა, ხალხის ეთიკა და რაც მთავარია რელიგია. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი, განმსაზღვრელი ფაქტორი და შესაბამისად ადამიანის ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის განმსაზღვრელი არის ერის ენა და რელიგია, რომელიც ყველაზე უფრო მეტად ახდენს აკუმულირებას ერის ეთნოსოციალურ მეხსიერებაში. ფრიად მნიშვნელოვანია ეთნოსოციალური მეხსიერების რელიგიური დატვირთვა. იგი ეროვნული თვითშეგნებისა და იდენტიფიკაციის ჩამომყალიბებელია, რადგან ერი არის ერთი

ეთნიკური წარმოშობის მატერიალური და სულიერი კავშირის მქონე მკვიდრი მოსახლეობა, რომლის წევრებიც, გარდა ხორციელ-სულიერი ერთობისა, აგრეთვე ერთმანეთთან შედუღაბებულ-შეკავშირებულნი არიან ისტორიით. ქართველი ხალხის ეთნიკური თვითშემეცნება კი სწორედ ამდაგვარად ყალიბდებოდა. ეთნოსოციალური მეხსიერების მთავარი ფუნქციონალური მახასიათებელია ეროვნული თვითმყოფადობის, თვითიდენტობის შენახვა და გადაცემა. არ არსებობს ისტორია, სადაც არ ყოფილიყოს სახელმწიფოთაშორისო ომები და ეროვნებათშორისი კონფლიქტები, უსამართლობა და წყენა, მაგრამ ცალსახაა, წარსულის მოვლენათა ანალიზი ეროვნული ტოლერანტურობის პოზიციით უნდა განხორციელდეს. ეს კი, იმას ნიშნავს, რომ თუ რა ისტორიული კონტაქტები ამდიდრებდა ხალხებს, აახლოებდა მათ და არა ის, რაც ყოფდა აშორებდა და ანსხვავებდა. ჩვენი ღვთის ძეობა, სარწმუნეობის აღსარება, ეკლესიურობა არის კულტურა, რომლისგანაც ჩვენ დავალებული ვართ იმ ცხოვრების წესით, რომლის ჩარჩოებში ჩვენ ვიმედოვნებთ არა მარტო გადარჩენას, არამედ სრულფასოვან ცხოვრებას. ამავე დროს იგი არის ჩვენი კუთვნილება საკუთარ ხალხთან, რომელსაც თავისი ისტორიული გზა აქვს, რომლის შენარჩუნებაში, თუ შეცვლაში, ჩვენ ასე თუ ისე ვმონაწილეობთ. საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინება, მისი დამოუკიდებლობის სრული აღდგენა ვერ მოხერხდება ეროვნულ-სარწმუნოებრივი, ზნეობრივი აღორძინების გარეშე და ყოველივე ამას ადასტურებს საქართველოს წარსულიცა და აწმყოც. აქვე, ნიშანდობლივია იმის აღნიშვნა, რომ დღევანდელი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი – ეროვნულ-სახელმწიფოებრივი – ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობა-საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა-მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება ეს არა სხვადასხვა, განსხვავებული, არამედ ერთიანი, თავისი შინაგანი არსით ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობაა, რამდენადაც იგი არ გულისხმობს მხოლოდ ეროვნულ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, არამედ უპირველეს ყოვლისა საქართველოში ითვალისწინებს ზნეობრივ აღორძინებას ქრისტიანულ რწმენასა და ცნობიერებაზე დაყრდნობით.

სახელმწიფო და ეკლესია არ უნდა ერეოდნენ ურთიერთის საქმიანობაში, მათ ერთობლივად უნდა უზრუნველყონ საერო და საეკლესიო ცხოვრების მთლიანობა, რომელიც იმავდროულად პოლიტიკური სისტემისა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულებას დაემყარება. უცილებელია დავუბრუნდეთ მამა-პაპისეულ გზას, ავაღორძინოთ დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო და საქართველოს დაუბრუნდეს ღირსეული ადგილი მსოფლიოს ერთა თანამეგობრობაში. დღეს, ეკლესია, სამწუხაროდ, საზოგადოებაზე გავლენის მოხდენას მხოლოდ კულტურული, რელიგიური და ეროვნული სიბრტყიდან ცდილობს, მხოლოდ ამ ფასეულობების დასაცავად და ისიც ზერელედ იწყებს მოსახლეობის გააქტიურებას, მათთვის არასასურველი იდეების გამავრცელებლებთან საბრძოლველად. საქართველოს მფარველი ანგელოზი თვით ზეციერი დედოფალია. ეს უდიდესი წყალობაა, მაგრამ მიწიერ სიბრტყეზე, ეს არის საღმრთო მოწოდება ღვაწლისა და თავდადებისაკენ. ჭეშმარიტად მორწმუნე სულისა და სიკეთის მსახურთ კი, მუდამ გვფარავდეს სიკეთითა და სათნოებით სავსე უფალი ჩვენი.

საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობა და მმართველი მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება” თავის ერთმნიშვნელოვან ამოცანად მიიჩნევს ერთა თანაარსებობის ზემოთ მითითებულ ტრადიციებზე დაყრდნობით ხელი შეუწყოს სახელმწიფოს მიერ რელიგიური თვითმყოფადობის დაცვას. თავსებადობის ამ პრინციპთა ცხოვრებაში გატარება ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი უნდა გახდეს (მით უფრო, რომ ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკურ, კულტურულ, ენობრივ და რელიგიურ თვითმყოფადობის დაცვის პრინციპებს კონსტიტუციური კანონის ძალა აქვს), რაც მისი საერთაშორისო ავტორიტეტის გარანტადაც იქცევა.

ასევე, ყველამ ვიცით, რომ საქართველოში, უმთავრესად, როგორც მთელს კავკასიაში ძალიან მძიმე დემოგრაფიული პოლიტიკაა. მნიშვნელოვნად კლებულობს მოსახლეობის რაოდენობა, მეტად არასახარბიელოა დემოგრაფიული განვითარების მაჩვენებელი და სულ უფრო მწვავდება დემოგრაფიული პრობლემები. უპირველეს ყოვლისა, ჩვენთვის საინტერესოა კავკასიის მოსახლეობის დემოგრაფიული ბალანსი უკანასკნელ წლებში, რომელიც საგრძნობლად დაირღვა. კავკასიის მოსახლეობის დემოგრაფიული ბალანსი ძირითადად დაირღვა სწორედ საქართველოს ხარჯზე. კავკასიაში მოსახლეობის რიცხოვნობით, დაახლოებით ნახევარი მილიონით აღვემატებოდით აზერბაიჯანელებს და მილიონნახევრით – სომხებს. დღეს აზერბაიჯანის მოსახლეობა ჩვენზე ორჯერ მეტია და სომხებიც სადაცაა, გაგვისწრებენ. ესაა უბედურება. ჩვენ ახლა პოზიციებს არამარტო პოლიტიკურად ვკარგავთ, არამედ, ფაქტობრივად დემოგრაფიულადაც და მომაკვდავი ერი გავხდით. წერილობითი წყაროებით ცნობილია, რომ მის ზოგიერთ ისტორიულ პროვინციაში მრავალრიცხოვანი ქართველური ტომები ცხოვრობდნენ.

საქართველოს მოსახლეობა ისტორიულად ყველაზე მრავალრიცხოვანი მე–XIII საუკუნის პირველ ნახევარში იყო. ამ დროს ჩატარებული აღწერის მიხედვით საქართველოს სახელმწიფოს მოსახლეობა 8 (მსოფლიოში განსახლების მხრივ კი ცხრა) მილიონ კაცს აღწევდა. ეს იყო შედეგი იმ უძლიერესი მე–12–ე საუკუნისა, რომელსაც დავითისა და თამარის მეფობის ხანას უწოდებენ. გამუდმებული შემოსევების შედეგად მე–18 საუკუნეში საქართველოს მოსახლეობა 8 მილიონიდან 761 ათასამდე შემცირდა. მე–19 საუკუნის დასაწყისში კი ქვეყანაში შავი ჭირის გავრცელების გამო მოსახლეობა თითქმის განახევრდა და 400 ათას კაცს შეადგენდა. ასეთი მცირე რაოდენობით მოსახლეობა საქართველოში მთელი მისი ისტორიის განმავლობაში არასოდეს ყოფილა, ხოლო მე–19 საუკუნის ბოლოს საყოველთაო აღწერის შედეგად საქართველოს მოსახლეობა იმდროინდელ საზღვრებში 2 მილიონზე მეტს შეადგენდა, ანუ ერთ საუკუნეში 5–ჯერ გაიზარდა. უკანასკნელ წლებში, საქართველოს მოსახლეობა ყველაზე მრავალრიცხოვანი 1989–1992 წლებში იყო და 5 მილიონ 400 ათასს შეადგენდა. ამ დროიდან მოყოლებული, საქართველოს მოსახლეობა განუხრელად მცირდება და ბოლო მონაცემებით, 4 მილიონს არ აღემატება. მიუხედავად ბოლო წლებში შობადობის მცირედი ზრდისა, საქართველოში ბუნებრივი მატება არ შეინიშნება. პირიქით, საქართველოში დემოგრაფიული პრობლემები დღითიდღე მწვავდება. მსოფლიოს არაერთი ქვეყანა დგას დემოგრაფიული პრობლემის და ამ პრობლემებით გამოწვეული შედეგების საფრთხის წინაშე. გაეროს მონაცემებით, საქართველო მსოფლიოს იმ 20 ქვეყანას შორისაა, სადაც მოსახლეობის დეპოპულაცია მიმდინარეობს. შობადობის მიხედვით კი საქართველო მსოფლიოს 196 ქვეყნიდან 164–ე ადგილზეა. ნეგატიური გავლენა საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობაზე ემიგრაციამაც იქონია. მეტად ინტესიური გახდა გარე მიგრაციულ პროცესები, ძირითადად მძიმე ეკონომიკური პირობების გამო უკანასკნელ წლებში ქვეყანა მილიონ ნახევარზე მეტმა ადამიანმა დატოვა და ფიზიკური არსებობისათვის სახსრის საშოვნელად საცხოვრებლად სხვა ქვეყნებს მიაშურა. ყოველივე ამის შედეგად მთელ მოსახლეობაში მცირდება ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფი და იზრდება 60 წელზე უხნესი მოსახლეობის წილი ე. ი. მოსახლეობა დემოგრაფიულად ბერდება. ეს პროცესები განსაკუთრებით გამოიკვეთა უკანასკნელ წლებში და ყველაზე მეტად თავი იჩინა ქართულ მოსახლეობაში. ვითარება იმდენად რთულია, რომ ეკონომიკური პირობების არსებითი გაუმჯობესების შემთხვევაშიც კი, ახლო მომავალში მდგომარეობის გამოსწორებას არ უნდა მოველოდოთ. დიახ, ქართველი ერი ფიზიკური წყვეტის, გადაშენების საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. ერთიდაიმავე რაოდენობით თაობათა განახლება სულ უფრო ძნელი ხდება, რაც სულიერი უწყვეტობის პროცესის საგრძნობ შენელებასთან შედარებით ბევრად უფრო სახიფათოა. აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, რომელიც ხანგძლივი პერიოდზე იქნება გათვალისწინებული მხოლოდ შეიძლება შენელდეს ეს პროცესი და საკმაო დროის გავლის შემდეგ მიღწეული იქნეს სასურველი შედეგი.

დღეს მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესი ისე სწრაფად მიმდინარეობს, რომ ძალიან უჭირთ, განსაკუთრებით მცირე ერებს, ეროვნული ადათ–წესებისა და ტრადიციების შენარჩუნება, რაც ჩვენნაირი პატარა ერების ეროვნულ დემოგრაფიულ მდგომარეობაზეც მწვავედ აისახება.

დემოგრაფიული პრობლემის გადაჭრის გზად აუცილებელია ყოვლისმომცველი დემოგრაფიული პროგრამების შემუშავება. აუცილებელია, სახელმწიფოს მიერვე, საქართველოში შეიქმნას სახელმწიფოს დემოგრაფიული განვითარების ფონდი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისგან უნდა დაკომპლექტდეს და ჩამოყალიბდეს სპეციალური ინსტიტუცია, რომლებიც ერის გენოფონდის გადარჩენის გზებს შეიმუშავებს. ამდაგვარი ინსტიტუციის მიერ უნდა შემუშავდეს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია, რითაც უზრუნველყოფილუნდა იქნას გლობალიზაციისა და ეროვნული ინტერესების შეხამება. ეს თანამედროვე მსოფლიოში ისედაც ურთულესი პრობლემაა. დემოგრაფიული პრობლემის მოსაგვარებლად კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა გვმართებს, რათა თავიდან ავიცილოთ ჩვენი ეროვნული სულიერების მსხვრევა და ქართული სულიერი სამყაროს გადაგვარება.

დღეს საქართველოში უმძიმესი დემოგრაფიული ვითარებიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, საფრთხე ემუქრება ქვეყნის ფიზიკურ არსებობას და ამ პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია საზოგადოებისა და ხელისუფლების ერთობლივი მუშაობა. დემოგრაფიული ვითარების გამოსწორების ღონისძიებათა სისტემაში უპირველესია სახელმწიფოს ჩარევა დემოგრაფიული პროცესების მსვლელობაში. უმნიშვნელოვანესია იმის სწორი გაგება, რომ 1991–1993 წლების სახელმწიფო გადატრიალებამ, რამაც, ყოველმხრივ, კიდევ უფრო მეტი სავალალო შედეგები მოიტანა, ამ ბოლო 33 წლის განმავლობაში წარმოებულმა ყველა სახის ომებმა, დევნილების გაჩენამ, რა თქმა უნდა, სოციალურმა პრობლემებმა და ავადმყოფობის მაღალმა კოეფიციენტმა დემოგრაფიულ რეგრესს მისცა ,,რევოლუციური" ხასიათი, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის შემცირების ტემპი არის კატასტროფულად მაღალი. ოფიციალური სტატისტიკა

გვიჩვენებს, რომ მოსახლეობა იზრდება, მაგრამ ეს არარეალურია, რამეთუ, ცნობილია, რომ მოსახლეობის მატება ხდება ორი ფაქტორით – ბუნებრივით, ან მიგრაციით, საქართველოში კი ორივე მაჩვენებელი კლებისკენაა. ასევე არასწორად ხდება გარდაცვლილთა დაფიქსირებაც.

უნდა გამოცხადდეს გონიერი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების დეკლარაცია და ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცეს ეს საკითხი. სწორედაც, გონიერი და ძლიერი დემოგრაფიული პოლიტიკით უნდა შევამციროთ მოსახლეობის კლება. აქაც მნიშვნელოვანია სახელმწიფო დონეზე ჩართულობა. სწორი დემოგრაფიული პოლიტიკის წარმოება საწინდარი იქნება ურთულესი დემოგრაფიული სირთულეების დაძლევისა და სახელმწიფოებრივი აღორძინებისა.

მსოფლიოს ქვეყანათა სახელმწიფოებრიობის დონის ამაღლებისა და აღორძინების მიზნით, ახალი რეალობიდან გამომდინარე სასურველია დაიხვეწოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა აქტები ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვისა და მსოფლიო კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის განხრითაც, რათა ახალ საუკუნეში სახელმწიფოებმა და ხალხებმა იცხოვრონ მშვიდობიან, განვითარებად მსოფლიო თანამეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოში. მსოფლიო სახელმწიფოებსა და პოლიტიკურ ძალებს უნდა ჰქონდეს პოლიტიკურ მოვლენათა შორის მუდმივი და უცილობელი კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც დასტურდება ბუნებასა და საზოგადოების შემეცნების პროცესში.

უნდა ჩამოყალიბდეს ჭეშმარიტად შესაბამისი ახალი მსოფლიო პოლიტიკური ურთიერთობების წყობა, რომლის დროსაც, მთელს მსოფლიოში, დამყარებულია და პრაქტიკაში ხორციელდება ხალხის ხელისუფლების საშუალებები და ფორმები, რომლებიც გამაგრებული იქნება ქვეყნის მოქალაქეთა თავისუფლებებისა და თანასწორობის კანონებში.

სახელმწიფოთა სამართლებრივ ურთიერთობათა ჩამოყალიბებისათვის ასევე აუცილებელია:

აღიარება, სინანული, მონანიების გზით უნდა მოხდეს სრული, ჭეშმარიტი თანხმობა და შერიგება სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა ღირსეული აღდგენა-აღორძინებისა და განვითარების ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით, რომელიც საჭიროა დაფიქსირდეს როგორც სახელმწიფოთა ძირითად კანონში – კონსტიტუციაში, ასევე სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობის დიდ ჩარჩო ხელშეკრულებებში და იგი უნდა წარმოადგენდეს ერთადერთ სავალდებულო პოზიციას სახელმწიფოთა ყველა მოქალაქისათვის, პოლიტიკური, თუ არაპოლიტიკური ორგანიზაციებისათვის;

სასურველია შემუშავდეს, მომზადდეს და რეფერენდუმის გზით მიღებულ იქნას სახელმწიფოს ახალი სახელმწიფოებრივი კონსტიტუცია, სადაც ასევე აღნიშნული იქნება სახელისუფლო კანონიერებისა და მისი სამართლებრივი უწყვეტობის საკითხი, რითაც ერთხელ და სამუდამოდ გადაიჭრება ქვეყნის სამართლებრივი, პოლიტიკური და იურიდიული მოწყობის სამართლიანობა, კანონის უზენაესობა და იქნება გარანტი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ხელშეკრულებათა ნამდვილობისა და უწყვეტობისა.

თავისუფლებისა და დემოკრატიის პრინციპების შესაბამისად გადასინჯული იქნას ყველა ის ხელშეკრულებანი, რომლებმაც განსაზღვრული დაბრკოლებები შექმნა სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობის განვითარების სფეროებში.

ერთა თანაარსებობის ზემოთ მითითებულ ტრადიციებზე დაყრდნობით სახელმწიფოების მიერ ხელი უნდა შეეწყოს რელიგიური თვითმყოფადობის დაცვას. თავსებადობის ამ პრინციპთა ცხოვრებაში გატარება ქართული სახელმწიფოებრიობის, როგორც კავკასიური ახალი გაერთიანების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი უნდა გახდეს (მით უფრო, რომ ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკურ, კულტურულ, ენობრივ და რელიგიურ თვითმყოფადობის დაცვის პრინციპებს კონსტიტუციური კანონის ძალა აქვს), რაც მისი საერთაშორისო ავტორიტეტის გარანტადაც იქცევა.

სახელმწიფო უნდა იბრძოდეს ადამიანის უფლებების დარღვევის ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგ, სახელმწიფოს სახელისუფლებო კანონიერებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-შენარჩუნებისათვის, მისი მკვიდრი მოსახლეობის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური კატასტროფის წინააღმდეგ, დემოგრაფიული ექსპანსიის შესაჩერებლად, ეროვნული თანხმობისა და ერთიანობისათვის. მაქსიმალურად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ყველა ის ძირითადი უფლებანი, რომელიც განსაზღვრულია საერთაშორისო სამართლის ნორმებით. აღიარებულია, რომ არ არსებობს ადამიანის სამართალი. სახელმწიფოებს კი აუცილებელია ჰქონდეს შეფარდებითი სამართალი, რომელსაც საფუძვლად დაედება სულიერ ღირებულებათა უპირატესობის აღიარება. დრო სწორედ სულიერ ღირებულებებს ვერ ხელყოფს, რადგან მისი დაგროვება და სრულყოფა ხდება მხოლოდ დროში.

მთავარი ამოცანაა ყველა სფეროში სახელმწიფოთა პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, მათი ეროვნული ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობის, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ყველა სახელმწიფოთა ღირსეული ადგილის დამკვიდრება;

ამრიგად, სახელმწიფოს კეთილდღეობა უმაღლესი კანონია და მისთვის თავდადებული ზრუნვა ყოველი ეროვნული ღირსების მქონე ადამინისათვის აუცილებელი და საჭიროა. ეროვნული ღირსების იდეა ერისა და ეროვნებების ძირითადი მსოფლმხედველობის პრინციპს უნდა წარმოადგენდეს, რითაც უნდა მოხდეს ხელმძღვანელობა როგორც თეორიულ მსჯელობაში, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეროვნული და სახელმწიფოებრივი ღირსების ამაღლება – ერის, სახელმწიფოს სულიერი და მატერიალური განვითარების გარანტი უნდა იყოს.

უმნიშვნელოვანესია, რომ საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი - ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეობის ისტორიულობა და მისი ეგზისტენციალური დრო არ შეწყვეტილა. იგი გაგრძელდება, მანამდე, სანამ საქართველო თავის თავისუფლებაში არ განმტკიცდბა ყველა ასპექტით: ეკონომიკური, პოლიტიკური და გეოპოლიტიკური. შესაბამისად უწყვეტია ისტორიულ-თემატური დრო და ამ ყოველივეს დამწყები პიროვნების როლი. მის მიერ დატოვებულია კვალი ამ ისტორიულ-თემატურ დროში, რომელიც გრძელდება მომავალში. საერთოდ პიროვნებები, რომლებიც ისტორიას ქმნიან მათი მოღვაწეობა არ მთავრდება ეგზისტენციალური დროის დასრულებით. მათი მოღვაწეობა სიუჟეტურ დროში გრძელდება და ყველა სიუჟეტი, რომელიც მათ ერს შესთავაზეს განსაკუთრებული დატვირთვა ეძლევა.

ამ დროს, მნიშვნელოვანია პირველადი განმარტება: საქართველოს სახელმწიფოებრივი სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენა უპირველეს ყოვლისა ნიშნავს - სახალხო მოთხოვნით საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობის მიერ სამართლებრივი საკანონმდებლო ბაზისა და მის საფუძველზე ქვეყანაში განხორციელებული კანონიერი საკონსტიტუციო წესრიგის აღდგენას.

„საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის" ფლაგმანის - საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობისა და მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" მიზანია დაანახოს და გააცნოს საქართველოსა და მთელ მსოფლიოს მისი ხედვა ქვეყნის მოწყობის, მისი სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის მიღწევის, ერთიანობის უზრუნველყოფის, განათლებული სამოქალაქო და სოციალური სოლიდარული საზოგადოების ჩამოყალიბების გზით ჭეშმარიტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების, რეალურად დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების შექმნა-განმტკიცებისა და მისი კანონიერი რეალიზაციის, მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიული და სამართლებრივ სახელმწიფოთა აღმშენებლობის, მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის ფუძემდებლური, ყოველმხრივი აღორძინების რეალური გეგმა და გზები, რომლითაც მოხდება სახელმწიფოს მიერ ადამიანის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება, ადამიანის ღირსებების უზრუნველყოფა და რომელიც დაფუძვნებული იქნება სახელმწიფოებრიობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური ჰარმონიის პრინციპებზე, ზნეობის პრიმატისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებით დაიცავს და დაამკვიდრებს ეროვნული თვითმყოფადობის, დემოკრატიისა, სამართლებრივი სახელმწიფოსა და თვითმმართველობის იდეალებს, პატივს სცემს ხალხთა თანასწორუფლებიანობას, საკუთარი ბედის გამგებლობას, მხარს დაუჭერს საომარი კონფლიქტების, გათიშულობისა და კონფრონტაციის თავიდან აცილების სამშვიდობო ცივილიზებულ პოლიტიკას. სახელმწიფოს ამოცანაა ყველა სფეროში ერის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობის, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება.

ლეგიტიმური ხელისუფლება, არის და მუდამ იქნება ნამდვილი (ერის ნების გამომხატველი) რეალური ხელისუფლება და მთავრობა. ნებისმიერი ერი მხოლოდ მაშინაა თავისუფალი ერი საკუთარ მიწაზე, როცა მას ჰყავს საკუთარი ინტერესების გამომხატველი და მსახური ხელისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში ერი თავად ხდება მსახური, ნიჰილისტური ფსიქო-ინტოქსიკაციითა და ტერორით იქცევა ვიტალისტურ მასად, რომელსაც არ გააჩნია ეროვნება და, აქედან გამომდინარე, არც – სამშობლო. ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ შექმნილი სამართლებრივ-პოლიტიკური ბაზა არის ნამდვილი საშუალება და გასაღები საქართველოს

ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენადაც. ეს მომენტი უაღრესად მნიშვნელოვანია სოციალური ფსიქოლოგიის თვალსაზრისითაც,

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შინაგანი დინამიკა უნდა იყოს ,,ახალი სამართლიანი მსოფლიო წესრიგის" არქიტექტონიკაში კავკასიის გეოპოლიტიკური სივრცისა და მისი ღერძული სახელმწიფოს – საქართველოს სუვერენობის საკითხის უცილობელი ჩასმა და აღდგენა და იმ ბარბაროსული კოსმოპოლიტური ოკეანედან გამოსვლა, სადაც პოსტინდუსტრიული ცივილიზაციის გენეზისის ეპოქაში ქართული ეროვნულობა შთაინთქა იმპერიალისტური ძალების არასამართლებრივი დროებითი გარიგებებით. უნდა გვახსოვდეს ასევე, რომ მთავარი არგუმენტი და უმოკლესი გზა მთელი კავკასიის რეკოლონიზაციისაკენ, დამოუკიდებელი და თავისუფალი კავკასიის, როგორც მსოფლიო ახალი რეგიონის ჩამოყალიბებისაკენ, საქართველოს სამართლებრივ და კანონიერ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე გადის.

ამასთანავე, დავძენთ, რომ ჩვენ დღეს არსებულ საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმურ ხელისუფლებას არ უნდა გვამოძრავებდეს შურისძიების გრძნობა, თუ არა ქვეყნის გადარჩენის წმიდათაწმიდა იდეა, რაც გვავალებს, მოვთხოვოთ გზააბნეულთ – ზურგი შეაქციონ მორიგ პოლიტიკურ ავანტიურას, საქართველოს განადგურებით რომ ემუქრება და აღიარონ საჯაროდ, ქართველი ერის წინაშე ჩადენილი შეცდომები. მათ, ვინც გაითავისებს კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნას სა ამით სახელმწიფოს სამართლებრივ გზაზე შემობრუნებას, მიეცემა ტრიბუნა, თავისუფლების ტრიბუნა და შანსი საქმით გამოისყიდონ შეცდომები იმ ადამიანების გვერდით, ვისთვისაც თავისუფალი საქართველოს იდეა პირველადია და შეუცვლელი!

აი, სწორედ ასე გვესახება ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის, ეროვნული იდეოლოგიისა და საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიმართულების ახალი ვექტორით სვლა, სწორედ ესაა ჩვენი საერთო სახელმწიფოებრივი და პიროვნული სულიერი მისია, რითაც ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე მზადა ვართ ხელი მოვაწეროთ საერთაშორისო ერთობლივ ჩარჩო-მემორანდუმს – ლეგიტიმური საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და მმართველი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" სახელით.

## *მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ სამართლებრივი დამოკიდებულება და ვექტორი ლეგიტიმურ არჩევნებთან დაკავშირებით*

აგერ უკვე ოცდაცამეტი წელია კვლავ რთული და მძიმე პერიოდია საქართველოში.

ოცდაცამეტი წელია არ შემწყდარა ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბრძოლა სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენის რთულ სამართლიან გზაზე.

ბოლო პერიოდში ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა, საზოგადოების პოლიტიკური ინტრიგებით მეტისმეტად გატაცებამ, მერკანტილური ინტერესების ასრულების დაუოკებელმა ჟინმა ქართული სახელმწიფოებრიობა საფრთხის წინაშე დააყენა.

სამწუხაროდ, დღესაც, საქართველოში მძვინვარებს ანტიდემოკრატიული, ანტიეროვნული, ანტისარწმუნოებრივი, ანტისახელმწიფოებრივი მარიონეტი და მოძალადე რეჟიმი, რომელიც აგერ უკვე ბოლო ოცდაცამეტი წელია დემოკრატიის ნიღბით, არამარტო საკუთარ ხალხის, არამედ მსოფლიო თანამეგობრობის შეცდომაში შეყვანას ცდილობდა და ცდილობს კვლავაც.

ცრუ, „დემოკრატიული არჩევნების“ ფასადებით შელამაზების გზით პუტჩი დღესაც გრძელდება საქართველოში. საერთო-სახალხო გამოფხიზლებისაკენ ქმედების დროა!

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების ერთადერთი გზაა სახელმწიფოს სამართლებრივ, ლეგიტიმურ რელსებზე დაბრუნება და უზენაესი კანონიერების აღდგენა საქართველოში.

ჭეშმარიტად დროა ბევრად მტკიცედ ვიცავდეთ ეროვნული ხელისუფლებისა და ეროვნულ- სარწმუნოებრივი მოძრაობის პრინციპებს!

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან და საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პარტიათა გაერთიანება „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოსთან“, ასევე, სხვა

ეროვნულ-სარწმუნოებრივი და სამართლებრივი სახელმწიფოებრივი ნიშნის მქონე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ერთად კვლავაც მზადაა კანონიერების სამართლებრივი აღდგენის პრინციპებით სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენისათვის ბრძოლის გასაგრძელებლად.

და თუ ამ ბრძოლაში კიდევ სხვა ნებისმიერი, ეროვნულ-სარწმუნოებრივი ძალა ჩაერთვება, ჩვენ მხოლოდ მივესალმებით მათ.

კვლავაც, ვაცნობიერებთ რა ქვეყანაში შექმნილ რთულ და საფრთხის შემცველ ვითარებას, ქვეყნის მომავალზე პასუხისმგებლობის გრძნობით მივმართავთ სრულიად საქართველოს:

ჩვენ ვგმობთ ძალადობაზე, შიშზე, არასამართლიანობაზე, უკანონობასა და ტყუილზე დაფუძნებული, დღემდე არსებული, ყველა უკანონო ხელისუფლების „მოღვაწეობას“ და მოგიწოდებთ, ყველამ უნდობლობა და დაუმორჩილებლობა გამოვუცხადოთ ვითომ დემოკრატიულად და ვითომ არჩევნების გზით მათი ძალაუფლების მორიგ გახანგრძლივებას, როგორც დამნაშავე, უზნეო მმართველობის რეჟიმის მემკვიდრეთა და არსებულ საყრდენს.

სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენა და მომავალი ხელისუფლების სამართლიანი, ლეგიტიმური გზით არჩევა, „ამისტებად“ და „იმისტებად“ დაყოფილი საქართველოს ერთხელ და სამუდამოდ გამთლიანება რეალური ეროვნული თანხმობის მიღწევის შესაძლებლობაა. ამასთან, ეს გზა, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების, ქვეყნის საბოლოო, საერთაშორისოდ აღიარებული სამართლიანობისა და გადარჩენის ერთადერთ გზად რჩება და კვლავაც ომახიანად, ხმამაღლა, ისმის ჩვენი ჭეშმარიტად მამულიშვილური სიტყვა:

„აი. მოდის ახალი არჩევანი, წარმოგიდგათ უფალი, დანო და ძმანო, წარმოგიდგათ უფალი და გეუბნებათ:

ქართველო ერო, შენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კვლავ მივიდა გზა გასაყართან.

შენს წინაშე არის ორი გზა, აი, გზა ილია მართლისა, აი, გზა სიწმინდისა, ზნეობისა. აი, გზა დემოკრატიისა, აი, გზა ჭეშმარიტებისა და უმანკოებისა და, აი, გზა ყაჩაღობისა და მზაკვრობისა, აი, გზა ტერორიზმისა!

აირჩიე, ქართველო ერო, აირჩიეთ, ქართველებო, აირჩიეთ ქრისტეს გზა და კეთილის გზა, აირჩიეთ ილია მართლის გზა, რამეთუ ეს გზა განსაწმენდელთან მიგვიყვანს! და ვინც წავა წარწყმედის გზით, ბარაბას გზით, შეჩვენებულ იყოს უკუნისამდე.

დღესაც, ჩვენ, ძმანო და დანო, ვდგევართ პირისპირ სატანასთან, გველეშაპთან. ან ჩვენ დავამარცხებთ მას წმინდა გიორგის ძალისხმევით, ან ის შთანთქავს ჩვენს ისტორიულ ბედ-იღბალს და გაგვთელავს ჩვენ ეს კოსმიური გველეშაპი, ეს პლანეტარული მხეცი, ანტიქრისტე, რომელიც წარმოგვიდგა და გვეუბნება:

„აი, ეროვნული მოძრაობა და ეროვნული მოძრაობის ნიღბით, საფარით მოდის ანტიქრისტე, მოდის ბარაბა და მოდის შეჩვენება.“ კურთხეულ იყოს და გაუმარჯოს ილია მართლის გზას, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას გზას!

ჩვენ, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და მისი მმართველი პოლიტიკური ორგანიზაციის „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ წარმომადგენლები, საქართველოს რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე და კანონიერი ხელისუფლების ინსტიტუციები, კვლავაც ვადასტურებთ ჩვენს ერთგულებასა და მხარდაჭერას საქართველოს რესპუბლიკის სამართლებრივი კონსტიტუციისა და სახელმწიფოებრიობის მიმართ! მოვუწოდებთ, უცხოეთში და საქართველოში მცხოვრებ ჩვენს მამულიშვილებს, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს და სხვა ერების ღირსეულ შვილებს, ლეგიტიმური ხელისუფლების აღდგენის გზით, მტკიცედ დაადგნენ, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების სამართლებრივ გზას საქართველოში.

სამართლებრივი და კანონიერი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, რომელიც ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ დაფუძნებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კონსტიტუციურად პირველი ეტაპის მთავარი მიზანი იყო, ორგანულად უკავშირდებოდა, შემდგომ პერიოდში, შემდგომი ეტაპის – ეროვნულ-სარწმუნოებრივი ცნობიერებით, მსოფლმხედველობითა და იდეოლოგიით დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ სწრაფვას, დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მართლმადიდებლურ-ქრისტიანული ხასიათის სახელმწიფოდ გარდაქმნა-ჩამოყალიბებას.

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე საქართველოში სამართალმემკვიდრეობის, კანონიერების, სამართლებრივი და კანონიერი ყველა სახის არჩევნების დანიშვნითა და ჩატარების გზით ეროვნული ხელისუფლების აღდგენის საქმეში.

დღესაც, კვლავ ამაყად ვაცხადებთ, რომ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება“ (შემოკლებით „საქართველოს ჰელსინკის კავშირი“), დღესაც არის თანამოაზრეთა პოლიტიკური გაერთიანება, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ საქართველოში 1976 წელს ბატონ მერაბ კოსტავასთან და სხვა თანამოაზრეებთან ერთად ჩამოყალიბებული „ჰელსინკის ჯგუფის“, შემდგომ „საქართველოს ჰელსინკის კავშირისა“ და მოგვიანებით მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაქმნის შედეგად ჩამოყალიბებული ორგანიზაციის სამართალმემკვიდრე, საქმიანობისა და ტრადიციების გამგრძელებელი.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინებას“, როგორც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას დღემდე არ შეუწყვეტია არსებობა და ბრძოლა სახელმწიფოებრივი სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენისათვის, რასაც დღემდე არსებული ყველა ფაქტობრივი, ძალაუფლების მქონე საქართველოს მთავრობები აღიარებენ და რაც მთავარია, იგი აღიარებულია და ამ ბრძოლაში მას ყოველთვის გვერდით ედგა კანონიერი ხელისუფლების ჭეშმარიტი წარმომადგენლობა – საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახით.

ჩვენ კი, კვლავ მტკიცედ ვაცხადებთ და ვადასტურებთ, რომ დღეისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაური ყველა შესაბამისი კონსტიტუციური სტატუსითა და უფლება-მოვალეობებით.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ მზადდება, ყალიბდება და ფართოვდება დევნილი მთავრობის შემადგენლობის განახლება და აღორძინება. მთავრობის თავმჯდომარის დავალებითა და ხელმძღვანელობით, საქართველოში არსებული წარმომადგენლობის შერჩევის წესისა და წევრთა განსაზღვრის საქმიანობაში, ასევე, მათი სტატუსის, შესაბამისი ფუნქციებისა და აუცილებელი საკანონმდებლო დოკუმენტაციების შემუშავება-შედგენაში აქტიურ მონაწილეობას იღებს „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება“, რომელმაც უკვე საკმაოდ დიდი სამუშაო გასწია ამ მიმართულებით.

მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება“, ასევე, ყოველთვის მზადაა, ყველა ეროვნულ-სარწმუნოებრივ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან შემდგომი წარმატებული მოლაპარაკებებისათვის, საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა გაერთიანება – „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ რეკონსტრუქციისა და მისი მუშაობის განახლებისათვის, რისთვისაც მას შემუშავებული აქვს გაერთიანების რეკონსტრუქციისათვის შესაძლო ყველა სქემა და სტრუქტურა.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება“, ასევე, მიიჩნევს, რომ:

ა) 1991-1993 წლების სახელმწიფო-სამხედრო გადატრიალებისა და მის შემდგომ განვითარებული მოვლენების იურიდიულ-სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასების შესახებ, საკონსტიტუციო, საკანონმდებლო დონეზე შესრულებული დადგენილების იურიდიულ-სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასებიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგეს – 1991-1993 წლების სახელმწიფო-სამხედრო-კრიმინალური გადატრიალებისა და მის შემდგომ განვითარებული მოვლენების სრული და ობიექტური იურიდიული გამოძიების საკითხი;

ბ) საქართველომ, სხვა მნიშვნელოვან პრობლემათა შორის, აუცილებელია გადაჭრას უპირველესი პრობლემა – უნდა აღდგეს და მოწესრიგდეს საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ლეგიტიმაციის, კანონიერების, სამართალმემკვიდრეობისა და ტერიტორიულ მთლიანობის სამართლებრივი საფუძველი, რამეთუ ლეგიტმურობის აღდგენის აუცილებელი ნიშანია არა მხოლოდ კანონიერი არჩევნების დანიშვნა, არამედ – ლეგიტიმური სამართლებრივი ბაზის ამოქმედება საქართველოს გადასარჩენად და, რომ, საქართველოში, ლეგიტიმური ხელისუფლება შეიძლება, იყოს მხოლოდ კანონიერი, ეროვნული ხელისუფლება და არა – ამა თუ იმ დამპყრობლის მიერ დასმული რომელიმე მარიონეტული ორგანო;

გ) როგორც წესი, არჩევნების კანონიერებას განსაზღვრავს მისი სამართალმემკვიდრეობითი პერიოდულობა, დანიშვნისა და ჩატარების პროცესი: კანონიერი არჩევნები ინიშნება და ტარდება ლეგიტიმური, მისი თანამონაცვლე ხელისუფლების მიერ. კანონიერი ხელისუფლება აგრეთვე ამტკიცებს სათანადო საარჩევნო კანონს და ხელმძღვანელობს არჩევნების პროცესს.

მხოლოდ ამგვარი გზით ხდება მომდევნო ხელისუფლება კანონიერი და წინა ხელისუფლების სამართალმემკვიდრე. ამავე დროს, თუკი არჩევნები ჩატარდება დემოკრატიულად და საყოველთაოდ, მაღალი იქნება მისი ლეგიტიმურობის ხარისხიც;

დ) მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი“, როგორც ლეგიტიმური ხელისუფლების ერთ-ერთი კანონიერი ინსტიტუცია, მზადაა იყოს ამ პროცესების წარმმართავი ძალა, აიღოს ინიციატივა და კანონიერ მთავრობასთან კოორდინაციაში მყოფმა, შესაბამისი დროისა და სიტუაციის პირობებში, საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმურ მთავრობასთან შეთანხმებით, დაიწყოს მოლაპარაკებები ფაქტობრივ სახელმწიფოებრივ ხელისუფლებასთან, პოლიტიკურ-საზოგადოებრივ, არასამთავრობო, თუ საერთაშორისო შესაბამის ორგანიზაციებთან, საქართველოში სახელმწიფოებრივი სამართალმემკვიდრეობის, კანონიერებისა და სახელმწიფოებრივი ლეგიტიმურობის აღდგენისათვის;

ე) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობისა და ლეგიტიმური ხელისუფლების პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ გაგრძელდეს მუშაობა და მომზადდეს ეროვნულ-სარწმუნოებრივ იდეოლოგიაზე დაფუძნებული და სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ძირითადი საკანონმდებლო ბაზა;

ვ) ასევე, სახელმწიფოებრივი ლეგიტიმაციისათვის უნდა შემუშავდეს და მომზადდეს:

სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენის სამართლებრივი მეთოდიკა, მექანიზმები და უზენაეს სამართლებრივ ბაზაზე დაფუძნებული ახალი ეროვნული კონსტიტუციის პროექტი;

ზ) სანამ არსებობს ხუნტის სამართალმემკვიდრე, არაკანონიერი ფაქტობრივი ხელისუფლება და მის მიერ შეკოწიწებული უკანონო მთავრობა, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობისა და ლეგიტიმური ხელისუფლების პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ დამფუძნებელმა და ძირითადმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა უნდა განაგრძონ აქტიური ბრძოლა უკანონობისა და არალეგიტიმურობის წინააღმდეგ;

თ) სასურველია, შეძლებისდაგვარად, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობამ – საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ, მოღვაწეობისათვის, შექმნას თანამედროვე, აქტიურად მოქმედი „ახალი ლევილის“ ტიპის სამთავრობო, სახელმწიფოს შიგნით და საემიგრაციო მოღვაწეობის ფუძე-სამყოფელი, საიდანაც განახორციელებს თავის სავალდებულო საქმიანობას, საქართველოში მისი წარმომადგენლობა თავისთავად იმოქმედებს შესაბამისად, მშვიდობიანი, პოლიტიკური მეთოდებით.

## *საქართველოს სახელმწიფოებრივობის ისტორიული სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენის გზით, ერის საყოველთაო თანხმობით მისი სახელმწიფო დასახელების, სიმბოლიკის, ენის, სახელისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი*

კვლავაც აღსანიშნავია, რომ ისტორიული პროცესების განვითარების დიალექტიკა თავისთავად გვკარნახობს არსებულ წარმოდგენათა გარკვეული კორექტირების აუცილებლობას. ჩვენი სააზროვნო არსენალიდან დღეს ბევრი რამ საჭიროებს აუცილებელ სამართლებრივ გამოსწორებას, სულიერ ფასეულობათა სასწრაფო და გადაუდებელ გადარჩევა-გადაფასებას, რაც მომავალში ქართველი ერის ისტორიული მეხსიერების, დროთა მიერ ტრაგიკულად დარღვეული კავშირისა და „ჩატეხილი ხიდების’’ გამრთელების აუცილებელ წინაპირობად უნდა იქცეს.

საშუროა, ერის საყოველთაო თანხმობით და საქართველოს სახელმწიფოებრივობის ისტორიული სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენის გზით, ქვეყნის სახელის, სიმბოლიკის, სახელმწიფო ენისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხის გადაწყვეტა.

ძველი კოლხეთის (ძვ. წ. XVI-XV ს. ს.-დან ძვ. წ. VII ს. ს.) სამეფოს წინარე ეპოქაში სახელმწიფო ცნობილი იყო „იბერიის” სახელწოდებით (ძველი ბერძნები და ბიზანტიელებიც იბერიაში მთელ საქართველოს მოისაზრებდნენ და საყურადღებოა ასევე, რომ ბერძენსაც „ბერძენი’’ – „იბერ+ძენი’’ მხოლოდ ქართულად ჰქვია) და მკვიდრ მოსახლეობას „იბერიელები”, ხოლო მათი ენა იყო ქართული – „იბერიული ენა’’. ქვეყნის დასავლეთ ნაწილს „კოლხეთი” დაარქვეს ბერძნებმა იმ მიზნით, რომ განესხვავებინათ აღმოსავლეთის იბერები დასავლეთის იბერებისაგან. ძვ. წ. IV-III ათასწლეულებში „იბერებს” ვხედავთ თითქმის მთელ ევროპაში, ხმელთაშუაზღვის ქვეყნებში, პირენეის

ნახევარკუნძულზე, ცენტრალურ ევროპაში, ინგლისში, ირლანდიაში და ა. შ. „იბერების“ სამშობლოდ კი კავკასია იყო მიჩნეული.

ცნობილია ასევე, რომ ძვ. წ. VII–VI საუკუნისათვის, სახელმწიფო მოიცავდა შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ფაქტობრივად მთელი სამხრეთ კავკასიის ტერიტორიას. „იბერიის'' შემადგენლობაში იყო კოლხური ტომი და ამ ეპოქისათვის სამეფოში 20-ზე მეტი ერთი ეთნოსისა და ენის მქონე ტერიტორიული ჯგუფების ტომია გაერთიანებული.

შემდგომ, დაწყებული კიმერიელებისა და სხვა რჯულის ურდოების შემოსევების დაწყებიდან, ქვეყნის დაშლის პროცესიდან გამომდინარე „ქართების'' ტომიც გამოეყო და შექმნეს სახელმწიფო არმაზში და ა. შ. VIII საუკუნის მერე ჩნდება „ქართლი'' და X ს. დასასრულიდან კი „საქართველოს'' – ქართველური სახელმწიფო.

იბერიელები ერთი ეთნოსისა და ენის მქონე ჭეშმარიტი ქართველები იყვნენ. ტერმინ „იბერიას''არცერთ ენაზე, გარდა ქართულისა, არ მოენახა ახსნა.

ჟამთა ცვალებადობამ შემდგომ პერიოდშიც ბევრჯერ შეცვალა სახელმწიფოს საზღვრები, ქართულ სამეფოთა დინასტიები, კუთხე-ტომთა სახელწოდებები და ქართული ენის დამწერლობათა გრაფიკა, მაგრამ ღვთის და ქართველი კაცის მედგარი და დაუოკებელი სამშობლოსადმი დიდი სიყვარულის წყალობით დღესაც არსებობს ქართული გენი, ენა, მამული და რწმენა.

დღეს, როცა ასე აუცილებელია, აშენდეს ერთიანი ქართული სხეულით გასხივოსნებული სახელმწიფო, საჭიროა საქართველოს სახელმწიფოებრივობის არამარტო მისი ბოლო წლების, არამედ მთლიანად ისტორიული სამართლიანობის აღდგენაც.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, საქართველოს სახელმწიფოებრივობის ისტორიული სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენისათვის და დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, მივიჩნევთ:

- საქართველოს დაუბრუნდეს მისი ისტორიული სახელი და ეწოდოს „იბერია'' (წარმოთქმით ერთიანი სახელი მსოფლიოში და არა ისე, როგორც დღეს არის – „ჯორჯია'', „გრუზია'', „გურჯისტან'' და სხვა. სახელმწიფოს სახელწოდება სიტყვებით „საქართველო'' და „ქართველები'' არცერთი ქვეყნისათვის ცნობილი არაა), სახელმწიფოს მოქალაქეებს კი „იბერიელები'';

შემუშავდეს სახელმწიფოს ახალი და სამართლებრივი სიმბოლიკა;

სახელმწიფო ენად გამოცხადდეს „იბერიული ენა'' – იგივე დღევანდელი ქართული ენა, რომლის დამწერლობაშიც შენარჩუნდეს, როგორც დახვეწილი მხედრული დამწერლობა და რომელსაც დაემატოს ანბანიდან ამოღებული განსაკუთრებული ჟღერადობის, ენის ჰარმონიულობისათვის სპეციალური და სიმბოლური ჟღერადობისათვის აუცილებელი, ადრე გაურკვევლად, არასათანადოდ ამოღებული რამდენიმე ასო-ბგერა;

ჩამოყალიბდეს სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული კუთხური დაყოფის ახალი სათემო (თანამედროვე ფედერაციულ მოწყობასთან მიახლოებული) სტრუქტურა, რომელშიც შენარჩუნებული უ ნ დ ა იქნას ქვეყნის კუთხეთა არსებული, დღევანდელი დასახელებები (ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი, აფხაზეთი, რაჭა, ლეჩხუმი, აჭარა, მესხეთი, ჯავახეთი, სამაჩაბლო, თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი და სხვა), გაუქმდეს დრომოჭმული „იმპორტირებული'' რაიონული, თუ გუბერნიული დაყოფის სქემები და მათ მაგივრად შეიქმნას ადგილობრივი საკრებულოები, ხოლო ყოფილ ავტონომიურ წარმონაქმნებთან ერთად, ქვეყნის ყ ვ ე ლ ა კუთხეს გაეზარდოს და მიეცეთ იბერიულ-ქართული სახელმწიფოს ახალი, ძლიერი და თავისუფალი, ჭეშმარიტად შესატყვისი სტატუსები, რომლებიც კი არ დააკნინებენ, პირიქით გაუზრდიან ეთნიკურ-კულტურულ უფლებამოსილებებს, მკვეთრად ამაღლებულად იქნებიან წარმოდგენილნი ქვეყნის სახელმწიფო მმართველობით არჩევით საკანონმდებლო, სააღმსრულებლო და სხვა სტრუქტურებში, რითაც ისინი ვალდებულნი და თავისუფალნი იქნებიან იღვაწონ არამარტო თავიანთი კონკრეტული კუთხის, არამედ დიდი და ძლიერი ქვეყნის საკეთილდღეოდ; ამასთან ერთად მოხდეს მათი საერო გაერთიანებები ისტორიული სამართლიანობიდან გამომდინარე (კოლხეთი, ქართლი, ჰერეთი, ეგრისი, ლაზეთი, ჭანეთი, არგვეთი და სხვა), ექნებათ თავიანთი არჩევითი საკანონმდებლო-სააღმასრულებლო ორგანოები და მათი წარმომადგენლობით ინტეგრირებული იქნებიან მთლიანი ქვეყნის მმართველ სტრუქტურებში.

ამასთანავე კარგი იქნება, თუ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დღედ შეირჩევა არა ორი, არამედ ერთი თარიღი, სამართლიანობისა და კანონიერების მიხედვით (ისტორიულად, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს იმდროინდელი მთავრობა, მხოლოდ ამიერკავკასიის სეიმის დაშლის შემდგომ და გარე ქვეყნების რჩევა-მოთხოვნით იძულებული შეიქმნა ამ გზით გამოეცხადებინა ქვეყნის დამოუკიდებლობა, რისი გამყარებაც ვერ მოხერხდა საერთაშორისოდ

და 1920 წელს ერთა ლიგის მიერაც სათანადოდ ვერ მოესწრო ქვეყნის დამოუკიდებლობის ცნობა). 1918 წლის 26 მაისის საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტით, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებით, 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით განცხადებული პრინციპებითა და მათზე დაყრდნობით – ქვეყნის დამოუკიდებლობის დღედ უნდა დარჩეს სამართლებრივი თარიღი – „9 აპრილი''.

ეროვნული სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის ასევე აუცილებელია:

- უნდა მოხდეს სრული, ჭეშმარიტი ეროვნული თანხმობა და შერიგება საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინების, ახალ ლუსტრაციის კანონზე და განვითარების ძირითად პრინციპეზე დაყრდნობით, რომელიც საჭიროა დაფიქსირდეს სახელმწიფოს ძირითად კანონში კონსტიტუციაში და წარმოადგენდეს ერთადერთ სავალდებულო პოზიციას სახელმწიფოს ყველა მოქალაქისათვის, პოლიტიკური, თუ არაპოლიტიკური ორგანიზაციებისათვის;
- ლეგიტიმური კონსტიტუციის აღდგენის შემდგომ, უნდა შემუშავდეს, მომზადდეს და რეფერენდუმის გზით მიღებულ იქნას ახალი ეროვნული კონსტიტუცია, სადაც ასევე აღნიშნული იქნება სახელისუფლო კანონიერებისა და მისი სამართლებრივი უწყვეტობის საკითხი, რითაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაიჭრას ქვეყნის სამართლებრივი, პოლიტიკური და იურიდიული მოწყობის სამართლიანობა და კანონის უზენაესობა;
- სახელმწიფოს მმართველობითი სისტემის მოწყობა: საპრეზიდენტო, ორპალატიანი პარლამენტი და მთავრობა. მასთან უნდა ჩამოყალიბდეს კონსტიტუციური მონარქია, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების სრული გამიჯვნა;
- პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაცია, აზრთა და პოზიციათა პლურალიზმის რეალური დაშვება, ადმინისტრაციული აპარატის სრული დაქვემდებარება სამართლებრივად და კანონიერად არჩევითი ხელისუფლებისადმი;
- პოლიტიკური მართვის სისტემის ძირეული დეცენტრალიზაცია;
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება, ბრალდებებისა და დაცვის უფლებათა გათანაბრება;
- სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების, ასევე კონსტიტუციის საყოველთაო რეფერენდუმის წესით გადაწყვეტა;
- დაკანონდეს მრავალპარტიული, საყოველთაო დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა;
- ეროვნული, სახელმწიფოებრივი საკანონმდებლო წესით განისაზღვროს ქვეყნის მოქალაქის სტატუსი და ამ სტატუსის მიღების წესი;
- გარდაიქმნას და ჩამოყალიბდეს ქვეყნის თავდაცვის, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი თანამედროვე სტრუქტურები და საჯარისო ფორმირებები (საზღვრის დაცვის, უშიშროების, შინაგანი ჯარის ფორმირებები. ამასთან ჩამოყალიბდეს სამეფო გვარდია);
- დემოკრატიის პრინციპების შესაბამისად გადასინჯული იქნას ყველა ის კანონი, რომელმაც განსაზღვრული დაბრკოლებები შექმნა დამოუკიდებელი საქართველოს განვითარების სფეროებში.

# საქართველოს სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური აღორძინების პრინციპები

საქართველოს სახელმწიფოს ბუნებრივ რესურსებსა და სტრატეგიულ ადგილმდებარეობაზე კონტროლი მუდამ იყო არაკეთილმოსურნე სახელმწიფოთა მეტოქეობის ძირითადი მიზანი, რომელთა ინტერესები ნთქავდა საქართველოს მდიდარ, ბუნებრივ, შრომით და ფინანსურ რესურსებს. დავიწყებას მიეცა საუკუნეებით გამომუშავებული და ქართველი კაცის ეთნოფსიქიკაზე დაყრდნობილი მეურნეობის სისტემა, მისი გაძღოლის მეთოდები. ქართველი კაცისათვის არატრადიციულმა წარმოებითმა ურთიერთობებმა საქართველოს ეკონომიკა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო, ქართველი მეურნე კი დიდწილად მეწარმისა და აღმშენებლობისაგან მიმთვისებლად და მომხვეჭელად აქცია, დაავიწყა გენით კოდირებული რუდუნება შრომისადმი. რეალობაა, რომ დღეს ქვეყანაში დარღვეულია სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმები, წესი, მოშლილია საზოგადოების იერარქიული წყობა, დარღვეულია სოციალურ ფენათა საზღვრები და გაურკვეველ-შემოუფარგლავია მათი ინტერესების სფერო, განუსაზღვრავია საზოგადოების განვითარების დინამიკა.

მიუხედავად განუწყვეტელი შემოსევებისა და ომებისა, ქართველი ერის მძლავრი ინდივიდუალიზმის, არახელსაყრელი პირობებისადმი მისი შეგუების უნარის, ასევე ქვეყნის მდიდარი ბუნებრივი რესურსების წყალობით, საქართველოს ეკონომიკა ინარჩუნებდა სიცოცხლისუნარიანობას და მისი განვითარების ისტორია მოწმობს, რომ მას ძალუძს იყოს მაღალგანვითარებული დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ეკონომიკის აღორძინების უდიდესი პოტენციალი საქართველოს ხელსაყრელ გეოპოლიტიკურ მდებარეობაში, მის ბუნებრივ რესურსებში, კლიმატურ პირობებში და ქართველი კაცის შესაძლებლობებში მდგომარეობს. ოღონდ ეკონომიკური სისტემითი რეორგანიზაცია და შეცვლა არ უნდა ხდებოდეს ერთი ხელის დაკვრით, რაც მხოლოდ ეკონომიკის ნგრევას, ეროვნული ცნობიერების, ფსიქიკის, ცხოვრების წესის რღვევას, ქართველი ერის თვითმყოფადი ბუნების გადაგვარებას იწვევს.

ყოველივე ამის გაცნობიერება და იმ გზების ძიება, რომელიც ქართველ მეურნეს გაათავისუფლებს, არის ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულება. მხოლოდ თავისუფალ მეწარმეობაზე დაყრდნობილი მეურნეობა შესძლებს ეკონომიკური ზღუდის გარღვევასა და საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში უშუალოდ ჩართვას, მყარ საფუძველს შეუქმნის საქართველოს სახელმწიფო სიძლიერისა, ცივილიზირებულ ერთა ოჯახში საქართველოს ღირსეულ შესვლასა და დაფუძნებას. წარმოების საშუალებებზე, საქართველოს მოქალაქეთა კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ჯანსაღი ეკონომიკური სისტემა ამ ენერგიას მიმართავს მოსახლეობის ყველა ფენის სასიკეთოდ, საყოველთაო სიუხვისა და კეთილდღეობისათვის, საქართველოს ბედნიერი მომავლისათვის. საქართველოს ეკონომიკური აღორძინებისაკენ მიმართული ეკონომიკურ ღონისძიებათა სისტემა უნდა გამოხატავდეს თავისუფალ მოქალაქეთა საერთო ნებას. იგი უნდა ჰქმნიდეს პიროვნების მატერიალური და სულიერი თავისუფლების საფუძველს. დადგა გადარჩენის უკანასკნელ შესაძლებლობათა გამონახვა-გატარების აუცილებლობის გარდაუვალობა, ამისათვის ყველა საქმე, იქნება ეს მეურნეობრივი, წარმოებრივი, ცხოვრებისეული, სოციალური, ეკოლოგიური, პოლიტიკური თუ სხვა, უნდა ვაქციოთ საკუთარ საქმედ და გავხადოთ ერთიანი, განუყოფელი საქართველოს სახელმწიფოს, მისი ხალხის ინტერესების დამცველად. სწორედ აი ამ მიმართულებით უნდა ავაღორძინოთ საკუთარი ეკონომიკა, აღვადგინოთ და დავამყაროთ ახალი პარტნიორული, სუვერენული ურთიერთობები ყველა ქვეყანასთან, განსაკუთრებით მოწინავე განვითარებულ ქვეყნებთან, სხვა შემთხვევაში ყველა ქმედება სხვისი სამსახური იქნება და არა საკუთარ მოთხოვნილებათა მეურნეობრივი საქმიანობის წარმართვა.

გასაღები ქართული ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობისა, ქართველი მეურნის უცხო, თავსმოხვეული ეკონომიკური სისტემისაგან გათავისუფლებაში ძევს. საკუთარი ეკონომიკისა და ტრადიციული მეურნეობის გარეშე, ქართული ცხოვრების წესის თანამედროვე ცივილიზაციის გათვალისწინებით აღორძინება და დაცვა წარმოუდგენელია. წიაღისეული უნდა იყოს საქართველოს განძის რანგში ასული, მისი გამოყენება აუცილებლად უნდა ხდებოდეს ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. სახელმწიფომ მონოპოლია უნდა განახორციელოს სტრატეგიული დანიშნულების მეურნეობაზე. მეურნეობის იმ დარგებში და

საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც მეურნეობისათვის არახელსაყრელი პირობებია, უნდა შენარჩუნდეს სახელმწიფო საკუთრება, რომლის სუბიექტიც იქნება არა სახელმწიფო ზოგადად, არამედ საქართველოს მთავრობა პერსონალურად, რომელიც ერის წინაშე პასუხისმგებელი იქნება მის მიერ გატარებულ ღონისძიებათა ეფექტიანობაზე.

ამჟამად, მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური და საზოგადოებრივი პროცესების ანალიზიდან გამომდინარე, საქართველოში, სადაც პოლიტიკური სპექტრის ფორმირების პროცესი მიმდინარეობს, ის კაპიტალი, რაც შემოვა საქართველოში საერთაშორისო პროექტების მეშვეობით, უნდა ჩაიდოს ეროვნულ ინსტიტუტებში: ცოდნაში, ანუ განათლების სტრუქტურებში, ჯანმრთელობაში, მომავალი თაობის აღზდის საქმეში, ეროვნული თავდაცვის სისტემაში, ანუ ცნობიერებამ უნდა განსაზღვროს ყოფიერება.

აუცილებელია სახელმწიფოს შესაბამისი სამსახურების მიერ აღებული უცხოური ვალების შესწავლა და მათ შემცირებაზე ზრუნვა.

სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს ეროვნულ-ტრადიციული ეკონომიკის თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე მოწყობას და დემოკრატიულ მმართველობას, ანუ ქართული ცხოვრების დღევანდელი ცივილიზაციის მოთხოვნის შესაბამის აღორძინებას.

ეკონომიკის აღორძინების უმნიშვნელოვანესი პირობაა ადამიანის თაოსნობის სტიმულირებისა და მისი შრომის შედეგების დასაკუთრების შესაძლებლობების შეუზღუდველობა. უპირველესი პრობლემაა საკუთარი მოთხოვნილებისათვის საკუთარი წარმოების შესაბამისი გაცვლა- ვაჭრობის აღორძინება, ტრადიციული და სტრატეგიული მეურნეობის მიზანშეწონილი თანამედროვე განვითარების დონეზე აღდგენა, მისი რეგულირება, სამართლიანი კონკურენციისა და პარტნიორული ეკონომიკურ ურთიერთობათა დამყარება, საკუთარი მოთხოვნილებისათვის საკუთარი მატერიალური ბაზის შექმნა, საკუთარი სოციალური გარანტიების სისტემების ჩამოყალიბება და აქედან გამომდინარე, საკუთარი ეკონომიკით მსოფლიო ეკონომიკურ ინტეგრაციაში თანამშრომლობის დამყარება იქნება უმნიშვნელოვანესი ძირითადი ამოცანა და სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის დაცვის შესაძლებლობა. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია საკუთარი რესურსების მობილიზაციასთან ერთად უცხო ქვეყნის კაპიტალის, ინვესტიციების მოზიდვა და მათი დახმარებით წარმოებისა თუ მეურნეობის გამართვა, შეჰქმნა და განვითარება, მაგრამ ამასთან აუცილებელია დამუშავდეს და მოქმედებდეს ქონების გასხვისებისაგან თავდაცვის მექანიზმები.

საფინანსო სისტემა სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტის განმტკიცების ერთ-ერთ საფუძვლად უნდა გადაიქცეს. თავისუფალი ფასწარმოქმნა მაქსიმალურად უნდა უწყობდეს ხელს მწარმოებელთა ინიციატივის ფართოდ გაშლას, თავისუფალი კონკურენციის განვითარებას, რაც წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტის დინამიკური განახლებისა და ხარისხის ამაღლების უპირველესი ეკონომიკური საფუძველი გახდება.

თავდაპირველად, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საგადასახადო შეღავათების სისტემა, რომელმაც სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, სტიმული უნდა მისცეს საქმიანობის კონკრეტულ მიმართულებებს. შეღავათების სისტემის ამოქმედება გარკვეულ გავლენას მოახდენს ინფლაციური პროცესების შეჩერებასა და ფასების განუსაზღვრელი ზრდის შეზღუდვაზე. აუცილებელია ნორმალური საგადასახადო კანონმდებლობის შემუშავება, რომ უპირველესყოვლისა დასაქმდეს საქართველოს მოსახლეობა. სახელმწიფო შემოსავლების ხარჯვა კი უნდა იყოს გამჭვირვალე.

სახელმწიფო განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა მტკიცედ უნდა იყოს განსაზღვრული და მისი განხორციელებისაკენ უნდა მიმართული იქნეს საგადასახადო შემოსავლები. გადასახადების გადახდა უნდა იყოს თავმოყვარეობის რანგში აყვანილი. გადასახადის ოდენობა უნდა განისაზღვროს სიცოცხლისათვის აუცილებელი მინიმალური ოდენობიდან გამომდინარე.

საზღვარგარეთიდან მოზიდული სახსრები უნდა მიიმართებოდეს ეროვნულ-ტრადიციული საქმიანობის აღორძინებისაკენ, რასაც უნდა ემსახურებოდეს საბაჟო სამსახურები. შედარებით დიდი განაკვეთით უნდა იბეგრებოდეს ის პროდუქცია, რომელსაც ეროვნული-ტრადიციული საქმიანობის აღორძინებას ხელს უშლის.

აუცილებელია ერთიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბება. უნდა შეიქმნას ერთობლივი ბანკები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს ეროვნული ეკონომიკის ინტერესებისათვის გამოვიყენით ჩვენი პარტნიორების საკრედიტო ხაზები და მათ მიერ გაცემული გარანტიების საფუძველზე გაცილებით ადვილი იქნება როგორც უცხოური კაპიტალის მოზიდვა, ასევე ადგილობრივი პროდუქციის რეალიზაცია.

უნდა ამაღლდეს დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა. ეროვნული ეკონომიკისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანაა, ჩამოყალიბდეს საქართველოსათვის შესაფერისი სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ოპტიმალური სტრუქტურა. განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ ენერგეტიკის არატრადიციული დარგების (მზის, ქარის, თერმული წყლების) განვითარებას, მნიშვნელოვანია აგრეთვე მტკნარი წყალის რესურსებისა და სხვადასხვა ჰიდრორესურსების სათანადო გამოყენება, ამასთან ბიოგაზის ენერგეტიკის მოსახლეობის სამსახურში ჩაყენება. საბოლოოდ უნდა გადაწყდეს ჩვენს ჰიდროენერგეტიკაში ჰიდროელექტროსადგურების ადგილის და როლის უდიდესი მნიშვნელობა.

როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის განვითარებაში განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს მანქანათსამშენებლო კომპლექსმა. მან საქართველოს სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდააწარმოოს ისეთი პროდუქცია, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების ინტენსიფიკაციის გაძლიერებას და არსებული მდიდარი სასოფლო-სამეურნეო ბაზის ოპტიმალურ გამოყენებას.

ამასთან, მაღალი ტემპებით უნდა განვითარდეს შავი და ფერადი მეტალურგია, კვების მრეწველობა,
თევზის მრეწველობა, მსუბუქი მრეწველობა. მრეწველობის ამ დარგებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს წარმოებასა და პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლებას.

სოფლის მეურნეობის განვითარებად გზად მიჩნეული უნდა იქნას ინტენსიფიკაცია. აღდგენილ უნდა იქნეს სოფლის მეურნეობის ეროვნულ-ტრადიციული ფორმები: მემარცვლეობის კერები აღმოსავლეთ საქართველოში ხორბლისა და სიმინდის წარმოებით, დასავლეთ საქართველოში _ სიმინდისა და პარკოსნების წარმოებით, მაღალმთიან ზონაში მოზანშეწონილია საგაზაფხულო თავთავიანი კულტურებისა და კარტოფილის წარმოება, მევენახეობა, მეციტრუსეობა, მებოსტნეობა-მებაღეობა და მეცხოველეობა.

ქვეყნის სატრანსპორტო სისტემაში წამყვანი ადგილი უკავია საავტომობილო ტრანსპორტს, მაგრამ არანაკლები ყურადღება უნდა მიექცეს საზღვაო ტრანსპორტის განვითარებას, ასევე სარკინიგზო, საჰარეო ტრანსპორტსა და მის სპეციალურ სახეობებს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სოციალურ ინფრასტრუქტურას: ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება, საყოფაცხოვრებო მომსახურება და სხვა. საქართველოსათვის მნიშვნელოვანია რეკრეაციულ-ტურისტული კომპლექსის განვითარება.

მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს მთლიანად ქვეყნისა და ასევე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სოციალური პროგრამები, რომელთა საფუძველზე საქართველოს ყველა მოქალაქეს მიეცემა განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებათა მინიმუმით უფასოდ სარგებლობის გარანტია.

სუვერენული საქართველოს სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, მისი ხელისუფლების უპირველესი საზრუნავი უნდა გახდეს საქართველოს მოქალაქეთა შრომის უფლების რეალიზაცია.

უმნიშვნელოვანესია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის თვისობრივი განახლება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროფილაქტიკური და სადაზღვევო მედიცინის განვითარებას. საჭიროა შეიქმნას განათლების მთლიანი კონცეფცია, მისი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღჭურვა და მაღალკვალიფიციური ეროვნული კადრების უზრუნველყოფა.

საშუალო ფენა ერის, სახელმწიფოს სულიერ და მატერიალურ სხეულს უნდა წარმოადგენდეს, ამდენად მასთან დაკავშირებული ყოველგვარი პრობლემა ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესების დონიდან და პოზიციიდან უნდა განიზომებოდეს. გამომდინარე აქედან, აქტუალურია აღნიშნული პრობლემის განმაპირობებელ ფაქტორთა პოლიტიკურ სპექტრში გააზრება. ქვეყანაში უნდა არსებობდეს ძლიერი საშუალო ფენა, რომელიც ერის სულიერ და ფიზიკურ განვითარებას სახელმწიფოებრივ რანგში აიყვანს.

აუცილებელია ეროვნული მეცნიერების მიღწევების დაპატენტება მსოფლიოს მასშტაბით, სახელმწიფო ხარჯებით.

მთავარი მიზანია, ასევე დღეისათვის აუცილებლობა იმისა, რათა ახალი საუკუნის ადამიანები გავათავისუფლოთ ე. წ. „ეკონომიკური ადამიანის" შეზღუდული მენტალური მოდელისაგან, რამეთუ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება თავის თავში მოიცავს გაცილებით მეტს, ვიდრე ეს ტექნიკურ-ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტაა. იგი ძირითადად სოციალური, ფსიქოლოგიური, კულტურული და პოლიტიკური პრობლემაა.

ამ მხრივ კი, ასევე ფუძემდებლურ პრინციპებს წარმოადგენს ქვეყანაში ახალი ეკონომიკური რეფორმისტული პროგრამების შემუშავება და დანერგვა, როგორიცაა: ინსტიტუციონალური რეფორმა, მაკროეკონომიკურ სტაბილიზაცია, ფასების რეფორმა და საწარმოების პრივატიზაცია-რესტრუქტურიზაცია, ასევე ღია ეკონომიკის განვითარება, ფიზიკური და ადამიანური რესურსების აკუმულირება და ტექნოლოგიური განვითარება.

სულიერი ეროვნული კულტურის განვითარება უმჭიდროვეს კავშირში უნდა იყოს სოციალურ- ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებთან. უაღესად მნიშვნელოვანია ჩვენი კულტურის ორიენტაციის საკითხი, რათა ქართველმა ერმა ნათლად შეიცნოს თავისი თავი და მისი ადგილი მსოფლიო კულტურაში.

სახელმწიფოს ძირითადი ამოცანაა ასევე გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში ე. წ. „გლოკალიზაციისა" და სხვა თავდაცვითი „საცრელი ფილტრების" - სპეციალური არეალების დაცვის მექანიზმების დანერგვა-განვითარება, რათა თავიდან იქნას აცილებული გლობალიზაციისაგან შესაძლო პოტენციური საშიშროება. ჩვენი ქვეყანა უნდა მოერგოს გლობალიზაციის პროცესს და იგი იყოს სასარგებლო და პროგრესული ჩვენი ქვეყნისათვის.

სახელმწიფომ უნდა იღვაწოს, რათა ჩვენს ქვეყანაში შეიქმნას: 21-ე საუკუნის ახალი ცოდნის საზოგადოება, ახალი ლიდერები; ახალი სამთავრობო პოლიტიკა; ახალი მსოფლიო ეკონომიკა:

მიკროელექტროტექნიკა, კომპიუტერული ტექნიკა, ტელეკომუნიკაცია, ხელოვნური მასალები და ბიოტექნოლოგია; ახალი მართვის ხელოვნება, ქართული ინოვაციების სახეობები; ახალი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა – ე. წ. „საბსიდიარობა", ანუ დეცენტრალიზაცია; სოციალური უსაფრთხოების ბადეები და ახალი სოციალური სექტორი.

მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური აღორძინების ინოვაციური გარღვევის სტრატეგია. ჩვენი წინადადება ეფუძნება განჭვრეტის თეორიასა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას. საშუალო ვადიანი და გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული ორიენტირების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია ინოვაციური ეკონომიკის აშენება.

რა თქმა უნდა, სოციალური ამოცანების გადაწყვეტა ქვეყნისთვის პირველხარისხოვანი ამოცანაა, მაგრამ სახელმწიფოს არ ძალუძს ამ ეტაპზე ერთდროულად მოიცვას ეკონომიკური განვითარების მთელი სპექტრი. ჩვენს მიერ შემოთავაზებული ორიენტირები და მეთოდი საშუალებას იძლევა სწორედ განისაზღვროს და გადაწყდეს არსებული ეკონომიკური ამოცანები. ამ მიზნით, შემუშავებულ იქნა მშპ-ს პერსპექტიული ხედვის გასაანგარიშებელი ალგორითმი 2040 წლამდე, მისი სტრუქტურული მოდელირებით. მოდელირება საშუალებას იძლევა ამა თუ იმ მოვლენის ნებისმიერ ეტაპზე გასაანალიზებლად გათამაშდეს სხვადასხვა სცენარები და ზუსტად განისაზღვროს არა მარტო პრიორიტეტული მიმართულებები, არამედ მოიცვას ეკონომიკური განვითარების მთელ ჭრილი ფინანსურად, დროსა და სივრცეში. მშპ-ს დინამიკური ტრენდის თვალყურის დევნებით ნებისმიერ დროს შეიძლება სიტუაციის კორექტირება აუცილებელი ღონისძიებების შესამუშავებლად.

საქართველოს ინოვაციური განვითარების სტრატეგია 2040 წლამდე შემდეგია:

- სახელმწიფოს და მისი როლის განსაზღვრა ეკონომიკურ განვითარებაში – ინოვაციური სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური მმართველობის მოდელი;
- მსოფლიოს ტრადიციულ აღქმაზე როგორც წრფივ დეტერმინირებულ პროცესზე უარის თქმა, რისი შედეგებიც ფუნდამენტალური პრინციპების და ძირითადი ვარიანტების ცოდნისას, შესაძლებელია წინასწარ იყოს გათვლილი;
- მსოფლიო რთული დინამიური სისტემაა, შემდგარი ერებისგან, სახელმწიფოებისგან, რელიგიებისაგან და ა.შ., რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ რთულ დინამიკურ სისტემებს;
- დინამიკური სისტემები არასოდეს აღწევენ წონასწორობას;
- „დიდ ინტერაქტიულ სისტემებს მუდმივად, ორგანიზაციის გზით მიჰყავთ თავისი თავი კრიტიკულ მდგომარეობამდე, რომელშიც მცირე მოვლენასაც კი შეუძლია გამოიწვიოს ჯაჭვური რეაქცია, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს კატასტროფა''. ეს თვისება განისაზღვრება როგორც ,,თვით ორგანიზებული კრიტიკულობა ''.

პოლიტიკურ სისტემებში, რომლებიც აგებულია დემოკრატიულ პრინციპებზე, როგორც აღმოჩნდა, ბაზარზე გასვლის მეტი შესაძლებლობები გააჩნიათ ახალ საწარმოებს. აი ამიტომ, ეფექტურად განვითარებული ქვეყნები, რომლებიც იმყოფებიან ტექნოლოგიურ ზღვარზე, ეს, უპირველეს ყოვლისა, განვითარებული ლიბერალური დემოკრატიებია.

საქართველოში შექმნილ სიტუაციაში – უნდა მკვეთრად შეიცვალოს კურსი, გარღვევის სტრატეგიის, ეკონომიკის ინოვაციური განახლების როგორც მთავარი ორიენტირის მიღებით და ეს უნდა გააკეთოს პირველყოვლისა სახელმწიფომ, თავისი სტრატეგიულ–ინოვაციური ფუნქციის მთელი პასუხისმგებლობით შესრულებით. სახელმწიფო არის განუყოფელი მონაწილე ინოვაციური პროცესისა და ასრულებს ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვან, საპასუხისმგებლო და კვალიფიციური ფუნქციებს, რომლებიც სახელმწიფოს ხელმძღვანელებისაგან, მისი ორგანოებისგან და საჯარო მოხელეებისაგან მოითხოვენ მაღალ პროფესიონალიზმს, სტრატეგიულ აზროვნებას და ძალისხმევას. სახელმწიფო თავისი ხედვის და პასუხისმგებლობის დონით და ჰორიზონტით გაცილებით მაღლა დგას ცალკეული მეწარმის, ან მეწარმეთა ჯგუფის პასუხისმგებლობის დონესა და ჰორიზონტებზე.

ის პასუხს აგებს წარსული, აწმყო და მომავლი თაობების წინაშე, ქვეყნის მდგომარეობაზე და ბედზე, მისი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის დონეზე, მის ადგილზე გლობალურ ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ სივრცეში, ეროვნულ უსაფრთხოებაზე. სახელმწიფო ვალდებულია – იქონიოს მოცულობითი და გრძელვადიანი ხედვა, მიიღოს სტრატეგიული გადაწყვეტილებები მისი შესაძლო შედეგების გათვალისწინებით.

სახელმწიფო ქმნის ინოვაციურ კლიმატს, ინოვაციური საქმიანობის შესრულების ზოგად სამართლებრივი ფარგლებს და ნორმებს, მისი განხორციელების სპეციფიური პირობების და მაღალი რისკის გათვალისწინებით.

სახელმწიფო ვალდებულია აიღოს თავის თავზე სტრატეგიის შერჩევა და ეკონომიკის არასაბაზრო სექტორში ინოვაციების განხორციელება – როგორც საბაზისო, ასევე გაუმჯობესებაში. საუბარია მეცნიერების, სახელმწიფო მმართველობის, თავდაცვის, მართლწესრიგის, ეკოლოგიური მონიტორინგის, ნებისმიერი მსხვილი პროექტების და ა.შ. ინოვაციურ განახლებაზე. არც მოსახლეობას, არც მეწარმეებს არ შეუძლიათ მთელი მოცულობით აიღონ თავის თავზე ამ სექტორის განახლება. ამასთანავე ამ სფეროში ინოვაციები თამაშობენ მთავარ როლს ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოებაში, ქვეყნის ფუნქციონირების და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

სახელმწიფოს არ შეუძლია განზე გადგეს და უარი თქვას ეკონომიკის საბაზრო სექტორში საბაზისო ინოვაციების ათვისებაზე და გავრცელებაზე. საუბარი არ არის ცენტრალიზებულ გეგმიურ სისტემაში დაბრუნებაზე, როდესაც სახელმწიფო მთლიანად იღებდა თავის თავზე ყველა სფეროში საბაზისო და ბევრად გაუმჯობესებული ინოვაციების დაგეგმვას და ფინანსირებას. ეს ამართლებდა თავის თავს საგანგებო სიტუაციებში, მობილიზებულ ეკონომიკაში, სამხედრო–სამრეწველო კომპლექსში, მაგრამ ასუსტებდა მეწარმეთა ინიციატივას და პასუხისმგებლობას, რადგან პრაქტიკულად გამორიცხავდა კონკრეტული ბრძოლის მექანიზმს, ,,თაფლაკვერის’’ და ,,მათრახის’’ შეხამებას ინოვაციების სტიმულირებაში.

ამიტომ, სახელმწიფო ვალდებულია აიღოს თავის თავზე ახალი თაობების ტექნიკის (ტექნოლოგიების) ათვისებაში სასტარტო (შენატანები) ინვესტირება – საწარმოებთან პარტნიორობით, მათი წილის ეტაპობრივი ზრდით და განახლებული ინოვაციების ნაკადის წარმოებაში გადაცემით. ეს ასპექტი შეიძლება განხილულ იქნეს ცალკე, ქვეყანაში არსებული სიტუაციის გათვალისწინებით. ასეთი სცენარი სავსებით შესაძლებელია მოკლევადიან გეგმაში, ეკონომიკური განვითარებაში ძალისხმევის მობილიზაციისათვის.

სახელმწიფოს ინოვაციურ–სტრატეგიული ფუნქციის რეალიზაციისას სახელმწიფომ უნდა გაუწიოს დახმარება ინოვაციური ინფრასტრუქტურის და მცირე ინოვაციური ბიზნესის განვითარებას. საქმიანობის ეს ორი მიმართულება განუყრელადაა დაკავშირებული ერთმანეთთან. როგორც გვიჩვენებს უცხოური და გარკვეულ წილად სამამულო (შიდა) გამოცდილება – მცირე საწარმოები არიან მზვერავები, რომლებიც ითვისებენ ინოვაციური საქმიანობის ახალ ველებს, მათ კვალდაკვალ მიყვებათ მთავარი ძალა – კაპიტალი, რომელიც ახორციელებს სტრატეგიულ ინოვაციურ გარღვევას.

სახელმწიფოს ზრუნვის უშუალო საგანს წარმოადგენს – ინოვაციური გარღვევისთვის საკადრო პოტენციალის მომზადება. საუბარია როგორც საშუალო და უმაღლესი განათლების ინოვაციურ მიმართულებაზე, ასევე კადრების გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემაზე, დისტანციურ სწავლებაზე, ისე კონკრეტული ინოვაციური პროგრამების და პროექტების სპეციალიზებულ სწავლებაზე, მცირე ინოვაციური ბიზნესის სწავლებაზე.

სახელმწიფოს ინოვაციური საქმიანობის მნიშვნელოვან ველს წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრების რეგლამენტირება და დაცვა, მისი გამოყენება, როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

საჭიროა დაკვირვებით იყოს შესწავლილი მიმდინარე მომენტი და სახელმწიფოს როლი ამ ეტაპზე. ნებისმიერი მიმართულებისთვის ბიუჯეტის პრიორიტეტული ჩამოყალიბების გზით განვითარების ინერციული გზიდან გადახვევა ასეთ პირობებში საერთოდ უნდა გამოირიცხოს. სახელმწიფომ უნდა ზუსტად განსაზღვროს ეკონომიკური განვითარების და პრიორიტეტული მიმართულებების სცენარი. ეკონომიკაში ორიენტირებული მიდგომის მიღების გარეშე საქართველო ვერ შეძლებს თავისის განვითარების გამრღვევი სცენარის განხორციელებას.
სახელმწიფო ქმნის ინოვაციურ კლიმატს, ინოვაციური საქმიანობის შესრულების ზოგად სამართლებრივი ფარგლებს და ნორმებს, მისი განხორციელების სპეციფიური პირობების და მაღალი რისკის გათვალისწინებით.

სახელმწიფო ვალდებულია აიღოს თავის თავზე სტრატეგიის შერჩევა და ეკონომიკის არასაბაზრო სექტორში ინოვაციების განხორციელება – როგორც საბაზისო, ასევე გაუმჯობესებაში. საუბარია მეცნიერების, სახელმწიფო მმართველობის, თავდაცვის, მართლწესრიგის, ეკოლოგიური მონიტორინგის, ნებისმიერი მსხვილი პროექტების და ა. შ. ინოვაციურ განახლებაზე. არც მოსახლეობას, არც მეწარმეებს არ შეუძლიათ მთელი მოცულობით აიღონ თავის თავზე ამ სექტორის განახლება. ამასთანავე ამ სფეროში ინოვაციები თამაშობენ მთავარ როლს ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოებაში, ქვეყნის ფუნქციონირების და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ინოვაციურ-სტრატეგიული ფუნქციის რეალიზაცია:

- სახელმწიფომ უნდა გაუწიოს დახმარება ინოვაციური ინფრასტრუქტურის და მცირე ინოვაციური ბიზნესის განვითარებას. საქმიანობის ეს ორი მიმართულება განუყრელადაა დაკავშირებული ერთმანეთთან. როგორც გვიჩვენებს უცხოური და გარკვეულ წილად სამამულო (შიდა) გამოცდილება – მცირე საწარმოები არიან მზვერავები, რომლებიც ითვისებენ ინოვაციური საქმიანობის ახალ ველებს, მათ კვალ და კვალ მიყვებათ მთავარი ძალა – კაპიტალი, რომელიც ახორციელებს სტრატეგიულ ინოვაციურ გარღვევას.
- სახელმწიფოს ზრუნვის უშუალო საგანს წარმოადგენს – ინოვაციური გარღვევისთვის საკადრო პოტენციალის მომზადება. საუბარია როგორც საშუალო და უმაღლესი განათლების ინოვაციურ მიმართულებაზე, ასევე კადრების გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემაზე, დისტანციურ სწავლებაზე, ისე კონკრეტული ინოვაციური პროგრამების და პროექტების სპეციალიზებულ სწავლებაზე, მცირე ინოვაციური ბიზნესის სწავლებაზე.

სახელმწიფოს ინოვაციური საქმიანობის მნიშვნელოვან ველს წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრების რეგლამენტირება და დაცვა, მისის გამოყენება, როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

საჭიროა დაკვირვებით იყოს შესწავლილი მიმდინარე მომენტი და სახელმწიფოს როლი ამ ეტაპზე. ნებისმიერი მიმართულებისთვის ბიუჯეტის პრიორიტეტული ჩამოყალიბების გზით განვითარების ინერციული გზიდან გადახვევა ასეთ პირობებში საერთოდ უნდა გამოირიცხოს. სახელმწიფომ უნდა ზუსტად განსაზღვროს ეკონომიკური განვითარების და პრიორიტეტული მიმართულებების სცენარი. ეკონომიკაში ორიენტირებული მიდგომის მიღების გარეშე საქართველო ვერ შეძლებს თავისის განვითარების გამრღვევი სცენარის განხორციელებას.

ჩვენი წინადადება დამყარებულია განჭვრეტისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის საფუძველზე. საშუალო ვადიანი და გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული ორიენტირების მიღების გარეშე შეუძლებელია ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობა. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს პირველადი ამოცანაა სოციალური ამოცანების გადაწყვეტა (სოციალური სამართლიანობა ), მაგრამ მას ამ მომენტში არ შეუძლია ეკონომიკური განვითარების მთელი სპექტრის მოცვა, ხოლო ჩვენს მიერ შეთავაზებული ორიენტირები იძლევიან დასმული ეკონომიკური ამოცანების ზუსტი და სწორი გადაწყვეტის საშუალებას.

წარმოგიდგენთ ეკონომიკის სახეობებს:

ფ ა ქ ტ ო რ ე ბ ი თ მ ხ ა რ დ ა ჭ ე რ ი ლ ი ე კ ო ნ ო მ ი კ ა – *საბაზისო მოთხოვნების* ინსტიტუტები; ინფრასტრუქტურა; მაკროეკონომიკური სტაბილურობა; ჯანდაცვა და დაწყებითი განათლება;

მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ო ბ ი თ მ ხ ა რ დ ა ჭ ე რ ი ლ ი ე კ ო ნ ო მ ი კ ა – *მწარმოებლურობის მოთხოვნები* უმაღლესი განათლება და ტრენინგი; სასაქონლო ბაზრის მწარმოებლურობა; სამუშაო ძალის ბაზრის მწარმოებლურობა; საფინანსო ბაზრის მოქნილობა; ტექნოლოგიური წიგნიერება; ბაზრის ზომა;

ი ნ ო ვ ა ც ი ე ბ ი თ მ ხ ა რ დ ა ჭ ე რ ი ლ ი ე კ ო ნ ო მ ი კ ა – *ინოვაციები და მრავალფეროვნება* ბიზნესის მრავალფეროვნება; ინოვაციები;

ბუნებრივ რესურსებზე დამყარებული ეკონომიკიდან გადასვლა ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკაზე.

განვიხილოთ „ცოდნის ეკონომიკის“ – გენერაციის, იდეების, საქონლის, ტექნოლოგიების ტერიტორიული პლატფორმა სადაც:

მთავარი ფაქტორებია: ცოდნა, იდეები, ინოვაციები და ინოვაციური აქტივები, ინოვაციური ინფრასტრუქტურა, ძირითადი აქტივები: – ინტელექტუალური (ადამიანური) კაპიტალის, ცოდნის, იდეების, ტექნოლოგიების კაპიტალიზაცია, საქონლის ფასი, ითვალისწინებს: გარდა მატერიალური და შრომითი დანახარჯებისა, სამომხმარებლო თვისებებს, სავაჭრო მარკას, ხარისხის გარანტიას, ესთეტურობას, ეკოლოგიურობას, ერგონომიურობას, ენერგოეფექტურობას. (მომგებიანობა 500%).

დღეს საქართველო კონკურენტუნარიანობის მსოფლიო 144 ქვეყნის რეიტინში იკავებს მე-60-ე ადგილს, ხოლო ინოვაციების რეიტინგში 65-ეს.

ქვეყნის განვითარების სტადიებში, საქართველო მწარმოებლითი მოძრავიდან (მშპ 1 სულზე $ 8 200) ინოვაციურ მოძრავზე უნდა გადავიდეს (მშპ 1 სულზე $ 17 000).

ეკონომიკური განვითარების მექანიზით – ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებაზე დამყარებული ინტენსიური განვითარების მექანიზმით ხელფასებისა და მწარმოებლურობის ზრდასთან ერთად საინვესტიციო ბუმიდან გადასვლა მაღალტექნოლოგიური პროდუქტების შექმნაზე დამყარებული ინტენსიური განვითარების მექანიზმზე უმაღლესი ანაზღაურებით და ცხოვრების დონით, საუკეთესო წარმოებით და კონკურენტუნარიანობით ინოვაციურზე.

რეალიზაციის ეტაპებია:

1- ეტაპი – კონკურენტული უპირატესობების კონსოლიდაცია , 2024-2025 წლები:

- კონკურენტული უპირატესობების რეალიზაცია “ტრადიციულ” სექტორებში; ადაპტაცია კრიზისული პროცესებისადმი მსოფლიო ეკონომიკაში;
- პირობების და ტექნოლოგიური საფუძვლების შექმნა, ეკონომიკის ინოვაციური განვითარების რეჟიმში გადაყვანის უზრუნველყოფისათვის;
- წინმსწრები ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში და ინფრასტრუქტურაში.

2-ეტაპი – ინოვაციური გარღვევა, 2025-2040 წლები:

- ნახტომი კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში შემდეგ საფუძველზე:
- ახალ ტექნოლოგიურ ბაზაზე გადასვლა;
- ადამიანური პოტენციალისა და სოციალური გარემოს ხარისხის გაუმჯობესება;
- ეკონომიკის სტრუქტურული დივერსიფიკაცია და ინფრასტრუქტურული სექტორების მოდერნიზაციის დასრულება;
- ნდობისა და სოციალური კეთილდღეობის საზოგადოების ფორმირება, სოციალური დიფერენციაციის შერბილება.

პროექტის კალენდარული გეგმა და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავების ეტაპებია:

1. სტრატეგიული ანალიზი;
2. სტრატეგიული ალტერნატივების ჩამოყალიბება და შეფასების კრიტერიუმები;
3. სტრატეგიული არჩევანი და სტრატეგიის დაკანონება;
4. სტრატეგიის რეალიზაციის მექანიზმების ფორმირება;
5. შემაჯამებელი დოკუმენტაციის მომზადება და პრეზენტაცია.

განვითარების გამოწვევები გრძელვადიანი განვითარების სტრატეგია გგს 2040 წლისათვის:

1. გრძელვადიანი გამოწვევები: ქვეყნის ტერიტორიული რღვევა და რეგიოენების არათანაბარი განვითარება; ადამიანური კაპიტალის როლის ზრდა ეკონომიკაში; გლობალიზაციის გავლენა; ახალი ტექნოლოგიური ტალღა; ბუნებრივი რესურსებზე დაფუძნებული ეკონომიკური განვითარების წყაროების მილევადობა;
2. პოლიტიკის ორიენტაცია ქვეყნის განვიტარების მიზნებზე: ეკონომიკური აგენტების მიერ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო გრძელვადიანი „თამაშის წესების" ფორმირება;
3. მოკლე და საშუალოვადიანი გამოწვევები: უმუშევრობა; სოციალური დაცვის უქონლობა; ქვეყნის სტაბილურობის შენარჩუნება; მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისი – აუცილებელია მოკლევადიანიღონისძიებებათა კომპლექსის გატარება ქვეყნის ფინანსური და მთლიანად ეკონომიკის მდგრადობის ასამაღლებლად.

ჩვენს მიერ შემუშავებულია ალგორითმი მშპ-ს პროგნოზირებისა და მისი მართვის დაგეგმისთვის. მიღებული ალგორითმის გათვალისწინებით, შესაძლებელია ეკონომიკის ყოველი დარგის პროგნოზირებული მახასიათებლის მიღება. შესაძლებელია მშპ-ს და ეკონომიკის ყოველი დარგის მოდელირება. შესაძლოა შეირჩეს პროგნოზირებული მონაცემები სტრატეგიული დაგეგმისთვის არა მარტო ცალკეული დარგების, არამედ მთლიანი ეკონომიკისთვის. შესაძლებელია მშპ-ს განვითარების დინამიკის თვალყურის დევნება.

გამომდინარე მშპ-ს განვითარების თვალის დევნების შესაძლებლობიდან, უნდა არსებობდეს მშპ-ს განვითარების დინამიკის მონიტორინგისთვის მცირე ჯგუფი, იმისთვის რომ გადასცენ მონაცემები რეკომენდაციებით ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებს.

არსებობს კონტროლის საზღვრის სამი ზონა:

1. მარტივი დაკვირვება; 2. აქტიური შესწავლა; 3. ზომების მიღება.

საზღვრების გადაკვეთაზე მდებარეობენ გადაწყვეტილების მიღების წერტილები. საზღვრების სიმაღლე განისაზღვრება იმ მოცემული პარამეტრებით, რომლებიც შემდეგიდან გამომდინარეობენ: ზედა საზღვარი მშპ-ს განვითარების ოპტიმისტური გეგმაა, ქვედა საზღვარი მშპ-ს განვითარების პესიმისტური გეგმაა. მშპ-ს განვითარების საშუალო დონე არის საყრდენი მიმართულება. ყოველი ზონის დონე განისაზღვრება კრიტიკული მახასიათებლის პარამეტრებით.

პროგნოზებია:

საქართველოს მშპ-ს საპროგნოზო მოდელი პესიმისტური ვარიანტი, 1 სულ მოსახლეზე მოდის 17 000 $;

საქართველოს მშპ-ს საპროგნოზო მოდელი საბაზისო ვარიანტი, 1 სულ მოსახლეზე მოდის 25 000 $;

საქართველოს მშპ-ს საპროგნოზო მოდელი ოპტიმისტური ვარიანტი, 1 სულ მოსახლეზე მოდის 30 000 $;

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზი 2040 წლამდე:

მაღალი – 3.789 მილიონი ადამიანი;

საშუალო– 3.456 მილიონი ადამიანი;

დაბალი – 3.139 მილიონი ადამიანი.

საქართველოს შრომითი რესურსების დინამიკა 2040 წლამდე:

მაღალი – 2.387 მილიონი ადამიანი;

საშუალო– 2.177 მილიონი ადამიანი;

დაბალი – 1.978 მილიონი ადამიანი.

ისმება ხუთი ძირითადი კითხვა:

1. რისთვის არის საჭირო ჩვენი სტრატეგია?
2. რა მოაქვს საქართველოს ეკონომიკისათვის ჩვენ სტრატეგიას და რა პლიუსები გააჩნია მას?
3. რა აუცილებლობაა რომ შემუშავდეს სტრატეგია?
4. რა სარგებელს მოიტანს ჩვენის სტრატეგია?
5. რის ხარჯზე გაიზრდება ეკონომიკა?

ჩვენს მიერ შემოთავაზებული სტრატეგია საშუალებას იძლევა პასუხი გაეცეს ხუთივე ძირითად კითხვაზე.

ჩვენი სტრატეგია საშუალება იძლევა :

1. ვუზრუნველყოთ მაკროეკონომიკური სტაბილურობა;
   - საპროგნოზო ამოცანების შესაბამისი გამოზომილი ფინანსური დაგეგმვა;
   - ჩვენს მიერ შემოთავაზებული გეგმის მიხედვით აჭარის ეკონომიკის მოდერნიზაციაში პირდაპირი მონაწილეობა;
2. ზუსტად და უდეფიციტოთ გადავწყვიტოთ საბიუჯეტო და ფინანსური პოლიტიკის საკითხები, მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შენარჩუნებით:
   - საპროგნოზო ამოცანების შესაბამისი ფინანსური დაგეგმვა ბიუჯეტის შედგენის დროს;
   - ეკონომიკის განვითარების მონიტორინგის ხარჯზე მისი კორექტირება მონაცემთა დამუშავების პროცესში.

შევქმნათ პირობები საბაზრო ინსტიტუტების გასამაგრებლად, კონკურენციის გაანვითარებლად, განვსაზღვროთ მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირების პარამეტრები:

   - საპროგნოზო ამოცანების შესაბამისი ფინანსური დაგეგმვა ბიუჯეტის შედგენის დროს;
   - ეკონომიკის განვითარების მონიტორინგის ხარჯზე მისი კორექტირება მონაცემთა დამუშავების პროცესში.
3. ინოვაციათა სტიმულირებიდან გადავიდეთ ზრდაზე (ინოვაციების საფუძველზე):
   - საპრონოზო ამოცანების შესაბამისი ფინანსური დაგეგმვა ბიუჯეტის შედგენის დროს;
   - ეკონომიკის განვითარების მონიტორინგის ხარჯზე მისი კორექტირება მონაცემთა დამუშავების პროცესში.
4. გადავლახოთ რაიონების ტერიტორიული და საინფორმაციო დაქსაქსულობა. ვუზრუნველყოთ მოსახლეობასთან და ბიზნესთან კავშირი, რაც შეამცირებს უთანაბრობას და სიღარიბეს:
   - ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება, როგორიცაა „ღრუბელოვანი ტექნოლოგია“;
   - ტპკ- ტექნოლოგიური კომუნიკაციური პლატფორმები/
   - მოქნილი საგადასახადო სისტემა. მოზომილი დოტაციური პოლიტიკა, წერტილოვანი დაფინანსება;
   - „ღია მთავრობის სისტემის სექმნა“ ტპკ-ს ბაზაზე, „ღრუბელოვანი ტექნოლოგიის გამოყენებით“.
5. გავაუმჯობესოთ საცხოვრებელი გარემო, ცხოვრების ხარისხი და მოსახლეობის ჯანდაცვა:
   - პროგრამა: „განსახლების განვითარება“;
   - განვითარების პროგრამები: ჯანდაცვა; სოც. დაზღვევა; საპენსიო სისტემები;
   - წერტილოვანი დაფინანსება და ეკონომიკის განვითარების მონიტორინგი.
6. ავამაღლოთ მეცნიერებისა და განათლების პრესტიჟი;
   - პრიორიტეტების განსაზღვრა მეცნიერებისა და განათლების დაფინანსებისა;
   - არასახელმწიფო სექტორის განვითარება კვლევებისა და დაფინანსებისთვის;
   - ეროვნული ინოვაციური სისტემის შექმნა.
7. შევამციროთ სახელმწიფო ხარჯები და დავაჩქაროთ აჭარის ეკონომიკური ზრდა:
   - პროგრამა „4x7“;
   - სახელმწიფო ხარჯების შემცირება, წერტილოვანი დაფინანსება, ეკონომიკის მონიტორინგი.

რის ხარჯზეა შესაძლებელი ეკონომიკის ზრდა? პროგრამა „4x7“ (ურთიერთმიმართებითი) კრიზისის გადალახვის გასაღებია სტრატეგიული პერსპექტივის დანახვა!

1. სწორედ შერჩეული სტრატეგიით:
   - ეკონომიკის ტაბილიზაციით;
   - მზარდი მოთხოვნადი მექანიზმების შექმნა;
   - ბიზნესის განვითარების პირობების შექმნა;
   - ინოვაციების ეკონომიკაზე გადასვლა;
   - სახელმწიფო ხარჯების შემცირება;
   - პირობების შექმნა მეცნიერების განვითარებისთვის;
   - განათლების მიზნობრივი დაფინანსება.

2. სწორი ტაქტიკის განსაზღვრით:
   - სახელმწიფოს როლის განსაზღვრა;
   - სახელმწიფოს სწორი ჩართულობა ფინანსურ ინტერვენციაში;
   - ცენტრალიზება სახელმწიფოს ინტერვენციის სტრუქტურაში;
   - სახელმწიფოს პირდაპირი გავლენა ბიზნესის განვითარებაში (სასურველ დონემდე გასვლამდე);
   - სახელმწიფო შესყიდვების ოპტიმიზაცია;
   - ინოვაციები, როგორც ეკონომიკური განვითარების საფუძველი (გარღვევის ტექნოლოგიები).
3. სახელმწიფო მარაგების შექმნით:
   - შენატანების მოზიდვა;
   - ბიუჯეტიდან გადარიცხვები;
   - სარეზერვო ფონდის შექმნა და ოქროს მარაგის გაზრდა;
   - საერთაშორისო ფინანსური ინსტრუმენტების ფორმირება;
   - საერთაშორისო ფინასურ ბაზარზე გასვლა;
   - მოქნილი საგადასახადო სისტემის შექმნა;
   - კომპანიათა კაპიტალიზაციის ჯერადი ამაღლება.
4. დამოუკიდებლობით:
   - ეკონომიკური ვალებისგან განთავისუფლება ან რესტრუქტურიზაცია;
   - ექსპორტზე ორიენტაცია, მონისექტორულ ზარდაზე უარის თქმა;
   - პირობების შექმნა ლარის კონვერტირებულობისათვის;
   - პოლიტიკური-გარე დამოკიდებულებისგან განთავისუფლება, ნეიტრალობა როგორც პოლიტ მოდელი;
   - დომინირებული მდგომარეობიდან გამოსვლა, პოლიგამიური თანამშრომლობის პროცესის შექმნა;
   - მრავალვექტორულობა პოლიტიკაში;
   - სტრატეგიულ პარტნიორებთან თანამშრომლობის განმტკიცება.

ინოვაციურ-ტექნოლოგიური სისტემის პრიორიტეტები საქართველოსთვის 2040 წლამდეა:

- სასმელი წყლის ინოვაციური პროდუქცია (იონიზირებული, ტონიზირებული და ა.შ.);
- პრინციპულად ახალი მასალები, ლითონდამზოგავი ტექნოლოგიები, იზოტოპები;
- რაციონალური ბიოტექნოლოგია და ბიომედიცინა;
- ნანოტექნოლოგიები და ფოტონიკა (ლაზერები, გალოგრამები, ინფორმაციის გადაცემა ოპტიკური სადენებით);
- საინფორმაციო ტექნოლოგიები, სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა;
- განახლებადი ენერგორესურსები, ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიები;
- ინოვაციური ფარმაკოქიმიური და ფარმაცეპტული პრეპარატები;
- ნარჩენების პრინციპულად ახალი გადამუშავების ტექნოლოგიები;
- ახალი, ეკოლოგიურად სუფთა, ინოვაციური სასოფლო-სამეურნეო, სასურსათო პროდუქცია და ტექნოლოგიები;
- ტრანსპორტის პრინციპულად ახალი საშუალებები და ლოგისტიკური ცენტრები;
- ახალი ტაობის რესურსოდამზოგავი და მოქნილი სამრეწველო პროდუქცია.

ინოვაციური გარღვევის სტრატეგიის რეალიზაციის მექანიზმები

- საინოვაციო საქმიანობის საკანონმდებლო უზრუნველყოფა;
- საინოვაციო საქმიანობის გრძელვადიანი პროგნოზირება, სტრატეგიული დაგეგმვა და პროგრამირება;
- ინოვაციების პრიორიტეტული დაფინანსება და ინოვაციური პროცესების სტიმულირება. რისკების დაზღვევა;

- ტექნოლოგიურ გარღვევაზე ორიენტირებული ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირება;
- ორგანიზაციული სტრუქტურები, ინფორმაცია და კადრები ინოვაციისთვის;
- ბიზნესმენების, სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და შემოქმედებითი პირების საინოვაციო პარტნიორობა.

შედეგად საქართველო 2040 წლისთვის გახდება კავკასიის რეგიონის მოწინავე ქვეყნის სახე.

## *კონსტიტუციური მონარქიის ქართული მოდელი*

საქართველოში მონარქიის აღდგენაც ისტორიული სამართლიანობის აღდგენას ნიშნავს. საქართველოში მონარქიული სახელმწიფო წყობა გაუქმდა უცხო ქვეყნის მიერ განხორციელებული აგრესიის – ანექსიისა და ოკუპაციის შედეგად. ამდენად, მონარქიული მმართველობის აღდგენა ბუნებრივად აღადგენს სამართლებრივ კავშირს ახლანდელ და 1801 წლამდე არსებულ ქართულ სახელმწიფოებრიობას შორის, რის შედეგადაც უნდა აღდგეს ქართული სახელმწიფოებრიობის უწყვეტობის პრინციპი.

კონსტიტუციური მონარქიის მოდელი, რომელიც შემუშავებულია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ, საწყის ეტაპზე, ითვალისწინებს მონარქის კონსტიტუციურ ინსტიტუტს, რომელიც უზრუნველყოფს მონარქის დამოუკიდებლობას პოლიტიკური ცვლილებებისგან. ამ მოდელის თანახმად, მონარქი არ ახორციელებს აღმასრულებელ მმართველობას, თუმცა მას უდიდესი გავლენა აქვს ხელისუფლებაზე. ქვეყანას კვლავ მართავს ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი, პარლამენტი და მთავრობა – მინიტრთა კაბინეტი. თუმცა, მონარქი დგას პოლიტიკურ და პარტიულ უთანხმოებებზე მაღლა და მას პრაქტიკულად ენიჭება ნეიტრალური არბიტრის როლი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. ასეთი მოდელის არსებობის პირობებში გამორიცხულია ნებისმიერი არადემოკრატიული რეჟიმის მმართველობა, პირიქით, მონარქი ხდება დემოკრატიის და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის გარანტი, რადგან კონსტიტუცით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე არ დაუშვებს რომელიმე პოლიტიკური ძალის მიერ სახლემწიფო ხელისუფლების უკანონოდ მითვისებას.

მონარქი იქნება ერისა და ქვეყნის სიმბოლო. ის იქნება არჩეული მოქალაქეთა უმრავლესობის ნების საფუძველზე. შესაბამისად, ზემოაღნიშნულის გარანტს წარმოადგენს თავად მონარქის კონსტიტუციური ინსტიტუტი და არა კონკრეტული პიროვნება.

მონარქი (მეფე) წარმოადგენს როგორც ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების და დემოკრატიის დაცვის ალტერნატიული საკონსტიტუციო ინსტიტუტის უმაღლეს ხელმძღვანელს საქართველოში.

მონარქი (მეფე) – როგორც ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების და დემოკრატიის დაცვის ალტერნატიული საკონსტიტუციო ინსტიტუტის უმაღლესი ხელმძღვანელი საქართველოში, შეირჩევა სამართლებრივ დონეზე შესაბამის კანდიდატთა წრიდან (სამეფო დინასტიის შემადგენელი გვარის წარმომადგენელი). პირველადად მისი წარდგენა-არჩევა მოხდება ხალხის (რეფერენდუმის), ან ხალხის წარმომადგენლობითი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ, სააღმსრულებლო უმაღლესი ორგანოს (მთავრობის) მიერ ორგანიზებით. მონარქი ანგარიშვალდებულია ხალხის, მისი წარმომადგენლობითი უმაღლესიორგანოს წინაშე.

ასევე, მეფის წარდგენა შესაძლოა ჰქონდეს მსოფლიო მონარქთა გაერთიანებას (ან/და ბილდერბერგის კლუბს) და გ) თავად მონარქის დამოუკიდებელ კანდიდატებს, თუ ისინი დააკმაყოფილებენ სამეფო კრიტერიუმებს (რაც კანონით იქნება დაწესებული). ამ უკანასკნელთ პირველ რიგში თავადაც ენიჭებათ საკუთარი კანდიდატურის წამოყენების უფლება.

მეფის, მონარქის კონსტიტუციური უფლება – მოვალეობანია:

მეფე წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონსტიტუციური სამეფო ინსტიტუტის ხელმძღვანელს, რომელიც აღჭურვილია საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის მიმართულებით, რაც მოიცავს ხელისუფლების ყველა შტოს მიერ აღსასრულებლად სავალდებულო შემდეგ უფლებამოსილებებს:

მეფე – ლუსტრაციის პროცესის (კანონპროექტის) ინიციატორი, მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით და ამ პროცესზე კონტროლის უფლებისა და ვალდებულების მქონე პირი;
მეფე – ალტერნატიული სამეფო გამოძიების, მათ შორის სამეფო ჟურნალისტური გამოძიების (სამეფო საგამოძიებო მედია), შემქმნელი და ორგანიზატორი – კორუფციის, ნეპოტიზმისა და მონოპოლიის მიმართულებით აღმასრულებელი ხელისუფლების (პრეზიდენტის, მთავრობის) საქმიანობის კონტროლის მიზნით და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კონტროლის მიზნით.

ალტერნატიული სამეფო გამოძიების დაწყების საფუძველი, სხვა საფუძვლებთან ერთად, შეიძლება იყოს ქვეყნის მოქალაქეთა/მოქალაქის დასაბუთებული განცხადება.

მეფე – თავისუფალი (ანტიოლიგარქიული) საბაზრო ეკონომიკის, მათ შორის, თავისუფალი და დამოუკიდებელი საფონდო და სავალუტო ბირჟების შექმნის და საჯარო მმართველობაში მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველმყოფი კანონმდებლობის ინიციატორი საკანონმდებლო ხელისუფლების წინაშე, მის აღსრულებაზე კონტროლის უფლების მქონე პირია.

ამრიგად, საქართველოს რესპუბლიკაში მეფე უნდა იყოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების და დემოკრატიის დაცვის სახელმწიფო კონსტიტუციური გარანტი და უმაღლესი წარმომადგენელი, რომელიც ემორჩილება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო და ქვეყნის კანონმდებლობას და ანგარიშვალდებულია ხელისუფლების წყაროს – ხალხის წინაშე.

საკონსტიტუციო მონარქიის ეროვნული მოდელის განხორციელებით საქართველო ბუნებრივად დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს მაღალგანვითარებული ქვეყნების თანამეგობრობაში, სადაც კონსტიტუციური მონარქიაა დამკვიდრებული.

ოდესღაც ღირსებააღდგენილი ბაგრატიონთა დინასტია დაამყარებს თანაბარუფლებიან დინასტიურ ნათესაურ კავშირებს – მსოფლიო ქვეყნების სამეფო ოჯახებთან, რასაც ბუნებრივად მოჰყვება კავშირები ეკონომიკურ და კულტურულ დონეზე, შესაბამისი მაღალი მსოფლიო რეზონანსითა და პოლიტიკურ – კულტურული ბენეფიტებით.

არ უნდა დაგვავიწყდეს, სამართალი და ისტორიული სამართლიანობის აღდგენა საქართველოში, ესაა ჩვენი მთავარი კრედოც და მიზანიც.

საქართველოს მონარქი (მეფე), რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია უმნიშვნელოვანეს ვალდებულებებს დააკისრებს, დასახელებული უნდა იყოს შესაბამის კანდიდატთა წრიდან (ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის წარმომადგენელთაგან). სწორედ დასახელებულ კანდიდატთაგან მოხდება მისი აირჩევა ხალხის მიერ, 10 (ან 15) წლის ვადით, რადგან მონარქი, პირველ ყოვლისა, ხალხის წინაშე უნდა იყოს ანგარიშვალდებული. ამასთან, მეფობის კანდიდატის დასახელების უფლება ერთობლივად უნდა მიენიჭოს: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და მსოფლიო მონარქთა გაერთიანებას ან/და ბილდერბერგის კლუბს (ბუნებრივია, კანდიდატთან დაკავშირებით ერთობლივი შეთანხმების სამართლებრივი საფუძველი და მექანიზმი ცალკე უნდა შეიქმნას). რაც შეეხება საქართველოს მეფის კონსტიტუციურ უფლება – მოვალეობებს, რამდენადაც მეფე იქნება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონსტიტუციური სამეფო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ის

აღჭურვილი იქნება საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის მიმართულებით, რაც მოიცავს ხელისუფლების ყველა შტოს მიერ აღსასრულებლად სავალდებულო შემდეგ უფლებამოსილებებს:

მეფე – ლუსტრაციის პროცესის (კანონპროექტის) ინიციატორი, ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით, და ამ პროცესზე კონტროლის უფლებისა და ვალდებულების მქონე პირი;

მეფე – ალტერნატიული სამეფო გამოძიების, მათ შორის სამეფო ჟურნალისტური გამოძიების (სამეფო საგამოძიებო მედია), შემქმნელი და ორგანიზატორი – კორუფციის, ნეპოტიზმისა და მონოპოლიის მიმართულებით აღმასრულებელი ხელისუფლების (პრეზიდენტის, მთავრობის) საქმიანობის კონტროლის მიზნით და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კონტროლის მიზნით; ალტერნატიული სამეფო გამოძიების დაწყების საფუძველი, სხვა საფუძვლებთან ერთად, შეიძლება იყოს ქვეყნის მოქალაქეთა/მოქალაქის დასაბუთებული განცხადება.

მეფე – თავისუფალი (ანტიოლიგარქიული) საბაზრო ეკონომიკის, მათ შორის, თავისუფალი და დამოუკიდებელი საფონდო და სავალუტო ბირჟების შექმნის და საჯარო მმართველობაში მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველმყოფი კანონმდებლობის ინიციატორი საკანონმდებლო

ხელისუფლების წინაშე, მის აღსრულებაზე კონტროლის უფლების მქონე პირი. მეფე – მსოფლიო პოლიტიკური მედიაციის კავკასიური სახლის, ანუ მსოფლიო პოლიტიკური კრიზისის მარეგულირებელი კავკასიური სახლის ხელმძღვანელი...

როგორც ვხედავთ, საქართველოს მეფეს უმძიმესი, თუმცა აუცილებელი და საპატიო მისია დაეკისრება, რასაც ის ადვილად გაუმკლავდება მონარქიული წყობის მქონე იმ ქვეყნების დახმარებით, რომელთა წარმომადგენლებიც, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად, თავადვე დაასახელებენ სამეფო კანდიდატს.

ეს გახლავთ იმ ძირითად ვალდებულებათა ჩამონათვალი, რომელთა შესრულებაც საქართველოს უდავოდ შეამზადებს უფრო დიდი მისიისთვის – მსოფლიო ღირსების სასამართლოს, როგორც აგრესიის პრევენციისა და შემაკავებელი მექანიზმის, ადგილსამყოფელი ქვეყნის მისიისთვის, რაც თავისუფლებისკენ მსწრაფ, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა და მიუმხრობლობის მოძრაობის წევრ ქვეყანათა ახალი კავშირის – მსოფლიოს თავისუფალ ერთა ასამბლეის შექმნამ უნდა უზრუნველყოფს, შესაბამისი ნების გამოხატვის შემთხვევაში.

ვიმედოვნებთ, ნათელი სურათი შევქმენით იმის სადემონსტრაციოდ, რომ სამართლიანობის აღდგენა სწორედ საქართველოდან, როგორც სამყაროს მიკრომოდელიდან, უნდა იყოს დაწყებული, რაც, გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანია მთელი მსოფლიოსთვის. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ შემუშავებული, მონარქის კონსტიტუციური ინსტიტუტის მსოფლიო აღიარებით კი (მონარქიის ინსტიტუციის აღდგენა ქვეყნის ღირსების აღდგენის ტოლფასი აქტია) მონარქიული ქვეყნები, რომლებიც წარმოდგენილნი არიან მსოფლიო მონარქთა გაერთანებასა და ბილდერბერგის კლუბში, ცნობენ და აღიარებენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის (ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების) სამართლებრივ ღირსებას, რაც უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იქნება სამართლიანობის აღდგენის გზაზე.

ამრიგად, საქართველოს მეფე უნდა იყოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების და დემოკრატიის დაცვის კონსტიტუციური გარანტი და უმაღლესი წარმომადგენელი, რომელიც დაემორჩილება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო და ქვეყნის შიდა კანონმდებლობას და ანგარიშვალდებული იქნება ხელისუფლების წყაროს – ხალხის წინაშე. იმავროულად კი, მონარქის ინსტიტუცია გახდება იმ მისიისა და ვალდებულებების შესრულების გარანტი, რაც საქართველოს, როგორც მსოფლიო გეოპოლიტიკისა და გეოსტრატეგიის ცენტრალურ რგოლსა და კარიბჭეს, ეკისრება სრულიად კავკასიის, ევროპისა და აზიის და მშვიდობის მოსურნე მთელი კაცობრიობის წინაშე.

## *დასკვნითი ნაწილი*

აი, სწორედ ასე გვესახება ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის, ეროვნული იდეოლოგიისა და საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიმართულების ახალი ვექტორით სვლა და ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე მზადა ვართ ხელი მოვაწეროთ ერთობლივ საერთო პოლიტიკური პლატფორმის ჩარჩო-მემორანდუმს.

ამრიგად, ახალი რეალებიდან გამომდინარე:

*1.* ამ ამოცანების შესრულებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს შიგა სპეციალური სამართლებრივი კანონების საფუძველზე განმწმენდი აქტი – სრული პოლიტიკური, სამართლებრივი და ასევე, მორალურ-ზნეობრივი ლუსტრაციის განხორციელება.

საჭიროებისამებრ, დემოკრატიული, ლეგიტიმური და თავისუფალი ქვეყნის მიერ უნდა ჩატარდეს ასევე ურთიერთშეთანხმებითი, სახელმწიფოსა, თუ ნებისმიერ ორგანიზაციათა მიერ, ნებსით, თუ უნებლიეთ დაშვებული შეცდომებისა და არასწორი გადაწყვეტილებების უთუო და აუცილებელი გამოსწორებებისათვის სრული პოლიტიკური და სამართლებრივი ლუსტრაციის განხორციელება, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს როგორც სახელმწიფოს

შიგნით, ასევე მთელს ცივილიზებულ სამყაროში ორმხრივი სინანულის, საჭიროებისამებრ მონანიებისა და თანხმობა-შერიგების გარდაუვალ პროცესებს;

2. აუცილებელია სამართლებრივი, კანონიერი და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენის იდეა და მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების კონტექსტში გააზრება;

3. ამ ახალ ეტაპზე, კანონიერი კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის – საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის კანონიერი

უფლებამოსილება და ვალდებულება ისაა, რომ იგი ამიერიდან სათავეში უნდა ჩაუდგეს დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ მიმართულ ბრძოლას, რამდენადაც მას ენიჭება დუალისტური ფუნქცია – ის თავის კანონიერ და სამართლებრივ სტრუქტურებთან (ინსტიტუციებთან) ერთად წარმოადგენს როგორც ლეგიტიმურ ხელისუფლებას, ასევე კონსტიტუციურად საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმმართველ ცენტრსაც, ფაქტობრივ არალეგიტიმურ გარემოში ეროვნული დაუმორჩილებლობის მთავარ იურიდიულ ინსტიტუტს;

4. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" სამართლებრივი და კონსტიტუციური სტატუსითა და ეგიდით, ქვეყნისთვის მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან აცილების ნაკლებად სარისკო უალტერნატივო გზაა სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენა, მისი თანამედროვე დროში გასათვალისწინებელი ყველა სამართლებრივი ნიშნით, მცირე გარდამავალი პერიოდის გამოცხადება, სამართლებრივი, ლეგიტიმური, კანონიერი, საყოველთაო არჩევნების დანიშვნა-ჩატარება და მომავალი ხელისუფლების სამართლიანი, ლეგიტიმური გზით არჩევა, ანგაჟირებულად და დესტრუქციულ მხარეებად დაყოფილი საქართველოს ერთხელ და სამუდამოდ გამთლიანება, ლუსტრაციის, სინანულის, მონანიებისა და რეალური ეროვნული თანხმობის მიღწევის შესაძლებლობა. ამასთან, ეს გზა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების, ქვეყნის საბოლოო, საერთაშორისოდ აღიარებული სამართლიანობისა და გადარჩენის ერთადერთ გზად რჩება.

ეს ყოველივე საქართველოს სახელმწიფოებრიობის რეალური დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სამართლებრივად სწორ გზაზე დაყენების ერთადერთი მექანიზმია. ამ გზის დაუსაბუთებელი უარყოფა კი, მხოლოდ კონფრონტაციის, ქვეყნის გათიშულობის, ტერიტორიული მთლიანობის არაკეთილმოსურნე და საკუთარი პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილების მსურველ ძალებს აწყობს. საჭიროა, კანონიერი და ფიქტიურ-ფაქტობრივი ხელისუფლების თანხმობის შემთხვევაში, ან საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მშვიდობიანი პოლიტიკური ზეწოლით, ფაქტობრივი ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ სახელმწიფო გადატრიალების დღიდან დღემდე პერიოდი უნდა გამოცხადდეს უკანონოდ, სამართლებრივი და ლეგიტიმური საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დაინიშნოს და ჩატარდეს მრავალპარტიული, დემოკრატიული და საყოველთაო არჩევნები. ამასთან, არჩევნებისათვის უნდა ჩამოყალიბდეს ახალი ლეგიტიმური ცენტრალური საარჩევნო კომისია, სამართლებრივად შეთანხმებული საარჩევნო კანონის მიხედვით.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ყოველივე ეს განხორციელდეს საერთაშორისო თანამეგობრობის სახელმწიფოებისა და შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების კეთილი ნებისა და თანხმობის პირობებში.

აქედან ნათლად ჩანს, რომ აუცილებელია, მოხდეს სამართლებრივი, კანონიერი და კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა, რის შემდეგაც ქვეყანამ უნდა აირჩიოს ახალი ლეგიტიმური ხელისუფლება. სწორედაც კანონიერი ხელისუფლების მიერ ლეგიტიმური კონსტიტუციის თანახმად დანიშნულმა დემოკრატიულმა, მრავალპარტიულმა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა ჩაატაროს არჩევნები. მხოლოდ ამ არჩევნების შედეგად მოსული ხელისუფლება იქნება სამართლებრივი, კანონიერი, ლეგიტიმური, ასევე, უფლებამოსილი და ვალდებულიც, რომ იხელმძღვანელოს სამართლებრივი ბაზით.

საქართველოს სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს გეოპოლიტიკური უპირატესობები და მსოფლიო თანამეგობრების ქვეყნებთან შეთანხმებით დამოუკიდებელი პოლიტიკურ დიპლომატიური აქტიურობანი;

5. უნდა შესრულდეს 1975 წლის ჰელსინკის საერთაშორისო ხელშეკრულების მისიის სამართლებრივად სწორი დასრულება და მასთან შესაბამისი მემკვიდროებით ფუნქციის მქონე ახალი რიგი მიზნებისა და ამოცანების დასახვა.

ამასთან, აუცილებელი თუ არა, სასურველია, დადგეს 1975 წლის ჰელსინკის საერთაშორისო ხელშეკრულების დეკლარაციაზე ხელისმომწერი სახელმწიფოების პასუხისმგებლობის საკითხი. ამ საკითხის მოგვარება ხელს შეუწყობს ასევე რიგ ქვეყნებში რეალური სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა-თავისუფლების დამკვიდრებისა და ამ გზით მათი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობის განვითარების უზრუნველყოფას.

აქედან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინებას" მიაჩნია დაისვას შემდეგი საკითხები:

ა) 1975 წლის ჰელსინკის დეკლარაციაზე ხელისმომწერი სახელმწიფოების პასუხისმგებლობის საკითხი, მსოფლიოს ხალხებისა და ერების თვითმყოფადი განვითარების უზრუნველყოფის, ანუ ჰელსინკის საერთაშორისო დეკლარაციაში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობების ვექტორით მოცემული გარანტიების აღსრულების საქმეში;

ბ) საკითხი, საქართველოს, როგორც კავკასიის პოლიტიკური რეგიონის, ცენტრისა და ევრაზიული-მსოფლიო გზაჯვარედინი ქვეყნის საერთაშორისო მისიის შექმნისას და ამასთან მისი ორგანიზაციული დაფუძნებისას, საკუთარი წვლილის გაღებისათვის მსოფლიოში სამშვიდობო ცხოვრების უზრუნველყოფის საქმეში. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვისა და მსოფლიო კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის განხრით იურიდიული და სამართლებრივი საერთაშორისო ხელშეკრულებათა აქტების დახვეწის გარდუვალობა და თანხმობა-შერიგების პროცესის აუცილებლობა;

6. უნდა აღდგეს და აღორძინდეს საქართველოსა და კავკასიის მოსახლეობის დემოგრაფიული ბალანსი;

7. უნდა აღსრულდეს მსოფლიოს ისტორიული მისია და ჩამოყალიბდეს განახლებული მსოფლიოს ერთა ანსამბლეა - ახალი გაერთიანებული ერთა ორგანიზაცია;

8. მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება" შემოდის თქვენს წინაშე ინიციატივით უახლოეს, ყველასათვის მისაღებ დროს, ნებისმიერ ერთობლივად შერჩეულ ადგილას ჩატარდეს ,,ახალი ეროვნული ფორუმი" – ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის არსებული ,,ჰელსინკის ორგანიზაციების" წარმომადგენელთა ,,მსოფლიო ფორუმი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვისა და მსოფლიო უსაფრთხოების საკითხებში", საერთო, ერთობლივი ღონისძიებების, ურთიერთობების დამყარებისა და შემდგომი მოქმედებების შემუშავების მიზნით. მნიშვნელოვანია, დროულად დაიწყოს მსჯელობები აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში და დაისახოს შესაბამისი ღონისძიებები. ,,ახალი მსოფლიოს ფორუმის" მონაწილეთა ისტორიული მისიაა საფუძველი ჩაუყარონ თვისობრივად ახალ ინსტიტუტს, რომლის უზენაესი მიზანი იქნება, ადამიანის უფლებათა დაცვასთან ერთად, მსოფლიო კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფაც. მასთან, კავკასიის, როგორც მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის განმსაზღვრელი ახალი რეგიონული გაერთიანების - კავშირის შიგა მოწესრიგების პრინციპი კი ისტორიულ-ეთნიკური პროცესების განვითარებამ, მისმა ღრმა ფესვებმა უნდა განსაზღვროს, რაც საქართველოს იბერიულ-კავკასიურ ტომებთან ნათესაობით და ასევე შემდგომ ოთხი ზღვის (კასპიის, შავი ზღვის, აზოვისა, ხმელთაშუა ზღვის და შესაძლოდ პლიუს მინიმუმ ორი ოკეანის) აკვატორიათა და ნავსადგურთა გარკვეული ნაწილის შემდგომი მათი არეალის გაფართოებით, თანამშრომლობითა და კონტროლით განსაზღვრულ უპირატეს მდგომარეობაში აყენებს მას.

კვლავაც ვიმეორებთ მრავალჯერ ნათქვამს:

„- დღეის ამოცანა საკუთარი თავის ცნობაა. თავის ცნობისათვის საჭიროა ნათესავ-ტომობის ცნობა, ანუ იმის გარკვევა, ვინ რა გვარის სისხლ-ხორცისაგან და რა ტომის დედ-მამისაგან მოედინება. ვინც ამას გაარკვევს, იმასაც გაიგებს, შემდეგ რა გზით იაროს“ . . .

თუ ეროვნულ-პოლიტიკური აზროვნება არ დაეფუძვნა ღვთის ჭეშმარიტ რწმენას, ეროვნულ-სარწმუნოებრივი და ჰუმანისტური აზროვნების მსოფლმხედველობისა, თუ ტრადიციების აღორძინება-დამკვიდრების შეუვალ სურვილს, ზნეობრივ ფასეულობათა ერთგულებას, სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის პრიორიტეტს, ვეჭვობთ მივაღწიოთ ერის დარღვეული შინაგანი წონასწორობის, სახელმწიფოებრივი ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის, იდეოლოგიის, ტერიტორიული მთლიანობის, კანონიერების, სამართალმემკვიდრეობის აღდგენას, პოლიტიკურ-სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას, კულტურისა და ეკონომიკის აღმავლობას!

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" მიზანია დაანახოს და გააცნოს საქართველოსა და მთელ მსოფლიოს მისი ხედვა ქვეყნისა მოწყობისა და ახალი საყოველთაო, სამართლებრივი მსოფლიო წესრიგის შესახებ, მისი სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის მიღწევის, ერთიანობის უზრუნველყოფის, განათლებული სამოქალაქო და სოციალური სოლიდარული საზოგადოების ჩამოყალიბების გზით ჭეშმარიტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების, რეალურად დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების შექმნა-განმტკიცებისა და მისი კანონიერი რეალიზაციის, მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიული და სამართლებრივ სახელმწიფოთა მშენებლობის, მათი

მშვიდობიანი თანამშრომლობის ფუძემდებლური, ყოველმხრივი აღორძინების რეალური გეგმა და გზები, რომლითაც მოხდება სახელმწიფოს მიერ ადამიანის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება, ადამიანის ღირსებების უზრუნველყოფა და რომელიც დაფუძვნებული იქნება სახელმწიფოებრიობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური ჰარმონიის პრინციპებზე, ზნეობის პრიმატისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებით დაიცავს და დაამკვიდრებს ეროვნული თვითმყოფადობის, დემოკრატიისა, სამართლებრივი სახელმწიფოსა და თვითმმართველობის იდეალებს, პატივს სცემს ხალხთა თანასწორუფლებიანობას, საკუთარი ბედის გამგებლობას, მხარს დაუჭერს საომარი კონფლიქტების, გათიშულობისა და კონფრონტაციის თავიდან აცილების სამშვიდობო ცივილიზებულ პოლიტიკას. სახელმწიფოს ამოცანაა ყველა სფეროში ერის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობის, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება. ამ ფუძემდებლურ პრინციპებს კი აშკარად მივყევართ მომავლისაკენ, სადაც წარმატების კრიტერიუმი შრომა, ნიჭი და მსახურება იქნება, სადაც მთავარია: შესაძლებლობა, პასუხისმგებლობა და სოციალური სოლიდარობა. ეს იქნება ბურჯი, რომელსაც ქართული სახელმწიფო დაეფუძვნება. სახელმწიფო კი უნდა იყოს ენის, მამულის, სარწმუნოების დაცვის გარანტი, ქართული ცხოვრების არსის განმსაზღვრელი.

აქვე დავსძენთ, რომ 21 – ე საუკუნეშიც კი აგრესია (უკულტურობა) მართავს ქვეყნების ქცევას და პოლიტიკურ კურსს, ჩვენ კი არ ძალგვიძს ამის აღკვეთა. ამიტომ მსოფლიოს უპირველესი მიზანი უნდა გახდეს შეთანხმების მიღწევა იმგვარი საყოველთაო ნორმების შემუშავებაზე, რომელთა მეშვეობით აგრესიის შემაკავებელი ისეთი დამატებითი ინსტიტუციის შექმნა გახდება შესაძლებელი, რომელიც უნივერსალური იურისდიქციით იქნება აღჭურვილი. სწორედ ეს იქნება ჩვენი მაღალი კულტურის გამოხატულება – „მშვენიერება, რომლითაც გადავარჩენთ სამყაროს“. განსხვავებული დამოკიდებულება ჩვენ წარმოგვაჩენს არა ახალი

ნებისმიერ „ახალ მსოფლიო წესრიგად“ წოდებული, სამართლიანობისგან განძარცვული ფსევდოკულტურის შემქმნას მომავალი არა აქვს!

რას ვუპირისპირებთ აგრესიას? ცხადიაა, ღირსებას! ღირსებას, რომელსაც უნარი აქვს, თანამედროვედ და პროგრესულად მიჩნეულ სამართლის ნორმებშიც კი შენიშნოს უსამართლობისა და დისპროპორციულობის თუნდაც მიკროსკოპული ზომის მარცვალი და არ მოითმინოს იქ მისი არსებობა. ღირსებას, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში და ნებისმიერ ფასად დაარღვევს დუმილს და საფუძვლებს შეურყევს გაბატონებულ, ფსევდოღირსებით შენიღბულ რუტინას, რადგან „აქა დგას და სხვაგვარად არ ძალუძს“!

ამ ნოტით მოგიწოდებთ აგრესიის შემაკავებელი ეფექტური მექანიზმის შემუშავებისკენ, რომელიც აგრესიის მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვის შემადგენელი წინაპირობების შესწავლაში, გამოძიებასა და მამხილებელი დასკვნების მომზადებაში მდგომარეობს.

ვუწოდოთ მას პირობითად „მსოფლიო ღირსების სასამართლო“.

აგრესიის დანაშაულის ამჟამინდელი დეფინიცია ზოგადია და გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ისეთი ძალის გამოყენებას, რომელმაც ინტენსივობის მაღალ დონეს მიაღწია და ცალსახად უკანონოა. აქტი მიიჩნევა აგრესიად, თუ ის იქნება გამოხატული ისეთ ქმედებაში, რომელიც თავისი ხასიათით, სიმძიმითა და მასშტაბით წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის აშკარა დარღვევას. ცხადია, ეს განმარტება არ ასახავს იმ რეალობას, რომ აგრესიის დანაშაულს აქვს თავისი წინაპირობები, ზოგჯერ ისტორიულიც. შესაბამისად, ქმედების კვალიფიკაცია ვერ მოიცავს ამ წინაპირობებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მიზეზ-შედეგობრივ კავშირში არიან აგრესიის დანაშაულთან. აღნიშნულის გამო აგრესიის დანაშაულზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის ამოქმედება არ შეიძლება იყოს სრულყოფილი და ეფექტური მექანიზმი აგრესიის პრევენციის მიზნით. მით უფრო, რომ აგრესიის დანაშაული ხშირად მრავალწახნაგოვანია, აქვს დაფარული მხარეები და ვერ თავსდება მხოლოდ სამხედრო ძალის უკანონო გამოყენების დეფინიციაში. აგრესიას უკავშირდება ასევე ჰიბრიდული ომი, ინფორმაციული, ბიოლოგიური, კიბერ – ომების და სხვა ანალოგიური აქტების ჩათვლით, რომლებიც აგრესიის დანაშაულის გარკვეულ, შესაძლოა ისტორიულ, წინაპირობას წარმოადგენენ, სხვადასხვა ფაქტორებთან ერთობლიობაში. მიგვაჩნია, რომ არ იქნება გამართლებული ამ წინაპირობათა უგულებელყოფა, არამედ, აგრესიის პრევენციის მიზნით, საჭიროა მათი საფუძვლიანი კვლევა და გამოძიება.

გამოსავალს ჩვენ ვხედავთ თავისუფლებისკენ მსწრაფ, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა და მიუმხრობლობის მოძრაობის წევრ ქვეყანათა ახალი გაერთიანების – მსოფლიოს თავისუფალ

ერთა ასამბლეის (იხილეთ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ 2022 წლის 1 ნოემბრის მანიფესტი) და მსოფლიო ღირსების სასამართლოს, როგორც აგრესიის პრევენციისა და შემაკავებელი მექანიზმის, შექმნაში. ამასთან, მსოფლიო ღირსების სასამართლო აუცილებლად უნდა დაფუძნდეს საქართველოში, რაც მსოფლიო გეოპოლიტიკის მიერ ნაკარნახევ ყველაზე ოპტიმალურ გამოსავალს წარმოადგენს. ახლა კი ზემოაღნიშნულის აუცილებლობას დავასაბუთებთ:

კაცობრიობას აქამდე არასდროს ჰყოლია მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლო, რომელსაც ექნებოდა უფლებამოსილება განეხორციელებინა იურისდიქცია აგრესიის დანაშაულზე. დღეს ჩვენ გვქონდეს ასეთი ახალი სასამართლო, მაგრამ მას არა აქვს შეუზღუდავი უფლება, დამოუკიდებლად გამოიყენოს მის ხელთ არსებული სამართალი. საჭიროა ამ ბრწყინვალე იდეის გაძლიერება ისეთი სტრუქტურის სახით, რომელიც ნებისმიერი მომჩივანი ქვეყნის დასაბუთებული განაცხადის საფუძველზე (უნივერსალური იურისდიქცია), ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, შეუდგება აგრესიის მოსალოდნელი და სავარაუდო დანაშაულის ფაქტობრივი და ისტორიული წინაპირობების შესწავლას და მისი აშკარა თუ დაფარული გარემოებების კვლევას, მოწინააღმდეგე მხარის მიერ მოწოდებულ გარემოებათა და მტკიცებულებათა კვლევის ჩათვლით.

ამასთან, მსოფლიო ღირსების სასამართლოს ვერდიქტი უნდა წარმოადგენდეს ყოველმხრივ დასაბუთებულ დასკვნას, განკუთვნილს როგორც მომჩივანი, ისე მოწინააღმდეგე მხარისთვის (გამაფრთხილებელი ვერდიქტი) და ასევე – სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის. მოგეხსენებათ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ნორმები არ ითვალისწინებს ზემოაღნიშნულის შესაძლებლობას, თუნდაც ვეტოს უფლების – ამ აბსოლუტურად უსამართლო, ღირსებას მოკლებული, მშვიდობისა და მშვიდობიანი შეთანხმების წინააღმდეგ მომართული სამარცხვინო მექანიზმის – არსებობის გამო!

XXI საუკუნემდე მოღწეულ, კვლავ ომის ქარცეცხლში მყოფ, უკიდურესად გადაღლილ კაცობრიობას კი დღეს ყველაზე მეტად თავის ღირსეულ წარმომადგენელთა ცივილური შეთანხმება ესაჭიროება ზნეობრივი პოლიტიკის განსახორციელებლად, რაც უნივერსალურ სამართლებრივ გარანტზე უნდა იყოს დაფუძნებული. ასეთი შეთანხმება მხოლოდ ახალი მსოფლიო გაერთიანების შექმნით არის შესაძლებელი, გარანტი კი – მსოფლიო ღირსების სასამართლოს დაარსება გახლავთ.

კავკასიის რეგიონის მნიშვნელობა კარგად ვლინდება ფრაზაში: ის, ვინც ფლობს კავკასიას, ფლობს მსოფლიოს. თუმცა, ამ წინადადებაში ორჯერ ნახსენები სიტყვა – „ფლობს“ – აშკარად იმპერიულ სულისკვეთებას განასახიერებს და აგრესიის ინსპირაციას წარმოადგენს. აღნიშნული ფრაზის საპირწონედ ჩვენ ახალ პარადიგმას გთავაზობთ: თუ საქართველო, რომელიც გეოპოლიტიკური თვალსაზრისით კავკასიის გულს წარმოადგენს, მოიპოვებს მშვიდობასა და უსაფრთხოებას, სწორედ მშვიდობა და უსაფრთხოება გახდება სამხრეთ კავკასიის მფლობელი და იმ კარიბჭის მფლობელიც, რომელიც ერთმანეთის შესახვედრად (ეკონომიკური და კულტურული კავშირების დასაარსებლად, ან გასაღრმავებლად) ეპატიჟება აღმოსავლეთს, დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს. ეს კი ნიშნავს აღმოსავლეთის, დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნების უსწრაფეს ეკონომიკურ წინსვლას, განვითარებასა და პროგრესს. ყოველივე ამას სრულიად ბუნებრივად და კანონზომიერად მოჰყვება სრულიად კავკასიის თავისუფლება, რაც მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტად მოევლინება ნებისმიერ იმპერიულად განწყობილ ქვეყანას, რომელსაც აღუდგება შესაძლებლობა, შეინარჩუნოს და განავითაროს საკუთარი ბუნებრივი, ეკონომიკური და კულტურული რესურსები. ამასთან, მშვიდობა და უსაფრთხოება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ნამდვილი, თუ მსოფლიო ღირსების სასამართლო იქნება ამის გარანტორი, – სამართლიანობის უზენაესობის დამკვიდრების გზით. ვფიქრობთ, განვითარების სხვა ალტერნატივა არც არსებობს! სამართლიანობის აღდგენის გარანტია კი ახალმა მსოფლიო გაერთიანებამ და ახალმა შეთანხმებამ უნდა უზრუნველყოს. ასე, თანდათან და ბუნებრივად, კავკასიის მშვიდობა და უსაფრთხოება იქცევა მსოფლიო მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტად, ანუ ახალი მსოფლიო წესრიგის გარანტად. სწორედ ეს მიგვაჩნია მართებულ გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ ხედვად. ამ ხედვაზე მორგებული ქმედების ლოგიკურ შედეგად კი მივიღებთ არა ფასადურ, არამედ ნამდვილ, სამართლებრივ და სამართლიან მსოფლიო წესრიგს.

აგრესიის ისტორიული წინაპირობების შესწავლასა და მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენას გარდამტეხი მნიშვნელობა აქვს ახალი მსოფლიოსთვის, რომლის კონტურები ჩვენ უნდა გამოვკვეთოთ. ამისთვის ერთგვარი მიკრომოდელი გვჭირდება. საქართველო, როგორც ევროპისა და აზიის (აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის) გზასაყარზე მდებარე კარიბჭის – კავკასიის – გული, ამ მიკრომოდელის იდეალური ვერსიაა. თუ

სამყაროს მოაზროვნე და მშვიდობისმყოფელ ადამიანებს (თქვენი სახით!) სურთ ნამდვილი წესრიგი, მაშინ ისინი აუცილებლად აღიარებენ ღირსებაზე დაფუძნებული ზნეობრივი პოლიტიკის უპირატესობას ახალი მსოფლიოსთვის და მივლენ კიდეც ამ შეთანხმებამდე. სამართლიანობა ხომ სამართლებრივი სახელმწიფოს უპირველესი და უპირატესი ნიშანია. ხოლო ის გარემოება, რომ ამგვარი ნოტის ინიცირებას მისი ავტორი სამომავლოდ საქართველოს ეროვნულ – განმათავისუფლებელი მოძრაობის, ანუ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა (ზვიად გამსახურდიას მიერ შექმნილი კანონიერი ხელისუფლების) და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ მხრიდან მოიაზრებს და არა საქართველოს „de facto“ მთავრობის მხრიდან, იმითაც არის განპირობებული, რომ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების შეიარაღებული კრიმინალური გადატრიალების გზით მოსული ფაქტობრივი რეჟიმის სამართალმემკვიდრე რეჟიმებს არ ძალუძთ სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა, თავისუფალი ეკონომიკისა და თავისუფალი ბაზრის დაკანონება, დეოლიგარქიზაცია, დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფა. ვერც შეძლებენ, სამართლიანობის აღდგენის გარეშე, და რაც ყველაზე მთავარი და უპირატესია, ლუსტრაციის კანონის მიღების გარეშე!

ამ დროს – სწორედ საქართველოშია, როგორც სამყაროს მიკრომოდელში, სამართლიანობის აღდგენა გეოპოლიტიკურად და გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვანი მთელი მსოფლიოსთვის. ყოველივე ეს ნამდვილად არ არის რთულად მისაღწევი, თუკი იარსებებს დღევანდელი გაერო-ს წევრი ქვეყნების უმრავლესობის ნება.

დიდი იმედი გვაქვს, რომ გაეცნობით რა წარმოდგენილ ნოტას, საქართველოს ეროვნულ – განმათავისუფლებელ მოძრაობასთან პოლიტიკური დიალოგის აუცილებლობასაც, დაინახავთ და მასთან იდეოლოგიურ კონსენსუსში განაგრძობთ შემდგომ სვლას – მხოლოდ ზნეობრივი პოლიტიკასა და სამართლიანობაზე დაფუძნებული ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების მიზნით.

რამეთუ:
უსამართლობას შეიძლება მოვერიოთ მხოლოდ სამართლით!
სიცრუეს შეიძლება მოვერიოთ მხოლოდ სიმართლით!
უკანონობას შეიძლება მოვერით მხოლოდ კანონით!

მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ პრეზიდიუმი

2024 წლის 26 მაისი

# ნ ო ტ ა,

# როგორც გზამკვლევი დინების წინააღმდეგ - ზნეობრივ პოლიტიკაზე აგებული მსოფლიო წესრიგისკენ

/რიგითი იურისტის მოსაზრება, წარმოდგენილი მიმართვის ფორმით, საქართველოს ეროვნულ – განმათავისუფლებელი მოძრაობის მისიასა და დანიშნულებაზე და მის პოლიტიკურ დიალოგზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან და მსოფლიო საზოგადოებასთან/



იურისტი,
უფლებადამცველი

მაია დემეტრაძე

„სამართალი ნებისმიერი საერთაშორისო საზოგადოებისა,
ვინც ღირსია ასეთად იწოდებოდეს,
უარყოფითად უნდა განსჯიდეს იმ თვალსაზრისს,
რომლის თანახმად, ერებს შორის შეუძლებელია იყოს დასჯადი აგრესია.“
სერ ჰერშ ლაუტერპაჰტი

‘The law of any international society worthy
of the name must reject with reprobation
the view that between nations there can be no aggression calling for punishment.’
Sir Hersh Lauterpacht

ღრმადპატივცემულო მსოფლიო საზოგადოებავ,

ჩვენ 21 – ე საუკუნის მესამე ათწლეულში შევაბიჯეთ, უმაღლესი და უახლესი ტექნოლოგიების ეპოქაში. ამის მიუხედავად, კვლავ აგრესიის ყველაზე საშიში გამოვლინების პირისპირ ვდგავართ და კიდევ უფრო დიდი საფრთხის წინაშეც, რამეთუ აქამდე ვერ შევთანხმდით აგრესიის დანაშაულის პრევენციის ეფექტურ მექანიზმზე და სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. ჩვენს შორის ჯერ კიდევ არ არის მიღწეული კონსენსუსი მსოფლიო მშვიდობისა და წესრიგის საკითხებთან მიმართებით, რის გამოც აქამდე ვერ შევძელით და ვერც უახლოეს მომავალში შევძლებთ ამის მიღწევას, თუ არ გამოვძებნეთ საყრდენი წერტილი. საყრდენი წერტილი კი გახლავთ არა იმ

მისწრაფებათა ერთობლიობა, რაც ხელს გვიშლის თანხმობის მიღწევაში, არამედ იმ ინტერესთა თანხვედრა, რისკენაც მივისწრაფით, რაც გვაერთიანებს. თითოეულ თქვენგანს ვთავაზობთ მონაწილეობის მიღებას ასეთი საყრდენი წერტილის საძიებო სამუშაოებში.

არიან უძველესი ერები, რომლებსაც მხრებით მოაქვთ უდიდესი და გრანდიოზული კულტურა, და არიან ახალგაზრდა ერები, რომლებიც სიძველით ვერ დაიკვეხნიან, თუმცა, მათ წინაშე ახალი და გრანდიოზული შესაძლებლობებია. თუ მათი მსოფლმხედველობრივი იდეოლოგიის ამოსავალი გახდება სამართლიანობის უზენაესობა სხვა ერებთან და ქვეყნებთან მიმართებით, ეს მათ ზეკულტურულად და, ზოგ შემთხვევაში, ყველაზე ხანგრძლივი ისტორიის მქონე ერებზე აღმატებულადაც კი წარმოაჩენს („ესრეთ იყვნენ წინანი უკანა და უკანანი წინა“). კაცობრიობის ისტორია იცნობს უდიდეს იმპერიებს, რომლებიც საბოლოოდ ტრაგიკომიკურ წარმონაქმნებად იქცნენ სწორედ უსამართლობის გამო, რაც ამ იმპერიებმა თავიანთი პოლიტიკური და იდეოლოგიური კურსის მთავარ ქვაკუთხედად აქციეს სხვა ქვეყნებთან დამოკიდებულებაში.

ჩვენ ვწერთ კანონებს, ვქმნით საერთაშორისო კონვენციებს, მაგრამ ეს ყველაფერი ამაოა, რამეთუ 21 – ე საუკუნეშიც კი აგრესია (უკულტურობა[1]) მართავს ქვეყნების ქცევას და პოლიტიკურ კურსს, ჩვენ კი არ ძალგვიძს ამის აღკვეთა. ამიტომ მსოფლიოს უპირველესი მიზანი უნდა გახდეს შეთანხმების მიღწევა იმგვარი საყოველთაო ნორმების შემუშავებაზე, რომელთა მეშვეობით აგრესიის შემაკავებელი ისეთი დამატებითი ინსტიტუციის შექმნა გახდება შესაძლებელი, რომელიც უნივერსალური იურისდიქციით იქნება აღჭურვილი. სწორედ ეს იქნება ჩვენი მაღალი კულტურის გამოხატულება – „მშვენიერება, რომლითაც გადავარჩენთ სამყაროს“. განსხვავებული დამოკიდებულება ჩვენ წარმოგვაჩენს არა ახალი მსოფლიო წესრიგის, არამედ „ახალ მსოფლიო წესრიგად“ წოდებული, სამართლიანობისგან განძარცვული ფსევდოკულტურის შემქმნელებად, რომელსაც მომავალი არა აქვს! რას ვუპირისპირებთ აგრესიას? ცხადია, ღირსებას! ღირსებას, რომელსაც უნარი აქვს, თანამედროვედ და პროგრესულად მიჩნეულ სამართლის ნორმებშიც კი შენიშნოს უსამართლობისა და დისპროპორციულობის თუნდაც მიკროსკოპული ზომის მარცვალი და არ მოითმინოს იქ მისი არსებობა. ღირსებას, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში და ნებისმიერ ფასად დაარღვევს დუმილს და საფუძვლებს შეურყევს გაბატონებულ, ფსევდოღირსებით შენიღბულ რუტინას, რადგან „აქა დგას და სხვაგვარად არ ძალუძს“!

ღირსებას, რომელიც ყოველთვის დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს, რადგან არ არის მკვდარი მოცემულობა, არამედ – ცოცხალი ფენომენია და მთელი არსებით მოგვიხმობს მშვიდობის, განვითარებისა და პროგრესისკენ! გარკვეულ მიზეზთა გამო, თქვენი უმრავლესობისთვის შესაძლოა ნაკლებად იყოს ცნობილი, რომ სწორედ ამ ღირსების მატარებელი გახლდათ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი და თანამედროვე საქართველოს დამოუკიდებლობის მესაძირკვლე, ზვიად გამსახურდია (1990 – 1993). მას ეკუთვნის XX საუკუნის ყველაზე დიდებული პოლიტიკური ფრაზა – „მდინარის დინებას მკვდარი თევზები მიჰყვებიან“ – რომლითაც ღირსეული პასუხი გასცა მის მიმართ გამოთქმულ, XX საუკუნის ყველაზე უღირს პოლიტიკურ პრეტენზიას – „გამსახურდია მიცურავს დინების წინააღმდეგ“. ეს არის მხოლოდ ერთი ფაქტი მრავალთაგან, რაც ადასტურებს ზვიად გამსახურდიას მარადიულ დისიდენტობას, მათ შორის პრეზიდენტის პოსტზეც.

ჩვენ შესანიშნავად ვგრძნობთ, რამეთუ ჩვენ ვართ ადამიანები, რომ ღირსება – ეს სამართლიანობის აღსრულების ბუნებრივი შინაგანი მოთხოვნილებაა. თუმცა, ხშირად და უმეტესწილად, არაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ღირსება არ დავკარგოთ. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს, რომელთა შორის უმთავრესი, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, არის ამბიცია. არა სამართლიანობის აღმსრულებლად ყოფნის ამბიცია (რაც ნამდვილად იქნებოდა ყველაზე ჯანსაღი და საუკეთესო ამბიცია), არამედ, სამართლიანობის აღსრულების საწინააღმდეგოდ, იმ სიკეთეთა საკუთარ თავზე მიწერისა და მიკუთვნების ამბიცია, რის შექმნასა თუ განვითარებაშიც თავად არ გაგვიღია სათანადო წვლილი!

აქედან კი, სულ ორიოდე ნაბიჯიღა რჩება აგრესიამდე. თუმცა, ვფიქრობთ, უიმედობის საფუძველი მაინც არ გვაქვს, რადგან უამრავი ღირსეული ადამიანი ცხოვრობს და იღვწის ყველა ერსა და ქვეყანაში, თითოეული თქვენგანის სახით. ამიტომ თქვენთან შეთანხმება გვსურს და გვაქვს კიდეც ამის იმედი!

ამ ნოტით მოგიწოდებთ აგრესიის შემაკავებელი ეფექტური მექანიზმის შემუშავებისკენ, რომელიც აგრესიის მიზეზ – შედეგობრივი ჯაჭვის შემადგენელი წინაპირობების შესწავლაში, გამოძიებასა და მამხილებელი დასკვნების მომზადებაში მდგომარეობს. ვუწოდოთ მას პირობითად „მსოფლიო ღირსების სასამართლო“. რისთვის არის საჭირო კიდევ ერთი ღირსების სასამართლო? პასუხი მარტივია:

2017 წლის 15 დეკემბერს რომის სტატუტის მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება 2018 წლის 17 ივლისიდან აგრესიის დანაშაულზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის ამოქმედების შესახებ. ცხადია, ეს დროული და სასიხარულო ფაქტია, თუმცა, ჩვენი აზრით, არასაკმარისი. აგრესიის დანაშაულის ამჟამინდელი დეფინიცია ზოგადია და გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ისეთი ძალის გამოყენებას, რომელმაც ინტენსივობის მაღალ დონეს მიაღწია და ცალსახად უკანონოა.

აქტი მიიჩნევა აგრესიად, თუ ის იქნება გამოხატული ისეთ ქმედებაში, რომელიც თავისი ხასიათით, სიმძიმითა და მასშტაბით წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის აშკარა დარღვევას. ცხადია, ეს განმარტება არ ასახავს იმ რეალობას, რომ აგრესიის დანაშაულს აქვს თავისი წინაპირობები, ზოგჯერ ისტორიულიც. შესაბამისად, ქმედების კვალიფიკაცია ვერ მოიცავს ამ წინაპირობებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მიზეზ – შედეგობრივ კავშირში არიან აგრესიის დანაშაულთან.

აღნიშნულის გამო აგრესიის დანაშაულზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის ამოქმედება არ შეიძლება იყოს სრულყოფილი და ეფექტური მექანიზმი აგრესიის პრევენციის მიზნით. მით უფრო, რომ აგრესიის დანაშაული ხშირად მრავალწახნაგოვანია, აქვს დაფარული მხარეები და ვერ თავსდება მხოლოდ სამხედრო ძალის უკანონო გამოყენების დეფინიციაში.

აგრესიას უკავშირდება ასევე ჰიბრიდული ომი, ინფორმაციული, ბიოლოგიური, კიბერ – ომების და სხვა ანალოგიური აქტების ჩათვლით, რომლებიც აგრესიის დანაშაულის გარკვეულ, შესაძლოა ისტორიულ, წინაპირობას წარმოადგენენ, სხვადასხვა ფაქტორებთან ერთობლიობაში. მიგვაჩნია, რომ არ იქნება გამართლებული ამ წინაპირობათა უგულებელყოფა, არამედ, აგრესიის პრევენციის მიზნით, საჭიროა მათი საფუძვლიანი კვლევა და გამოძიება. შეუძლებელია, არ ვაღიაროთ, რომ რომის სტატუტის მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის 2017 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება უაღრესად მნიშვნელოვანი და პროგრესულია, რადგან უპრეცედენტოდ გაზარდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს როლი. ეს ასევე საგრძნობლად გაზრდის სასამართლოს გავლენასაც. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს იურისდიქცია უფრო ფართოა, ვიდრე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსი.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ჯერჯერობით ვერ გაავრცელებს თავის იურისდიქციას გაერო – ს უშიშროების საბჭოს თანხმობის გარეშე. გამოსავალს ჩვენ ვხედავთ თავისუფლებისკენ მსწრაფ, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა და მიუმხრობლობის მოძრაობის წევრ ქვეყანათა ახალი კავშირის – მსოფლიოს თავისუფალ ერთა ასამბლეის (იხილეთ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ 2022 წლის 1 ნოემბრის მანიფესტი) და მსოფლიო ღირსების სასამართლოს, როგორც აგრესიის პრევენციისა და შემაკავებელი მექანიზმის, შექმნაში. ამასთან, მსოფლიო ღირსების სასამართლო აუცილებლად უნდა დაფუძნდეს საქართველოში, რაც მსოფლიო გეოპოლიტიკის მიერ ნაკარნახევ ყველაზე ოპტიმალურ გამოსავალს წარმოადგენს.

[1] თუ ჩვენ შევეკითხებით საკუთარ თავს, თუ რა არის აგრესია, შინაგანი ხმა უეჭველად გვიპასუხებს (თუ არ შევეცდებით მის ჩახშობას), რომ აგრესია – არის დეჰუმანურობა, უზნეობა და ამორალურობა. ესე იგი, აგრესია – უკულტურობაა, რამეთუ კაცობრიობის უგრძესი ისტორიის მანძილზე სატვირთი მისია, რომელიც კულტურის (ზნეობა, რწმენა, ადათი, ხელოვნება, ლიტერატურა) ფენომენს დაეკისრა, მდგომარეობს კაცთა შორის ჰუმანიზმის, ზნეობისა და მორალის გაღვივებასა და განვითარებაში. აგრესია ამ ფენომენის საწინააღმდეგო ქმედებათა ერთობლიობაა, ამიტომ არის ის უკულტურობის ხატება და მსგავსება. ალბათ დაგვეთანხმებით, რომ კულტურის კიდევ უფრო აღმატებული, წმინდათა წმინდა მისია და უმაღლესი დანიშნულება ადამიანთა გულებში სამართლიანობის თანდაყოლილი მარცვლის გაღვივებასა და აღმოცენებაში გამოიხატება. ამდენად, როგორც ცალკეული ადამიანების, ისე ერებისა და ქვეყნების კულტურის ყველაზე დიდ გამოვლინებად, ადრე თუ გვიან, სწორედ სამართლიანობისკენ იდეური და პოლიტიკური სწრაფვა იქნება მიჩნეული.

ახლა კი ზემოაღნიშნულის აუცილებლობას დავასაბუთებთ:

კაცობრიობას აქამდე არასდროს ჰყოლია მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლო, რომელსაც ექნებოდა უფლებამოსილება, განეხორციელებინა იურისდიქცია აგრესიის დანაშაულზე. დღეს ჩვენ გვაქვს ასეთი სასამართლო, მაგრამ მას არა აქვს შეუზღუდავი უფლება, დამოუკიდებლად გამოიყენოს მის ხელთ არსებული სამართალი. საჭიროა ამ ბრწყინვალე იდეის გაძლიერება ისეთი სტრუქტურის სახით, რომელიც ნებისმიერი მომჩივანი ქვეყნის დასაბუთებული განაცხადის საფუძველზე (უნივერსალური იურისდიქცია), ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, შეუდგება აგრესიის მოსალოდნელი და სავარაუდო დანაშაულის ფაქტობრივი და ისტორიული წინაპირობების შესწავლას და მისი აშკარა თუ დაფარული გარემოებების კვლევას, მოწინააღმდეგე მხარის მიერ მოწოდებულ გარემოებათა და მტკიცებულებათა კვლევის ჩათვლით. ამასთან, მსოფლიო ღირსების სასამართლოს ვერდიქტი უნდა წარმოადგენდეს ყოველმხრივ დასაბუთებულ დასკვნას, განკუთვნილს როგორც მომჩივანი, ისე მოწინააღმდეგე მხარისთვის (გამაფრთხილებელი ვერდიქტი) და ასევე – სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის. მოგეხსენებათ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ნორმები არ ითვალისწინებს ზემოაღნიშნულის შესაძლებლობას, თუნდაც ვეტოს უფლების – ამ აბსოლუტურად უსამართლო, ღირსებას მოკლებული, მშვიდობისა და მშვიდობიანი შეთანხმების წინააღმდეგ მომართული სამარცხვინო მექანიზმის – არსებობის გამო! XXI საუკუნემდე მოღწეულ, კვლავ ომის ქარცეცხლში მყოფ, უკიდურესად გადაღლილ კაცობრიობას კი დღეს ყველაზე მეტად თავის ღირსეულ წარმომადგენელთა ცივილური შეთანხმება ესაჭიროება ზნეობრივი პოლიტიკის განსახორციელებლად, რაც უნივერსალურ სამართლებრივ გარანტზე უნდა იყოს დაფუძნებული. ასეთი შეთანხმება მხოლოდ ახალი მსოფლიო გაერთიანების შექმნით არის შესაძლებელი, გარანტი კი – მსოფლიო ღირსების სასამართლოს დაარსება გახლავთ. რატომ საქართველოში? მისი გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მნიშვნელობის გამო: საქართველო გახლავთ ცენტრალური ნაწილი კავკასიის რეგიონისა, რომელიც, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ბუნებრივ მთიან მიჯნას წარმოადგენს და ერთმანეთისგან ყოფს ევროპასა და აზიას, ჩრდილოეთს და სამხრეთს, თურქულ და სლავურ სამყაროს, მუსლიმანობას და ქრისტიანობას. კავკასიის რეგიონზე ისტორიულად მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები და მარშრუტები გადიოდა. რეგიონი იყო და არის აზიისა და ევროპის კარიბჭე, რის გამოც კავკასია დიდი სახელმწიფოების ინტერესთა ზონაში აღმოჩნდა და მის დასაუფლებლად გრძელვადიანი ომები მიმდინარეობდა. ის, ვისაც სურს, საკუთარი გავლენისა და ჰეგემონიის გავრცობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე, ბუნებრივია, ნებისმიერი ფორმით შეეცდება, სწორედ საქართველო მოაქციოს თავისი პოლიტიკური დომინირების ქვეშ.

ამასთან, საქართველოს მეზობელი ქვეყნები ერთმანეთთან მესამე ძალის მიერ ინსპირირებული ომის მდგომარეობაში იმყოფებიან, უფრო სამხრეთით მდებარე ქვეყანა კი დასავლეთის მოწინააღმდეგეა. მხოლოდ საქართველოა ერთადერთი გეოგრაფიული

კარიბჭე, რომლის მეშვეობითაც მის მეზობელ ქვეყნებს შეუძლიათ სტრატეგიული კომუნიკაციისა და ეკონომიკური კავშირების დამყარება დასავლეთთან ყველაზე მოკლე გზით და ყველაზე სწრაფად. საქართველოს მოქცევა რომელიმე ქვეყნის დომინირების ქვეშ, მის მეზობელ ქვეყნებს და აზიას უკარგავს ამ ერთადერთ შესაძლებლობას. შედეგები კი ძალიან სერიოზული იქნება ევროპისთვისაც, რომლისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანია კომუნიკაცია როგორც სამხრეთ კავკასიის, ისე ცენტრალური აზიის ქვეყნებთან. შესაბამისად, თუ საქართველოზე გამავალი ე.წ. „სატრანზიტო დერეფანი“ რუსეთის გავლენის ქვეშ აღმოჩნდება, დასავლეთს მოუწევს რუსეთისადმი უფრო დამთმობი პოლიტიკის გატარება. ამრიგად, კავკასია თანაბრად მნიშვნელოვანია აზიისა და ევროპისთვის, სამი ძირითადი მიზეზის გამო: პირველი – გეოსტრატეგიულად კავკასია ორივე რეგიონისთვის ერთმანეთისკენ გასასვლელ კარიბჭეს წარმოადგენს; მეორე – ცენტრალური აზიისთვის კავკასია დასავლურ ბაზარზე უმოკლესი გასასვლელის ფუნქციას ასრულებს; მესამე – ცენტრალურ აზიასთან ერთად კავკასია ქმნის მაკრორეგიონს ნავთობითა და ბუნებრივი გაზით მდიდარი საბადოებით, რაც დასავლური ინვესტიციების ინტერესის საგანს წარმოადგენს.




კავკასიის რეგიონის მნიშვნელობა კარგად ვლინდება ფრაზაში: ის, ვინც ფლობს კავკასიას, ფლობს მსოფლიოს. თუმცა, ამ წინადადებაში ორჯერ ნახსენები სიტყვა – „ფლობს“ – აშკარად იმპერიულ სულისკვეთებას განასახიერებს და აგრესიის ინსპირაციას წარმოადგენს. აღნიშნული ფრაზის საპირწონედ ჩვენ ახალ პარადიგმას გთავაზობთ: თუ საქართველო, რომელიც გეოპოლიტიკური თვალსაზრისით კავკასიის გულს წარმოადგენს, მოიპოვებს მშვიდობასა და უსაფრთხოებას, სწორედ მშვიდობა და უსაფრთხოება გახდება სამხრეთ კავკასიის მფლობელი და იმ კარიბჭის მფლობელიც, რომელიც ერთმანეთის შესახვედრად (ეკონომიკური და კულტურული კავშირების დასაარსებლად ან გასაღრმავებლად) ეპატიჟება აღმოსავლეთს, დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს. ეს კი ნიშნავს აღმოსავლეთის, დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნების უსწრაფეს ეკონომიკურ წინსვლას, განვითარებასა და პროგრესს. ყოველივე ამას სრულიად ბუნებრივად და კანონზომიერად მოჰყვება სრულიად კავკასიის თავისუფლება, რაც მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტად მოევლინება თავად რუსეთსაც, რომელსაც აღუდგება შესაძლებლობა, შეინარჩუნოს და განავითაროს საკუთარი ბუნებრივი, ეკონომიკური და კულტურული რესურსები. ამასთან, მშვიდობა და უსაფრთხოება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ნამდვილი, თუ მსოფლიო ღირსების სასამართლო იქნება ამის გარანტორი, – სამართლიანობის უზენაესობის დამკვიდრების გზით. ვფიქრობთ, განვითარების სხვა ალტერნატივა არც არსებობს! სამართლიანობის აღდგენის გარანტია კი ახალმა მსოფლიო გაერთიანებამ და ახალმა შეთანხმებამ უნდა

უზრუნველყოს. ასე, თანდათან და ბუნებრივად, კავკასიის მშვიდობა და უსაფრთხოება იქცევა მსოფლიო მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტად, ანუ ახალი მსოფლიო წესრიგის გარანტად. სწორედ ეს მიგვაჩნია მართებულ გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ ხედვად. ამ ხედვაზე მორგებული ქმედების ლოგიკურ შედეგად კი მივიღებთ არა ფასადურ, არამედ ნამდვილ, სამართლებრივ და სამართლიან მსოფლიო წესრიგს. აგრესიის ისტორიული წინაპირობების შესწავლასა და მათ შორის მიზეზ – შედეგობრივი კავშირის დადგენას გარდამტეხი მნიშვნელობა აქვს ახალი მსოფლიოსთვის, რომლის კონტურები ჩვენ უნდა გამოვკვეთოთ. ამისთვის ერთგვარი მიკრომოდელი გვჭირდება. საქართველო, როგორც ევროპისა და აზიის (აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის) გზასაყარზე მდებარე კარიბჭის – კავკასიის – გული, ამ მიკრომოდელის იდეალური ვერსიაა. თუ სამყაროს მოაზროვნე და მშვიდობისმყოფელ ადამიანებს (თქვენი სახით!) სურთ ნამდვილი წესრიგი, მაშინ ისინი აუცილებლად აღიარებენ ღირსებაზე დაფუძნებული ზნეობრივი პოლიტიკის უპირატესობას ახალი მსოფლიოსთვის და მივლენ კიდეც ამ შეთანხმებამდე. სამართლიანობა ხომ სამართლებრივი სახელმწიფოს უპირველესი და უპირატესი ნიშანია. ხოლო ის გარემოება, რომ ამგვარი ნოტის ინიცირებას მისი ავტორი სამომავლოდ საქართველოს ეროვნულ – განმათავისუფლებელი მოძრაობის, ანუ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა (ზვიად გამსახურდიას მიერ შექმნილი კანონიერი ხელისუფლების) და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ მხრიდან მოიაზრებს და არა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების შეიარაღებული კრიმინალური გადატრიალების გზით მოსული ფაქტობრივი რეჟიმის სამართალმემკვიდრე რეჟიმებს არ ძალუძთ სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა, თავისუფალი ეკონომიკისა და თავისუფალი ბაზრის დაკანონება, დეოლიგარქიზაცია, დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფა. ვერც შეძლებენ, სამართლიანობის აღდგენის გარეშე და რაც ყველაზე მთავარი და უპირატესია, ლუსტრაციის კანონის მიღების გარეშე! ამ დროს – სწორედ საქართველოშია, როგორც სამყაროს მიკრომოდელში, სამართლიანობის აღდგენა გეოპოლიტიკურად და გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვანი მთელი მსოფლიოსთვის. ყოველივე ეს ნამდვილად არ არის რთულად მისაღწევი, თუკი იარსებებს გაერო – ს წევრი ქვეყნების უმრავლესობის ნება.

არის კიდევ ერთი საფეხური, რომელზეც ჩვენ ერთად უნდა ავიდეთ და რომელიც საგრძნობლად გაგვიადვილებს გზის სიძნელეს. ახალი, სამართლიანი და მშვიდობიანი მსოფლიო წესრიგის სამართლებრივ ჭრილში აუცილებლად უნდა განვიხილოთ მონარქის ინსტიტუციის თანამედროვე, კონსტიტუციურ ფორმატში აღდგენა და საპარლამენტო მონარქიის დანერგვა საქართველოში. მხოლოდ მონარქის კონსტიტუციურ ინსტიტუტს ძალუძს, აბსოლუტურ თანხვედრაში მოვიდეს იმ ისტორიული ფუნქციის შესრულებასთან, რაც ბუნებითად დაეკისრა საქართველოს, როგორც ევრაზიის გზასაყარზე არსებულ მსოფლიო კარიბჭეს. რაში მდგომარეობს აღნიშნული თანხვედრა ქვეყნის ისტორიულ მისიასა და მონარქის კონსტიტუციურ ინსტიტუტს შორის და როგორ უნდა მოხდეს მისი რეალიზება? სურათი სრულიად ნათელი იქნება, თუ ჩვენ თანხვედრაში ვალდებულებებს მოვიაზრებთ და განვიხილავთ. მართლაც, მოცემულ შემთხვევაში, ვალდებულებებია ის ჭეშმარიტი გზა, რომლის მეშვეობითაც ქვეყანამ ისტორიული საკაცობრიო მისია უნდა აღასრულოს. ასეთ პირობებში კი სწორედ კონსტიტუციით დადგენილ და კონსტიტუციითვე შეზღუდულ მონარქს, და მხოლოდ მას, შეუძლია იტვირთოს და აღასრულოს ეს ვალდებულებები, რასაც უთუოდ მოჰყვება პოზიტიური შედეგი დანარჩენი მსოფლიოსთვის. მონარქს – იმიტომ, რომ სწორედ ის წარმოადგენს სახელმწიფოებრივი კონტინუიტეტის აღმდგენ, მისი სრული სურათის შემქმნელ უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს ელემენტს, თუნდაც სიმბოლურს, ქვეყნის მართვის თვალსაზრისით (მეფე მეფობს, მაგრამ არ მართავს). ხოლო პოლიტიკური დივიდენდი დანარჩენი მსოფლიოსთვის იქნება იმ ნოყიერი საბაზისო ნიადაგის შექმნა საქართველოში, რომელიც

მომავალში მსოფლიო პოლიტიკური მედიაციის კავკასიური სახლის დაარსებას უზრუნველყოფს – საქართველოს მეფის ხელმძღვანელობით და მშვიდობისმოსურნე ქვეყნების ჩართულობით. მსოფლიო პოლიტიკური მედიაციის კავკასიური სახლის, ანუ მსოფლიო პოლიტიკური კრიზისის მარეგულირებელი კავკასიური სახლის შექმნის აუცილებლობის შესახებ არგუმენტებს მომავალში მოგაწვდით (კავკასიური სახლის კონცეფციას შეგიძლია გაეცნოთ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ 2022 წლის 1 ნოემბრის მანიფესტში), სახელმწიფოებრივი კონტინუიტეტის აღდგენა კი მსოფლიო ღირსების სასამართლოსკენ, ესე იგი, ახალი, სამართლიანი მსოფლიო წესრიგისკენ სავალი უმთავრესი გზაა, რადგან მხოლოდ ღირსებააღდგენილს ძალუძს სხვათა ღირსების დაცვა (შეგახსენებთ, მონარქიული სახელმწიფო წყობა საქართველოში გაუქმდა უცხო ქვეყნის მიერ განხორციელებული აგრესიის – ანექსიისა და ოკუპაციის შედეგად. შესაბამისად, მონარქიული მმართველობის აღდგენა ბუნებრივად აღადგენს სამართლებრივ კავშირს ახლანდელ და 1801 წლამდე არსებულ ქართულ სახელმწიფოებრიობას შორის, რის შედეგადაც აღდგება ქართული სახელმწიფოებრიობის უწყვეტობის პრინციპი)! გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოში მონარქის კონსტიტუციური ინსტიტუტის აღდგენას სხვა მხრივაც აქვს უდიდესი მნიშვნელობა მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე. საპარლამენტო მონარქიის მოდელი, რომლის შემუშავებაზეც ზრუნავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მონარქის კონსტიტუციური ინსტიტუტის შექმნას ითვალისწინებს, რომელიც უზრუნველყოფს მონარქის დამოუკიდებლობას პოლიტიკური ცვილებებისგან. ამ მოდელის თანახმად, მონარქი, მართალია, არ ახორცილებს მმართველობას, მაგრამ მას უდიდესი გავლენა აქვს ხელისუფლებაზე. ვიმედოვნებთ, არ გვჭირდება ზედმეტად იმის მტკიცება, რომ ქვეყანას კვლავ მართავს ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი, პარლამენტი და მთავრობა. არც იმის, რომ მონარქი დგას პოლიტიკურ და პარტიულ უთანხმოებებზე მაღლა და მას პრაქტიკულად ენიჭება ნეიტრალური არბიტრის როლი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. ცხადია, ასეთი მოდელის არსებობის პირობებში გამორიცხულია ნებისმიერი არადემოკრატიული რეჟიმის მმართველობა, პირიქით, მონარქი ხდება დემოკრატიის და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის გარანტი, რადგან, კონსტიტუცით მინიჭებული უფლება – მოვალეობათა საფუძველზე, არ დაუშვებს რომელიმე პოლიტიკური ძალის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების უკანონოდ მითვისებას. თუმცა, ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი, ვიტყოდი – კულმინაციური, მომენტი გახლავთ საქართველოს მონარქის და დემოკრატიის დაცვის ალტერნატიული საკონსტიტუციო ინსტიტუტის უმაღლესი ხელმძღვანელის, კანდიდატის დასახელება. საქართველოს მონარქი (მეფე), რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია უმნიშვნელოვანეს ვალდებულებებს დააკისრებს, დასახელებული უნდა იყოს შესაბამის კანდიდატთა წრიდან (ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის წარმომადგენელთაგან). სწორედ დასახელებულ კანდიდატთაგან მოხდება მისი აირჩევა ხალხის მიერ, 10 (ან 15) წლის ვადით, რადგან მონარქი, პირველ ყოვლისა, ხალხის წინაშე უნდა იყოს ანგარიშვალდებული. ამასთან, მეფობის კანდიდატის დასახელების უფლება ერთობლივად უნდა მიენიჭოს: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და მსოფლიო მონარქთა გაერთიანებას ან/და ბილდერბერგის კლუბს საფუძველი და მექანიზმი ცალკე უნდა შეიქმნას). რაც შეეხება საქართველოს მეფის კონსტიტუციურ უფლება – მოვალეობებს, რამდენადაც მეფე იქნება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონსტიტუციური სამეფო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ის აღჭურვილი იქნება საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის მიმართულებით, რაც მოიცავს ხელისუფლების ყველა შტოს მიერ აღსასრულებლად სავალდებულო შემდეგ უფლებამოსილებებს:

მეფე – ლუსტრაციის პროცესის (კანონპროექტის) ინიციატორი, ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით, და ამ პროცესზე კონტროლის უფლებისა და

ვალდებულების მქონე პირი;

მეფე – ალტერნატიული სამეფო გამოძიების, მათ შორის სამეფო ჟურნალისტური გამოძიების (სამეფო საგამოძიებო მედია), შემქმნელი და ორგანიზატორი – კორუფციის, ნეპოტიზმისა და მონოპოლიის მიმართულებით აღმასრულებელი ხელისუფლების (პრეზიდენტის, მთავრობის) საქმიანობის კონტროლის მიზნით და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კონტროლის მიზნით; ალტერნატიული სამეფო გამოძიების დაწყების საფუძველი, სხვა საფუძვლებთან ერთად, შეიძლება იყოს ქვეყნის მოქალაქეთა/მოქალაქის დასაბუთებული განცხადება.

მეფე – თავისუფალი (ანტიოლიგარქიული) საბაზრო ეკონომიკის, მათ შორის, თავისუფალი და დამოუკიდებელი საფონდო და სავალუტო ბირჟების შექმნის და საჯარო მმართველობაში მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველმყოფი კანონმდებლობის ინიციატორი საკანონმდებლო ხელისუფლების წინაშე, მის აღსრულებაზე კონტროლის უფლების მქონე პირი.

მეფე – მსოფლიო პოლიტიკური მედიაციის კავკასიური სახლის, ანუ მსოფლიო პოლიტიკური კრიზისის მარეგულირებელი კავკასიური სახლის ხელმძღვანელი...

როგორც ვხედავთ, საქართველოს მეფეს უმძიმესი, თუმცა აუცილებელი და საპატიო მისია დაეკისრება, რასაც ის ადვილად გაუმკლავდება მონარქიული წყობის მქონე იმ ქვეყნების დახმარებით, რომელთა წარმომადგენლებიც, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად, თავადვე დაასახელებენ სამეფო კანდიდატს.

ეს გახლავთ იმ ძირითად ვალდებულებათა ჩამონათვალი, რომელთა შესრულებაც საქართველოს უდავოდ შეამზადებს უფრო დიდი მისიისთვის – მსოფლიო ღირსების სასამართლოს, როგორც აგრესიის პრევენციისა და შემაკავებელი მექანიზმის, ადგილსამყოფელი ქვეყნის მისიისთვის, რაც თავისუფლებისკენ მსწრაფ, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა და მიუმხრობლობის მოძრაობის წევრ ქვეყანათა ახალი კავშირის – მსოფლიოს თავისუფალ ერთა ასამბლეის შექმნამ უნდა უზრუნველყოფს, შესაბამისი ნების გამოხატვის შემთხვევაში.

ვიმედოვნებთ, ნათელი სურათი შევქმენით იმის სადემონსტრაციოდ, რომ სამართლიანობის აღდგენა სწორედ საქართველოდან, როგორც სამყაროს მიკრომოდელიდან, უნდა იყოს დაწყებული, რაც, გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანია მთელი მსოფლიოსთვის. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ შემუშავებული, მონარქის კონსტიტუციური ინსტიტუტის მსოფლიო აღიარებით კი (მონარქიის ინსტიტუციის აღდგენა ქვეყნის ღირსების აღდგენის ტოლფასი აქტია) მონარქიული ქვეყნები, რომლებიც წარმოდგენილნი არიან მსოფლიო მონარქთა გაერთანებასა და ბილდერბერგის კლუბში, ცნობენ და აღიარებენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის (ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების) სამართლებრივ ღირსებას, რაც უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იქნება სამართლიანობის აღდგენის გზაზე. ამრიგად, საქართველოს მეფე უნდა იყოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების და დემოკრატიის დაცვის კონსტიტუციური გარანტი და უმაღლესი წარმომადგენელი, რომელიც დაემორჩილება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო და ქვეყნის შიდა კანონმდებლობას და ანგარიშვალდებული იქნება ხელისუფლების წყაროს – ხალხის წინაშე. იმავროულად კი, მონარქის ინსტიტუცია გახდება იმ მისიისა და ვალდებულებების შესრულების გარანტი, რაც საქართველოს, როგორც მსოფლიო გეოპოლიტიკისა და გეოსტრატეგიის ცენტრალურ რგოლსა და კარიბჭეს, ეკისრება სრულიად კავკასიის, ევროპისა და აზიის და მშვიდობის მოსურნე მთელი კაცობრიობის წინაშე.

ღრმადპატივცემულო საზოგადოებავ,

დიდი იმედი გვაქვს, რომ გაეცნობით რა წარმოდგენილ ნოტას, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან პოლიტიკური დიალოგის აუცილებლობასაც დაინახავთ და მასთან იდეოლოგიურ კონსენსუსში განაგრძობთ შემდგომ სვლას – მხოლოდ ზნეობრივ პოლიტიკასა და სამართლიანობაზე დაფუძნებული ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების მიზნით.

# „არა რუსულ კანონს!”

# უბრალოდ ლოზუნგი, თუ ლუსტრაციის მივიწყებული ვალდებულების შეხსენება?!

მაია დემეტრაძე
იურისტი, უფლებადამცველი

## „არა რუსულ კანონს!”

წარმოთქმისთანავე იქცა ეს ფრაზა ქართველი ახალგაზრდების შინაგანი პროტესტის გამოხატულებად და უმთავრეს საპროტესტო ლოზუნგად „უცხოური გავლენების გამჭვირვალობის" შესახებ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ინიცირებული კანონპროექტის წინააღმდეგ. ხელისუფლება ჯიუტად აპელირებს „გამჭვირვალობაზე“ და საჯარო განმარტებისას ხსენებული კანონპროექტის მთელ არსს მხოლოდ დეკლარაციის შევსების ვალდებულებად წარმოაჩენს, ახალგაზრდები კი ქვეყნის ევროპული მომავლის შემაფერხებელ საფრთხეებს ჭვრეტენ მასში. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ, კანონის მიღების შემთხვევაში, მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც დაფინანსების 20%-ზე მეტს უცხოელი დონორებისგან იღებენ, ვალდებულნი გახდებიან, დარეგისტრირდნენ, როგორც „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციები“. ამასთან, არც კანონპროექტში და არც განმარტებით ბარათში არ არის განმარტებული, თუ რას ნიშნავს „უცხოური ძალის ინტერესების გატარება“ /მხოლოდ ტერმინი „უცხოური ძალაა“ განმარტებული, როგორც „უცხო სახელმწიფო, უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირი“/.

და მაინც, სად იმალება ქვეყნის ევროპული მომავლის შემაფერხებელი საფრთხე?

ის იმალება თავად ტერმინ „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებლის” შინაარსში, რომლის თანახმად, ცხადია, უცხო ძალის ინტერესების გამტარის მიზნებსა და ამოცანებში ვერ მოთავსდება საკუთარი ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვა. კანონპროექტის თავდაპირველი ვერსია ტერმინ „უცხოური ძალის აგენტს” გვთავაზობდა, რაც ჩვენთვის უკიდურესად სენსიტიურია, რადგან მასში შემავალი სიტყვა „აგენტი” მენტალურად ასოცირდება საბჭოთა წარსულთან, თუმცაღა, არც ახალი ტერმინი, „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი”, როგორც ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ორგანიზაციის აღმნიშვნელი ტერმინი, დგას შორს საბჭოთა წარსულის აჩრდილისაგან (მისი ქვეტექსტი სამშობლოს წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობას გულისხმობს).

აქედან გამომდინარე, კანონპროექტის ნამდვილი შინაარსი მიმართულია დასავლელი სტრატეგიული პარტნიორების მორალური დისკრედიტაციისკენ. პარტნიორებისა, რომლებიც ათეული წლებია, აფინანსებენ ქართული ორგანიზაციების მიერ წარდგენილ პროექტებს და, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრების მიზნით, ქმნიან ფასეულობებს, რომლისკენ სწრაფვაც საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ნებას გამოხატავს, დღიდან დამოუკიდებლობის მოპოვებისა. პარტნიორებისა, რომლებიც არ წარმოადგენენ და ვერც იქნებიან „უცხო ძალა” (მისი ქვეტექსტი არამეგობრულ, მტრულ ძალას გულისხმობს), რადგან ისინი სტრატეგიულ პარტნიორებსა და მეგობარ ქვეყნებს წარმოადგენენ.

ამგვარად, კანონის არსის თანახმად, კანონპროექტის ინიციატორი ხელისუფლება საკანონმდებლო დონეზე ერთ სიბრტყეზე ათავსებს კრემლის მავნე ზეგავლენას (რასაც დამსახურებულად უნდა ეწოდოს უცხო ძალის გავლენა) და ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებას. ეს კი, საბოლოო ჯამში, არ არის თავსებადი ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს სრული ინტეგრაციისკენ სწრაფვის კონსტიტუციით დეკლარირებულ ვალდებულებასთან, რადგან სტრატეგიული პარტნიორების უცხო ძალად მოხსენიება შეურაცხყოფს მათ. რაც შეეხება ფინანსებისა და მიზნობრიობის გამჭვირვალობას, დონორებისგან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის ეს ვალდებულება ხელისუფლებას შეეძლო დაეკანონებინა „უცხო ძალის ინტერესების გამტარებლად“ მათი რეგისტრირების გარეშეც!

მხოლოდ ფინანსებისა და მიზნობრიობის გამჭვირვალობის გასაჯაროების მოთხოვნა, მით უფრო ხარჯვით ნაწილში, ნამდვილად არ არის არალეგიტიმური, მაგრამ „უცხო ძალის ინტერესების გამტარებლის“ იარლიყი, თანაც არშემდგარი ლუსტრაციის ქვეყნის დღემდე არალუსტრირებული ხელისუფლებისგან – ეს თავხედობაზე მეტია!

რუსეთში 2012 წელს „უცხოური გავლენის აგენტების შესახებ“ კანონის მიღებისას ხელისუფლების წარმომადგენელთა არგუმენტები ეფუძნებოდა იმას, რომ ტერმინი „აგენტი“ არ არის ნეგატიური შინაარსის შემცველი, რომ ეს კანონი პირველად მიიღო აშშ-მ და შემდეგ ევროპამ და ასევე რიტორიკას – როგორ შეიძლება, არ გსურდეს გამჭვირვალობა?! ზუსტად იგივე არგუმენტები აქვს დღეს საქართველოს ხელისუფლებას. თუმცა, ისეთი კანონი, რომელშიც ბუნდოვნად რჩება და არ არის განმარტებული, თუ რას ნიშნავს „უცხოური ძალის ინტერესების გატარება“, ან რა შეიძლება მასში იგულისხმებოდეს, არა აქვთ არც აშშ-ს და არც ევროპას!

და მაინც, როგორ შეიძლება, არ გსურდეს გამჭვირვალობა?! როდესაც ეს კითხვა გესმის, იქვე გებადება სხვა კითხვებიც:

– ნუთუ, ისეთი გამჭვირვალობის მოსურნეს, როგორსაც ზემოაღნიშნული კანონპროექტი ითვალისწინებს, არ აქვს იმის სურვილი, რომ, ბოლოს და ბოლოს, საქართველოშიც შეიქმნას რეალურად მოქმედი კომისია, რომელიც რეალურად განახორციელებს „თავისუფლების ქარტიის“ პრინციპებს, ანუ ლუსტრაციას?

– რატომ არ სურს მას უფრო მეტი და უფრო დიდი გამჭვირვალობა?

– სხვა შემთხვევაში, განა უსამართლობა არ იქნება, თუკი ევროპისა და აშშ-ს მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის ვალდებულება, დარეგისტრირდნენ უცხო ძალის ინტერესების გამტარებლებად, იმ ხელისუფლების მხრიდან დაკანონდება, რომელსაც თავად არ განუხორციელებია ლუსტრაცია და, რომლის შიგნით, შესაძლოა, უამრავი თანამდებობის პირი აღმოჩნდეს მართლაც უცხო ძალის ინტერესების გამტარებელი?

– როგორ შეიძლება, გამჭვირვალობას გვპირდებოდეს ის, ვინც არა მხოლოდ თავად არ არის ლუსტრირებული, არამედ გააფთრებით ეწინააღმდეგება კიდეც კანონს, რომელიც მას ლუსტრაციას ავალდებულებს?

ხელისუფლებამ ჯერ ამ კითხვებს უნდა გასცეს პასუხი!

იქამდე კი პრეისტორია მიმოვიხილოთ:

საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ნაწილმა (მათ შორის გერმანიამ, პოლონეთმა, ჩეხეთმა, უნგრეთმა, ესტონეთმა, ლატვიამ, ლიტვამ, და სხვებმა) მიიღეს ლუსტრაციის კანონმდებლობა, რომლის მიზანი იყო დანაშაულებრივი კომუნისტური რეჟიმის მხილება და გმობა, სამომავლოდ ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. ლუსტრაციის კანონი თანამდებობების დაკავების უფლებას უკრძალავდა ან უზღუდავდა საბჭოთა სპეცსამსახურების ყოფილ თანამშრომლებს და იმ პირებს, ვისაც კომუნისტურ პარტიაში თანამდებობები ეკავათ.

დამოუკიდებლობის მოპოვების მიუხედავად, საქართველოში ვერ მოხერხდა ლუსტრაციის კანონის მიღება. საბჭოთა უშიშროების სამსახურებმა ქვეყნიდან გაიტანეს და მოსკოვში წაიღეს უშიშროების არქივის მნიშვნელოვანი ნაწილი. დაუდასტურებლად

მიჩნეულია, რომ დარჩენილი დოკუმენტების დიდი ნაწილი განადგურდა 1991–1993 წლებში კრემლის მიერ ორგანიზებული შეიარაღებული კრიმინალური სახელმწიფო გადატრიალების (პუტჩის) პირველივე დღეებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობასა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის შენობაში გაჩენილი ხანძრის შედეგად. პუტჩის შედეგად ქვეყნის სათავეში მოსულ ხელისუფალთა მხრიდან კი არ არსებობდა შესაბამისი პოლიტიკური ნება.

მხოლოდ 2011 წლის 31 მაისს მიიღო საქართველომ კანონი „თავისუფლების ქარტია“, რომლის მიზანია კომუნისტური რეჟიმის დანაშაულებრივი სახის წარმოჩენა, ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცება და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება ტოტალიტარული იდეოლოგიის გაღვივების წინააღმდეგ. „თავისუფლების ქარტია“ ითვალისწინებს სპეციალური კომისიის შექმნას, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში. კომისიის თითო წევრის წარდგენის უფლება აქვთ საქართველოს პარლამენტის ფრაქციებს. კომისიის შემადგენლობა (გარდა საქართველოს პარლამენტის ფრაქციების მიერ წარდგენილი წევრებისა) და საქმიანობის წესი განისაზღვრება დებულებით, რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი.

კანონის თანახმად, კომისიამ დადგენილი წესით უნდა შეაგროვოს მონაცემები და აწარმოოს იმ პირთა რეესტრი, რომლებიც საიდუმლოდ თანამშრომლობდნენ ყოფილი სსრკ – ის სპეციალურ სამსახურებთან ან რომელთა შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული მონაცემები ყოფილი სსრკ – ის სპეციალურ სამსახურებთან მათ ფარულ კავშირზე მიუთითებს.

კანონის მოთხოვნის შესაბამისად, კომისიამ საჯაროდ უნდა გამოაცხადოს იმ პირთა ვინაობა და მონაცემები, რომლებიც საიდუმლოდ თანამშრომლობდნენ, ან ფარული კავშირი ჰქონდათ ყოფილი სსრკ–ის სპეციალურ სამსახურებთან და რომლებსაც უკავიათ მაღალი თანამდებობა (საქართველოს მთავრობის წევრები, მინისტრის მოადგილეები, მოსამართლეები, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები, საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რექტორები, პრორექტორები, დეკანები და კათედრების გამგეები და ა. შ.) იმ შემთხვევაში, თუ ისინი კანონით დადგენილ ვადაში ნებაყოფლობით არ განაცხადებენ უარს ამ თანამდებობაზე.

ცხადია, ქმედითი მუშაობისა და კანონის მიზნების სწორად განხორციელების შემთხვევაში, ეს კანონი ნაწილობრივ მაინც უზრუნველყოფს საბჭოთა სპეცსამსახურების თანამშრომელთა და რეჟიმთან დაკავშირებულ თანამდებობის პირთა აღრიცხვას. თუმცა, ძალიან გულდასაწყვეტია ის ფაქტი, რომ საქართველოში თავისუფლების ქარტიის მიღების ინიციატორი არ ყოფილა ე. წ. „სამოქალაქო საზოგადოება“ და კანონპროექტის კონკრეტული მუხლების საჯარო განხილვაში მას მონაწილეობა არ მიუღია. ამის მიუხედავად, გარკვეულწილად დამაიმედებელია ის გარემოება, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეციალურ კომისიაში საპარლამენტო ფრაქციებსაც აქვთ წევრების წარდგენის უფლება. ზოგადად, პარლამენტის წევრთა მონაწილეობას კომისიაში, თუნდაც ამ სახით, დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ბევრ ქვეყანაში სწორედ საკანონმდებლო ორგანომ შეასრულა გადამწყვეტი როლი ლუსტრაციის პროცესის წარმატებით განხორციელებაში.

საქართველოში დაფუძნებულ არასამთავრობო ორგანიზაციას – „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს“ (IDFI), რომლის საქმიანობის ერთ – ერთ უმთავრეს მიზანს საბჭოთა წარსულთან დაკავშირებული საარქივო დოკუმენტების ხელმისაწვდომობის მიღწევა წარმოადგენს, ლუსტრაციის საკითხებთან მიმართებით რამდენიმე კვლევა აქვს გამოქვეყნებული.-ლუსტრაციისადმი მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) დაინტერესდა იმით, თუ როგორ მუშაობს უსაფრთხოების სამსახურის სპეციალური კომისია და რა ღონისძიებები გაატარა აღნიშნულმა კომისიამ კანონის აღსრულების მიზნით.

**საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური**
**ადმინისტრაცია (დეპარტამენტი)**
**STATE SECURITY SERVICE OF GEORGIA**
**ADMINISTRATION (DEPARTMENT)**

№ 2928354 30 / 12 2015 წ.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების
ინსტიტუტის დირექტორს
ბატონ გიორგი კლდიაშვილს

ბატონო გიორგი,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, შეიქმნა 2015 წლის 1 აგვისტოს. „თავისუფლების ქარტია“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების თანახმად, მითითებული კანონით გათვალისწინებული კომისია იქმნება საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში.

ამასთან, თქვენი №OPD12/15-001 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ შს მინისტრის 2014 წლის 28 თებერვლის №167 ბრძანებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში „თავისუფლების ქარტია“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კომისია შეიკრიბა ერთხელ (2014 წლის 28 მაისს) და განიხილა მხოლოდ კანონით გათვალისწინებული რეესტრის შექმნის მექანიზმები.

შს მინისტრის 2015 წლის 30 ივლისის №561 ბრძანებით („თავისუფლების ქარტია“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კომისიის დებულებისა და კომისიის წევრების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 28 თებერვლის №167 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ) კი, კომისიის დებულება ძალადაკარგულად გამოცხადდა და შესაბამისად, კომისიამაც შეწყვიტა საქმიანობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოკლებული ვართ შესაძლებლობას, მოგაწოდოთ თქვენ მიერ მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის უფროსი ლელა ჩიქოვანი

საქართველო, ქ. თბილისი 0108, 9 აპრილის ქუჩა №4
4, 9 Aprili Str., Tbilisi 0108, Georgia
info@ssg.gov.ge

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული კვლევის ფარგლებში IDFI მიუთითებს (კვლევა გამოქვეყნებულია IDFI – ს ვებ – გვერდზე), რომ:

*„2015 წლის 2 დეკემბერს IDFI – მ მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა ინფორმაცია საქართველოს კანონით „თავისუფლების ქარტია“ გათვალისწინებული სახელმწიფო კომისიის შექმნისა და ამ კომისიის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ. კერძოდ, რამდენი სხდომა ჩაატარა კომისიამ, შეიქმნა თუ არა ყოფილი სსრკ – ის სპეციალური სამსახურების საიდუმლო თანამშრომლების (რომლებმაც ნებაყოფლობით აღიარეს ასეთ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა) რეესტრი, რამდენი პირის შესახებ იქნა მონაცემი შეტანილი რეესტრში და სხვა საკითხებით.*

*აღნიშნული განცხადება შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააგზავნა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, საიდანაც 2015 წლის 30 დეკემბერს ჩვენ მივიღეთ პასუხი.*

*როგორც მიღებული წერილიდან ჩანს, საქართველოს კანონით „თავისუფლების ქარტია“ გათვალისწინებული კომისია შეიკრიბა მხოლოდ ერთხელ 2014 წლის 28 მაისს და განიხილა მხოლოდ „თავისუფლების ქარტიით“ გათვალისწინებული რეესტრის შექმნის მექანიზმები.*

*აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 28 თებერვლის N 167 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე – 3 მუხლის 1 – ლი პუნქტი ავალდებულებდა კომისიას არანაკლებ სამ თვეში ერთხელ შეკრებას.*

*წერილიდანვე ჩანს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 28 თებერვლის N 167 ბრძანება, რომლითაც შეიქმნა კომისია და დამტკიცდა კომისიის დებულება, ძალადაკარგულად გამოცხადდა შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 ივლისის N 561 ბრძანებით. შესაბამისად, თუ ასევე გავითვალისწინებთ იმ ფაქტორს, რომ „თავისუფლების ქარტიით“ გათვალისწინებული კომისია შეიქმნა კანონის ხელმოწერიდან დაახლოებით სამი წლის შემდეგ, მისი შექმნიდან კომისიამ იარსება მხოლოდ 1 წლის და 5 თვის განმავლობაში და შეიკრიბა მხოლოდ ერთხელ.*

*საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით, IDFI – ისთვის ცნობილი გახდა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2015 წლის 21 დეკემბრის N 115 ბრძანებით შეიქმნა ახალი კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან:*

*ა) სულხან გოცაძე – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (შემდგომში – სამსახური) კონტრდაზვერვის დეპარტამენტის სახელმწიფო საიდუმლოებისა და სახელმწიფო უსაფრთხოების რეჟიმის დაცვის მთავარი სამმართველოს მეორე სამმართველოს უფროსი (კომისიის თავმჯდომარე);*

*ბ) გიორგი ლილუაშვილი – სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ანალიზისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე;*

*გ) გიორგი კევლიშვილი – სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის (დეპარტამენტი) პირველი მთავარი სამმართველოს უფროსი;*

*დ) კობა გოგიბერიძე – სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის მეხუთე მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამმართველოს უფროსი;*

*ე) არჩილ ჯანვერდაშვილი – სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) დისციპლინური დევნის, ინსპექტირების და ფინანსური დარღვევების შემოწმების მთავარი სამმართველოს ინსპექტირების და ფინანსური დარღვევების შემოწმების სამმართველოს უფროსი;*

*ვ) ლელა გოგიაშვილი – სამსახურის საინფორმაციო–ანალიტიკური დეპარტამენტის ოპერატიული აღრიცხვისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოადგილე – პირველი განყოფილების უფროსი;*

*ზ) ბექა ზეგარდელი – სამსახურის ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) იურიდიული სამმართველოს უფროსი;*

*თ) ზურაბ კვირიკაშვილი – სამსახურის ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) საქმისწარმოების ორგანიზებისა და კონტროლის სამმართველოს (ცენტრალური კანცელარია) უფროსი (კომისიის სხდომის მდივანი).*

*ასევე ბრძანებაში მითითებულია, რომ კომისიის მუშაობაში კომისიის წევრებად მონაწილეობის მიღება (მათ შორის, ხმის მიცემის უფლებით) ეთხოვოთ:*

*ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორს ზვიად ოქროპირიძეს;*

*ბ) სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის შსს არქივის დირექტორს ომარ თუშურაშვილს;*

*გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო – ანალიტიკური დეპარტამენტის ოპერატიული აღრიცხვისა და ოპერატიული არქივის სამმართველოს უფროსს სულხან მელაშვილს.*

*2015 წლის 30 დეკემბერს, სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურის N 122 ბრძანებით ცვლილება შევიდა ზემოთ დასახელებულ კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ 2015 წლის 21 დეკემბრის N 115 ბრძანებაში და ბრძანების ამოქმედების და შესაბამისად კომისიის ფუნქციონირების დაწყების თარიღად განისაზღვრა 2016 წლის 1 მაისი. კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ ბრძანებით ასევე დამტკიცდა კომისიის საქმიანობის წესი, სადაც სავალდებულო წესით შეხვედრების ჩატარების რაოდენობა აღარ ფიგურირებს.*

*იმისათვის, რომ საქართველოში რეალურად განხორციელდეს ლუსტრაცია, ისევე, როგორც ეს მოხდა სოციალისტური ბანაკის სხვა წევრ ქვეყნებში, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) აუცილებლად მიიჩნევს ქმედითი კომისიის შექმნას, რომელიც დაინტერესებული იქნება „თავისუფლების ქარტიის“ პრინციპების იმპლემენტაციით.“*

რა დასკვნის გამოტანაა შესაძლებელი IDFI – ს მიერ ნაწარმოები ზემოაღნიშნული კვლევიდან?

იქიდან გამომდინარე, რომ კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურის 2015 წლის 30 დეკემბრის N 122 ბრძანებით დამტკიცდა კომისიის საქმიანობის წესი, სადაც წლის განმავლობაში სავალდებულო წესით შეხვედრების ჩატარების რაოდენობა აღარ არის მითითებული, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „თავისუფლების ქარტიით“ გათვალისწინებული სახელმწიფო კომისია რეალურად უმოქმედოა. უფრო მეტიც, „თავისუფლების ქარტიის“ პრაქტიკაში განხორციელებას ფაქტობრივად ვერ უზრუნველყოფს ვერც საქართველოს პარლამენტი, რომლის ფრაქციებსაც აქვთ უფლება, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეციალურ კომისიაში წარადგინონ წევრები! როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ შექმნილ კომისიაში თითო წევრის წარდგენის უფლება აქვთ საქართველოს პარლამენტის ფრაქციებს. ხოლო კომისიის შემადგენლობა (გარდა საქართველოს პარლამენტის ფრაქციების მიერ წარდგენილი წევრებისა) და საქმიანობის წესი განისაზღვრება დებულებით, რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი (საქართველოს კანონის „თავისუფების ქარტიის“ მე – 7 მუხლის პირველი პუნქტი).

ამრიგად, იმის გათვალისწინებით, რომ:

ა) სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის არც ერთი ზემოაღნიშნული ბრძანება არ უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტის კანონით გარანტირებული უფლების რეალიზაციას;

ბ) შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 28 თებერვლის N 167 ბრძანებით დამტკიცებული დებულება (რომლის მე – 3 მუხლის 1 – ლი პუნქტი ავალდებულებდა კომისიას არანაკლებ სამ თვეში ერთხელ შეკრებას), ძალადაკარგულად გამოცხადდა,

გ) კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურის 2015 წლის 30 დეკემბრის N122 ბრძანებით დამტკიცდა კომისიის საქმიანობის წესი, სადაც წლის განმავლობაში სავალდებულო წესით შეხვედრების ჩატარების რაოდენობა აღარც კი არის მითითებული;

დ) რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, – საქართველოს პარლამენტის ფრაქციებს არც ერთხელ არ უზრუნიათ მათი წევრების მონაწილეობაზე კომისიის მუშაობაში.

მხოლოდ ერთი რამ შეგვიძლია დავასკვნათ:

საქართველოში ლუსტრაცია ჯერ არ შემდგარა!

ეს არის უკიდურესად სამწუხარო რეალობა, რაც, ისევ და ისევ, მხოლოდ ერთზე – პლიტიკური ნების არარსებობაზე მიუთითებს. მიზეზი კი სავარაუდოდ, იგივა, რაც იყო კრემლის მიერ ორგანიზებული პუტჩის შედეგად ქვეყნის სათავეში მოსული ე. წ. „ხელისუფლებისთვის”. სწორედ ლუსტრაციისადმი ასეთი შეუპოვარი წინააღმდეგობა გახლავთ ის ტესტი, რომელიც ავლენს უმწვავეს ფაქტს, რომ საქართველოში 1991–1993 წლებში განხორციელებული პუტჩი არ დასრულებულა, მან მხოლოდ ფორმა და ფერი იცვალა, პუტჩისტები სიცოცხლისუნარიანნი, მათი ქმედებები კი გაგნრძობადი აღმოჩნდა და ისინი (მათი შვილები და შვილიშვილები) სულ მალე ფრთებსაც გაშლიან ტოტალიტარიზმის სასარგებლოდ!

ჩემდა უნებურად მახსენდება საქართველოს მე–7 მოწვევის პარლამენტის ფრაქცია „ძლიერი საქართველოს" თავმჯდომარის, კანონპროექტ “თავისუფლების ქარტიის” ინიციატორის, გია თორთლაძის 2011 წლის 29 ივლისის ღია წერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისადმი”, სადაც, ავტორი პირდაპირ მიუთითებს:

*„ვფიქრობ, რომ მთავარი წინააღმდეგობა, რაც ამ კანონპროექტს შეხვდა, განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:*

*კანონპროექტი თავისი არსით ჩვენი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს შეეხება:*

*1. მათ, ვინც თანამშრომლობდა სუკ–თან;*

*2. მათ, ვინც განკარგავდა სუკ–ს;*

*3. მათაც, ვისთვისაც ადამიანის უფლებები და თავისუფლებები არც წარსულში და არც დღეს არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენს.*

*აღარაფერს ვამბობ დღევანდელი რუსეთის უშიშროების სამსახურებზე, რომელთაც მემკვიდრეობით ერგოთ საბჭოთა სუკ–ის მთელი რესურსი.*

*მთელი ეს „აქტივი” დღეს აქტიურად ცდილობს ამ კანონის მნიშვნელობის დაკნინებას ყალბი არგუმენტებითა და თვალთმაქცობით. სხვათა შორის, ეს სწორედ ის აქტივია, რომელიც პარალელურად ცდილობს ჩემს დისკრედიტაციას. ამ მიზნით კი, კგბ–ს “ საუკეთესო” ტრადიციებში ვრცელდება ათასი სიბინძურე, რომელსაც არაფერი აქვს საერთო რეალობასთან. როგორც ვხედავთ, ეს არც თუ მცირე ჯგუფია და რაც მთავარია – მოტივირებულები. ეს ხალხი, რომელსაც გასაგები მიზეზების გამო მეტად აშინებთ სწორედ – ლუსტრაცია, ერიდებიან წინ აღუდგნენ ღიად მის შემოღებას და მთელი იერიში მიაქვთ საბჭოთა სიმბოლიკის აკრძალვაზე. ეს ხალხი აპროტესტებს ჩვენს კანონპროექტს საბჭოთა სიმბოლიკის აკრძალვასთან და არარსებულ მოსმენებთან დაკავშირებით ანტიტერორისტულ ღონისძიებათა პაკეტში. აკრიტიკებენ ამ კანონს ერთდროულად: ძლევამოსილებასთან და სისუსტეებთან დაკავშირებით. გამოდის სრული აბსურდი: კანონი თან საშიშია, და თან არაფრის მომცემი. თან სუსტია და თან ძლევამოსილი. მე, პირადად, ეს შეფასებები კიდევ ერთხელ მარწმუნებს კანონის მიღების აუცილებლობაზე.”*

ყოველივე ზემოაღნიშნულს ისიც ემატება, რომ უაღრესად აღმაშფოთებელია აღმოსავლეთ ევროპასა და საქართველოში ლუსტრაციის პოლიტიკისა და პრაქტიკის ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის მკვლევარის, პეტერ როჟიჩის პუტჩისტური რიტორიკა, რომელიც მან ქართულ მედიასთან (“ინტერპრესნიუსი”) 2011 წლის 27 ივლისის ინტერვიუს დროს გამოავლინა.

ვფიქრობ, საეჭვო კავშირი იკითხება საქართველოში მხოლოდ ფურცელზე არსებულ და რეალურად არშემდგარ ლუსტრაციასა და იმ დამოკიდებულებას შორის, რაც პეტერ როჟიჩს აქვს ზოგიერთი ფაქტობრივი გარემოების მიმართ. კერძოდ, ზემოაღნიშნული ინტერვიუს დროს პეტერ როჟიჩმა განაცხადა შემდეგი რამ:

*„რუსეთმა ლუსტრაციის კანონი 1991 წელს ვერ მიიღო. იმ პერიოდის რუსეთი უფრო დემოკრატიული იყო, ვიდრე დღეს საქართველოა, მაგრამ საქართველომ ლუსტრაციის კანონი 2011 წელს მიიღო, რუსეთს კი იგი დღემდე არა აქვს მიღებული...“*

ხომ წარმოუდგენელია, აღმოსავლეთ ევროპასა და საქართველოში ლუსტრაციის პოლიტიკისა და პრაქტიკის ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის მკვლევარი არ ყოფილიყო ინფორმირებული, რომ ზვიად გამსახურდიამ ხელისუფლების სათავეში ყოფნის ერთ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში შეძლო საყოველთაო რეფერენდუმის გამართვა (ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე) და დამოუკიდებლობის გამოცხადება, რასაც წინ უძღოდა მრავალი საკანონმდებლო აქტი?! ხომ დაუჯერებელია, მკვლევარს არ სცოდნოდა, რომ ზუსტად ლუსტრაციისთვის საფუძვლების შექმნისა და მისი მომზადების გამო შეუტია გააფთრებით პრეზიდენტს კრემლის მიერ მართულმა ოპოზიციამ, რომ მას ამის გამო დიქტატორობაში დასდეს ბრალი ადგილობრივ თუ უცხოურ მედიაში, რომ შემდეგ ის „დინების საწინააღმდეგოდ ცურვისთვისაც” გააკრიტიკეს დედამიწის მეორე ნახევარსფეროდან, აქ მისი [კანონიერი] ხელისუფლება დაამხეს, თავად ქვეყნიდან გააძევეს და საბოლოოდ მოკლეს, ისევ და ისევ ლუსტრაციის მცდელობის გამო?! ხომ შეუძლებელია, პეტერ როჟიჩს არ სცოდნოდა, რომ საქართველოში რამდენიმე არქივი დაიწვა და რომ თბილისში მომხდარი პუტჩის დროს პირველი ხანძარი სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობასა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის შენობებს გაუჩნდა, სადაც ეს არქივები იყო განთავსებული?! რასაკვირველია იცოდა, მაგრამ მისი ინტერვიუს მთავარი მიზანი ფართო საზოგადოების გაოგნება და დაეჭვება იყო, რაც მან სცადა ზვიად გამსახურდიასთვის – გარდაცვალების მიუხედავად საქართველოში დღემდე ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე პოლიტიკოსისთვის – იმის გადაბრალებით (კრემლის პროპაგანდისტული მანქანის ანალოგიურად!), რის წინააღმდეგ ბრძოლასაც დისიდენტმა პრეზიდენტმა მთელი ცხოვრება შეალია.

სიტყვები – *„იმ პერიოდის [1991 წლის] რუსეთი უფრო დემოკრატიული იყო, ვიდრე დღეს საქართველოა”* – ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებისადმი შეუწყნარებლობის ქვეტექსტს შეიცავს და სრულად ამხელს მის ავტორს კრემლისტურ რიტორიკაში. როგორც ჩანს, პეტერ როჟიჩის ტიპის მკვლევართა შორის ჯერ კიდევ არიან „უცხო ძალის ინტერესების გამტარებლები”, ამ წოდების ყველაზე სწორი გაგებით (უცხო ძალა, როგორც ექვივალენტი მტრული ძალისა), როგორადაც ის, ბოლოს და ბოლოს, უნდა იყოს გაგებული!

ჩვენ ვხედავთ, ჩაკეტილ წრეზე ტრიალებს საქართველო – არშემდგარი ლუსტრაციის ქვეყანა. მიზეზი ისევ და ისევ პოლიტიკური ნების არარსებობაა, რაც, ბუნებრივია, ვერც იარსებებს, რადგან პუტჩის შედეგად კონსტიტუციური წესრიგი დაირღვა ქვეყანაში, ხოლო პოლიტიკური და საჯარო თანამდებობები უტიფრად აქვთ დაკავებული პუტჩის ორგანიზატორებს, მონაწილეებს და მათი ოჯახის წევრებს.

სჭირდებათ მათ ახლა ლუსტრაცია? ცხადია, არა!

ამ მოცემულობაში არსებობს ერთადერთი სწორი გზა და ის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის (კანონიერი ხელისუფლების) მიერ შემუშავებული სტრატეგიული პოლიტიკური პლატფორმითაა წარმოდგენილი, მათ შორის, მონარქის კონსტიტუციური ინსტიტუტის შექმნასა და მის მსოფლიო აღიარებაზე გადის, რაზეც არაერთხელ გვისაუბრია.

სამომავლოდ, კონსტიტუციითვე განსაზღვრულ უფლებამოსილ მონარქს შეუძლია აღასრულოს ლუსტრაციის კანონი, რაც ერთადერთი გამოსავალია იმპერიის მარწუხებიდან საქართველოს საბოლოო და სრული გათავისუფლებისთვის.

ამიტომ,

არა – რუსულ კანონს!

კი – ლუსტრაციას!

2024 წლის აპრილი – მაისი...

 

მპგ
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი -
- ეროვნული აღორძინების"
- თავმჯდომარის მოადგილე
- თავმჯდომარის მოადგილე
გიორგი წივწივაძე

სტრატეგიული ინიციატივების
სააგენტოს დირექტორი
ნოდარ ძიძიკაშვილი

# საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური პლატფორმა

## ანოტაცია

## ინოვაციური გარღვევის სტრატეგია

ჩვენი წინადადება ეფუძნება განჭვრეტის თეორიასა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას. საშუალო ვადიანი და გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული ორიენტირების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია ინოვაციური ეკონომიკის აშენება.

რა თქმა უნდა, სოციალური ამოცანების გადაწყვეტა ქვეყნისთვის პირველხარისხოვანი ამოცანაა, მაგრამ სახელმწიფოს არ ძალუძს ამ ეტაპზე ერთდროულად მოიცვას ეკონომიკური განვითარების მთელი სპექტრი. ჩვენს მიერ შემოთავაზებული ორიენტირები და მეთოდი საშუალებას იძლევა სწორედ განისაზღვროს და გადაწყდეს არსებული ეკონომიკური ამოცანები.

ამ მიზნით, შემუშავებულ იქნა მშპ-ს პერსპექტიული ხედვის გასაანგარიშებელი ალგორითმი 2040 წლამდე, მისი სტრუქტურული მოდელირებით. მოდელირება საშუალებას იძლევა ამა თუ იმ მოვლენის ნებისმიერ ეტაპზე გასაანალიზებლად გათამაშდეს სხვადასხვა სცენარები და ზუსტად განისაზღვროს არა მარტო პრიორიტეტული მიმართულებები, არამედ მოიცვას ეკონომიკური განვითარების მთელ ჭრილი ფინანსურად, დროსა და სივრცეში. მშპ-ს დინამიკური ტრენდის თვალყურის დევნებით ნებისმიერ დროს შეიძლება სიტუაციის კორექტირება აუცილებელი ღონისძიებების შესამუშავებლად.

# საქართველოს ინოვაციური განვითარების სტრატეგია 2040 წლამდე

## სახელმწიფოს და მისი როლის განსაზღვრა ეკონომიკურ განვითარებაში – ინოვაციური სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური მმართველობის მოდელი.

- მსოფლიოს ტრადიციულ აღქმაზე როგორც წრფივ დეტერმინირებულ პროცესზე უარის თქმა, რისი შედეგებიც ფუნდამენტალური პრინციპების და ძირითადი ვარიანტების ცოდნისას, შესაძლებელია წინასწარ იყოს გათვლილი.
- მსოფლიო – რთული დინამიური სისტემაა, შემდგარი ერებისგან, სახელმწიფოებისგან, რელიგიებისაგან და ა.შ., რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ რთულ დინამიკურ სისტემებს.
- დინამიკური სისტემები არასოდეს აღწევენ წონასწორობას.
- „დიდ ინტერაქტიულ სისტემებს მუდმივად, ორგანიზაციის გზით მიჰყავთ თავისი თავი კრიტიკულ მდგომარეობამდე, რომელშიც მცირე მოვლენასაც კი შეუძლია გამოიწვიოს ჯაჭვური რეაქცია, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს კატასტროფა’’. ეს თვისება განისაზღვრება როგორც ,,თვით ორგანიზებული კრიტიკულობა ’’.

პოლიტიკურ სისტემებში, რომლებიც აგებულია დემოკრატიულ პრინციპებზე, როგორც აღმოჩნდა, ბაზარზე გასვლის მეტი შესაძლებლობები გააჩნიათ ახალ საწარმოებს. აი ამიტომ, ეფექტურად განვითარებული ქვეყნები, რომლებიც იმყოფებიან ტექნოლოგიურ ზღვარზე, – ეს, უპირველეს ყოვლისა განვითარებული ლიბერალური დემოკრატიებია.

საქართველოში შექმნილ სიტუაციაში – უნდა მკვეთრად შეიცვალოს კურსი, გარღვევის სტრატეგიის, ეკონომიკის ინოვაციური განახლების როგორც მთავარი ორიენტირის მიღებით. და ეს უნდა გააკეთოს პირველყოვლისა სახელმწიფომ, თავისი სტრატეგიულ–ინოვაციური ფუნქციის მთელი პასუხისმგებლობით შესრულებით. სახელმწიფო არის განუყოფელი მონაწილე ინოვაციური პროცესისა და ასრულებს ერთ – ერთი ყველაზე მნიშვნელოვან, საპასუხისმგებლო და კვალიფიციურ ფუნქციების, რომლებიც სახელმწიფოს ხელმძღვანელებისაგან, მის ორგანოებისგან და საჯარო მოხელეებისაგან მოითხოვენ მაღალ პროფესიონალიზმს, სტრატეგიულ აზროვნებას და ძალისხმევას.

სახელმწიფო თავისი ხედვის და პასუხისმგებლობის დონით და ჰორიზონტით გაცილებით მაღლა დგას ცალკეული მეწარმის ან მეწარმეთა ჯგუფის პასუხისმგებლობის დონესა და ჰორიზონტებზე.

ის პასუხს აგებს წარსული, აწმყო და მომავლი თაობების წინაშე, ქვეყნის მდგომარეობაზე და ბედზე, მისი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის დონეზე, მის ადგილზე გლობალურ ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ სივრცეში, ეროვნულ უსაფრთხოებაზე. სახელმწიფო ვალდებულია – იქონიოს მოცულობითი და გრძელვადიანი ხედვა, მიიღოს სტრატეგიული გადაწყვეტილებები მისი შესაძლო შედეგების გათვალისწინებით.

სახელმწიფო ქმნის ინოვაციურ კლიმატს, ინოვაციური საქმიანობის შესრულების ზოგად სამართლებრივი ფარგლებს და ნორმებს, მისი განხორციელების სპეციფიური პირობების და მაღალი რისკის გათვალისწინებით.

სახელმწიფო ვალდებულია აიღოს თავის თავზე სტრატეგიის შერჩევა და ეკონომიკის არასაბაზრო სექტორში ინოვაციების განხორციელება – როგორც საბაზისო, ასევე გაუმჯობესებაში. საუბარია მეცნიერების, სახელმწიფო მმართველობის, თავდაცვის, მართლწესრიგის, ეკოლოგიური მონიტორინგის, ნებისმიერი მსხვილი პროექტების და ა.შ. ინოვაციურ განახლებაზე. არც მოსახლეობას, არც მეწარმეებს არ შეუძლიათ მთელი მოცულობით აიღონ თავის თავზე ამ სექტორის განახლება. ამასთანავე ამ სფეროში ინოვაციები თამაშობენ მთავარ როლს ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოებაში, ქვეყნის ფუნქციონირების და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

სახელმწიფოს არ შეუძლია განზე გადგეს და უარი თქვას ეკონომიკის საბაზრო სექტორში საბაზისო ინოვაციების ათვისებაზე და გავრცელებაზე. საუბარი არ არის ცენტრალიზებულ გეგმიურ სისტემაში დაბრუნებაზე, როდესაც სახელმწიფო მთლიანად იღებდა თავის თავზე ყველა სფეროში საბაზისო და ბევრად გაუმჯობესებული ინოვაციების დაგეგმვას და ფინანსირებას. ეს ამართლებდა თავის თავს საგანგებო სიტუაციებში, მობილიზებულ ეკონომიკაში, სამხედრო–სამრეწველო კომპლექსში, მაგრამ ასუსტებდა მეწარმეთა ინიციატივას და პასუხისმგებლობას, რადგან პრაქტიკულად გამორიცხავდა კონკრეტული ბრძოლის მექანიზმს, ,,თაფლაკვერის’’ და ,,მათრახის’’ შეხამებას ინოვაციების სტიმულირებაში.

ამიტომ, სახელმწიფო ვალდებულია აიღოს თავის თავზე ახალი თაობების ტექნიკის (ტექნოლოგიების) ათვისებაში სასტარტო (შენატანები) ინვესტირება – საწარმოებთან პარტნიორობით, მათი წილის ეტაპობრივი ზრდით და განახლებული ინოვაციების ნაკადის წარმოებაში გადაცემით. ეს ასპექტი შეიძლება განხილულ იქნეს ცალკე, ქვეყანაში არსებული სიტუაციის გათვალისწინებით. ასეთი სცენარი სავსებით შესაძლებელია მოკლევადიან გეგმაში, ეკონომიკური განვითარებაში ძალისხმევის მობილიზაციისათვის.

## სახელმწიფოს ინოვაციურ-სტრატეგიული ფუნქციის რეალიზაცია

სახელმწიფომ უნდა გაუწიოს დახმარება ინოვაციური ინფრასტრუქტურის და მცირე ინოვაციური ბიზნესის განვითარებას. საქმიანობის ეს ორი მიმართულება განუყრელადაა დაკავშირებული ერთმანეთთან. როგორც გვიჩვენებს უცხოური და გარკვეულ წილად სამამულო (შიდა) გამოცდილება – მცირე საწარმოები არიან მზვერავები, რომლებიც ითვისებენ ინოვაციური საქმიანობის ახალ ველებს, მათ კვალ და კვალ მიყვებათ მთავარი ძალა – კაპიტალი, რომელიც ახორციელებს სტრატეგიულ ინოვაციურ გარღვევას.

სახელმწიფოს ზრუნვის უშუალო საგანს წარმოადგენს – ინოვაციური გარღვევისთვის საკადრო პოტენციალის მომზადება. საუბარია როგორც საშუალო და უმაღლესი განათლების ინოვაციურ მიმართულებაზე, ასევე კადრების გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემაზე, დისტანციურ სწავლებაზე, ისე კონკრეტული ინოვაციური პროგრამების და პროექტების სპეციალიზებულ სწავლებაზე, მცირე ინოვაციური ბიზნესის სწავლებაზე.

სახელმწიფოს ინოვაციური საქმიანობის მნიშვნელოვან ველს წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრების რეგლამენტირება და დაცვა, მისის გამოყენება, როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

საჭიროა დაკვირვებით იყოს შესწავლილი მიმდინარე მომენტი და სახელმწიფოს როლი ამ ეტაპზე. ნებისმიერი მიმართულებისთვის ბიუჯეტის პრიორიტეტული ჩამოყალიბების გზით განვითარების ინერციული გზიდან გადახვევა ასეთ პირობებში საერთოდ უნდა გამოირიცხოს. სახელმწიფომ უნდა ზუსტად განსაზღვროს ეკონომიკური განვითარების და პრიორიტეტული მიმართულებების სცენარი. ეკონომიკაში ორიენტირებული მიდგომის მიღების გარეშე საქართველო ვერ შეძლებს თავისის განვითარების გამრღვევი სცენარის განხორციელებას.

სახელმწიფო ქმნის ინოვაციურ კლიმატს, ინოვაციური საქმიანობის შესრულების ზოგად სამართლებრივი ფარგლებს და ნორმებს, მისი განხორციელების სპეციფიური პირობების და მაღალი რისკის გათვალისწინებით.

სახელმწიფო ვალდებულია აიღოს თავის თავზე სტრატეგიის შერჩევა და ეკონომიკის არასაბაზრო სექტორში ინოვაციების განხორციელება – როგორც საბაზისო, ასევე გაუმჯობესებაში. საუბარია მეცნიერების, სახელმწიფო მმართველობის, თავდაცვის, მართლწესრიგის, ეკოლოგიური მონიტორინგის, ნებისმიერი მსხვილი პროექტების და ა.შ. ინოვაციურ განახლებაზე. არც მოსახლეობას, არც მეწარმეებს არ შეუძლიათ მთელი მოცულობით აიღონ თავის თავზე ამ სექტორის განახლება. ამასთანავე ამ სფეროში ინოვაციები თამაშობენ მთავარ როლს ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოებაში, ქვეყნის ფუნქციონირების და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

## სახელმწიფოს ინოვაციურ-სტრატეგიული ფუნქციის რეალიზაცია

- სახელმწიფომ უნდა გაუწიოს დახმარება ინოვაციური ინფრასტრუქტურის და მცირე ინოვაციური ბიზნესის განვითარებას. საქმიანობის ეს ორი მიმართულება განუყრელადაა დაკავშირებული ერთმანეთთან. როგორც გვიჩვენებს უცხოური და გარკვეულ წილად სამამულო (შიდა) გამოცდილება – მცირე საწარმოები არიან მზვერავები, რომლებიც ითვისებენ ინოვაციური საქმიანობის ახალ ველებს, მათ კვალ და კვალ მიყვებათ მთავარი ძალა – კაპიტალი, რომელიც ახორციელებს სტრატეგიულ ინოვაციურ გარღვევას.
- სახელმწიფოს ზრუნვის უშუალო საგანს წარმოადგენს – ინოვაციური გარღვევისთვის საკადრო პოტენციალის მომზადება. საუბარია როგორც საშუალო და უმაღლესი განათლების ინოვაციურ მიმართულებაზე, ასევე კადრების გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემაზე, დისტანციურ სწავლებაზე, ისე კონკრეტული ინოვაციური პროგრამების და პროექტების სპეციალიზებულ სწავლებაზე, მცირე ინოვაციური ბიზნესის სწავლებაზე. სახელმწიფოს ინოვაციური საქმიანობის მნიშვნელოვან ველს წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრების რეგლამენტირება და დაცვა, მისის გამოყენება, როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

საჭიროა დაკვირვებით იყოს შესწავლილი მიმდინარე მომენტი და სახელმწიფოს როლი ამ ეტაპზე. ნებისმიერი მიმართულებისთვის ბიუჯეტის პრიორიტეტული ჩამოყალიბების გზით განვითარების ინერციული გზიდან გადახვევა ასეთ პირობებში საერთოდ უნდა გამოირიცხოს. სახელმწიფომ უნდა ზუსტად განსაზღვროს ეკონომიკური განვითარების და პრიორიტეტული მიმართულებების სცენარი. ეკონომიკაში ორიენტირებული მიდგომის მიღების გარეშე საქართველო ვერ შეძლებს თავისის განვითარების გამრღვევი სცენარის განხორციელებას.

*ჩვენი წინადადება დამყარებულია განჭვრეტისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის საფუძველზე. საშუალო ვადიანი და გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული ორიენტირების მიღების გარეშე შეუძლებელია ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობა. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს პირველადი ამოცანაა სოციალური ამოცანების გადაწყვეტა (სოციალური სამართლიანობა ), მაგრამ მას ამ მომენტში არ შეუძლია ეკონომიკური განვითარების მთელი სპექტრის მოცვა, ხოლო ჩვენს მიერ შეთავაზებული ორიენტირები იძლევიან დასმული ეკონომიკური ამოცანების ზუსტი და სწორი გადაწყვეტის საშუალებას.*

## ე კ ო ნ ო მ ი კ ი ს ს ა ხ ე ო ბ ე ბ ი

ფ ა ქ ტ ო რ ე ბ ი თ მ ხ ა რ დ ა ჭ ე რ ი ლ ი ე კ ო ნ ო მ ი კ ა – *საბაზისო მოთხოვნები* ინსტიტუტები; ინფრასტრუქტურა; მაკროეკონომიკური სტაბილურობა; ჯანდაცვა და დაწყებითი განათლება.

მ წ ა რ მ ო ე ბ ლ უ რ ო ბ ი თ მ ხ ა რ დ ა ჭ ე რ ი ლ ი ე კ ო ნ ო მ ი კ ა – *მწარმოებლურობის მოთხოვნები* უმაღლესი განათლება და ტრენინგი; სასაქონლო ბაზრის მწარმოებლურობა; სამუშაო ძალის ბაზრის მწარმოებლურობა; საფინანსო ბაზრის მოქნილობა; ტექნოლოგიური წიგნიერება; ბაზრის ზომა;

ი ნ ო ვ ა ც ი ე ბ ი თ მ ხ ა რ დ ა ჭ ე რ ი ლ ი ე კ ო ნ ო მ ი კ ა – *ინოვაციები და მრავალფეროვნება* ბიზნესის მრავალფეროვნება; ინოვაციები.

## ბუნებრივ რესურსებზე დამყარებული ეკონომიკიდან გადასვლა ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკაზე.

განვიხილოთ „ცოდნის ეკონომიკის“ – გენერაციის, იდეების, საქონლის, ტექნოლოგიების ტერიტორიული პლატფორმს სადაც:

მთავარი ფაქტორებია: ცოდნა, იდეები, ინოვაციები და ინოვაციური აქტივები, ინოვაციური ინფრასტრუქტურა.

ძირითადი აქტივები: – ინტელექტუალური (ადამიანური) კაპიტალის, ცოდნის, იდეების, ტექნოლოგიების კაპიტალიზაცია,

საქონლის ფასი ითვალისწინებს: გარდა მატერიალური და შრომითი დანახარჯებისა, სამომხმარებლო თვისებებს, სავაჭრო მარკას, ხარისხის გარანტიას, ესთეტურობას, ეკოლოგიურობას, ერგონომიურობას, ენერგოეფექტურობას. (მომგებიანობა 500%).

დღეს საქზართველო კონკურენტუნარიანობის მსოფლიო 144 ქვეყნის რეიტინში იკავებს 60 ადგილს, ხოლო ინოვაციების რეიტინგში 65-ეს.

ქვეყნის განვითარების სტადიებში, საქართველო მწარმოებლითი მოძრავიდან (მშპ 1 სულზე $ 8 200) ინოვაციურ მოძრავზე უნდა გადავიდეს (მშპ 1 სულზე $ 17 000).

ეკონომიკური განვითარების მექანიზით – ეკონომიკური საქმიანობისეფ ექტიანობის ამაღლებაზე დამყარებული ინტენსიური განვითარების მექანიზმით ხელფასებისა და მწარმოებლურობის ზრდასთან ერთად საინვესტიციო “ბუმიდან გადასვლა მაღალტექნოლოგიური პროდუქტების შექმნაზე დამყარებული ინტენსიური განვითარების მექანიზმზე უმაღლესი ანაზღაურებით და ცხოვრების დონით, საუკეთესო წარმოებით და კონკურენტუნარიანობით ინოვაციურზე.

# რეალიზაციის ეტაპები

1- ეტაპი – კონკურენტული უპირატესობების კონსოლიდაცია , 2024-2025

- კონკურენტული უპირატესობების რეალიზაცია “ტრადიციულ” სექტორებში;
  - ადაპტაცია კრიზისული პროცესებისადმი მსოფლიო ეკონომიკაში;
  - პირობების და ტექნოლოგიური საფუძვლების შექმნა, ეკონომიკის ინოვაციური განვითარების რეჟიმში გადაყვანის უზრუნველყოფისათვის;
  - წინმსწრები ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში და ინფრასტრუქტურაში.

*2-ეტაპი – ინოვაციური გარღვევა, 2025-2040*

- ნახტომი კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში შემდეგ საფუძველზე:
  - ახალ ტექნოლოგიურ ბაზაზე გადასვლა;
  - ადამიანური პოტენციალისა და სოციალური გარემოს ხარისხის გაუმჯობესება;
  - ეკონომიკის სტრუქტურული დივერსიფიკაცია და ინფრასტრუქტურული სექტორების მოდერნიზაციის დასრულება;
- *ნდობისა და სოციალური კეთილდღეობის საზოგადოების ფორმირება, სოციალური დიფერენციაციის შერბილება.*

## პროექტის კალენდარული გეგმა
## ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავების ეტაპები:

1. სტრატეგიული ანალიზი;
2. სტრატეგიული ალტერნატივების ჩამოყალიბება და შეფასების კრიტერიუმები;
3. სტრატეგიული არჩევანი და სტრატეგიის დაკანონება;
4. სტრატეგიის რეალიზაციის მექანიზმების ფორმირება;
5. შემაჯამებელი დოკუმენტაციის მომზადება და პრეზენტაცია.

## განვითარების გამოწვევები
## გრძელვადიანი განვითარების სტრატეგია გზს 2040

1. გრძელვადიანი გამოწვევები : ქვეყნის ტერიტორიული რღვევა და რეგიოენების არათანაბარი განვითარება; ადამიანური კაპიტალის როლის ზრდა ეკონომიკაში; გლობალიზაციის გავლენა; ახალი ტექნოლოგიური ტალღა; ბუნებრივი რესურსებზე დაფუძნებული ეკონომიკური განვითარების წყაროების მილევადობა;
2. პოლიტიკის ორიენტაცია ქვეყნის განვიტარების მიზნებზე: ეკონომიკური აგენტების მიერ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო გრძელვადიანი „თამაშის წესების“ ფორმირება;
3. მოკლე და საშუალოვადიანი გამოწვევები: უმუშევრობა; სოციალური დაცვის უქონლობა; ქვეყნის სტაბილურობის შენარჩუნება; მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისი – აუცილებელია მოკლევადიანიღონისძიებებათა კომპლექსის გატარება ქვეყნის ფინანსური და მთლიანად ეკონომიკის მდგრადობის ასამაღლებლად.

   ჩვენს მიერ შემუშავებულია ალგორითმი მშპ-ს პროგნოზირებისა და მისი მართვის დაგეგმისთვის. მიღებული ალგორითმის გათვალისწინებით, შესაძლებელია ეკონომიკის ყოველი დარგის პროგნოზირებული მახასიათებლის მიღება. შესაძლებელია მშპ-ს და ეკონომიკის ყოველი დარგის მოდელირება. შესაძლოა შეირჩეს პროგნოზირებული მონაცემები სტრატეგიული დაგეგმისთვის არა მარტო ცალკეული დარგების, არამედ მთლიანი ეკონომიკისთვის. შესაძლებელია მშპ-ს განვითარების დინამიკის თვალყურის დევნება.

გამომდინარე მშპ-ს განვითარების თვალის დევნების შესაძლებლობიდან, უნდა არსებობდეს მშპ-ს განვითარების დინამიკის მონიტორინგისთვის მცირე ჯგუფი, იმისთვის რომ გადასცენ მონაცემები რეკომენდაციებით ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებს.

არსებობს კონტროლის საზღვრის სამი ზონა.

1. მარტივი დაკვირვება.
2. აქტიური შესწავლა.
3. ზომების მიღება.

საზღვრების გადაკვეთაზე მდებარეობენ გადაწყვეტილების მიღების წერტილები. საზღვრების სიმაღლე განისაზღვრება იმ მოცემული პარამეტრებით, რომლებიც შემდეგიდან გამომდინარეობენ: ზედა საზღვარი მშპ-ს განვითარების ოპტიმისტური გეგმაა, ქვედა საზღვარი

მშპ-ს განვითარების პესიმისტური გეგმაა. მშპ-ს განვითარების საშუალო დონე არის საყრდენი მიმართულება. ყოველი ზონის დონე განისაზღვრება კრიტიკული მახასიათებლის პარამეტრებით.

## პროგნოზები:

საქართველოს მშპ-ს საპროგნოზო მოდელი პესიმისტური ვარიანტი, 1 სულ მოსახლეზე მოდის 17 000 $
საქართველოს მშპ-ს საპროგნოზო მოდელი საბაზისო ვარიანტი, 1 სულ მოსახლეზე მოდის 25 000 $
საქართველოს მშპ-ს საპროგნოზო მოდელი ოპტიმისტური ვარიანტი, 1 სულ მოსახლეზე მოდის 30 000 $

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის პროგნოზი 2040 წლამდე

მაღალი - 3.789 მილიონი ადამიანი;
საშუალო- 3.456 მილიონი ადამიანი;
დაბალი - 3.139 მილიონი ადამიანი;

საქართველოს შრომითი რესურსების დინამიკა 2040 წლამდე

მაღალი - 2.387 მილიონი ადამიანი;
საშუალო- 2.177 მილიონი ადამიანი;
დაბალი - 1.978 მილიონი ადამიანი;

## ხუთი ძირითადი კითხვა

1. რისთვის არის საჭირო ჩვენი სტრატეგია?
2. რა მოაქვს საქართველოს ეკონომიკისათვის ჩვენ სტრატეგიას და რა პლიუსები გააჩნია მას?
3. რა აუცილებლობაა რომ შემუშავდეს სტრატეგია?
4. რა სარგებელს მოიტანს ჩვენის სტრატეგია?
5. რის ხარჯზე გაიზრდება ეკონომიკა?

ჩვენს მიერ შემოთავაზებული სტრატეგია საშუალებას იძლევა პასუხი გაეცეს ხუთივე ძირითად კითხვაზე
ჩვენი სტრატეგია საშუალება სიძლევა :

1. ვუზრუნველყოთ მაკროეკონომიკური სტაბილურობა;
   - საპროგნოზო ამოცანების შესაბამისი გამოზომილი ფინანსური დაგეგმვა;
   - ჩვენს მიერ შემოთავაზებული გეგმის მიხედვით აჭარის ეკონომიკის მოდერნიზაციაში პირდაპირი მონაწილეობა;
2. ზუსტად და უდეფიციტოთ გადავწყვიტოთ საბიუჯეტო და ფინანსური პოლიტიკის საკითხები, მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შენარჩუნებით;
   - საპროგნოზო ამოცანების შესაბამისი ფინანსური დაგეგმვა ბიუჯეტის შედგენის დროს;
   - ეკონომიკის განვითარების მონიტორინგის ხარჯზე მისი კორექტირება მონაცემთა დამუშავების პროცესში;
3. შევქმნათ პირობები საბაზრო ინსტიტუტების გასამაგრებლად, კონკურენციის გაანვითარებლად, განვსაზღვროთ მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირების პარამეტრები;
   - საპროგნოზო ამოცანების შესაბამისი ფინანსური დაგეგმვა ბიუჯეტის შედგენის დროს;
   - ეკონომიკის განვითარების მონიტორინგის ხარჯზე მისი კორექტირება მონაცემთა დამუშავების პროცესში;

- საპრონოზო ამოცანების შესაბამისი ფინანსური დაგეგმვა ბიუჯეტის შედგენის დროს;
- ეკონომიკის განვითარების მონიტორინგის ხარჯზე მისი კორექტირება მონაცემთა დამუშავების პროცესში;

4. გადავლახოთ რაიონების ტერიტორიული და საინფორმაციო დაქსაქსულობა. ვუზრუნველყოთ მოსახლეობასთან და ბიზნესთან კავშირი, რაც შეამცირებს უთანაბრობას და სიღარიბეს;
   - ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება, როგორიცაა „ღრუბელოვანი ტექნოლოგია“;
   - ტპკ- ტექნოლოგიური კომუნიკაციური პლატფორმები/
   - მოქნილი საგადასახადო სისტემა. მოზომილი დოტაციური პოლიტიკა, წერტილოვანი დაფინანსება;
   - „ღია მთავრობის სისტემის სექმნა“ ტპკ-ს ბაზაზე, „ღრუბელოვანი ტექნოლოგიის გამოყენებით“;
5. გავაუმჯობესოთ საცხოვრებელი გარემო, ცხოვრების ხარისხი და მოსახლეობის ჯანდაცვა;
   - პროგრამა: „განსახლების განვითარება“
   - განვითარების პროგრამები: ჯანდაცვა; სოც. დაზღვევა; საპენსიო სისტემები;
   - წერტილოვანი დაფინანსება და ეკონომიკის განვითარების მონიტორინგი;
6. ავამაღლოთ მეცნიერებისა და განათლების პრესტიჟი;
   - პრიორიტეტების განსაზღვრა მეცნიერებისა და განათლების დაფინანსებისა;
   - არასახელმწიფო სექტორის განვითარება კვლევებისა და დაფინანსებისთვის;
   - ეროვნული ინოვაციური სისტემის შექმნა;
7. შევამციროთ სახელმწიფო ხარჯები და დავაჩქაროთ აჭარის ეკონომიკური ზრდა;
   - პროგრამა „4x7“
   - სახელმწიფო ხარჯების შემცირება, წერტილოვანი დაფინანსება, ეკონომიკის მონიტორინგი;

### რის ხარჯზეა შესაძლებელი ეკონომიკის ზრდა? პროგრამა „4x7“ (ურთიერთმიმართებითი)
### კრიზისის გადალახვის გასაღებია სტრატეგიული პერსპექტივის დანახვა

1. სწორედ შერჩეული სტრატეგიით;
   - ეკონომიკის ტაბილიზაციით;
   - მზარდი მოთხოვნადი მექანიზმების შექმნა;
   - ბიზნესის განვითარების პირობების შექმნა;
   - ინოვაციების ეკონომიკაზე გადასვლა;
   - სახელმწიფო ხარჯების შემცირება;
   - პირობების შექმნა მეცნიერების განვითარებისთვის;
   - განათლების მიზნობრივი დაფინანსება;
2. სწორი ტაქტიკის განსაზღვრით;
   - სახელმწიფოს როლის განსაზღვრა;
   - სახელმწიფოს სწორი ჩართულობა ფინანსურ ინტერვენციაში;
   - ცენტრალიზება სახელმწიფოს ინტერვენციის სტრუქტურაში;
   - სახელმწიფოს პირდაპირი გავლენა ბიზნესის განვითარებაში (სასურველ დონემდე გასვლამდე);
   - სახელმწიფო შესყიდვების ოპტიმიზაცია;
   - ინოვაციები, როგორც ეკონომიკური განვითარების საფუძველი (გარღვევის ტექნოლოგიები);
3. სახელმწიფო მარაგების შექმნით;
   - შენატანების მოზიდვა;

- ბიუჯეტიდან გადარიცხვები;
- სარეზერვო ფონდის შექმნა და ოქროს მარაგის გაზრდა;
- საერთაშორისო ფინანსური ინსტრუმენტების ფორმირება;
- საერთაშორისო ფინასურ ბაზარზე გასვლა;
- მოქნილი საგადასახადო სისტემის შექმნა;
- კომპანიათა კაპიტალიზაციის ჯერადი ამაღლება;

4. დამოუკიდებლობით’

- ეკონომიკური ვალებისგან განთავისუფლება ან რესტრუქტურიზაცია;
- ექსპორტზე ორიენტაცია, მონისექტორულ ზარდაზე უარის თქმა;
- პირობების შექმნა ლარის კონვერტირებულობისათვის;
- პოლიტიკური-გარე დამოკიდებულებისგან განთავისუფლება, ნეიტრალობა როგორც პოლიტ მოდელი;
- დომინირებული მდგომარეობიდან გამოსვლა, პოლიგამიური თანამშრომლობის პროცესის შექმნა;
- მრავალვექტორულობა პოლიტიკაში;
- სტრატეგიულ პარტნიორებთან თანამშრომლობის განმტკიცება;

ინოვაციურ-ტექნოლოგიური სისტემის პრიორიტეტები საქართველოსთვის 2040 წლამდე

- სასმელი წყლის ინოვაციური პროდუქცია (იონიზირებული, ტონიზირებული და აშ);
- პრინციპულად ახალი მასალები, ლითონდამზოგავი ტექნოლოგიები, იზოტოპები;
- რაციონალური ბიოტექნოლოგია და ბიომედიცინა;
- ნანოტექნოლოგიები და ფოტონიკა (ლაზერები, გალოგრამები, ინფორმაციის გადაცემა ოპტიკური სადენებით);
- საინფორმაციო ტექნოლოგიები, სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა;
- განახლებადი ენერგორესურსები, ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიები;
- ინოვაციური ფარმაკოქიმიური და ფარმაცეპტული პრეპარატები;
- ნარჩენების პრინციპულად ახალი გადამუშავების ტექნოლოგიები;
- ახალი, ეკოლოგიურად სუფთა, ინოვაციური სასოფლო-სამეურნეო, სასურსათო პროდუქცია და ტექნოლოგიები;
- ტრანსპორტის პრინციპულად ახალი საშუალებები და ლოგისტიკური ცენტრები;
- ახალი ტაობის რესურსოდამზოგავი და მოქნილი სამრეწველო პროდუქცია;

ინოვაციური გარღვევის სტრატეგიის რეალიზაციის მექანიზმები

- საინოვაციო საქმიანობის საკანონმდებლო უზრუნველყოფა;
- საინოვაციო საქმიანობის გრძელვადიანი პროგნოზირება, სტრატეგიული დაგეგმვა და პროგრამირება;
- ინოვაციების პრიორიტეტული დაფინანსება და ინოვაციური პროცესების სტიმულირება. რისკების დაზღვევა;
- ტექნოლოგიურ გარღვევაზე ორიენტირებული ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირება;
- ორგანიზაციული სტრუქტურები, ინფორმაცია და კადრები ინოვაციისთვის;
- ბიზნესმენების, სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და შემოქმედებითი პირების საინოვაციო პარტნიორობა.

შედეგად საქართველო 2040 წლისთვის გახდება კავკასიის რეგიონის მოწინავე ქვეყნის სახე.

# პირველი თაობის უკანასკნელი რაინდები?!

ამა წლის ოქტომბერში სრულდება 35 წელი მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ დაარსებიდან. იგი დაფუძნდა „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ ბაზაზე, რომელსაც ამ მომენტისთვის, 10 წელზე მეტი ხნის ისტორია ჰქონდა. ეს ორგანიზაცია დღესაც ფუნქციონირებს და იმ შორეული 1989 წლიდან მის რიგებს მხოლოდ რამდენიმე ადამიანი შემორჩა. მინდა რამდენიმე სიტყვით გაგაცნოთ ისინი, თქვენ, ვისაც ეს დაგაინტერესებთ, როგორც დღეს, ისე მომავალში.

ერთხელ, როგორღაც ვთქვი: – მე ემოციებით ვაზროვნებ, ამიტომ პოლიტიკოსი არ ვარ – მეთქი (მოგვიანებით, იგივე ფრაზა სხვა ადამიანმაც გაიმეორა). ამის გამო ნუკრი ძალიან გაცხარდა. მართალიც იყო: განა შეიძლება, ვთქვათ, თბილისის „დინამოში“ თამაშობდე და განაცხადო: – მე ფეხბურთელი არ ვარო? მაშინ გუნდში რა გინდა? წადი, სხვა საქმით დაკავდი! წასვლაზე გამახსენდა: ძაან გაბრაზებულზე თავად ნუკრისაც უთქვამს: – იცოდეთ, მე წავალო. ამის გამო ასეთი რამ ვუთხარი: – ჩვენ მაშინ წავალთ „ჰელსინკიდან“, როდესაც ამ ქვეყნიდან წავალთ! ცხადია, დამეთანხმა. ჰო, და არც მაშინ რომ არ წავიდეთ, მინდა, ამ ოთხეულის პატარა პოლიტიკურ-მხატვრული პორტრეტებით დავიწყო, რათა ისინი დარჩეს ჟურნალ „მატიანეს“ ფურცლებს.



## ნ უ კ რ ი   ბ ა ღ დ ა ვ ა ძ ე

მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი –
–ეროვნული აღორძინების“
თავმჯდომარის შემსრულებელი
პერიოდულად
1994–2024 წლებში,
მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი –
–ეროვნული აღორძინების“
თავმჯდომარე
2017 – 2021 წლებში,
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
საკონსტიტუციო საბჭოს თავმჯდომარე
2021–2024 წლებში

როგორც „საქართველოს ჰელსინკის კავშირი“, ისე მისი „შვილობილი“ – მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება“ ზვიად გამსახურდიამ დაარსა. მისი დაღუპვის შემდეგ ამ ორგანიზაციის ხელში ჩაგდება (სამწუხაროდ, არაკეთილშობილი მიზნებით), არა ერთმა პიროვნებამ სცადა. უმთავრესი და უდიდესია ნ. ბაღდავაძის დამსახურება იმაში, რომ „საქართველოს ჰელსინკის კავშირმა“ მრგვალი მაგიდის სხვა წევრი ორგანიზაციების ბედი არ გაიზიარა.

იყო ეს პირადი დაპირისპირებები, შინაური, თუ ოფიციალური სასამართლოები, უმეტესად, მარტოდ-მარტო უპირისპირდებოდა ბოროტგანმზრახველებს და უდიდესი თავგანწირვის, ზოგჯერ სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად, მუდამ იმარჯვებდა. მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი“ მისთვის უპირველესი საზრუნავია, ოჯახი, სამსახური, ყოველივე პირადული – მეორეხარისხოვანი. თითქმის ყველა იდეა, ყველა ინიციატივა, თვით ამ ჟურნალის გამოცემის აღდგენის (2014 წ.) ჩათვლით, ნუკრის ეკუთვნის, რადგან მისი გონება 24 საათის განმავლობაში ამ საქმით არის დაკავებული. ის არის ავტორი უმთავრესი წერილების, „მიმართვების“, „მემორანდუმების“, „მანიფესტების“, პლატფორმების ... იგი, ზოგჯერ, თავის ვინაობას არც კი მიუთითებს ხოლმე. მან სრულიად და ღირსეულად აიღო თავისთავზე ის მისია, რომელიც ზვიად გამსახურდიას ჰქონდა. დარწმუნებული ვარ (თავადაც უთქვამს), სულ მარტო რომ დარჩეს, ამ დიად საქმეს მაინც გააგრძელებს.

საბედნიეროდ, ის მარტო არ არის:



# თორნიკე ამაშუკელი

მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი –
– ეროვნული აღორძინების“
თავმჯდომარე
2003 – 2009 წლებში,

მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი –
– ეროვნული აღორძინების“
პრეზიდიუმის წევრი
2003 – 2024 წლებში

ერთადერთია იმ ცოცხალ „ჰელსინკელებს“ შორის, ვინც ორჯერ იქნა არჩეული „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ თავჯდომარედ. დინჯი, აუღელვებელი, საქმეში ღრმად ჩახედული, მოწესრიგებული ადამიანია.

მისი მოსაზრებები ყოველთვის კომპეტენტურია, რადგან წესდებიდან დაწყებული, ნებისმიერი დოკუმენტი ყოველთვის საფუძვლიანად აქვს შესწავლილი. აქტიურ მონაწილეობასაც ღებულობს ამ დოკუმენტების შემუშავებაში და მისი იმედი ყოველთვის უნდა გვქონდეს.



# თამაზ ხუციშვილი

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტთან არსებული
საიდუმლოო სამსახურის ხელმძღვანელი,
მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი –
– ეროვნული აღორძინების“
პრეზიდიუმის წევრი
2021– 2024 წლებში

„ერთი, წისქვილის ქვა არ დატრიალებულა მის თავზე, თორემ სხვა არაფერი დაკლებიაო“ – სწორედ მასზე შეიძლება ითქვას: პოლიტიკური რეპრესიები, პატიმრობა, დიდი განსაცდელები. უკიდურესად ჯანმრთელობაშერყეული, ისევ დაუცხრომლად იღწვის საერთო საქმისთვის. ნუკრისთან ერთად, ცხადად, თუ ფარულად, წარმატებით იგერიებს„საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ ცხად, თუ ფარულ მტრებს. მუდმივად ეძიებს ახალ და ახალ კონტაქტებს ყველა მიმართულებით. არის სამხედრო და საიდუმლოო საქმეთა უბადლოო მცოდნე.



# ნ ო დ ა რ კ ი კ ნ ა ძ ე

მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი –
– ეროვნული აღორძინების"
თავმჯდომარე 2013 – 2017 წლებში,
მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი –
– ეროვნული აღორძინების"
პრეზიდიუმის წევრი და კავშირის
საკონტროლო-სარევიზიო კომისიის
თავმჯდომარე
2017 – 2024 წლებში

## ნოდარ კიკნაძე

(ამ ლირიული ჩანახატების ავტორი)

ერთხელ, ასეთი რამ ვთქვი: „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ წევრობა, უპირველესად, არის სულიერი მდგომარეობა.“ ამის გარეშე ამ ორგანიზაციაში ყოფნას აზრი არ აქვს. თუ შენში გულწრფელი სიყვარული არ არის და მაინც აქ რჩები, მაშინ მაგ გულში რაღაც ბოროტი განზრახვა გაქვს. მე ვერ დავიკვეხნი ვერც ნუკრისნაირი ცოდნითა და თავგანწირვით, ვერც თორნიკეს სიბრძნით, ვერც თამაზის სიმამაცით... მაგრამ „მე აქ ვარ და სხვაგვარად არ ძალმიძს!“

და კიდევ, ხანდახან ლექსებსაც ვწერ:

ბოლოს და ბოლოს, ბოლოს და ბოლოს
ყველა ნებდება ბოლოს და ბოლოს.
ყველა ნებდება ბოლოს და ბოლოს,
თითო-ოროლა დავრჩებით მხოლოდ,
ვინაც არ დათმობს მამულს და ენას,
ვინც არ შეიცვლის აზრსა და და რწმენას...

... და როგორც მუდამ, დარდის არმჩენი,
დაელოდება სამშობლო ჩვენი
მას, ვინც გაარღვევს მონობის წყვდიადს,
ახალ ილიას და ახალ ზვიადს!

ნოდარ კიკნაძე

# ამბავი სამი ლექსისა

გალაკტიონის პიროვნება, ისევე, როგორც მისი შემოქმედება, გენიალური და იდუმალებით აღსავსეა. როგორც ერთის, ისევე მეორის შესწავლა-გაანალიზებას არა-ერთმა, თავადაც დიდებულმა შემოქმედმა, შეალია წლები და ენერგია. მაგალითისთვის თუნდაც მხატვარი თენგიზ მირზაშვილი და პოეტი ვახტანგ ჯავახაძე კმარა.
მინდა, მეც, ჩემი მოკრძალებული, მცირე წვლილი შევიტანო ამ საქმეში.

„ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ. დრო, დრო აღნიშნე!
მოაწერე ლექსს ეს წელიწადი, დღე და საათი...“ მოძღვრავს პოეტი მკითხველს და თავისთავსაც, მაგრამ საკუთარ ჩანაწერებში ჩივის: არ დაბეჭდილა არცერთი ჩემი ლექსი ისე, რომ რედაქტორს, კორექტორს, ზოგჯერ სტამბის მუშებსაც კი თავისი შეხედულებისამებრ არ შეეცვალოთ ლექსის სათაური, თარიღი, ზოჯერ სტროფიც კიო. ალბათ ამიტომ და იქნებ სხვა მიზეზითაც, ზოგჯერ თავადაც, შეგნებულად ცვლის, აყალბებს, ან საერთოდ არ მიუთითებს თარიღს. თუმცა მის პირად ჩანაწერებზე დაყრდნობით, ლექსიდან მომდინარე ემოციების აღქმით, შესაძლებელი ხდება იმის განსაზღვრა, თუ რა დროს არის დაწერილი.

მაგალითისთვის მოვიყვან სამ ლექსს, რომელთაც, როგორც ქვეყნის მდგომარეობის ერთერთი გამოხატულება, ძილ-ღვიძილის თემა აერთიანებს:

მინავლდა 20-30-იანი წლების აპოკალიფტური, ჯოჯოხეთური ტერორი, სისხლი, დახვრეტები, გადასახლებები. მოსახლეობაც გაირინდა, მიყუჩდა. საქართველოს ბევრ ოჯახში ასეთი ტრადიციაც კი გაჩნდა: ლხინის, თუ ჭირის სუფრაზე თამადა ფეხზე ადგომით, ღვინით სავსე სასმისს ზე-ასწევდა. შემდეგ, უხმოდ, ტუჩებთან მიიტანდა და გამოცლიდა. იგივეს იმეორებდა სუფრის წევრი, ყველა მამაკაცი. ეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის სადღეგრძელო იყო!

ამ დროს, გალაკტიონი, აიგივებს რა თავის თავს საქართველოსთან, ამბობს:

მე მძინარე ვარ... ვწევარ და მძინავს,
დაე, მძინავდეს.
ხედავ ჩემს შუბლზე ღიმილს დამცინავს,
როდესაც ნანა მესმის ძიძების –
ბევრს ეშინოდეს
ჩემი სასტიკი, ულმობელი გამოღვიძების,
ვით გათენებას,
მე ვხედავ სიზმრებს არა თქვენებურს.

დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი. ქვეყანა „საყოველთაო აღმშენებლობისა“ და ზეიმის რეჟიმშია. გალაკტონი კი წერს:

წინად შენი სპეტაკი გზა
და ვარდები ფეხით სთელეს,
მერე ვითომ შერცხვათ ცოტა
და ჩანგს მისწვდნენ უგულწრფელესს.

კარგი, კმარა, ვინ არ ხედავს –
ეს სიმორცხვე ამაოა –
მას ზეიმი დაერქმევა
და დამარხვა კი გამოვა.

დამფასებლის სამოსელში
გაეხვევა მტრების ჯარი,
მაგრამ მათი ღრიანცელი
ცინიზმია საზიზღარი!

ანგარიშში სცდება მტერი,
როს მღერის და გულში ღრინავს –
მას არ სძინავს არასოდეს,
მაგრამ ეხლა არც მე მძინავს.

აღარ არის სტალინი, მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგი საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნასა და დიდ მღელვარებაში გადაიზარდა. გალაკტიონი ასე ეხმაურება ამ მოვლენას:

* * *

შენ შუბლს იხსნი და სიბნელეს ლეწავ,
საქართველოს მოღრუბლულო ზეცავ...
ნეტავ მალე აღმობრწყინდეს მნათი,
მალე სხივი მოგვეფინოს ნეტავ!

წინ მიიწევ და ხმაურობ, გღვიძავს,
საქართველოს სევდიანო მიწავ.
ნეტავ მალე დაამსხვრევდე ბორკილს,
ნეტავ მალე მიაღწევდე მიზანს!

ასეთია „ამბავი სამი ლექსისა“ და ... „კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველი!“

ნოდარ კიკნაძე

# „უნდა ჩავაბარო!“

ახალგაზრდობისას, ბევრჯერ შევსწრებივარ დავას: რომელი საფერავი სჯობს: ხაშმისა, თუ ყვარლისა?!

ჩემს თბილისელ მეგობარს(წარმოშობით-ხაშმელს), რეზოს, ბიძა ყავდა ყვარლელი, ძია მიშა. ხო და, რეზო ამბობდა: ბიძაჩემის ვენახი ჩემმპიონთა ჩემპიონაო!(შესაბამისად, ღვინოც!).

1991 წლის სქტემბერში, ეროვნულმა მთავრობამ თხოვნით მიმართა მოსახლეობას: ყურძენი სახელმწიფოს ღვინის ქარხნებში ჩაებარებინათ, ვინაიდან ბლოკადაში მყოფ ქვეყანას ვალუტის დეფიციტი ჰქონდა, რისი შევსებაც ღვინის ექსპორტითაც შეიძლებოდა.

ერთი უცნაურობა სჭირდა ძია მიშას: ეგეთი კაცი იყო, ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. მაგალითად: ასე, თვეში ერთხელ, დარეკავდა:

– რეზო ხაარ?

– ხო, მე ვარ ძია მიშა!

– როგო ხართ?

– კარგად, ძია...

– კარგა იყავით! – და გათიშავდა.

ოქტომბერის დასაწყისია. მეგობრის, ვაჟას დაბადების დღის სუფრაზე, რევაზმა ასეთი ამბავი მოგვითხრო:

მიშამ დარეკა ამასწინათ:

– შაბათ-კვირას, რთველი მაქ – და გათიშა.

გასაგებია: უნდა ჩავიდე, მივეხმარო.

პარასკევს შუადღით წავედი.

ის იყო, ვახშამს შევუდექით, ეზოს ჭიშკარი ორმა ახალგაზრდამ შემოაღო:

– ძია მიშას გაუმარჯოს!

– გაგიმარჯოთ!

– საქმე გვაქ, შენთან.

– ჯერ დაილოცეთ – ჭიქები შეავსო და მიაწოდა.

– აბა, გაგიმარჯოთ! ღმერთმა გაგიმარჯოთ! ბარაქა მოგცეთ! – გადაჰკრეს.

ერთმანეთს გადახედეს:

– შენი ღვინოა, არა?!

ძიამ მრავლმნიშვნელოვნად ამოხედა.

– ხო, და... სწორედ მაგ საქმეზე ვართ მოსული: გავიგეთ, ხვალე რთველი გქონია. ქარხნის ფასი ხო ვიცით. ოც კაპიკს ვამატებთ ზეიდან, ჩვენ დავკრიფავთ, იქვე ავწონით, ფულსაც იქვე ჩაგითვლით. რას იტყვი?!

მიშა ერთხანს სდუმდა. მერე ჩაილაპარაკა:

– უნდა ჩავაბარო.

– რაო?

– რაც გაიგეთ.

– თუ ფასი გეცოტავება, ოცდაათით მეტი იყოს!

– ვთქვი, ერთხელ და მორჩა!

იცოდნენ, ალბათ, მისი ხასიათი: ხმა აღარ გაუღიათ, გაბრაზებულები, უხმოდ შეტრიალდნენ და წავიდნენ.

ორი დღე დავწყდით ყურძნის კრეფით. ჯერ მანქანა, მერე ბენზინი, როგორც იქნა, ვიშოვნეთ.

ორშაბათს დილით ქარხნის წინ ვებერთელა რიგში დავდექით. საღამოს ის ბიჭები მოგვადგნენ ისევ:

– ჯანი გავარდეს, გიშრომიათ, დაგიკრეფიათ, დაგიტვირთიათ... ათ კაპიკს კიდევ ვამატებთ! ჰა, რას იტყვი?!

– უნდ ჩავაბარო! – ჯიუტად გაუმეორა პასუხი.

სამშაბათს როგორც იქნა, ყურძენი ჩავაბარეთ „პოსლეზე“. შინ მობრუნებულები, სავახშმოდ დავსხედით. ცოტა რომ შვთვერით, მერეღა შევბედე:

– ძია მიშა, მაინც რა აჩემება იყო ეს: – „უნდ ჩავაბარო“?! ნაღდ ფულს გაძლევდნენ, კარგ ფასს, უწვალებლად...

ცოტა ხანს უხმოდ შემომცქეროდა, მერე მიპასუხა:

– ბიჭო, ვერ გაიგე? ზვიადმა გვთხოვა: ქვეყანას უჭირს, ყურძენი ქარხანაში ჩააბარეთო!

მონათხრობმა სუფრის წევრები აგვაფრთოვანა. დავლოცეთ ქართველი გლეხკაცი, ქვეყნის მოჭირნახულე! მისი ალალი გულშემატკივარი!

ჩვენს შორის ერთი, გურამი, მუხრან მაჭავარიანთან მეგობრობდა. დაურეკა მეორე დღეს ბატონ მუხრანს და ეს ამბავი გადასცა. ხოლო, როდესაც მუხრანმა პრეზიდენტს მოუთხრო, ზვიადს, თურმე, თვალები აუცრემლიანდა. ამის შესახებ მუხრანმა გურამს უთხრა, გურამმა – ვაჟას, ვაჟამ – რევაზს...

– ისევ რომ მომიწია ყვარელში წასვლა – მორიგი შეკრების დროს მოგვითხრო რეზომ – ბიძაჩემს ვუთხარი:

– ძიავ, იცი, შენი ამბავი ზვიადისთვის მოუყოლიათ.

– რა ამბავი?

– აი, ყურძენი რო არ გაყიდე და ჩააბარე.

– მერე?

– თურმე ზვიადს ცრემლები წამოსვლია!

თავჩაქინდრულმა, ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

– იგრე იქნებოდა!

ნოდარ კიკნაძე

* * *

ქირქილებს მტერი - ვერაგი
ჩვენი სიბრიყვით ერთობა.
იცის, ყველაზე საშიში
არის ქართველთა ერთობა.
ჩვენც, თითქოს გვიყვარს ერთურთი,
მაგრამ არც მტრობა გვეთმობა.

ნოდარ კიკნაძე

* * *

თუ რამ ფიქრი გქონია
ეკლიანი რტოების,
ცეცხლი და აგონია
აზრთან განმარტოვების,
თუ იტვირთე ის ჯვარი
და გოლგოთის ცისკარი,
ესეიგი იცანი
შენი ყოფნის მიზანი;
ესეიგი იწამე
შენ სიკეთის მალამო,
ესე იგი ეწამე,
მაგრამ არა ამაოდ,
ამაოდ არ ვშობილვართ,
ღირდა ქვეყნის გაცნობა,
ესეიგი ყოფილა
სიკეთე და კაცობა!

ნ.კიკნაძე

* * *

ლურჯ ზამბახებით თვრებოდა ბაღი,
ჟანგიან ხმაზე ჟღერდნენ სიმები,
ჰგავდნენ ვარდები ცრემლებად დაღვრილს
როგორც მწუხარე ეკლესიები.
იქვე, ეკლების ვრცელ სარეცელზე
ესვენა გული სუსტი, შიშველი.
წვეთავდა სისხლი ვარდის ფურცლებზე
და არა სჩანდა არსით საშველი.
– ო, შეიბრალეთ – გაწვდილ ხელებით
ევედრებოდნენ ეკლებს იები,
ეფინებოდნენ მიწას ცრემლები –
პაწაწა, თეთრი ეკლესიები.

ნ.კიკნაძე

თვალნი ყოველთანი შენდამი ესვენ,
უფალო ამაცილე სასუმელი ესე.
მამა ხარ ყოველთა შვილთათვის მზრუნველი,
უფალო ამაცილე ესე სასუმელი.
ნუ ჩემი იყოფინ არამედ შენი.
შენ თვითონ ნება ხარ სიმართლის მჩენი.
ხამს მოყვასისათვის სიმძიმე ვითვისო,
გვედრი შემიწყალე ძეო დავითისო

ზ. გამსახურდია



# ს ე რ გ ი (გ ი ო რ გ ი) ს ა ჭ ა ი ა

მწერალი, ომის ვეტერანი, რიგითთაგანი ერის გამათავისუფლებელ ძალისხმევაში, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი შარვაშიძისა და ზვიად გამსახურდიას პრემიების ლაურეატი.

საქართველოს რესპუბლიკის აფხაზეთის ა/რ სახელმწიფო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ეროვნულ ხელისუფლებაში (1993 წ.)

## სამშობლოს რიგითი მეველის ფიქრები ქართველთა გონითი განფენის სივრცეში

(კონსპექტები თითქმის ოთხმოცწლიანი გამოცდილებიდან)

*ნუ ჰხნავ ხარითა და ვირითა ერთად...*
მეორე სჯული - 22,10;
*რამეთუ სადა - იგი წიგნის წერაი არს, სიკუდილი*
*უნებლიად ზედა-აც მწერალსა მას...*
ებრაელთა მიმართ - 9,16;
*ჭეშმარიტად არც ერთი ნაგებობა არაა ისე*
*მტკიცე, როგორც ის, რომელიც მამაცი წინაპრების*
*ძვლებზეა აშენებული...*
დიდოსტატი კონსტანტინე;
*შენ ჩემი გათენება ხარ, მე – შენი ღამის ნაწილი...*
სადღაც ყურმოკრული სიმღერიდან

ქართველი ერის მიზანი, თუ ის დივერსიულ ეთნოფაბრიკაციათა კბილანებს გადაურჩა, როგორც მთელი მისი არსებობის მანძილზე, მომავალშიც არ უნდა გახდეს არამშობლიური კიდეგანის შემოღობვა, მობაცაცება, დაპყრობა. მისი მოვალეობა გახლავთ, – ქართველთა გონითი განფენის სივრცესა, თუ ეროვნული სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ არ დარჩეს იბერიული ცივილიზაციით გაშინაარსებული, წინაპართა სისხლით, ცრემლითა და ოფლით

გაჟღენთილი, თუმცა, დღეს დანაგვიანებული, ან განგებ კვალწაშლილი არც ერთი გოჯი, ნაფლეთი, ნაფეხური ...

თავიდანვე მინდა გაგაფრთხილოთ, ასეთი ძალისხმევის დროს ორივე ხიფათია, მაგრამ მაღალ ბალახში დამალულ გველს, ღია მინდორში თავაწყვეტილი ვეფხვი სჯობია!..

გარედან თავსმოხვეული ამდენი ავმოსურნე მოულოდნელობისა და სისხლგამყინავი სიცხადის პირისპირ, როდესაც ჩემი სამშობლოს ჯიშისმიერება, თუ დედანი ცნობიერება იშოლტება, იწიხლება და უპატიურდება, როცა ქვეყანა გვიქციეს დივერსიული ეთნოფაბრიკაციების საამქროდ, როცა ძიქვა, ანუ შარვალჩახდილობა „საპატიო გამოგამზირება“ გახდა, ანდა ერთ ქიტესასა, თუ ჩაგუზე სამი მსტოვარი რომაა მოპიროვნებული, რაც ასე სათავზაროა, როცა ქართული საზოგადოების არც თუ მცირე ნაწილში თავსლაფი „სიკეთედ“ დგინდება, წესით ეროვნული გაერთსხეულების მოთხოვნილება სახალხო ნებად უნდა ჩასანგრდეს ქრისტესმხედრული განაწესით.

სამწუხაროდ, არ ხდება ასე: ყოველ გზაჯვარედინზე საზურგე ბებუთმომარჯვებული არამზადა გვიხიფათებს ეროვნულ სვლაგეზს.

ასეთ ვითარებაში კითხვაზე – თუ რა ვაკეთე ხელთარსებული საშუალებებით საჭირო დროს, საჭირო ადგილზე, არც თუ ღარიბნათესავური პასუხი მაქვს: მე – სოხუმთან ახლოს, ბესლეთის ხეობაში, ბაგრატ მესამის ციხესიმაგრისა და მისივე თაღოვანი ხიდის მიმდებარედ, კომანის სიწმინდეების მახლობლად, მათი მიმოწაფებით გაზრდილმა, ვიცოდი, რომ პიროვნებას, საზოგადოებას, ერს, სახელმწიფოს გააჩნდეს უნდა მკაფიოდ შორსგაწვდენილი სიცხადე, დიახ, სტრატეგიული მზერა და სახალხო წესრიგი, რომელშიც რაობა ვინაობად ცისქვეშეთდება. ეს არ ხდება ბუძოლიით (ქაოსით). სხვა შემთხვევაში ცას წვდომილ თვალს ასე გაშინაარსებული სივრცე შერჩება: „რაა მასზე გულსაწყვეტი, მეტეხო და დიღმის ველო, მიდიოდე და ფიქრობდე: ეს არ არის საქართველო!

„არის ხალხი, რკინიგზები, არის – ავტო, მოტო, ველო, არის ოჯახებიც, მაგრამ ეს არ არის საქართველო!“

ან, კიდევ: „ახლა ეს ფიქრი სხვა სამარეა, მოვიდა ქარი, ხე შეარხია და საქართველო ეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი ხალხი მარხია. ციხეში ვზივართ, გარეთ მთვარეა, შორს გაუსხლავი ლურჯია ბაღი და საქართველო ეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი მარხია ხალხი“ (ტერენტი გრანელი).

ყოველთა ქართველთა ამ ორ უდიადეს ჭირისუფალთა ეს სტრიქონები კინაღამ საუკუნის წინ დაიწერა, თუმცა „ჩვენი“ მეტიჩარა და წინგაუხედავი საზოგადოებრივი ზეპურობისთვის, ანუ ელიტისთვის (გასაგებია, აქ არ ვგულისხმობ ერის თითოოროლა ღირსებისკენ გამძღოლად თავგამეტებულ მეგზურს), დიახ, სირეგვნეში ჩაცხრაკლიტულებულთათვის ასეთი ღაღადი არასოდეს ყოფილა ცნობიერი წუთჩაფიქრების მიზეზი. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ეს საკუთარი ოფლით, ცრემლითა და სისხლით, თან ღვთის შეწევნითა და კარნახით დაწერილი სტრიქონები ვერ იქცა საყოველთაო ეროვნული ქუდზეკაცობის სახმობად, თვითგამოფხიზლების მოწოდებად, ღვთისმშობლის წილხვდომილობისკენ გაგნების ათვლად. ის კი არადა, როგორც იქნა ასეთი ფეხშეწყობით დაძრულ ეროვნულ ძალისხმევას ეშმასეული ძილქუშით, ყურდახშობითა და გონებაარეულობით გაერთმუშტებულმა სიმრავლემ, როგორც დრომ დაადასტურა, ქართველი ერისთვის არამშობლიური საზოგადოებები სახაზინო ბადრაგად მიანაღმა ნებისმიერ ქართულ თვალგახელას მოაღვირების მიზნით.

ასეთ გარემოში ჩვენთან დისლოცირებულ ე. წ. ქვეყნის მესადავეებსა და კასტებად მოარტელე დაჯგუფებებს წარმოდგენა არა აქვთ, თუ რომელი ქვეყნის, რა ვინაობისა და შინაარსის სამართავ საჭეს ეპოტინებიან. ყოველ შემთხვევაში, ისინი ქართველი ერის ნებას არ გამოხატავენ.

გასაგებია, საგანგებოდ დაკონსტრუქტორდა თაობა, რომლისთვისაც ჩემი (ჩვენი) ვინაობის დედანი მშობლიური არაა, რადგან დროთა კავშირის უწყვეტობისთვის არ შერჩა საკუთარ ფესვებამდე გაწელილი მეხსიერება მას.

ამასობაში საქართველო მოინიშნა და გარდაიქმნა-მეთქი დივერსიული ეთნოფაბრიკაციების პოლიგონად, სადაც ქართველთა დენაციონალიზაცია, ანუ მისი

ჯიშისმიერი და დედანი ვინაობის აღგვა, მასში გარედან მოჩეჩებული ყოველდღიურობის ჩანაცვლება საეჭვო პოლიტიკისგან წახალისებულ ინდუსტრიად იქცა. ჩვენ გავხდით ე. წ. სახელმწიფო აზრის ქვეშ საეთნოფაბრიკაციო ნედლეულად მოთადარიგებული სიმრავლე, რომელსაც ეროვნულ ღირსებაში ფიქრი, აზროვნება, ყოფაქცევა, ძალისხმევა, ყოფითი თუ საზოგადოებრივი ყოველდღიურობა ყავლადგასულ ახირებად და დრომოჭმულ აკვიატებად უდგინდება. მეტიც, რა მახეებიც დაუგო მტერმა ქვეყანას, სუყველაში მოხალისედ და ზეიმით ჩაყო ფეხი.

ჩვენთან დაბეჯითებით, ხმამაღლა, სხვადასხვა სამეცნიერო, თუ საინფორმაციო ტრიბუნიდან ამტკიცებდნენ, თითქოს საქართველოში მულტიკულტურული მოცემულობა, ანუ დემოგრაფიული სიჭრელე ხელოვნურ, შორსგამიზნულად თავსმოხვეულ, თან გადაშენების შემცველ საფრთხეს კი არ წარმოადგენს ერის ვინაობისთვის, არამედ, სიმდიდრეა.

ეს არის სიცრუე, ბოროტმოქმედული გულარხეინობა და დანაშაულებრივი წინგაუხედაობა. პირიქით, სწორედ ზღვარსგამცდრმა ე. წ. შემწყნარებლობამ („გიჟვრაცუობამ“), თუ „ინტერნაციონალური“ დოყლაპიობიდან გამომდინარე ცნობიერებამ განაპირობა, ქართველური ჯიშისმიერებისა და მისი გონითი განფენის სივრცის უზარმაზარ კიდეგანზე დღეს ვეებერთელა სახელმწიფოების, „გასხვაქვეყნებული“ პოლიტიკური რეზერვაციებისა (ხართებისა) და ხვალისათვის გასასხვისებლად გახაზირებული მხარეები რომ მუხლმაგრობენ.

ათასწლეულების მანძილზე უიშვიათესია შემთხვევა, როცა სხვადასხვა მიზეზით შემოსახლიკაცებულმა ხალხმა ზურგში მახვილი არ ჩაგვცა, ხიდი არ ჩაგვიხერხა, აღმართზე ქვა არ მოგვაწია.

ჩვენს ქვეყანაში საგანგებოდ გამოსინჯარებულ ლიბერასტთა, უფრო სწორად, ლგბტ თემის პოლიტიკური აგვართა (კლასტერი), გნებავთ, – კასტა მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მშენებლობის აღმავლობა, მისი სახელისუფლებო ინსტიტუციების ძლიერება ნიშნავს ე. წ. დემოკრატიაზე ძალადობას, ადამიანის უფლებების ხელყოფას, სადიქტატურო რეჟიმს... აქედან გამომდინარე, ეს ძალები ერის მარადიულსაყოფ სახელმწიფო სიმტკიცეს უპირწონებენ მართვად ბუძოლიას (ქაოსს), ე. წ. უფლებადაცვასა და ვითომ დემოკრატიაში შეფუთულ „კეთილმოსურნეობას“. რაც მთავარია, დაბეჯითებით ცდილობენ საზოგადოების ჩაქუჩისფსკერულების მენტალურ ჯუჯაკაცობაში. აარამზედებენ რა ადამიანის უფლებებს, ისინი პიროვნებისგან აძევებენ შეგნებას მის მოვალეობასა და პასუხისმგებლობაზე სამშობლოს, ქვეყნის, სახელმწიფოს, ლასკარის, კომლის, ერის მარადიულყოფის წინაშე, რითაც უფლისგან ნებადართული საადამიანო უფლებას აღორმუცელებენ. მათი მიზანი თვითმარცხული („პარაჟენცული“) სულისკვეთების საყოველთაოდ დამკვიდრებაა.

ასეთ დარაზმულობაში ხელშუბით ხვდებიან ეროვნულ-სახალხო ძალისხმევას, აყოველდღიუროს ისეთი საკუთარი სახელმწიფო, რომელსაც დირექტივებით ვერ დაელაპარაკებიან.

მოკლედ, „იქ, სადაც ჯერ არს“ სჭირდებათ ქვეყანა, სახელმწიფო, საზოგადოებრივი სიმრავლე და ადამიანი მხოლოდ გენმოდიცირებული ცნობიერებით.

ასეთ პირობებში ე. წ. უფლებადაცვა ჩვენთან ისეთ სახეს ღებულობს, როდესაც თხას კომბოსტოს ნაკვეთზე მეველედ ნიშნავენ.

ცხადია, საქართველოს პოლიტიკურ გუმბათქვეშ ჩვენს მიწას შემოხიზნულ ხალხებს არათუ თავშესაფარი, სახლიკაცური უფლებები ძუძუმტეობის წესით უნდა დავუდგინოთ, მაგრამ არა ბრმად, ვითარების ან შედეგის გაუსიგრძეგანებლად. ქვეყანა უნდა გამოვიდეს „გიჟვრაცუას“ სახიფათო შეგნებიდან და დაიჯეროს, რომ ამ მიწის ღვთისმშობლის წილხვედრილობაში (დედან შინაარსში) გამშინაარსებელი მხოლოდ ქართველი ერი გახლავთ.

აქედან გამომდინარე, საზოგადოებას ეჭვადაც არ მოსდის, რომ საქართველოში მოსაქმიანე ე. წ. მასმედია, განსაკუთრებით საეთნოდივერსიო ნაღმზიდი ტელევიზიები, სინამდვილეში „ახალი ქართველის“, ანუ უვინაო სამრავლის საეთნოფაბრიკაციო კომბინატებს რომ წარმოადგენენ, რომლებსაც თანმიმდევრული საძირგამომთხრელო

დავალებები გააჩნიათ, რაც უტიფრად იფუთება მეთქი ვითომ დემოკრატიასა და კიდევ უფრო ვითომ უფლებადაცვაში.

ამ მხრივ გადახედეთ მათ სახეზოგადობებს – ჟურნალისტიკისთვის ვინმე ინგა გრიგოლიას, ვახტანგ სანაიას, მიხეილ მშვილდაძის, ნოდარ მელაძისა და ა. შ. ჩასაფრებულ, თუ თითისქნევით, წყრომა-წიოკობით გამოეკრანებებს და შეადრეთ ეს ეთნოდივერსანტები თავის დროზე ღვთივსათნოდ მოღაღადე ქეთევან ლანდიას, დავით ძიგუას, დავით სოკოლოვს, ლია მიქაძეს, ჟანეტა არჩვაძეს... („ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა“ – აკაკი) კეთილქართულობას, სახლიკაცობას, კეთილშობილებას, „კეთილმოსურნეობას, ზრდილობას, შინერს-ვაშინერსის წესრიგს, რომლებიც ერის დედან შინაარსში ამკვიდრებდნენ გემოვნებას, განათლებას, მაღალმხატვრულ მეტყველებას, აზროვნებას, თავანკარა დედაენას, მამულიშვილობას, პასუხისმგებლობას, გვანავარდებდნენ იავნანის სივრცეში, გვაამაყებდნენ იმით, რომ დედოქართულით ხორხისმიერებდა გიორგი მერჩულე, გიორგი მთაწმინდელი, პეტრიწი, შოთა რუსთაველი, დავით გურამიშვილი, ილია, ვაჟა, დიდოსტატი კონსტანტინე, გალაკტიონი, ტერენტი გრანელი და ა. შ. რომ ეს სამყარო ეროვნული შეუგინებლობა გახლდათ, ქრისტესმხედართა თავშესაწირი... ამ ენაზე ათასწლეულის წინ შეიქმნა დებულება ქართველზე როგორც „ახალი საღვთო ერის შესახებ“.

ასეთ სიდიადეს, დღევანდელი ქუჩისფსკერულობის პირისპირ, თავზარდაცემული ვადევნებ თვალს მეხსიერებაში ღვთივსათნო ღირებულებებისთვის ტანჯული კაცის სტრიქონებით – „ვწუხდი, ეს წამი რომ მიდიოდა, ვწუხდი, ეს ფიქრი დროს რომ მოჰქონდა“ (ტერენტი გრანელი). დიახ, ის გახლდათ ავდროისგან გაშოლტილი, რომელსაც სანაგვე ყუთშიც არ მოსცხებია ნაგავი, რადგან ყოველთვის ერის დედან ვინაობაში აზროვნებდა!..

ახლა კი, ბატონო, მიმოვიხედოთ: 24 საათი ტელევიზიის ეკრანიდან შუქდება გარედან შემონაგვიანებული დღის წესრიგი, დედაენაც, მისი ქართველური რაგადობებიც, კილოკავებიც საგანგებო ხელგამოღებით წუმპეშია ამოვლებული, დათარეშობს უვიცობა, უწიგნურობა, უგემოვნებობა, უტიფრობა, უწარსულობა, უხვალდღეობა, უცხოთუმეობა, ხმაბაძვა, რითაც ქართველთა გონითი განფენის სივრციდან მშობლიურ გაჭაჭანებას წიხლისკვრით ერეკებიან!

ქვეყანამ არ იცის, აზრზე არაა, რაც სჭირს: იგი ზარზეიმში იქუსლება, ამავე დროს გზაამრიდი დღის წესრიგით მას მიზნობრივად აშორებენ ეროვნულ თავსატეხებს, მათთან მისი წუთდაყოვნება „დემოკრატიის ღალატად“ განიხილება.

აქვე უნდა ითქვას, რომ ამის გასწვრივ, დემოკრატიის სახელით მართლმადიდებლობა დღეს იმნაირად კი არა, უფრო აღმგვლად იდევნება, ვიდრე ლენინური დროშის ქვეშ, – ორივე ლოყა ხელშემორტყმულიცაა და პანღურამოწვდენილიც გახლავთ. ამასთან ერთად სახალხო ამრისხანება ლაგამამოდებულია, ხოლო უსამშობლო, უარავინო და უვინაო საზოგადოებრივ ფეხაწყობას ამ წუთში ძალაც არა აქვს და, საუბედუროდ, არც სურვილიც – „ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადად“ - (ვაჟა) მიეპირწონოს „უფლებადაცვაში“ შენიღბულ წამლეკაობას, რათა გადაწყვიტოს: რადგან დღეს ჯერჯერობით „ძალა აღმართს ხნავს“, კარგი, მარჯვენა ლოყაზე ხომ შემომკარი, აჰა, მარცხენაც, მე თვითონ მოგიშვერ, მაგრამ ცოცხალი თავით სულს, ცნობიერებას ვერ დაგაწიხლვინებ, რადგან იქ სამშობლოა, მასში ჯიშისმიერი შეუგინებლობა და სისხლაღუღრევლობაა, სიწმინდეა, ხაწაა ჩემი ქართველობის!... ამგვარ შემართებას ერის დედანი შინაარსი სჭირდება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ეროვნულ-სახალხო ქუდზეკაცობა.

ცხადია, წინგახედული ერი თავისი სახალხო სვლაგეზის დაგეგმვისას, რამაც უნდა უზრუნველყოს მისი მარადიულობა, მკაფიოდ იზუსტებს, თუ რისი გაკეთება შეიძლება დღეს, რაა მიზანშეწონილი, გადავწიოთ ხვალისთვის, ან ზეგისთვის, რას უნდა მივაღწიოთ მასზეგ და რა უნდა გადავდოთ მომავლისთვის, წლების, ათწლების, ან საუკუნეების შემდეგ უსათუოდ განსახორციელებელ დავალებად. ამავე დროს ერმა არ უნდა ხელყოს უმთავრესი – ქართველთა გონითი განფენის სივრცის ხელშეუხებლობა. ეს სივრცე მან ყველანაირ მდგომარეობაში უნდა აპუროს, იმეხსიეროს, გაათბოს...

ასეთ ვითარებაში ერთი სურვილი მაქვს, წვრთნაშეუსმენელ თაობას მივახალო, – რაო, გიკვირთ, გაწუხებთ, რომ თქვენში წინგახედულ თადარიგს ვერ ვხედავ და ამის გამო გულამოსკვნით ვტირი?!.

რა მაგის პასუხია და, იცით, რას გეტყვით: „ვისაც არ მოგწონთ ტირილი, ის ნუ დასჯდებით ჩემთანა“... (ვაჟა).

მე ჩემს პირად სატკივარს არ გახვევთ თავს. იმიტომ ვტირი, რათა საზოგადოების ყურდახშობას, წინგაუხედაობას, ძილქუშსა და „რა მოხდა მერე“-ს ეს დასკვნა ჩავუქვითკირო: „იმას, რომ ხელში ხმალი უნდა გვეჭიროს, ჩვენ კი ხმლისა წილ ჯიხვისანი გვიჭირავს რქანი, ვინ, ვინ შეგვინდობს, ანდა, რატომ უნდა შეგვინდოს, ერთი მითხარი?!“ (მუხრანი).

მეტის თქმაც შეიძლება: „საშველს რომ აღარ მაძლევს ხოლმე მამულზე ფიქრი, ხანდახან... გულში ღიმილით ვიტყვი: – რა ჩემი ჭკუის საქმეა ნეტა, მამულო ჩემო, გილხინს თუ გიჭირს?! რომელი მეფე ერეკლე მე ვარ! ანდა რომელი მსაჯული მისი! პასუხად მყისვე, ვითარცა სეტყვა, ვინც კი და რაც კი არსებობსირგვლივ, იხუვლებს ხოლმე, იხუვლებს ერთხმად, ღალატიაო მაგგვარი ფიქრი!..“ (მუხრან მაჭავარიანი).

სავაგლახოდ ჩვენდა, გითხარით უკვე, ყოველივე ამასთან მეხსიერების ჯიშისმიერი კავშირი გაწყვეტილი აქვს თაობას. იგი სხვათაგან გადმომყნობილი გონებით აღიქვამს სიცხადის მოცემულობას,

აქედან გამომდინარე, ყოველდღიურობა, რომელშიც თანამედროვეობს საქართველოში ჩვენდა დაუკითხავად, თანაც მიზნობრივად გამოინკუბატორებული საზოგადოებრივი ზეპურობა (ელიტა), როგორც დედანი შინაარსის არმქონე, არასდროს გაიმშობლიურებს თავის თვალსაწიერში ჩვენთვის სულის მაპურებელ აღთქმას: „შენ მარტოსა გიგონებდე, მემცა მიწა ვიაკვანე“ (შოთა რუსთაველი).

ამასობაში, როგორც გითხარით, ყველა საინფორმაციო საშუალება განუწყვეტლივ, ერთ ხმაში, ყოფნა-არყოფნისა და ქუდზეკაცობის წესით საყოველთაოდ აოთხივკუთხებს ქართველი ერის მარადიულყოფისთვის ფუჭ, უმაქნის, ცრუქაქუნა, ქოქა და გარედან შემონაღმებულ სალაქლაქო, სათავცხვირისმტვრევო, ყურადღების არა არსებითზე გადამტან დღის წესრიგს, რომელიც ჭაობური დემოკრატიის შმორითა და ვითომუფლებადაცვათა შხამგარევით თანმიმდევრულად აცვედანებს, არეგვენებს ეროვნულ-სახალხო გონებას, რაც, უნდა ვაღიაროთ, ჩვენი ნებართვით, მეგზურობით, უგუნურებით, მოხალისეობითა, თუ ანგარებითაც ხდება. ასეთ გარემოში დროებით ოკუპირებულ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მარადქართულ შეუგინებლობებზე გადამუხლუხებით დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციული ინდუსტრია ამ მხარის პირწმინდა დენაციონალიზაციისათვის მრავალმიმართულებით სიმძლავრეებს ქმედითად და მთელი დატვირთვით, როგორც იტყვიან, – სადღეღამისო განრიგით, საველე-სასანგრო მდგომარეობით ამუშავებს, ხოლო მისი შედეგები, ანუ ჩვენთვის მეტასტაზური მოცემულობა ძვრაუქმნელ ჭეშმარიტებად, „ბუნებრივ განგებულებად“ მიეწოდება მთელ მსოფლიოს, რასაც მიზანდასახულად უზრუნველყოფენ ამ მხრივ ნაცადი, გამობრძმედილი, მაღალპროფესიონალი, ასეთი საქმის ზედმიწევნით მცოდნე და ეთნოფაბრიკაციულ დივერსიებში დაგეშილი საინფორმაციო სამსახურები.

სამწუხაროდ, ის, რაც ამ სულნაცდურად ხელგაწაფულთა, თუ ჭკუამარდთა ვერაგული ქვეშქვეშობით დროებით ოკუპირებულ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ხერხდება და „მეცნიერულ კვლევებად“ საჯარისდება ავმოსურნე სამსახურების მიერ, ვერ ვიტყვით, რომ ქმედუუნარო გახლავთ: აგრესორ-სეპარატისტთა საეთნოდივერსიო საამქროებიდან გამოსული პროდუქცია, რომელიც იფუთება გამართულ, სიმართლეს მიმსგავსებულ, საქმის დედანში ჩაუხედავისთვის ანგარიშგასაწევ დებულებებსა, თუ პროპაგანდისტულ რეპორტაჟებში, ჩვენი საზოგადოებისთვის რატომღაც მიჩქმალული, საგანგებოდ ჩაცხრაკლიტულებული და ძირითადად გაუმხელელია, – სრულიად საქართველომ არ იცის, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) მძევლის უფლებით მოყოველდღიურე ჩვენი სისხლი და ხორცი, მხოლოდ ეთნონედლეულია ეთნოფაბრიკაციული ინდუსტრიისთვის. მეტიც, ამ უბედურებამ ამბადაც ვერ ჩააღწია იმ ლაგვანსა და ჭურში, სადაც ჩვენი დოყლაპია მასმედია ზის და ხელებდაკაპიწებული „სალკლდედ“ ფართიფურთობს.

ამ შემთხვევაში სათავზარო ისაა, რომ სანამ აქ ჩვენს დედან ვინაობას ე. წ. დემოკრატიის გარედანი მითითებებით, თანაც მათი ადგილობრივი მეგზურების მოხალისეობით ვანაგვიანებთ სხვადასხვა გეიაღლუმით, ძიქვა (შარვალ) ჩახდით, ასევე აგრესორ „უმცირესობათა“ შემოთავხედებების „უფლებადაცვით“, აქვე ვასახლიკაცებთ ნებისმიერ გადამთიელ მზირს, — ქვეყანა, სამშობლო გაგვისხვისდა. ყოველივე ამისათვის „იქიდან, საიდანაც ჯერ არს“, დაუგვიანებლად ეგზავნება 30 ვერცხლი იმათ, ვინც ამისთვის გაისარჯა. ამ ჯამაგირს თან ახლავს სალაქლაქო „შპარგალკა“, რათა, საზოგადოებას თავს მოვახვიოთ არაეროვნული დღის წესრიგი, ჩვენვე გავაუპატიუროთ ქართველთა გონითი განფენის სივრცე.

სამწუხაროდ, საზოგადოების სიბრიყვით, სიხარბით, წინგაუხედაობითა და ბოროტმოქმედული გულგრილობით ზურგმომაგრებული ჩასაფრება ჩვენს თვალწინ, მიზნობრივად გამოლენჩებული სიმრავლის გვერდით, თავაუტკივებლად ანგრევს ქართული სახელმწიფოს ფუძეურყეობას. ამავე დროს, აზრადაც არ მოგვდის, რომ ციცაბო ქურსუმში ვიჩეხებით. ისა კი არადა, კვლავ და კვლავ გეუბნებით, — ეს წამლეკაობა საზოგადოების უპირატესი ნაწილისათვის „რა მოხდა მერე“-ს მსგავსი აღქმაა, რომელიც არანაირად არ განხვავდება წმინდა ილია მართლის „ბედნიერი ერის“ სულისკვეთებისაგან უნდა დამეთანხმოთ, რომ წინამდებარე საყოველთაო გამოთაყვანების გამოფენა „ჩვენი“ ტელევიზიების ეკრანებიდან, ამ მხრივ მისგან გაჟღერებული საკითხები, პროგრამები, დისკუსიები, „ხუმრობები“, მეტყველება, ურთიერთობა, თავდასხმა ერის სიწმინდეებზე და ა. შ. ცხადია, არ ემსახურება ქვეყნის აღმავლობას.

დავუბრუნდეთ სათქმელს: ჯერ კიდევ 2014 წლის ივლისს სულით ხორცამდე ქართულ საბედიანოში თავის დროზე მოთადარიგებულ საეთნოფაბრიკაციო არტელებს მორიგი სიმძლავრე შეემატა საინიციატივო ჯგუფის სახით, რომელმაც 2017 წლის ივლისს ქ. გალში, უკიდეგანო ტერორით, უზოდიშო აღმგველობით, მოსყიდვით, ლაგამამოუდები ძირგამომთხრელობით ჩაატარა ე. წ. სამურზაყანოს აფხაზთა I ყრილობამ, რომელზეც „არჩეული იქნა“ „სამურზაყანოელ აფხაზთა საბჭო“ (**Совет мурзаканских абхазов**).

ამ ხელოვნურ ფეხაწყობას თავმჯდომარედ დაასავარძლეს მოსყიდული თენგიზ ინალიშვილი (გვარ „აღდგენილი“ „ინალ-იფა“), ხოლო მოადგილედ მოუსკუპეს ედიშერ ზუხბაია (გვარის „აღდგენის“ შემდეგ „ზუხბა“). ეს უწყება შექმნისთანავე თავისი პოლიტიკური აზრის ქვეშ იმთავითვე ჩამოყალიბდა საბჭოთა „ტროიკის“ მსგავს სადამსჯელო რაზმად, რომელმაც სახელწოდებით „სამურზაყანოელთა ეროვნული იდენტობის აღმდგენი ორგანიზაცია“, თავის მხრივ გამოყო საგანგებო ეთნოფაბრიკაციული ბრიგადა: უფრო სასტიკი, დაუნდობელი, ამ მხარეში დედნის გადამხნავი.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ საგანგებო სამსახურს დაუშურვებლად შეაშველეს მაღალკვალიფიციური ეთნოდივერსანტები, მეთოდისტები, ინსტრუქტორები, აგიტატორები, პროპაგანდისტები, მომსყიდველები, დამსჯელები და. ა. შ.

ამავე დროს, დაადგინეს რა ისინი მალმოქმედების რაზმად, შეაიარაღეს შესაბამისი სახელმძღვანელოებით, ინსტრუქციებით, საინფორმაციო სამსახურებით (ადრე არსებულ ე. წ. გაზეთს **«Гал»** სახელდახელოდ გვერდში ჩაუსანგრეს ძლიერი და ყოველმხრივ უზრუნველყოფილი, საგანგებო კადრებით დაკომპლექტებული, საველე-სასანგრო წესით მომუშავე ტელევიზია, ასევე სხვა სახის თანამედროვე საეთნოდივერსიო საშუალებები).

მათი სტრატეგიული მიზანი გახლავთ, დაარწმუნონ საბედიანოს თავანკარა ქართველობა, რომ ისინი „სამურზაყანოელებბი“ არიან და არა მეგრელები, ენათესავებიან **«абхазец»**-ებს (ცნება „აფხაზს“, რომელიც აფხას ზანს, ანუ მეგრელს ნიშნავს ენგურის მარჯვენა ნაპირზე. თავის დროზე ჩვენი სიბრიყვის თვალწინ შინაარსი შეუცვალეს).

აქედან გამომდინარე, აქაურ მოსახლეობას არწმუნებდნენ, რომ არც „სამურზაყანოელი“ და არც მეგრელი „ქართველი არაა“, ეს ერთი, მეორეც, — ყოველმხრივი მცდელობაა, ასეთი შეგნება გადმოაღვარცოფონ ენგურის მარცხენა ნაპირის როგორც ქვემო, ასევე ზემო წელში.

ასეთ დივერსიულ პროპაგანდას ელიანდაგება მორიგი საძირგამომთხრელო მიმართულებაც — შოლტის ქნევის, წიხლისკვრის, მოსყიდვის და კვლავაც გამთახსირებლობის წესით, ზოგჯერ კი „კეთიმოსურნე დაყვავებითაც“, გალის რაიონის

მოსახლეობის ერთ ნაწილს აწერინებენ „ნებაყოფლობით განცხადებებს“, რათა მათ „აღუდგინონ ისტორიული **«абхазец»**-ური გვარები“, შესაბამისად, ეროვნებად ჩაუწერონ **«абхазец»**-ი.

უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ყველაფერი არ კეთდება თვითშემოქმედებით, სამოყვარულო დონეზე: გალის რაიონში ცნობიერი ეთნოწმენდა ზურგმომაგრებულია აგრესორ-სეპარატისტთა „სახელმწიფო პოლიტიკით“, კრემლიდან სათანადო „მეცნიერული“ დასაბუთებით და სხვა სასეთდროო ვერაგობებით, ამ ყველაფერს კი ჰქვია **«...возможность восстановить историческую справедливость – вернуть свои исконно абхазские фамилии»** (**ИА «Абхазия-информ»**, 24 июля, 2019 г.).

1989 წლის იანვრის აღწერით, გალის რაიონში ცხოვრობდა 78 440 სული, რომელთაგან თითქმის ყველა, ენგურჰესის მშენებლობის დროს ჩამოსახლებული რუსულენოვანი ხალხის მცირე ნაწილის გარდა, თავს ქართველად აღიარებდა, ქართულად აზროვნებდა. ამის საპირწონედ, ამ ოცდაათი წლის მანძილზე, რაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი) გასხვისებულია, თვითმარქვიული ორგანიზაცია სამურზაყანოს აფხაზთა „მონაცემებით“, გალის რაიონში არარსებული ეროვნება „მურზაყანობის აღდგენას“ ექვემდებარება 54 000 ადამიანი, რაც შეეხება „აფხაზთა ისტორიული გვარების აღდგენას“ – ასეთ გვარებად მიჩნეულია 40 (1200 კომლი), რაც წარმოადგენს 4 500 სულს.

ცნობისთვის: გალის რაიონიდან, ანუ ისტორიულ საბედიანოდან, ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 20-იან წლებში აფხაზეთის ასსრ ცაკ-ის თავმჯდომარემ ნესტორ ლაკობამ ჩამოჭრა საგრძნობი ნაწილი და იგი, ადგილობრივი მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ, მიუერთდა ოჩამჩირის რ-ნს, რასაც, მიუხედავად მოსახლეობის წინააღმდეგობისა, მოჰყვა აქაური სოფლების მცხოვრებთა **«абхазец»**-ებად აღწერა. ამას ზედ დაერთო ისიც, რომ გალის რ-ნს ჩამოშორდა სოფელი ბედია, თავისი ცნობილი მონასტრით, სადაც განისვენებს გაერთიანებული საქართველოს პირველი ბაგრატოვანი მეფე ბაგრატ მესამე (ასევე გაიხსენეთ, ერის სიწმინდე – ბედიის ბარძიმი. 999 წ.).

ავბედობისა და საქართველოს დაქუცმაცების ხანაში, კერძოდ, მე-18 საუკუნის დასაწყისში საბედიანო სამფლობელოდ გაუნაწილდა მურზაყან შარვაშიძეს. ამის გამო დაერქვა მას სამურზაყანო. ეს მხარე საქართველოს გაერთსხეულების განმაპირობებელი იყო ყოველთვის, განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების დროს გამოირჩეოდა იგი აგრესორ-სეპარატისტებთან მსოფლმხედველობრივ ბრძოლაში და წამგაუცდენლად იდგა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დედანი შინაარსის სადარაჯოზე (...და არა მხოლოდ ამის). აი, რას არ პატიობენ მას.

მოგეხსენებათ, გმირსაც და ლაჩარსაც ბრძოლის ველი – სანგარი წარმოაჩენს. დღევანდელი გალის რ-ნი საწორედ ასეთი საომარი სივრცეა (და თუ თვალს კარგად გავახელთ, არა მხოლოდ ის), სადაც ერთი წუთითაც არ შემწყდარა მკვიდრი, ამ მხარის დედანში გამშინაარსებელი ქართველი (მეგრელი) მოსახლეობის ცნობიერებიდან, თვითშეგნებიდან მათი ვინაობის გაძევების მცდელობა, ცნობიერი გენოციდი, ეთნიკური წმენდა აზროვნების წესსა და თვითშეგნებაში, რაც ასე საგანგაშოა, დღის წესრიგში დგას ამ ხალხის გამოყენება ახალი ეთნოდივერსიული ნაციის ეთნონედლეულად. ამდენად, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მთლიანად და განსაკუთრებით საბედიანოს (გალის რ-ნი) ისტორიულ-ეთნიკური და კულტურული გენოციდი საოკუპაციო რეჟიმის უსათუოდ განსახორციელებელი „სახელმწიფო“ პოლიტიკაა დღეს, ამ წუთებში!..

ასეთ დროს, იმათ შორის, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით, დიახ, დიახ, ზუსტად იმის გასწვრივ, როდესაც აქ, სატახტოს ტელევიზიებში ჩვენი სასიქადულო, ულამაზესი, სახელგანთქმული შემოქმედი ქალბატონები ზეპურთა (ელიტართა) რიგებიდან საჯდომშიშველ ინახთან ერთად იმგვარ თავგართობებსა და უდარდელობებში ითრევენ გამოგამზირებულ სიმრავლეებს, თითქოს დიდგორზე გამარჯვებული ქრისტესმხედრობა აშინაარსებდეს თბილისის დედოგამზირს და არა ძიქვა (შარვალ) ჩახდილი ზურაბ ჯაფარიძისა, თუ მის მაგვართა სახეზოგადობები, დიახ-მეთქი, სწორედ ასეთ წამწუთებში აეჯებირა უტიფრად შემოთავხედებულ და შორსგამიზნულ აღმგველობას მარო მაყაშვილის სულიერი მემკვიდრე – ქრისტინე თაკალანძე გალის რ-ნის სოფელ ნაბაკევიდან (რომელსაც მომხდურებმა ბატაიგუარა დაარქვეს). ეს გოგო,

დაბადებული 1998 წელს, დედასაქართველოს მოქალაქეა. იგი, მისდა საამაყოდ და ერის სასიქადულოდ, თავისი ფხიზელი გონებით ჩასწვდა ამ ვერაგობათა გადამშენებლურ დაუნდობლობას, ქუჩისფსკერულ რაობას, რომელიც აგრესორ-სეპარატისტებმა შემოაქსელეს დიდი ბაგრატ მესამის (961-1014 წლები, გამეფდა 978 წელს), მართლაც და, სულკურთხეული და მირონცხებული მოღვაწის მსოფლმხედველობრივ ძალისხმევათა დასაბამს, ათვლას, – ქვეყნის გამაერთხსეულებლის ათასწლოვან წმინდა სავანესა და ძვალთშესალაგს.

ჰოდა, 2022 წლის 20 ივლისს ქრისტინე ასეთი საქმიანობისთვის დააპატიმრა საოკუპაციო რეჟიმმა ბრალდებით „საქართველოს სპეცსამსახურების სასარგებლო ჯაშუშობისათვის“. ამჟამად ქრისტინე თაკალანძე გამომწყვდეულია ქ. სოხუმში. ე. წ. აფხაზეთის რესპუბლიკის უსაფრთხოების წინასწარი დაკავების იზოლატორში. მას თხუთმეტ წლამდე პატიმრობას უმზადებენ, ანუ, როგორც ატყვიან, „უკერავენ“ „ჩვენი“ საინფორმაციო საშუალებების დამაეჭვებელი გულგრილობის მდუმარე თანხმობის საფუძველზეც.

ყოველდღიური შეურაცხყოფა, ჰქონდა შეუგინებლობისთვის ლაფშეშხეფების მცდელობა, სულის დაწიხვლა და ა. შ. მისი საკუთარი თვალგახელის სიცხადე და ყოველდღიურობათა თანამდევი გახლავთ.

გეთანხმებით. სინამდვილე ზედმიწევნით იმგვარად გაისაგნა, როგორადაც დიადმა ვაჟამ დაასურათხატა: „ერთი იცინის, სხვა სტირის, ასეთი არის ქვეყანა... მაგრამ გავიგებთ ერთხელაც, ვინ ახლო ვდგევართ ღმერთთანა...“

აქ საგანგაშო ისაა, რომ წინამდებარე ცისჩამოქცევაზე რაღაც არ მახსენდება (თუ მოხდა და მე სამიწემ არ ვიცი, ბოდიშს ვიხდი), – საქართველოში რომელიმე საინფორმაციო სამსახურს, ე. წ. არასამთავრობოს, ვითომ სახალხო დამცველს, ემსჯელა იმ დონეზე მაინც, – სინდისგარეცხილი, გაიძვერა და თავხედი ლაზარე გრიგორიადისისთვის რომ „გადაიჭრა ვენები“ ან ხელი გამოეღო, მიპირწონებოდა აგრესორ-სეპარატისტთა მიერ მსოფლიოსთვის მიტყვიამფრქვევებულ ხმაბოდვებს „ქართველთა დიდმპყრობლობისა“ თუ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) „არაქართული ქვეყნობის“ შესახებ.

არაფერს ვამბობ აფხაზეთის ა/რ-ის დევნილ უმაღლეს საბჭოსა და ე. წ. მთავრობაზე, რომელიც წესით ასეთ საინფორმაციო ომს არ უნდა არიდებდეს თავს, ეს მისი სადღეღამისო განაწესად უნდა დგინდებოდეს.

ყოველ შემთხვევაში ეს გახლავთ პოლიტიკური აზრა, რომლის ქვეშაც თავდადგენილ ადამიანებს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დევნილი მოსახლეობასთან, შესაბამისად – ზნეობასთან, უფალთან და სრულიად საქართველოსთან მოსაგვარებელი აქვთ თავიანთი რეპუტაცია (მიუხედავად იმისა, რომ სხვებისაგანაც მსმენია, ამის დაჯერება ჭირს: 1993 წელს, საომარი ავანტიურის პირობებში, ზოგიერთი ამ ხელისუფლებიდან, როგორც ლოთი (ვახტანგ) ქობალიამ განაცხადა საქართველოს პარლამენტის წევრ იაგო ხვიჩიასთან ინტერვიუს დროს (ჯორჯიან თაიმსი“, 25 დეკემბერი, 2023 წ.) ომში დაღუპულთა ცხედრებით ვაჭრობასაც არ თაკილობდნენო).

ცხადია, გულსაკლავია იმ მოცემულობაში თვალგახელა, სადაც ვითომ დემოკრატიისა და აგრესიულ „უმცირესობათა“ უფლებადაცვის სახელით წლებზე გაწელილ ყოველდღიურობათა ცრუქაქუნა გნიასსა, თუ ბოროტმოქმედული ტაშფანდურის წიაღში (აქლემის სამაიას რომ ჰგავს – სულხან-საბა) ხალისითა და ზეშთაგონებით უარყოფ მეხსიერებას საკუთარი ვინაობის დედანზე, როცა ამის გასწვრივ ქართლის შუაგულში პოლიტიკურად დანაღმული და „გასხვაქვეყნებული“ სივრცეა, რომლის გარშემო ჯონჯოლის საკრეფად ტყეში გასულ ქალებს მომხდურები გიბახებენ, ხოლო საფლავთა პატივმისაგებად გადასულ მამაკაცებს გიპანღურებენ, ერის სიწმინდეებთან მლოცველებს უზოდიშოდ შეურაცხყოფენ, მწყემსებს იჭერენ, გუთნის დედას სცემენ, ესვრიან, კლავენ... დიახ, საზოგადოებას დღესაც „ბედნიერი ერის“ (წმინდა ილია მართალი) კიბო რომ არ ხრავდეს, როგორ შეიძლება, მან თავის გვერდით აცისქვეშოს ისეთი სულგაყიდულობა, რომელიც ე. წ. ტელევიზიის ღია ეთერში „პოლიტპატიმრად“ გამოუცხადებს ქართველ ერს დავით გარეჯის სიწმინდეთა გამსხვისებელ ივერი მელაშვილსა და ნატალია ილიჩოვას და „ზნეობრივ გმირებად“ წარჩენილებს ტაშის გრიალით წამოუდგება ფეხზე (ინგა გრიგოლია,

2021 წ., ტვ „პირველი“). თავსლაფად როგორ, ან რატომ გვაძალებთ ფეხაწყობილ ქალაჩუნათა საჯდომმოშიშვლებას და მიმიზნებას იმ მხრისკენ, სადაც ჩვენი ჯიშის სისხლით, ცრემლით და ოფლით გაჟღენთილი მამული იწიხლება, სასოწარკვეთილად მომარტოვე საფლავები ჭირისუფლისგან ტაბაკსა და საკურთხს ელიან, რომლებთანაც საჯდომშიშვლად კი არა, ზურგით დგომაც უკვეა ვაშინერსის გადაბიჯება, რადგან იმ მხარეს მხოლოდ ქრისტესმხედრის პირჯვარი უნდა გადაიწერო, – ხმამაღალი ბღავილით ვიმეორებ, ვინ ოხერი და ქვეგამხედვარე გკარნახობს ჩახდას და ამის წილ საქუდზეკაცო სახმობი როგორ, რატომ არ გვამამაკაცებს ამ დროს?!.

საბედიანო-მეთქი, გიხსენეთ წეღან. ისიც გითხარით, რომ დიდი ბაგრატ მესამიდან ათვლილი ჭყონდიდურ-აღმაშენებლური რუის-ურბნისისა და დიდგორული სულისკვეთების აკვარცხლბეკება ერის გამაერთსხეულებელ აღმავლობაში იწყება აქ. დღეს ამ განაბიჯების გადახვნას ცდილობენ ავმოსურნეები. ასეთია სიცხადე.

ამიტომ, როდესაც მისი უსაფრთხოებისთვის ერთი სუსტი გოგო გასალკლდევდება, გოგო, რომელიც ბევრ სხვასავით შვილობისთვის, დედობისთვის, მეუღლეობისთვის, დობისთვის გაჩნდა და ამის ნაცვლად საპატიმროში აკრიალოსნებს დროს, რომელიც, როგორც ოკუპანტები აპირებენ, თხუთმეტ წლამდე შეიძლება გაგრძელდეს, მაშინ სრულიად საქართველოს კუდაბზიკობამ ის მაინც უნდა ივალდებულოს, საზოგადოებას აუწყოს, – რომ არსებობს ასეთი ზნეობრივი გმირი და თავგანწირული, რომელსაც ქრისტინე თაკალანძე ჰქვია!..

ასეთ ვითარებაში გული დამწყვიტა ჩვენი სასიქადულო ირმა სოხაძის მონაწილეობამ ერთ არც თუ მაღალმხატვრულ, გნებავთ, სიბრძნით, ან ეროვნულ-სახალხო მიზანდასახულობით არგამორჩეულ ტელეგადაცემაში (5. 12. 2023 წ., „პოსტ ტვ“), რომელშიც იგი გვემული საქართველოსთვის ღვთისმშობლის წილხვედრილობისკენ გზის გამგნებად კი არ გაისარჯა, იმას გვიზუსტებდა, თუ როგორ გაგვეცილებინა ე. წ. კურდღლის წელი, რანაირად მივგებებოდით ასევე ე. წ. Хვლიკისა, თუ დრაკონის წელს, რა სინჯის ტაბაკობა და ნადიმი გაგვემართა მათ საამებლად და ა. შ.

არა, არანაირი წუხილი, შფოთი, გულისტკივილი და სანადიმო მოკრძალება, თავშეკავება, ზომიერება იმის გამო, რომ, ჯერ ერთი, დათოფილი საქართველოსთვის ეს წამეტიჩრო „გადღესასწაულობები“ დიახაც რომ „კლდის თავზე აქლემის სამაიაა“ (სულხან-საბა), მეორეც – ამ დროს ჩვენი მოსახლეობა კინაღამ ნახევრად მშიერია და მესამეც: დიახ, ახლაც, წინასაახალწლოდ ცხინვალისა და სოხუმის საპატიმროებში წამებულ მამულიშვილებს სწორედ ამ ტელევიზიების ეკრანებიდან ეკუთვნით ადამიანური თანაგრძნობა, თუნდაც მშვენიერი ქალბატონის ირმა სოხაძისგან, რომლის შვილიშვილის ტოლია ქრისტინე თაკალანძე – დიახ, სულკურთხეული მარო მაყაშვილის შეგნებით გაზრდილი გოგო დროებით ოკუპირებული სოფელ ნაბაკევიდან.

ქართველ ადამიანს არც ლხინის წესრიგი აკლია და არც გლოვის. ღმერთმა ყველა აღდესასწაულოს, მაგრამ, როდესაც იგი ერის ტკივილის „ბანზე ამგდებ“ ილეთად თადარიგდება, მაშინ „წიწოლას დანაშაული აწყდენილია ცამდინა!..“ (ვაჟა).

ამაზე აქ შევწყვეტ საუბარს, მაგრამ იმას უფრო მიუგდეთ ყური, რა არ ვთქვი ხმამაღლა!.. (პატივცემულო მკითხველო, ის, რომ ამ შემთხვევაში „ქართული“ ტელესივრციდან, საერთოდ, ამ მხრივ ვითომ მასმედიის უკიდეგანო სასაწყობო მეურნეობიდან სახეზოგადობად ვიყენებ „პოსტ-ტვ“-ის ალქიმიურ, „ლობიოზე წინასწარმეტყველების“ მსგავს გადაცემას, უფრო ზუსტად კი ცრურწმენითა და მარჩიელობა-მკითხაობის, მეტიც, კოლექტიური მჩხიბავობით თავგართობას ე. წ. ზოდიაქოს ნიშნებზე, რაც განდგომაა უფლის სწავლებიდან და ქრისტესმხედრული შინაარსიდან, რომელიც ეროვნული სულიერებისა და ცნობიერების დამნაგვიანებელია, სულაც არაა შემთხვევითი. ამ ტელევიზიაში დედოქართულის გაუწმაწურება ჩვეულებრივი საქმიანობაა, თან მისი მესვეურები ხელისუფლების მხარდამჭერებად აცხადებენ თავს.

საუბედუროდ ჩვენდა, არც ის გახლავთ ჰაიჰარა, ზემოთხსენებულ თავგართობას რომ უცნობილესი ქალბატონი ირმა სოხაძე უძღვება. სამწუხაროდ, უწყის, თუ არა ეს მან, – ქალბატონმა ირმამ, ასეთი ილეთი თავსმოხვეული ეთნოდივერსიის ინდუსტრიაში კარგად

გათვლილი ძალისხმევაა, ამ შემთხვევაში ჩასაფრებულმა მტერმა ერში ცნობილ ადამიანს მიანაღმა ფსიქოლოგიური ზემოქმედების იარაღი. ავმოსურნე ყოველთვის ცდილობს, საზოგადოებაში სახელგანთქმული პიროვნების ხელებით გამოურეცხოს ერს ტვინი, შეუცვალოს დედანი შინაარსი „ალერსით“, „აქლემის აცეკვებით“, **«с музыкой»**, როგორც რუსები ამბობენ.

... და მაინც, ქრისტესმიერი კეთილმოსურნეობით მივმართავ ჩემთვის ძვირფას ქალბატონებს ირმა სოხაძეს, ლიზა ბაგრატიონს, სხვებსა და სხვებს – ღმერთმა დაგილოცოთ სამშობლო, ჭერქვეშეთი, მოდგმა, თქვენი მშვენიერებით ალამაზეთ საქართველო, მაგრამ, დამიჯერეთ, ქრისტესმიერი ძმის უფლებით გეუბნებით ამას, ნუ დაგეზარებთ და სულში ჩაიქარგეთ: „ამას, იმას, რომ ხელში ხმალი უნდა გვეჭიროს...“ ხმაბაძვაზე არ ვამბობ, დედანში ნამღერი სიმღერაც სადღეგრძელოც, ეშმაკისთვის კარდახშული ნადიმიც და დღესასწაულიც (ღმერთმა გიმრავლოთ!) დიდგორის ბრძოლა და რუის-ურბნისის ღვთივწვდომილებაა დღესაც!..

რა თქმა უნდა, დიახაც ამგვარ საქართველოში აფსუა ხალხი (აღვუდგინოთ მათ დედანი ვინაობა), რომელიც ჩვენ ჩრდილ-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) შემოვისახლკაცეთ და ძუძუმტედ შემოვიმშობლიურეთ, ქართული სახელმწიფოს საზრუნავია, ამიტომ, მათი მარადიულყოფა უპირველესთაგანი მოვალეობაა ჩვენი, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ნამდვილი აფხაზების, ანუ მეგრელების, მაშასადამე, ქართველების დედანი შინაარსის გაყალბებით ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში).

ასე და ამრიგად, საქართველოში დისლოცირებული მასმედიის დღის წესრიგის გასიგრძეგანება იძლევა საშუალებას, უმცდარად დავასკვნათ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი აზრის ქვეშ ქართველი ერი არ გახლავთ პოლიტიკური სუბიექტი, იგი მარგინალურ მდგომარეობაში ჩაცხრაკლიტულდა, რადგან ქვეყნისთვის თავსმოხვეული ყოველდღიურობა, გნებავთ, პოლიტიკური, გნებავთ, ყოფითი, მთლიანად ეწინაღმდეგება 1991 წლის 31 მარტს მის მიერ ყოფილი საქართველოს სსრ-ის სივრცეში სახალხო რეფერენდუმით დადასტურებულ ეროვნულ ნებას. აქედან გამომდინარე, საქართველოს მოსახლეობა ეთნონედლეულადაა მოთადარიგებული ჩვენს სამშობლოში მოთარეშე ლიბერასტული ზემდგომობის დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციული ინდუსტრიისათვის.

სამწუხაროდ, ეს შემთხვევით არ ხდება, ასეთი საინფორმაციო თუ თავშექცევითი, გნებავთ გართობითი პროგრამა, რომელიც სამშობლოსა და ეროვნულ-სახალხო გამოწვევებსადმი გულგრილ, ან „რა ჩემი საქმეას“ სულისკვეთებას გიღვივებს, გაქეზებს ამგვარი ყოფაქცევისკენ, „ჩვენი“ საზოგადოების დაკვეთაცაა.

რაც შეეხება დამკვეთს, ანუ თაობის დარაზმულობას, იგი დღეისათვის ფეხაწყობილი სიმრავლეა, თან უნუგეშოდ დასცილდა ყოველთა ქართველთა დედან შინაარსს, რადგან დაიგეშა გარედან თავსმოხვეული გემოვნებით, მიზანსწრაფვით, ღირებულებებით, რაც არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავს სრულიად საქართველოს ნებას, რითაც თავისივე ნებით იქცა ეროვნულ-სახალხო განზრახვათა დამნაგვიანებლად და უფლისაკენ სავალ გზათა კვლავამქცევად.

* * *

წუთჩაფიქრება: ისე, ჩემთვის უნდა ჩავილაპარაკო, – თუ ერი ხარ, თუ ღირსებასა და საკუთარი ვინაობის დედანში ცხოვრობ, თუ სამშობლოსთვის თავგასაწირად მზად ხარ, თუ სიბრიყვეში არ დანავარდობ, ვერავინ აგახევს სამშობლოს ასე თავაუტკიებლად!..

რა მაგის პასუხია და სრულიად საქართველომ უნდა იცოდეს, რომ წინამდებარე უჭკუო ტაშფანდურებს ე. წ. მასმედიაში, რაზეც გესაუბრეთ, ასეთი „პოეზიით“ აკვარცხლბეკებული მსოფლმხედველობა განაპირობებს: „გაღმით აფხაზი ხარ, გამოღმით – მეგრელი, კაცად არ ვარგიხართ არცერთი!..“ (მიხეილ ქვლივიძე).

არადა, არავის გადაუგდია ასეთი ხმაზოდვა ჟამთაბერის სანაგვეში.

* * *

მინაწერი: 10 დეკემბერს, ჯერ კიდევ ამ წერილზე ვმუშაობდი, როცა გავიგე, რომ ქ. გალში, საოკუპაციო მილიციას ცემისას შემოაკვდა საქართველოს მოქალაქე, აქაური მკვიდრი, ძირძველი საბედიაონელი, 43 წლის თემურ კარბაია, რომელსაც მანამდე „კეთილმოსურნედ“ შესთავაზეს **«...вернуть их к историческим корням Вернуть их де-юре и де-факто к историческим фамилиям и национальности, помочь им интегрироватся в абхазское пространство...»**

წინამდებარე „ზრუნვის“ შედეგს ხედავთ.

ძალიან ცოტაა, თითზე ჩამოსათვლელია ადამიანი, რომელიც თავს სწირავს ღირებულებებისთვის, მაგრამ სწორედ ეს ძალიან ცოტა აკეთილშობილებს სამყაროს. აი, რით ხვდება ამ ახალ წელს სარალო საქართველო, ჩემო ირმა, ლიზა და წესით, ქრისტესმიერ სულიერო დებო და ძმებო!..

ასეთ დროს თქვენი „აცეკვება“ ზემოთხსენებულ „სამაიად“, რა თქმა უნდა, თქვენივე გულგრილობისა და უვიცობის გამო, ვერ დაგრაზმავთ იმ ძალისხმევად, რომელიც აგრესორ-სეპარატისტების საოკუპაციო რეჟიმს საპირწონედ შეეკითხება: *ბატონებო, სად გაქრა ის ხალხი, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთს) ამგვარი სულიერებითა და ასომთავრულის აღაღადებით უშინაარსებდა დედან ვინაობას?!.* „სახელითა ღმრთისაითა, აღვაშენე ჯუარი ესე სახელსა ზედა ღმრთისასა მამისა, ძისა, სულისა წმიდისსა მე გიორგი ბასილისძემან. აწ ვინცა ევედრებოდეთ, ჩვენ გ-(ვ)ნივე ძმანი ლოცვასა მოგუიხსენენით: ამენ იყავნ“ ( XI ს. გუდაუთის რ-ნი, სოფელი ანუხვა).

ცხადია, ქართულ ზეპურობას (ელიტას), რომელიც გარედან მოგვახვიეს თავს, მათი მსოფლაღქმისა და თვითშეგნების შესაბამისად, არ ესაკლისება ეს სიწმინდე, აქედან გამომდინარე, არც უნიშანსვეტდება იგი.

ამიტომ, დედაწმინდა ქრისტინე თაკალანძის თავგანწირვა ასეთი მარადქართული ღირებულებებისათვის, სამწუხაროდ, არასდროს დაელიანდაგება მათი ცნობიერი თუ სულიერი სვლაგეზის გადასარბენებს!.. რაც შეეხება „**абхазец**“-თა გვარებს, მათი 90 პროცენტი ქართულია (მეგრული, რაჭული, ლეჩხუმური, სვანური, იმერული, გურული...). აი, ვინაა დენაციონალიზებული და ასიმილირებული. ვიცით ეს?!. არა!..

საამდროო წუთჩაფიქრებისათვის: საზოგადოებრივი გამოთაყვანების ნიშანია სწორედ, რომ „ჩვენი“ ტელევიზიების ეკრანიდან რაგინდარა ქალს, ლომჯარია ნინოს, ჩარკვიან თაკოს, ხოშტარია ჰელენს, წითლიძე ანის, სხვებსა და სხვებს, ზოგს ასეთს, ზოგსაც ისეთს წამგაუცდენლად უყოველდღიურებენ ქვეყანას. ამით, ნებით თუ უნებლიედ, სახეზოგადდებიან იმად, რაც ქალბატონში იგულისხმება, სამაგიეროდ, ქრისტინე თაკალანძე – ზემოთ გითხარით და ასეა ეს, – მარო მაყაშვილად გამოსხივეება დღეს, რომელიც ძუძუწმინდა სანათასა და ღვთივსათნო ლელას („ბახტრიონი“, ვაჟა-ფშაველა) გამოგამზირება უნდა იყოს ჩვენს დედან მსოფლაღქმაში, სამარცხვინოდ და საუბედუროდ ჩვენდა, იგი გაძევებულია მოდედაქალაქე საზოგადოების ცნობიერი და სააზროვნო სივრციდან, განსაკუთრებით კი სტუდენტი-ახალგაზრდობის თვალსაწიერიდან.

და, ბოლოს, ჩვენ, მისთა ფეხთამტვერებმა, ასეთ დროს გულისყურით ვიგაკვეთილოთ წმინდა დავით აღმაშენებლის გაფრთხილება: „სიტყვაი წმიდაი და ბჭეთა ზედა მამხილებელი მოვიძულენ, ხოლო მლიქნელთა ძმაცული სივერაგე ვითნე, და შემასმენელთანი დავიტკბენ ზრახვანი, და ცრუნი გავცენ მსჯავრნი („გალობანი სინანულისანი“, გალობა VI); ხოლო სახაფანგო გზაჯვარედინზე ასეთ დროს წმინდა წიგნი სამერმისოო გზისკენ მიგვითითებს: „ნუ იქნებით თანა-მეუღლე ურწმუნოთა...“ (მეორე კორინთელთა. 6,12); „ხოლო უკუეთუ შორს ხართ სწავლასა, რომლისა ზიარ-ქმნულ არიან ყოველნი, მწირი ვიდრემე ხართ და არა შვილნი...“ (ებრაელთა მიმართ. 12,8).

დიდება ილორის წმინდა გიორგის!

სერგი (გიორგი) საჯაია
17 დეკემბერი (ბარბალობა), 2023 წ.

# ორი წერილი მიმოწერიდან
# მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინებასა“ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას შორის

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
“საქართველოს ჰელსინკის კავშირი -
- ეროვნული აღორძინება”

GEORGIA CITIZEN'S POLITICAL UNION
"THE HELSINKI UNION OF GEORGIA -
NATIONAL REGENERATION"

თბილისი – 0179, კეკელიძის ქ. # 10, I-19ა
ტელ: (995) 577 777611, (995) 577767705

20565744
e-mail: helsinkiunion@gmail.com

Tbilisi – 0179, Kekelidze str. #10, I-19a
T.(995) 577 777611, (995) 577 767705

# - HU-NR 020424 - 1

„ - 2 - ” „ - აპრილი -” 2024 წ.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს
აკად.როინ მეტრეველს,
საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანს
აკად. ლიანა მელიქიშვილს,
ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის შემსწავლელ კომისიას,
საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიას,
საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტს.

პატივცემულო ეროვნული აკადემიის პრეზიდენტო, ბ-ნო როინ, საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკდემიკოს მდივანო, ქ-ნო ლიანა, ძვირფასო ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის შემსწავლელი და საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის ნევრებო, საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტის ხელმძღვანელობავ

მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ პრეზიდიუმის სახელით მოგმართავთ თხოვნით, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის ფარგლებში შეიქმნას სპეციალური კომისია და საბოლოოდ დასაბუთებულად დადგინდეს საქართველოს სამეფო კარის, ბაგრატიონების წარმომავლობა. ეკუთვნიან თუ არა ბაგრატიონები იაფეტური რასის, კოლხურ-იბეიული, კავკასიური ერის, თუ სემიტური რასის წარმომადგენლებს.

საშური იქნება თუ კომისიის მუშაობაში ჩაერთვება აკადემიური საზოგადოების ფაერთო წრე და დასაბუთებული დასკვნა გახდება საჯარო.

**პატივისცემით,**
**მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“**
**პრეზიდიუმი**

08 04 2024
№ 010107-397/99

მოქალაქეთა პოლიტიკური
გაერთიანება „საქართველოს
ჰელსინკისკავშირიეროვნული
აღორძინების“ პრეზიდიუმს

თქვენს მიერ 2. 04. 24 გამოგზავნილ წერილში გაჟღერებულ თხოვნაზე „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფარგლებში შეიქმნას სპეციალური კომისია და საბოლოოდ დასაბუთებულად დადგინდეს საქართველოს სამეფო კარის, ბაგრატიონების წარმომავლობა. ეკუთვნიან თუ არა ბაგრატიონები იაფეტური რასის, კოლხურ-იბერიული, კავკასიური ერის, თუ სემიტური რასის წარმომადგენლებს“, მოგახსენებთ რომ, ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს რიგი სამეცნიერო ნაშრომებისა, სადაც სიღრმისეულად არის შესწავლილი და განხილული ეს მეტად აქტუალური საკითხი. აქვე გაცნობებთ, რომ ერთი კომისიის ფარგლებში (თუნდაც, ეს იყოს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან არსებული), ამ თემის საბოლოო შეჯამება გაძნელდება, რადგანაც ყოველი კვლევა ეყრდნობა სათანადო წყაროებს და შეძლებისდაგვარად, მართებულადაა დასაბუთებული, თუმცა, გასაგებია, რომ საძიებო ისევ ბევრია.

ჩვენი აზრით, სასურველი იქნება, მსგავსი პროფილის კომისია შეიქმნას საქართველოს საპატრიარქოს ბაზაზე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წარმომადგენლის უშუალო მონაწილეობით.

პატივისცემით,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი,
აკადემიკოსი ლიანა მელიქიშვილი.

# თამარ (თამუნა) რაზმაძე



მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" იურიდიული და ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტების წევრი, მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" ახალგაზრდული ორგანიზაციის გამგეობის წევრი, ჟურნალ „მატიანეს რედკოლეგიის წევრი და კავშირის პრესცენტრის წარმომადგენელი,

არასამთავრობო ორგანიზაცია „ღირსება = თავისუფლება" თავმჯდომარის მოადგილე

# ცრემლიანი ნაკვესები

„სტრიქონებს შორის კითხვა კი არა,
სტრიქონიდან სტრიქონამდე კითხვა მაინც გვესწავლოს ღმერთო!“
(ნ. ბ.)

*

* *

ქართულმა გენმა, არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, თავისი სულიერების საბოლოო ნავსაყუდელს - ქრისტიანული რელიგიის წიაღში მიაგნო. ქრისტეს კვართისა და ღვთისმშობლის წილხვედრილობის უდიდეს მადლს ზიარებულ ქართულ მიწაზე, წმ. ანდრია პირველწოდებულისა და სხვა მოციქულთა მიერ გაკვალულმა გზამ, საბოლოოდ, წმ. ნინოს სუსტ მხრებზე მოკიდებული ჯვრისმტვირთველობის შედეგად, ჩვენი ქვეყანა ჭეშმარიტი რელიგიის სრულად შეცნობამდე მიიყვანა.

მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება არ ხელყოფს სხვა რელიგიების აღმსარებელთა, აგრეთვე ათეისტთა მოქალაქეობრივ უფლებებს. სახელმწიფოს მიერ გარანტირებული იქნება სინდისის თავისუფლება და თითოეულ პიროვნებას მიეცემა თავისუფლება, იყოს აღმსარებელი იმ სარწმუნოებისა, რომელსაც თავად აღიარებს. მოქალაქეთა უფლებები არ შეიზღუდება რელიგიის ნიშნით. საქართველოს სახელმწიფო კვლავაც ერთგული დარჩება ტრადიციული რელიგიური შემწყნარებლობისა...

მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებული დამოუკიდებელი საქართველო, ქართული სახელმწიფოებრივი უღლის გამწევ იმ ერთიანი სხეულის მქონე ძალად იქცევა, რომლის მიერ კაცობრიობის ისტორიაში გაკვალული გზასავალი, საუკუნეების მანძილზე ნასაზრდოებ - იბერიის გაბრწყინებით უნდა დასრულდეს.

დასახული მიზანი შესაბამისი პოლიტიკური ნების არსებობის გარეშე ვერ იქნება მიღწეული. ეს უკანასკნელი კი, უნდა ეფუძნებოდეს ღმერთის თანადგომით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთიან ძალისხმევას.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, ერის სრულიად შობას, „ბნელისაგან ნათლად შეცვლას”, „ჯოჯოხეთის ქვესკნელით” აღმოყვანებას მოასწავებს! ჩვენ უფრო დიდი პასუხისმგებლობა გვმართებს ვიდრე სხვა ერებს, უფრო განსხვავებული და აღმატებული რწმენა და სიყვარული სამშობლოსი, სადაც ქრისტეს კვართი და ღვთისმშობლის პერანგი თავისი მფარველობით გვიწყალობა უფალმა და ღვთისმშობელმა! ჩვენ არაფერი არ გვჭირს სხვა ქვეყნების მისაბაძი, ჩვენი სიმდიდრე საუნჯე წინსვლა დევს ჩვენს ქრისტიანულ რწმენაში და ისტორიაში! ყველანაირი ღირებულება საბოლოოდ დაკარგავს აზრს, მხოლოდ ქრისტიანული რწმენა და სამშობლოა უკვდავი კაცობრიობის ისტორიაში.

მანამდეც და მუდამ უნდა გვახსოვდეს 1991 წლის 22 დეკემბერი – 1993 31 დეკემბერი, იმპერიული ცენტრის მიერ ორგანიზებული კრინიმალური, სამხედრო სახელმწიფო გადატრიალების საწყისი, პირველი ეტაპი, რომელსაც ჭეშმარიტად ეროვნული ხელისუფლების მოსვლის დღიდანვე (1990 წლის 28 ოქტომბერი), ბევრი ავადსახსენებელი ,,მოსამზადებელი პერიოდი“ უძღოდა წინ.

იმპერიული ძალების მიერ წაქეზებული და შეიარაღებული რენეგატი, კრიმინალებისა და მოღალატე ქართველების მიერ საქართველოს ხელისუფლების ადმინისტრაციული შენობებისა და ტელევიზიის ძალისმიერ დაკავებას, სისხლიან გადატრიალებას თან მოჰყვა დედაქალაქიდან საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, უზენაესი საბჭოს, მინისტრთა კაბინეტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების განდევნა.

აქედან დაიწყო „დიდი ღამე“ საქართველოს ისტორიაში ... და მავანნი დღესაც ემზადებიან გაგრძელდეს „უკუნეთი ღამე“ საქართველოში! ...

გაჩერებული საათი საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას გვაგონებს რაღაცით. ჩვენც ერთ ადგილზე ვტკეპნით მიწას, თავგამოდებით ვცდილობთ ნაბიჯის წინგადადგმას, მაგრამ არაფერი გამოგვდის და მოჯადოებულ წრეში ვტრიალებთ, ეს ტრიალი კი ოცდაათი წელზე მეტია გრძელდება ...



# სანამ დავწერდით ანდერძს . . .

მოგესალმებით ჩემო მეგობრებო და თანამებრძოლებო!

ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ რამდენიმე ცრემლიანი ნაკვესი, რომელიც სულზე ჯერ არ შემშრობია! ...

დრო გადის და კვლავ პასუხგაუცემელი რჩება მიყრუებული კითხვები! ...

მაშინ, როცა უნდა ავიღოთ ფორმულა: მე მიყვარს სამშობლო და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობა ჩემს თავში და არა პირიქით, კვლავ დეპოში ვართ და მხოლოდ უსულო პოსტებითა და ლაიქებით ვკმაყოფილდებით!

„არადა, თუ ეროვნულ-პოლიტიკური აზროვნება არ დაეფუძვნა ღვთის ჭეშმარიტ რწმენას, ჰუმანისტური აზროვნების მსოფლმხედველობისა, თუ ტრადიციების აღორძინება-დამკვიდრების შეუვალ სურვილს, ზნეობრივ ფასეულობათა ერთგულებას, სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის პრიორიტეტს, ვეჭვობთ მივაღწიოთ ერის დარღვეული შინაგანი წონასწორობის,

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, კანონიერებისა და მართლწესრიგის დამყარებას, სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას და ეკონომიკის აღმავლობას!“

„ღვთის წინაშე ადამიანის ცხოვრების სატარებელი ტვირთი კუჭის დონეზე და ცხენისძალებით როდი იზომება! მისი საზომი ერთეული ჩვენი განვლილი ადამიანური ცხოვრების წლებისძალებია მხოლოდ!“

. . . მართლაც მარადიულ კითხვებად იქცა: ,,სად არის ჭეშმარიტი რეალობა, სად ვარსებობთ ჩვენ სინამდვილეში, სადაც ნაოცნებარ სურათ-ხატებს ვხედავთ სიზმარ-ოცნებაში, თუ რეალურ ცხოვრებაში – დიადი მიზნების ბრძოლის ველზე?“

. . . და ეს მარტო პირადი ტრაგედია როდია, ის ჩვენი ქვეყნის ტრაგედიაა უპირველეს ყოვლისა! ჰოდა, უხარია შინაურ და გარეულ მტერსაც ჩვენი ტრაგედია, კომიკურად ქირქილებს

. . . თითქოს ამით მარტო „ჩვენი საქართველო“ დასველდა!

სხვაგვარად ვერც ვუპასუხებ: „უფალო ღმერთო, მიუტევე მათ, რამეთუ არ იციან, რას სჩადიან!“.

ხოლო ჩვენ, რომელთაც, კალდერონის მსგავსად, რაც მართლაც უცნაური დამთხვევაა, კვლავ სიზმარში გვგონია თავი, ყველაფერს უფლის რისხვად შევრაცხავთ ხოლმე და ამავდროულად, უფალსვე შევსთხოვთ დახმარებას!

არადა, ყველა ტრაგედიას თავისი კათარზისი ახლავს, თუ, რა თქმა უნდა, ამისი სულიერი მზაობა იქნა. იმედი ვიქონიოთ, იმედი უფლის შეწევნით ჩვენივე თავისა.

ისე, ესეც სრულიად მართებული ნაუბარია, რომ ჩვენივე აშენებულ, თუნდაც სიყვარულის წარმოსახვით კერიაში, ცეცხლი მრავალჟამიერ უნდა ენთოს და ძალუმად გვათბობდეს.

გამოიდარებსო გვეუბნება იმედი, პროგნოზითაც ასეაო, გვეუბნება რწმენა! ქარ-ბუქ-წვიმებისაგან, ბუნებრივი კატაკლიზმებისაგან შეიძლება კიდეც გვეშველოს რამე, მაგრამ საერთოდ, ძალზე რთულია ასეთ ძილ-ბურან-გამყინვარებაში, თითქოს წინასწარ განწირულ-გაწირილ ხანაში ცხოვრება-მოღვაწეობა.

ცხოვრება კვლავ სიზმარია, თუ სიზმრების დრო წავიდა უკვე?!

მომავლის იმედითა და რწმენით ცოცხლობს ადამიანი! . . .

ნუ ვიქნებით ის, ვინც მხოლოდ ერით ამაყობს! ვიყოთ ის, ერი ვისითაც იამაყებს!

ყოველთვის – ვიყუროთ იმედით წინ მომავლისაკენ, კმაყოფილი უკან წარსულისა, მაღლა რწმენით უფლისადმი, დაბლა სიფრთხილითა და გვერდზე მუდამ სიყვარულით!

*

*   *

სათქმელი მინდა გადმოქცეთ როგორც მამულიშვილმა სამშობლოსი და მოსწავლემ ჩემზე ბრძენისამ . . .

ორი ათეული წელია ჩემეული თეზისეული აზროვნებით ვიარე ამ ანტითეზისეულ ხანაში და პროგრესის წყაროსაც ალაგ-ალაგ ვაწყდებოდი. თუმცა სხვადასხვა, როგორც ყველა ავტორიტარიზმულ, თუ დემოკრატიულ გარემოებებში ვცხოვრობდი, დღემდე შევინარჩუნე მგონია ჩემი პიროვნება. დოგმატიზმი ჩემში მხოლოდ ადამიანისეული და ეროვნული პრინციპები იყო.

ამ ახალგაზრდულ წლებშიც კი მქონდა ადამიანური ლმობიერების შენარჩუნების საშუალება და რეალიზმის დეფიციტისაგან არ შევწუხებულვარ. მეც ყოველთვის მახსოვდა, რომ მოვლენებს ჰქმნის ისტორია, გარემოებები და ჩემი პიროვნებაც მათთან სინთეზში მიიკვლევდა გზას. ალბათ ჩემი პიროვნული მისია განსაზღვრავდა ჩემსავე ცხოვრების სტრატეგიას, რომელიც თავად უკეთებდა ორგანიზებას ყოველივეს წინააღმდეგობის გადალახვისათვის.

სიცოცხლისათვის, არსებობისათვის, გადარჩენისათვის, სიყვარულისათვის, მემკვიდრეობის დატოვებისათვის, სწავლისა და ზრდა განვითარებისათვის ბრძოლამ დღეს ჩემშიც მოითხოვა: გულისხმიერად მოქცევა, შემოქმედებითად გამოყენება, ცოდნის გაღრმავება და საზოგადოებისათვის პატიოსანი სამსახური დადგა ჩემს დღის წესრიგშიც.

ვფიქრობ, დროა, ჩემნაირი გამოუცდელი ახალგაზრდები უნდა დადგნენ თავიანთ თავზე მაღლა და საჭიროა ვიყოთ აქტიურნი, ფუნდამენტალურად პიროვნულად პასუხისმგებლიანნი და არა დეფენიტურნი, რათა არავის შეეძლოს გვაგრძნობინოს თავი არასრულფასოვნად. ახალი პარადიგმის გამოვლინებისათვის უნდა გავიჩინოთ მენტალური (ხედვა), ფიზიკური (დისციპლინა), ემოციური (განათლება, აღტკინება) და სულიერი (სინდისი) კომპეტენციები.

აი, რა მოთხოვნებს და საჭიროებებს ვგრძნობ ჩემს ირგვლივ. ვფიქრობ, ახალგაზრდული წლების მიუხედავად, მაინც მაქვს ისეთი თვისებები, ნიჭი და ჩვევები, რომ დავაკმაყოფილო ირგვლივ არსებული სულიერი საჭიროება. ჩემი სინდისი მაძლევს შინაგან აღტკინებას და ნებას, რომ ჩავერთო ქმედებაში მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება კი ჩემშიც იწვევს აღტაცებასა და შთაგონებას. პასუხისმგებლობით აღსავსეს მაქვს ჩამოყალიბებული მიზნები და კვლავ ვეძებ თვითრეალიზაციის საჭირო დროსა და ადგილს, შემიძლია პრობლემების სწორი გადაწყვეტილების მიღება-შესრულება, ვიყო დამოუკიდებელი და ავტონომიურიც, გარკვეულწილად წინამძღოლიც და ინდივიდუალურად მებრძოლიც.

აი, ასეთია ჩემი სულიერი მისიის განაცხადი ...

*

*   *

ზღაპარია, არაჩვეულებრივია!

ყველანი საქმის კურსში ვართ, რომ საპარლამენტო, თუ არასაპარლამენტო ოპოზიცია და მათი ახალგაზრდული ფრთები მართავენ აქციებს მიზანდასახული სახელწოდებით: ,,შემოულაწუნე - ციხეს რად უნდა რკინის კარები'' (ეს ორი სათაური მაინც საჭირო გახდა). პირველი სათაურით, მართალია, ,,შემოლაწუნება“ ქართული, ხალხური, არატრადიციული მკურნალობის ერთგვარი ხერხია და მიზნად მხოლოდ ობიექტის აზრზე მოყვანას ისახავს..., ხოლო მეორეთი კი, ქართულის, აქამდე ფეოდალური ,,ციხე-გალავან-კოშკების“ ,,გაშუქებას“, ნათელის მოფენას, ,,გაღიავება-გაცვეტოვნებასა“ და „ჩახტომა-ბანის“ დაცემა -განაციონალიზებისაკენ მიგვითითებს.

დიახაც, უნდა დავაფასოთ თანამედროვე კრეატიულობა!

„შემოლაწუნებას - ნაზად მოთათუნება და მოფერებას“ უთუოდ მიზნად დაჰკრავდა მინარევთა მსხვრევადი პროცესის, გაზაფხულის მოსვლის შეტყობინების მესიჯის სურნელება.

ვერ მოესწრება, ვერ შედგება, ვერც იხარება, ვერც დაიბადება . . .

დიახაც, აქციის ორგანიზატორ-მონაწილენი უთუოდ ,,მინარევ-ნაციონალური“ ფერის მატარებელი ,,ნიჭიერი, პატიოსანი და ალალი ხალხია“. იმედია მათ სამომავლოთაც ბევრი საინტერესო და კრეატიული ,,სპექტაკლ-აქციები“ აქვთ ჩაფიქრებული.

ვულაწუნოთ და ვულაწუნოთ ერთმანეთს, ვუნგრიოთ ერთმანეთს ბანები. რაც უფრო კარგად შევძლებთ უცხოთა დაკვეთით ერთმანეთის ლაწუნს, მით მეტ ტაშსა და ვერცხლს დავიმსახურებთ ამ საბაზრო სამყაროში.

მართალია ბრძენი, როცა გვეუბნება: „რა ხანია გვილაწუნებს სინამდვილე და დღემდე კიდევ ვერ მოვედით აზრზეო . . .“ არადა ,,ციციკორედან“ დაწყებული ,,გასაციციკორებულებამდე“ მართლაც ყველას მოუხდებოდა ,,შემოლაწუნებ-გალაწუნებანი“. იქნებ მეც?! რა ვიცი, მოდას ხომ ვერ ჩამოვრჩები?! თუმცა ასეთი სახის სტატიებითაც - ,,კულტურულ-გამაპატიოსნებელი გალაწუნებითაც“ შეიძლება იმკურნალოს ბევრმა.

კარგი რეცეპტია, ვგონებ! ამას ავირჩევდი! იუმორი და კეთილი ირონია უთოდ გვიხსნის ჩვენ, ჭეშმარიტად!

ჩემო ძვირფასო მეგობარო, თანამებრძოლო!

ხშირად, უსაფუძვლოდ, შესაძლოა, გეწყინოს კიდეც ჩემი სიტყვები, ჩემი აზრები, შენიშვნები, დარიგებები და სწავლებები!?

ნუ გეწყინება, რამეთუ ამას მხოლოდ სიკეთე, სიყვარული და თანამოაზრეობა იცავს ჩემგან! მართალია, ზოგჯერ რთულია ურთიერთგაგება და მე მხოლოდ გამიგებს „ჩემებრ სნეული", მაგრამ ვცდილობ და ვალდებულიც ვარ, გაგანდო და გადმოგცე შენ ჩემი აზრი, სამშობლოსა და მოყვასისადმი ჩემისეული სიყვარული, საერთო საქმისადმი - სამშობლოსადმი ერთგულება!

რატომ? რათა არ ჩაგეძინოს მეგობარო, თორემ.. ხომ ხედავ მიდის სიცოცხლეც . . .

თქვენი თამუნა რაზმაძე

# დ ე ნ ი ზ ა   ს უ მ ბ ა ძ ე



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრისა და ამავე ცენტრის თეორიულ ბაზაზე ნიუ იორკის ბიბლიის შემსწავლელი ქართველოლოგიური ცენტრის: „ბიბლია და საქართველოს“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი.

საზოგადოებრივი გაერთიანება „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის“ „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის“ და თეოლოგიურ-პოლიტიკური მოძრაობის - „ერის უფლებისა და ღირსების“ დამფუძნებელი, ხელმძღვანელი და თეორიულ-ინტელექტუალური ლიდერი, ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

## საქართველოს გამოყვანისათვის ,,მკვდარი თევზების ეპოქიდან“ ეროვნული თვითმყოფადობის ,,ეპოქაში“

(წინამდებარე წერილი წარმოადგენს ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინების“ 2024 წლის 31 მარტის სხდომაზე ჩემი გამოსვლის შევსებულსა და ჩემს მიერ რედაქტირებულ ვარიანტს)

ქრისტესშემდგომი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის შემდგარი დიდი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების: ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას უახლოესი მეგობრის, ფილოსოოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ამჟამად სრულიად საქართველოს, სრულიად საკაცობრიო თეოლოგიურ-პოლიტიკური მოძრაობის: ,,მესიის მახვილის“, ანუ ,,ერის უფლება და ღირსების“ და ნიუ იორკის ქართველოლოგიური ცენტრის ,,ბიბლია და საქართველოს“ დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას დანატოვარის, ანუ მათი დაფუძნებული და მათივე წარმართული საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წამყვანი პოლიტიკური ორგანიზაციის - ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ მიერ 2023 წლის გაზაფხულის თვეებში დაფუძნებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანების: ,,მეოცე საუკუნის საქართველოს ეროვნული მოძრაობისა და 1991 წლის 31 მარტის სრულიად საქართველოს სახალხო რეფერენდუმის უფლებათა და ღირსებათა დაცვის სახალხო დარბაზის მიწვეული ხელმძღვანელის - *დენიზა სუმბაძის* 2024 წლის 31 მარტის იბერიის ღვთისმშობლის ხატის ხსენების დღის მილოცვისა და ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 85 წლისთავის აღსანიშნავ სხდომაზე გამოსვლის

# მიმართვა

,,საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ მთელ წარმომადგენლობას. ამასთან მიმართვაში წამოყენებული სახელმწიფოებრივ- პრობლემური საკითხების მოწესრიგებაში საგანგებო პასუხისმგებლობის თხოვნითა და მოთხოვნით, სრულიად გულშემატკივრული თანადგომითა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ პოლიტიკური და მორალური მისიის წარმატებული აღსრულების სურვილით, დღევანდელ ლიდერებსა და ცნობილ რჩეულებს:

1. *ბატონ ნუკრი ბაღდავაძეს* – პოლიტიკისა და პოლიტოლოგიის პროფესორს, დღევანდელი საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების: ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების ძირითად და მთავარ ხელმძღვანელს, კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს;
2. *ბატონ მალხაზ მუსერიძეს* – საქართველოს ეროვნული მოძრაობის წამყვანი პოლიტიკური ბლოგის ,,მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ შემადგენელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური პარტიის: ,,საქართველოს სამეფო ლიგის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის, დამსახურებული პოლიტიკური მოღვაწის, ბატონ მ ო რ ი ს მ უ ს ე რ ი ძ ი ს , ღირსეული მამის ღირსეულ მემკვიდრეს, ამჟამად „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს, კავშირის პრეზიდიუმის წევრს;
3. *ბატონ ნოდარ კიკნაძეს* – პოეტსა და პუბლიცისტს, ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ თავმჯდომარეს 2013–2017 წლებში, კავშირის პრეზიდიუმის წევრს;
4. *ბატონ თამაზ ხუციშვილს* – ბატონ ზვიად გამსახურდიას – დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საიდუმლო სამსახურის ხელმძღვანელს, ამჟამად ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ სამხედრო სამსახურისა და უსაფრთხოების საკითხთა დეპარტამენტის ხელმძღვანელს, კავშირის პრეზიდიუმის წევრს;
5. *ბატონ გიორგი წივწივაძეს* – ახალ ადამიანს, ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირში“, მისი პერსპექტიული პრობლემების განსჯისათვის. ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილეს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს, კავშირის პრეზიდიუმის წევრს. ეროვნული სულისკვეთებითა და მამულიშვილური შემართებით აღსავსეს. ვაღიარებ, ჩემი პოზიციების გულმხურვალე მხარდამჭერს, გამზიარებელს და მზადმყოფს, ყველაფერი გააკეთოს საქართველოს ღირსებისა და კეთილდღეობისათვის;
6. *ბატონ თორნიკე ამაშუკელს* – ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ თავმჯდომარეს 2004–2009 წლებში, კავშირის პრეზიდიუმის წევრს;
7. *ბატონ სერგი საჯაიას* – დღევანდელი საქართველოს უმნიშვნელოვანეს ანალიტიკოსს. „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ პრეზიდიუმის წევრს, აფხაზეთის ფენომენის უბადლო მცოდნეს და გიორგი მთაწმინდელის, ქართველი ერის უდიდესი წინამორბედისა და მოძღვრის საღმრთო ერის მოძღვრებაში, მისი სიღრმისეული მნიშვნელობის ლაბირინთებში ჩამწვდომს;
8. *ბატონ მანუჩარ თოფაძეს* – თავის დროზე ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ დანიშნულს თბილისში გლდანის რაიონის პრეფექტად, კავშირის პრეზიდიუმის წევრს, გელათში დაბადებულს და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ვეტერანს...

უღრმესად პატივცემულო და ძვირფასო თანამემამულენო!

ბატონო ნუკრი ბაღდავაძე!

ბატონო მალხაზ მუსერიძე!

ბატონო ნოდარ კიკნაძე!

ბატონო თამაზ ხუციშვილო!

ბატონო გიორგი წივწივაძე!

ბატონო თორნიკე ამაშუკელო!

ბატონო სერგი საჯაია!

ბატონო მანუჩარ თოფაძე!

მოგმართავთ თქვენთან ერთად მოფიქრალი საქართველოს ბედისწერაზე და დღევანდელ განსაცდელზე ... დიდი ხანი არ არის, რაც აღმოვაჩინე, რომ ჩვენი მშობლიური ეკლესია სამჯერ აღნიშნავს იბერიის ღვთისმშობლის ხატის ხსენების დღეს და ერთერთი ამ სამთაგან, დღევანდელი დღეა! ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე! 31 მარტი! ძალიან მახარებს ეს თანხვედრა და მინდა სულით და გულით მოგილოცოთ ეს დღე, თავისი ორივე მნიშვნელობით და გაგიზიაროთ და გითხრათ: ახალგაზრდობიდან მაწვალებს ამ ხატის სიყვარული, რადგან ის დაბრძანებულია საბერძნეთის ათონის მთაზე, ქართველთა მონასტერში, სადაც აკრძალულია ქალის ასვლა და ქალის ლოცვა და სულ მაწუხებდა ჩვენი მფარველი ხატის მარტოობა ქართველთა დედებისაგან და როგორც კი გავიცანი საქართველოს პატრიარქი, შევჩივლე ჩემი მონატრება იბერიის ღვთისმშობლის ხატის და რომ გამომესწორებინა ეს განშორება, მოვიწადინე იმ საბჭოთა პერიოდში, როცა ღმერთის და ხატის ხსენებაც აკრძალული იყო, დამეარსებინა იბერიის ღვთისმშობლის ხატის ორდენი, ჩემს ბინაში, ხოლო, როგორც კი სახელმწიფოებრივად გახდა შესაძლებელი მის სახელზე რაიმე სასიკეთო ქმედება,, იბერიის ღვთისმშობლის ხატის სახელზე, თბილისში, ერეკლე მეორის მოედნის N10–ში, ერეკლე მეორის სახელგანთქმული ქალიშვილის, თეკლა ბატონიშვილის მემორიალურ სახლში , იბერიის თვთისმშობლის ხატის სახელობის საქველმოქმედო საზოგადოება დავაფუძნე და გავატარე რეგისტრაციაში. მადლობა საქართველოს ეკლესიას იბერიის ღვთისმშობლის ხატის სამჯერ ხსენების დღის დაფუძნებისათვის და ერთ-ერთის თანხვედრისათვის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღესთან.

დღეს ზვიად გამსახურდიას 85 წელი შეუსრულდებოდა. ვერ დაგიმალავთ იმ ტკივილს, რომელიც მთელი ქართველი ერის მორჩენისა და განკურნებისა იმ სახელმწიფოებრივი დაავადებისაგან გვჭირს, რომელსაც ჩემ ხედვაში, ქართველი ერის უახლოვეს ისტორიაში ერქვა „მ კ ვ დ ა რ ი თ ე ვ ზ ე ბ ი ს ე პ ო ქ ა“.

ბედნიერებაა, როცა უწყვეტად არსებობს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება“ (შემოკლებით – „საქართველოს ჰელსინკის კავშირი), რომელსაც გარდა თავისი პოლიტიკური აზროვნების დონისა, მსოფლიოს პოლიტიკურ სივრცეში საკუთარი ადგილი უკავია: ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის საბჭოთა კავშირის დაშლაში! „1991-1993 წლებიში საქართველოში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალება იყო შედეგი საერთაშორისო მასონური შეთქმულებისა, რომლის სულისჩამდგმელები იყვნენ ანგლოსაქსური მასონური იმპერიის ძალები,, პრაქტიკულად განმახორციელებელნი კი – რუსეთის სამხედრო ძალები, ხოლო გარეგნულ და ვითომ აღმასრულებლად – ადგილობრივი რენეგატები, მამულის მოღალატენი, (რომლებსაც ცხადია ქართველებად ვერ მოვიხსენიებ!) – წერს ბრწყინვალე ანალიტიკოსი, ბატონი მორის მუსერიძე. სასაცილოა, რომ ეს რენეგატები ამ მასონურ შეთქმულებას დღემდე „სახალხო რევოლუციად ნათლავენ და თავსაც იწონებენ იმით, რომ ქვეყნის დაქცევაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს.! ქართველმა ხალხმა არ იცის არც ის, თუ რას ნიშნავს მსოფლიოს ახალი წესრიგი და არც ის, თუ ვინ არის ეს მსოფლიოს ახალი წესრიგი. ბატონი მ ო რ ი ს მ უ ს ე- რ ი ძ ე გვაცნობს თუ რა გეგმები აქვს კავკასიაში მსოფლიოს ახალ წესრიგს, რომელსაც, ანუ ამ გეგმებს, არავითარი საერთო არა აქვს ეროვნული მოძრაობის მიზანდასახულებასთან, ქართველი ერის ფიქრთან ეროვნული თვითმყოფადობის განვითარებაზე. რა მოგვიტანა ეროვნულმა მოძრაობამ და ზვიად გამსახურდიას გაძევებამ? ვერავინ ვერ იტყვის უკეთესად და უფრო მწარედ: გულის შემძრავია ბატონი ნუკრი ბაღდავაძის გოდება იმ დღის, რა დღესაც დაიწყო ზვიად გამსახურდიას გაძევება:

„ქართულ კალენდარზე, აგერ უკვე 32 წელია, თარიღი არ შეცვლილა. 1991 წლის 22 დეკემბერი ისე დაღამდა, რომ 23 დეკემბერი არ გათენებულა... ეს დღე უგამორჩეულესად შავი თარიღია საქართველოს ისტორიაში, ესაა დღე შურის, ბოღმის, წინდაუხედაობის, დავიწყების, უპასუხისმგებლობისაა და ღალატის აპოთეოზისა“. 32 წელი გავიდა, მაგრამ ჯერ ისევ ბოროტად ბოლავს რუსთაველის გამზირის შემოგარენი ... ისევ დუმს თემიდა, არა თვალაკრული, არამედ – თვალდავსებული.... საქართველო ყოველმხრივ გაძარცულია, დაჩეხილ-დანაწევრებული, მიწაზე გართხმული და სულში ჩაფურთხებული ჩვენი სამშობლო, წინაპართა სისხლით გაჟღენთილი და ძვლებით გაპოხიერებული ქართული მიწა, ჩვენივე შვილებისა და შვილიშვილების მომავალი მოითხოვს: ბოლოს და ბოლოს, ,,ჩვენ უნდა დავასრულოთ 22 დეკემბრის დიდი ღამე და ჩვენ უნდა გავათენოთ 23 დეკემბრის დილა...“.) („მატიანე“ №3-4(45—46) 22 დეკემბერი, 2023 წელი). მე არ ვენდობოდი იმ მსოფლიოს, რომელიც გვიბიძგებდა იმ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ, როგორც ვითომ ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობისათვის. სხვათაშორის, ბოლო ხანებში იმაზეც ვფიქრობ რომ ხალხთა მეგობრობა ეროვნული თვითმყოფადობის გარეშე ვერ იარსებებს... სწორედ მეგობრობაშია ერთმანეთის თვითმყოფადობაზე

ზრუნვა ... და არა კაცობრიობის შემცირებაში ბაქტერიოლოგიური ომებით... მეგობრობა ქრისტეს მიერ აღიარებული მოყვასის სიყვარულის უზენაესი ფორმაა და ეს მორალური პრინციპი პოლიტიკაშია ატანილი. რაც ძალიან საინტერესოა ჩემთვის ეს მოხერხდა უდიდეს ქრისტიანულ ქვეყანაში, სწორედ მასონურ რუსეთთან დაპირისპირებაში, როდესაც მსოფლიოს სიონისტურმა მოძრაობამ თავისი ავანტიურისტული მოძრაობით, შეძლო და ისე გაასულელა ეს დიდი რუსი ხალხი, რომ მისი უზარმაზარი პროლეტარიატი მიუსია ქრისტეს ეკლესიებს დასანგრევად, მაშინ როდესაც სწორედ ქრისტე იყო გლახაკთა მფარველი, ასე მოხდა საქართველოში როდესაც გიგა ბერბიჭაშვილი დააჯერეს, რომ ილია ჭავჭავაძე იყო ხალხის მჩაგვრელი და მტერი ... ზვიად გამსახურდიას გამძევებლები, ბერბიჭაშვილებიც იყვნენ ... და საერთოდ მე ვფიქრობ ეს საკითხი სინოდზე გასატანი საკითხია და უნდა დამთავრდეს მიტევების ღამის ურთიერთშენდობის რიტუალით ... ის მსოფლიო კი, რომელიც ჩვენ გვერგო მომწესრიგებლად, ,მორალურსმენადაქვეითებული მსოფლიოა, რომელსაც სჭირდება ჯანსაღი მსოფლიოს მხრიდან სერიოზული დახმარება ინგლისელი ქალბატონის, ძმამ, ქალბატონის რომელმაც მსოფლიოს ვეფხისტყაოსანი უთარგმნა ინგლისურ ენაზე, საქართველოში ცხოვრებით ეს შთაბეჭდილება წაიღო: ყველაზე დიდი სიმდიდრე საქართველოსი ქართველი ხალხიაო, ამ ხალხს შეუძლიაო კაცთმოძულეობისაგან განკურნოსო ადამიანი... როგორც ჩანს ქართველმა ხალხმა ეს მკურნალობა ღვთის კარნახით უნდა იტვირთოს, მხოლოდ ღვთის კარნახით, ოღონდ საქართველო ვეღარ შეასრულებს კლინიკის ფუნქციას, რადგან ესენი საკუთარ მკურნალებს გაუჩაღებენ ბაქტერიოლოგიურ ვირუსულ ომებს...

მის ფონზე თქვენი ყურადღება მინდა გადავიტანო იმ ოპოზიციაზე, რომელმაც 2022 წლის 23 ნოემბერს პატიმრობაში მყოფმა ფსევდო პრეზიდენტყოფილმა ქართველ ერს გიორგობის დღე მიულოცა და შეურაცხყოფა მიაყენა, მილოცვის ტექსტი, რომელიც ტელევიზია „მაესტროს“ ვებ გვერდზე ამოვიკითხე, ასეთი გახლდათ, ასე იწყებოდა: თქვენ ჩემამდე ერი არ იყავით, იყავითო ტერიტორია. ერად მე გაქციეთო, არავის არ უკითხავს რა ერია ის ერი, რადაც, რომლადაც შენ გვაქციეო? როგორც ჩანს, მას შემდეგ, რაც ჩვენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ლეგიტიმური წევრობა გაგვიუქმა შევარდნაძემ, იმდროინდელი და დღევანდელი იურიდიული საერთაშორისო ნორმატივებით ქართველმა ერმა ერის სტატუსი დაკარგა. გაეროს წევრად ხელახალი გაერთიანება სიბნელით არის მოცული, რადგან მეორედ გაწევრიანება, როდესაც პირველივე გაწევრიანება იყო ყოველმხრივ იურიდიიულად მოწესრიგებული და რიტუალურადაც წარმართული, გაურკვეველი მოვლენაა როგორც მემატიანე განგვიმარტავს – გაეროს არავითარი უფლება არ ჰქონდა დაერღვია საკუთარი კანონიერი წესრიგი, ანუ შედეგი პირველი გაწევრიანებისა ზვიად გამსახურდიას მზრუნველობით. ამისათვის მან პასუხი უნდა აგოს. ჩინეთის პრეზიდენტმა, მაგალითად, უპრობლემოდ ამხილა და გაკიცხა დასავლეთი: „თავი დაანებეო სახელმწიფოების მიტაცებას!“

დღევანდელი მსოფლიოს ე. წ. „ახალი წესრიგი“ ყველაფრის მკადრებელია.

ცნობილია, როცა შევარდნაძემ პრეზიდენტის სავარძელში მოკალათებულმა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრების თანამდებობები შეითავსა, უსათუოდ უნდა ვიფიქროთ, რომ მან საქართველოს ამ ოფიციალურ სახელმწიფოებრივ უწყებებში, როგორც მსოლიოს ე. წ. ახალი წესრიგის ერთ-ერთმა არქიტექტორმა საძირკველი ჩაუყარა საქართველოს სახელმწიფოს სიონისტურ მმართველობას, ანუ საბჭოთა კავშირის სიონისტური პერესტროიკის „მაღალხარისხობრივ აქტს“. დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის „ჩანაცვლება“ მსოფლიოს ე. წ. ახალი წესრიგით, უსათუოდ წარმოადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლას.

დღეს ქართველ ხალხს ჰაერივით სჭირდება, როგორც ეროვნული, მორალურ-პოლიტიკური ღირებულების ისტორიული და იურიდიულ-დოკუმენტური მოწოდება, მორალური საგანძური. მას აინტერესებს გამოაშკარაოს დამნაშავე ძალა ზვიად გამსახურდიას და მისი ხელისუფლების გაძევებაში.

ამ დღეებში გაზეთ „ალიაში“ მეუფე იობმა განცხადება გააკეთა: დავამთავროთო სააკაშვილის პატიმრობა. მას ბევრი კარგი აქვსო ეკლესიისთვის გაკეთებული!

აი, რა დღეშია საქართველო! ამ კაცმა, მიხეილ სააკაშვილმა, რომელმაც საქართელოს დედა უნივერსიტეტი დაუნგრია და მისი ნანგრევებით აუშენა საქართველოს ეკლესიას საკუთარი უნივერსიტეტი, ეს იმას ნიშნავს, რო შეურაცხყოფა მიაყენა საქართველოსაც და მის ეკლესიასაც. მითუმეტეს, რომ ეკლესიას სასწავლებლები არ აკლდა. ეს სააკაშვილს სჭირდებოდა იმისათვის, რომ უნივერსიტეტის სტატუსით მოეპოვებინა შემდეგ ქართველი ერის სისხლის ლაბორატორიულ-გენეტიკური ანალიზი, უნივერსიტეტის პროექტის სტატუსით. ვითომ ქართული სისხლი ყველაზე ახლოს იდგა ებრაულ სისხლთან და აფხაზური სისხლის ანალიზი, ვითომ აფხაზური სისხლი ყველაზე ახლოს იდგა სომხურთან. ყველაზე დიდი შეურაცხოფა, რომელიც სააკაშვილმა მიაყენა საქართველოს ეკლესიას და საქართველოს პატრიარქს, სწორედ იმ განცხადების იძულება იყო, რომელიც მან გააკეთებინა ისრაელში საქართველოს პატრიარქს, რომელსაც ამ განცხადების დროს გვერდში ედგა ქართველი ენათმეცნიერი თამაზ გამყრელიძე. ის, რომ სააკაშვილის დროს დაფუძნებულმა ქართველმა ტამპლიერებმა, ანუ „სოლომონის ტაძრელებმა“ თავიანთი ოფიციალური წესდებით გამოაცხადეს, რომ მათი მისია საქართველოს სამეფო და საპატრიარქო ტახტების პატრონობაა, ეს ნიშნავს, რომ სააკაშვილმა ზუსტად გააგრძელა ედუარდ შევარდნაძის ის მისია,

რომელიც „მსოფლიოს ე. წ. ახალი წესრიგის ერთ-ერთი არქიტექტორის ტიტულში იყო ასახული. „შევარდნაძეს, როგორც ჯორჯ ბუშის მოსამსახურე წარმომადგენელსა და აგენტს კავკასიაში,

დავალებული ჰქონდა სახელმწიფოების გაუქმება და მოსახლეობისგან დაცლა.

მეუფე იობის სიტყვები, რომ სააკაშვილმა ბევრი კარგი გაუკეთა საქართველოს ეკლესიას, ეს ნიშნავს, იმას, რომ სააკაშვილი ქართველი ერის სისხლის ამოწოვაზე მუშაობს საქართველოში და ებრაელი ერის უფლებამოსილების დანერგვაზე. როდესაც მას სურვილი უჩნდება საქართველო სახელმწიფო როლის შეცვლისა და ვერ განმარტავს, რა დანიშნულებით ცვლის დროს, ეს იმას ნიშნავს, რომ დავალებას ასრულებს, იმ დავალების გაგრძელებას, რომელიც შევარდნაძემ დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში,რათა ზვიად გამსახურდის მიერ ქართული დროშით გაწევრიანებული საქართველო შეეცვალათ იერუსალიმის დროშით, რათა მსოფლიოსათვის იგი უნდა წარედგინათ „მეორე იერუსალიმად“. ვფიქრობ სააკაშვილმა შეუგნებლად ამხილა თავისი თავი, როგორც შევარდნაძის პირდაპირმა მემკვიდრემ და იმ მსოფლიო ძალებს, რომლებიც იდგნენ შევარდნაძის მიღმა, სჭირდებოდათ ორივე მათგანი: შევარდნაძეც და სააკაშვილიც – სოროსის პოლიტიკური ლეკვები და შემთხვევითი არ იყო, რომ გ უ რ ა მ შ ა რ ა ძ ე შეიწირეს. იმ დროშას თურმე სულ სხვა დანიშნულება ჰქონდა, ზვიად გამსახურდიას მიერ ქართული დროშით საქართველო წევრიანდებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, სააკაშვილის მიერ შემოგდებული იერუსალიმის დროშით გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კი საქართველოს სახით წევრიანდებოდა მეორე ისრაელი.

სააკაშვილის დროს, ხელისუფლების დავალებით ახალგაზრდა მწერალი დათო ტურაშვილი ისე გაასულელეს, რომ გაზეთში გამოაქვეყნა წერილი, სადაც ამბობს, ჩვენი ქვეყნის სახელწოდება „საქართველო“ ხელს გვიშლისო და გადავარქვათო იმიტომ, რომ რომ ის ნიშნავსო ქართველების ქვეყანას. წმინდანად შერაცხული საქართველოს კათალიკოსის ამბროსი ხელაიას ხატის ტროპარში, ჩვენი ღრმად ეროვნული კათალიკოსი წარმოდგენილია საქართველოს, როგორც მეორე ისრაელის წინამძღოლად. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მსოფლიოს ე. წ. ახალი წესრიგის ძალები, საქართველოს მოსახლეობას, ქართველებს, როგორც ქვეყნის მეპატრონე მკვიდრებს უყურებს როგორც გამოთაყვანებულებს, რომლებსაც, როცა უნდათ აყრიან თავიანთი ქვეყნიდან.

ზვიად გამსახურდიას მიერ წარმოდგენილი ქართული დროშა შეცვალეს სააკაშვილის მიერ შეცვლილი იერუსალიმის დროშით და მსოფლიოს წარუდგინეს ამით, როგორც მეორე იერუსალიმი და მეორე ისრაელი. ასე რომ საქართველოს განადგურება მარტო ინფორმაციული ომებით არ თავდება. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი უნდა გავიხსენო მისი პრეზიდენტობის დროიდან: საქართველოს პრეზიდენტობის დროს, როდესაც ბატონი სააკაშვილი საფრანგეთიდან დაბრუნდა, როგორც კი საფრანგეთის პრეზიდენტს პრეზიდენტობა მიულოცა და საქართველოში დაბრუნებულმა, ტელევიზიით გვაცნობა, რომ მცხეთის ატომური სადგურის აღორძინება მოისურვა ზარ-ზეიმით, მე მაშინვე, ელვის სისწრაფით, არ დამიგვიანია, აღვშფოთდი და „საქართველოს რესპუბლიკაში“ წარვადგინე საპროტესტო წერილი. ეგონა, რომ ხალხი წაუყრუებდა მის ახალ იდეას. რამხელა უტვინო უნდა ყოფილიყო ის ადამიანი, უფრო სწორად, რამხელა მავნებელი, რომ მცხეთისთვის, ქალაქ მუზეუმისთვის მიედგა ატომური სადგური?! ეს ხომ გააზრებული მავნებლობა იყო მცხეთის მოსახლეობისა და უნიკალური არქიტექტურისათვის. ჩემთვის ქართველი ჰემატოლოგებისაგან ცნობილია, რომ მცხეთის მოსახლეობა საკმაოდ განადგურდა ლეიკემიით. ექსპრეზიდენტი სააკაშვილი პირდაპირი განგრძობა აღმოჩნდა შევარდნაძის ბოროტმოქმედი მისიის – საქართველოდან ზვიად გამსახურდიასთან ერთად გაეძევებინა ქართველი ხალხი. ზვიად გამსახურდიას გაძევების მთელ დანაშაულებრივ ისტორიაში, რომ მთავარი გმირია ედუარდ შევარდნაძე, უმაღლეს სამართლებრივ დონეზეა მხილებული „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ სახელით, მისი ტრადიციული ჟურნალით: „მატიანეთი“, რომელშიც „მემატიანის“ ფსევდონიმით სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელის, პოლიტიკისა და პოლიტოლოგიის პროფესორის, ბატონი ნ უ კ რ ი ბ ა ღ დ ა ვ ა ძ ი ს მიერ გამოქვეყნებული წერილით, მხილებულია მთელი ავანტიურისტული მსოფლიო, არსებული იმ ედუარდ შევარდნაძის მიღმა, რომელსაც, მათი თანადგომით, ძალა შესწევს, თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაცია აქციოს ავანტიურისტულ ორგანიზაციად და წარმოუდგენელი პოლიტიკური ბოროტმოქმედების ჩამდენად ( „ ბ ა რ ს ე ლ ო ნ ა ს ო ლ ი მ პ ი უ რ ი თ ა მ ა შ ე ბ ი დ ა ს ა - ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა უ კ უ ნ ი ს დ ი პ ლ ო მ ა ტ ი უ რ ი კ უ რ ი ო ზ ი“). ეს წერილი არ გახლავთ მარტო ედუარდ შევარდნაძის წარმოუდგენელი დანაშაულის მამხილებელი წერილი: მის მიერ ვეტოს დადებისა გაეროს უშიშროების საბჭოში, საქართველოს გაწევრიანებაზე გაეროს წევრად, ზვიად გამსახურდიას მიერ წარგზავნილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური აზროვნების კულტურის, მის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების მთელი პროცედურის წარმოჩენა დახვეწილი პოლიტიკური აზროვნების დონეზე იმხელა იყრიდიულ სამართლებრივი ცოდნით, რომელსაც ჰააგისა და სტრასბურგის სასამართლოები არ სჭირდება. შევარდნაძის ბოროტმოქმედებას ამ წერილით უკვე გამოტანილი აქვს განაჩენი და ზვიად გამსახურდია აღმატებულია ყველა ამ მსოფლიო ნაძირალებზე – ბუშებზე და სოროსებზე, რომლებიც მასწავლებლებად მოევლინენ საქართველოს. წერილის წაკითხვის შემდეგ მიჩნდება შთაბეჭდილება თითქოს საქართველოს რაღაც გაურკვეველი ტიპის ბარბაროსები დაესხნენ თავს, რომელთა მიმართებაშიც ის ძველი სარკინოზებიც კი უფრო კულტურულად გამოიყურებიან, ვიდრე ბუშები და სოროსები, რომელთაც კაცობრიობის მორალური განვითარების დონე დაანგრიეს.

ბატონ ზვიად გამსახურდიას გაძევებაში, ბატონი ნუკრი ბაღდავაძის შეფასებით „სატანური გენიის იმხელა სიმძლავრე ჩაიდო, როგორი შემთხვევებიც ალბათ კაცობრიობის ისტორიაში თითებზე ჩამოსათვლელია. ამ საკაცობრიო პრეცენდენტს ჯერჯერობით თვალსა და ყურს არიდებს

მთელი მსოფლიო და მას (პრეცენდენტს) ჯერჯერობით არც გაეროს მიერ და არც სხვა, რომელიმე დონეზე არ მისცემია ჯეროვანი შეფასება. ჩვენ კი, საქართველოს მიზანმიმართულად და მკვეთრად გამოვლენილი სახელმწიფო ნების შემთხვევაში, შეგვიძლია, რომ ამ შეფასებისთვის საჭირო კვლევა-ძიება და შესწავლა-გაანალიზება დავიწყოთ, სერიოზულ ფაზაში შევიყვანოთ იგი და ვაიძულოთ „წაყრუების რეჟიმში“ მყოფი მსოფლიო თანამეგობრობა ჩაერთოს ამ კვლევაში, რათა ბოლომდე მივიყვანოთ იგი!..“ დროა დავფიქრდეთ, სერიოზული და სწორი ანალიზი მივაგოთ ზვიად გამსახურდიას გაძევების ისტორიას (ჟურნალი „მატიანე“ №1-2, 2017წელი).

საჭიროა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, როგორც სახელმწიფო მრჩევლის ჩართვა სახელმწიფო დონეზე, რათა აღსრულდეს კანონიერი ხელისუფლების მოთხოვნა სამართალმემკვიდრეობის აღდგენასთან ერთად, უნდა აღსრულდეს საქართველოს რესპუბლიკის გაეროში გაწევრიანების აღდგენა საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური დროშით დროშით. ჩვენ მართლა გვჭირდება სერიოზული დაფიქრება და სწორი ანალიზი უახლოესი წარსულისა, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ტრაგედიით იწყება! სამწუხაროდ, ქართველმა ხალხმა, რომელსაც დღეს არაფერი არ ეკითხება საკუთარი ქვეყნის მართვაში, მიჩვეულია იგნორირებულ ყოფას. რაც შეეხება „საქართველოს ჰელსინკის კავშირს“, უნდა ვაღიაროთ, რომ ნამდვილად არ აკლია არც მას დღევანდელი ფაქტობრივი ხელისუფლების პროცესუალური აზროვნებისადმი არც წაყრუება და არც იგნორირება ყურადღების საჭიროებისა მისდამი, ფაქტობრივი ხელისუფლებისადმი და მისგან.... საქართველოს ჰელსინკის კავშირისაგან. .ერთერთ ასეთ ფაქტორად მიმაჩნია საქართველოს პრემიერის მიერ, როგორც არაფერი, უვიზო რეჟიმის გამოცხადება მილიარდ ნახევრიანი ჩინელი ხალხისთვის....

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო: მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობის პოლიტიკაში ქართველი ხალხის მშობლიურ ქვეყანაში მილიარდ ნახევრიანი ჩინეთის უვიზო რეჟიმის აღნიშნულ წერილზე პასუხის გაცემისათვის უფრო მზადმყოფი მორალურ-პოლიტიკური კაპიტალის მქონე გაერთიანება, ვინემ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება“ წარმოადგენს, თუნდაც თავისი ტრადიციული ჟურნალით გამოქვეყნებული ორი უნიკალური წერილით, (რაზედაც ქვემოთ მოგახსენებთ,): ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას საიუბილეო რიტუალებთან დაკავშირებული სრულიად უმნიშვნელოვანესი მიმართვის წერილი, დღემდე, ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 85 წლისთავის შესრულებამდეც პასუხგაუცემელი, მე მგონი გმინავს, და თავს ნებას ვაძლევ, გთხოვოთ, ზვიად გამსახურდიას დღევანდელი 85 წლისთავის აღსანიშნავად, სწორედ „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ სახელით გადაწყდეს და დაიგეგმოს, რომ გავცეთ ამ წერილს პასუხი და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, როგორც კონსტიტუციურად საქართველოს სახელმწიფო მრჩეველს, ეთხოვოს მისი შეფასება და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წარდგინება, მისი სამართლებრივი შეფასებისათვის. ცხადია, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეროვნული პრობლემების შემსწავლელი კომისიის მონაწილეობით, რომელსაც აგრეთვე უნდა ეთხოვოს მისი შეფასება, განხილულისა და შეფასებულის წარდგინება საქართველოს სახელმწიფოს სამართლებრივი დასკვნების მოპოვებისათვის.

რაც შეეხება იმ ორ წერილს როგორც უძვირფასეს ანალიტიკურ კაპიტალს, ეს წერილები გახლავთ: „მრგვალი მაგიდა –თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთი შემადგენელი პარტიის: „საქართელოს სამეფო ლიგის თავმჯდომარის, ბატონ მ ო რ ი ს მ უ ს ე რ ი ძ ი ს წერილი: „ 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში“ და მ ე მ ა ტ ი ა ნ ი ს ფსევდონიმით გამოქვეყნებული ესსეისტური სტილით გადმოცემული: „ბარსელონას ოლიმპიური თამაშები და საქართველოს საუკუნის დიპლომატიური კურიოზი“. ეს ორი უნიკალური წერილი არა მხოლოდ მოიცავს საქართველოში რეალური პოლიტიკური მდგომარეობისადმი ჩვენი – ქართველი ხალხის რეაგირების პოტენციალს და გვაყენებს ფაქტის წინაშე, ი რომ ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას დანატოვარი პოლიტიკური გაერთიანების – „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ მიერ დღევანდელი საქართველოს სახელმწიფოებრივი მმართველობის ლეგიტიმურიად მფლობელი ის პოლიტიკური გაერთიანებაა, რომელიც არის სახელმწიფოებრივად დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის გამძევებელი ძალების დამგმობელი ძალაა. იგი ბატონ ზვიად გამსახურდიას დაბადების 80 და 85 წლების აღსანიშნავად მიმართულ წერილებით, გმობს ზვიად გამსახურდიას გამძევებელ ძალას, რომელიც ედუარდ შევარდნაძის ლაშქარში იყო მოქცეული და მოითხოვს უახლოესი წარსულის სწორ ანალიზს. საკითხის ამგვარი დაყენებით, გაურკვეველია, იგი უერთდება იმ მიზანდასახულებას, რომელიც მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში განხორციელებული ეროვნული მოძრაობისა და მისი ლიდერების, ბატონების – ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას დანატოვარი „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ მიერ ჩამოყალიბებული ამოცანა და მიზანდასახულებაა ქართველი ხალხისა და მისი ნამდვილი ეროვნული პოლიტიკის. მექანიკურად ამოიწევს პასუხგაუცემელი და სავარაუდო კითხვა, რომელიც დასმულია ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულ მეორე წერილში: „ ბარსელონას ოლიმპიური თამაშები და საქართველოს საუკუნის დიპლომატიური კურიოზი“.

მოგეხსენებათ, იესო ქრისტე სხვა ერისა და სხვა რწმენის ადამიანებმა აცვეს ჯვარს, მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება. საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი პატრონის ილია ჭავჭავაძის მკვლელი მისი საკუთარი თანამემამულე იყო, მაგრამ მკვლელობის დამკვეთად ისეთი პიროვნებაა ამოკითხული, რომელიც შემგონებელზე მეტყველებს. ბატონი ედუარდ შევარდნაძე ერთი გაუნათლებელი და მოხერხებული კაცი იყო. როდესაც ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა დააპატიმრეს, როგორც ჯერ კიდევ დისიდენტური მოღვაწენი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

ფილოსოფიის ინსტიტუტის ერთ-ერთ წამყვან მკვლევარ-მეცნიერად ვითვლებოდი. მაშინ მცხეთის სასულიერო სემინარიაში მომიხდა სალექციო კურსის წაყვანა თემაზე: „ქრისტიანული თეოლოგიის ბერძნულ ფილოსოფიური საფუძვლები“. იმ დროის სახელმწიფო მეთაურმა, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ჩემი სამსახურიდან გათავისუფლება უბრძანა ინსტიტუტს. პერსონალური საკითხი, საბჭოზე, ასეთი ჩემდამი ულტუმატუმით გაიტანეს: ან ეკლესია, ან საქართველოს მეცმიერებათა აკადემია. მოგეხსენებათ, საქართველოში, მეოცე საუკუნეში, ერთდროულად დაიწყო ეროვნული და ეკლესიური აღმავლობა და ეს ულტიმატუმი წამომიყენეს სწორედ იმ მომენტში, როცა ბატონი ზვიად გამსახურდია ახალი გამოსული იყო ე. წ. სატელევიზიო მონანიებით.

ჯერ იყო და ზვიადის გამოსვლას დავარქვი მოწამეობა ღალატის ფორმით, მერე სახაროვის გამოგზავნილ ჟურნალისტს დავუმტკიცე, რომ ზვიად გამსახურდიას მონანიების ეს სატელევიზიო გამოსვლა ჩემთვის დაუჯერებელი იყო და ვფიქრობ, რომ იყო ფაბრიკაცია ზვიად გამსახურდიას საუბრებიდან ამოგლეჯილი სიტყვების. დიდი დრო არ იყო გასული ზვიადის ამ „მონანიებიდან“, რომ ფილოსოფიის ინსტიტუტმა ჩემი სამსახურიდან მოხსნის საკითხი დააყენა, შევარდნაძის თანაშემწე ამ დროს, მწერალი და მკვლევარი, ბატონი ლადო ალფენიძე იყო, რომელიც ძალიან მაფასებდა როგორც მეცნიერს და თავის წიგნში ვყავდი მოხსენიებული შალვა ნუცუბიძისა და შალვა ხიდაშელის გვერდით. შევარდნაძეს სურდა, ჩემით შეექმნა ხმაურიანი მაგალითი ეკლესიაზე ზურგის შექცევისა, თუ არა და, აკადემია მტოვებდა უხელფასოდ და მიშვებდა ცის ქვეშ. ყველაზე საშინელი კი ჩემთვის ის იყო, რომ მთელი 70-იანი წლების წლიურ შრომებად შესრულებული გელათის აკადემიის სახელმძღვანელო თხზულება „თეოლოგიის მთავარსაფუძვლები“ ჩემს მიერ თავიდან ბოლომდე თარგმნილი ძველი ბერძნულიდან, თავისი ლექსიკონითურთ და წლიურ შრომებად ჩაბარებული ინსტიტუტში, მრჩებოდა უპატრონოდ. თავისდროზე იოანე პეტრიწის მიერ თარგმნილი „კავშირნი ღვთისმეტყველებითნის“ სახელწოდებით, ჩვენი დროის საქართველოსთვის პეტრიწის ენა იმდენად გაუგებარი იყო, რომ მისი თარგმანით გელათის აკადემიის ახროვნება მიუწვდომელი რჩებოდა და რა მექნა არ ვიცოდი, როგორ მეხსნა ინსტიტუტი შევარდნაძის ბრძანებისაგან და გადავწყვიტე შევარდნაძის თანაშემწისგან, ლადო ალფენიძისაგან მეკითხა რჩევა...

– ბატონო ლადო, ვეუბნები, არავისთვის არაფერი დამიშავებია, ლექციების კურსის წაკითხვაზე საქართველო პატრიარქის კურთხევით ისეთ საკითხებზე შევთანხმდი, რომლებზედაც ინსტიტუტშიც ვმუშაობ, გარდა ამისა ლექციების კურსი დანიშნული მაქვს ინსტიტუტის პარალელურ რეჟიმში, რატომ მხსნის შევარდნაძე სამსახურიდან? ბატონმა ლადომ განმიმარტა: „თქვენ წაგიყენეს სხდომაზე ულტიმატუმი: ან ეკლესია, ან სახელმწიფო და თქვენ უპირატესობა მიანიჭეთ ეკლესიას. ამას თქვენ სახელმწიფო არაფრით არ გაპატიებთ. ახლა ამუშავდება თქვენს წინააღმდეგ სახელმწიფო მანქანა და თქვენი პიროვნებისაგან არაფერი აღარ დარჩება. მომეცით საშუალება თქვენი პიროვნების გადარჩენის“ – თითქმის ხვეწნა- მუდარით მეუბნება ბატონი ლადო ალფენიძე და მე ვუბრუნებ შეკითხვას: „რა ვქნა, რა გავაკეთო?“ და ბატონი ლადო კატეგორიული ტონით მეუბნება: „- უნდა დაწეროთ მონანიების განცხადება შევარდნაძის სახელზე, იმის გამო, რომ ეკლესიაში წახვედით ლექციების კურსის წასაკითხად...“ წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა. უსიტყვოდ დავტოვე ბატონი ლადო და წამოვედი, მას შემდეგ ერთი ორჯერ შემხვდა ქუჩაში, საოცარი გულთბილობით და დღემდე მახსოვს მისი სიტყვები: „-თქვენთან შეხვედრა მიხარია!“

სრულიად შემთხვევით, ლიძავაში, გამსახურდიების აგარაკის წინ, ზღვისპირზე, ჩემი და ბატონი აკაკი გაწერელიას წარმოუდგენელი შეხვედრით გავიგე, რომ ბატონ აკაკი გაწერელიას მთავრობის მოთხოვნით გადაცემული აქვს საქმე ჩემი შრომების უარყოფითი შეფასების მიზნით. მაჩერებს, ბატონი აკაკი, მსაყვედურობს, რომ არ ვურეკავ და მეუბნება: „როგორ?! თქვენ არ იცით? რომ მე დავალებული მაქვს რეცენზია თქვენს შესახებ თქვენი მოხსნისათვის სამსახურიდან.... ჩემს ბიოგრაფიაში მაგას როგორ ჩავწერდი, რომ დენიზა სუმბაძე გავანთავისუფლებინე სამსახურიდან. იცოდეთ, ჩემი რეცენზია ასე დავამთავრე:“ პროკლე დიადოხოსის მთარგმნელს უნდა გავუფრთხილდეთ“. ასე რომ ვერც პროკლემ და ვერც აკაკი გაწერელიამ ვერ მიშველეს. რადგან უარი ვთქვი სასულიერო სემინარიის სალექციო კურსის მიტოვებაზე და მონანიების განცხადებაზე.

ფილოსოფიის ინსტიტუტიდან მომხსნეს შევარდნაძის ბრძანებით. ეს ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდი იყო. თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო მანქანა რომ ჩაიგდო, ხელში შევარდნაძემ, პეტრე იბერის სახელობის რელიგიათმცოდნეობითი ინსტიტუტი მქონდა იმ დროს გახსნილი, სტუდენტთა უმაღლესი განათლებისათვის, როგორც სამეცნიერო ხელმძღვანელს და მთელი დატვირთვით ვკითხულობდი ლექციებს ბიბლეისტიკაში. შევარდნაძემ იმდენი ქნა, რომ მთელი ინსტიტუტი დამიხურა და გამომისახლა თეკლა ბატონიშვილის ავარიული შენობიდან. რას მერჩოდა, დღესაც არ ვიცი, რას ერჩოდა ზვიად გამსახურდიას დღეს კარგად ვიცი, რას ერჩოდა ქართველ ხალხს ესეც ნათელია!

აი, ის ზვიად გამსახურდიაზე განაწყენებული ლაშქარი რომ დაიყენა გვერდით, ის ელიტალური საქართველო, იყო უბედური საქართველო, რომელსაც შევარდნაძე დიდი პოლიტიკოსი ეგონა. პროფესორ აკბარ ტურსონის დახასიათებები მამა-შვილ ბუშებისა ჩვენამდე ჯერ მოღწეული არ იყო. საინტერესოა, ორივე მამა-შვილი რატომ იყვნენ შესეული სპარსეთის ყურეზე და ისტორიული ქალდეველების ტერიტორიაზე?! რატომ მაინცა და მაინც უფროსი ბუში გადაეკიდა ზვიად გამსახურდიას?! ადამიანი პირველ რიგში არის სული და სულისკვეთება: ედუარდ შევარდნაძის სულისკვეთებას მიერთებული ქართველები, აღარ არიან ქართველები, რადგან თვითონ შევარდნაძე აღარ არის ქართველი.

მსოფლიოს ე. წ. „ახალი წესრიგის“ არქიტექტორის სტატუსით აღჭურვილი, იგი, როგორც პოლიტიკოსი უკვე სიონისტური სულისკვეთების ადამიანია და საკუთარ მისიად აქვს არა მხოლოდ წარმოდგენილი, არამედ განცდილიც, რომ ის ებრაულ-სიონისტური იმპერიის მაშენებელია და საქართველო თვითონ უნდა აქციოს ამ იმპერიის ორგანულ ნაწილად და თვითონ უნდა იყოს დამსახურებული მოღვაწე ე. წ. მსოფლიოს იმ ახალი წესრიგისაც, რომელიც, მას დაჯერებული აქვს ებრაულ-სიონისტურ იმპერიად.

საქართველოში გავრცელდა და ერთგვარად დაინერგა კიდეც აზრი შევარდნაძის გენეტიკურად ებრაული წარმომავლობის შესახებ, რაშიც არც არაფერი შეუძლებელი არ არის, რადგან საქართველოში ებრაელები მცხეთიდან ყველა მიმართულებით გაიშალნენ და მითუმეტეს გურიაც კი არ დარჩენილა უმათოდ. ცნობილი ისტორიკოსის ზ ა ქ ა რ ი ა ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს წიგნში, საქართველოში მცხოვრები ებრაელების შესახებ, რომელიც 1904 წელშია გამოცემული, საკმაოდ არის დადასტურებული საქართველოში მცხოვრები ებრაული მოსახლეობის დონე და მათ შორის გურიაში. არ არის გამორიცხული, რომ შევარდნაძე თავისი წინაპრებით იყოს დაკავშირებული მსოფლიოს სიონისტურ მოძრაობასთან. ზაქარია ჭიჭინაძის წიგნში, ე. ი. 1904 წელს, საქართველოში უკვე ეწერებოდნენო საქართველოს ებრაელები მსოფლიოს სიონისტური მოძრაობის წრეებში. უბრალოდ ქართველებს, ეს არც აინტერესებდათ და არც აღელვებდათ. ისინი მათთვის საწყალი ებრაელები იყვნენ, რომლებიც ყველგან იდევნებოდნენ და ქართული სტუმართმოყვარეობა იყო მხოლოდ, რომელი ხიზანთა და მდგმურთა მიმართაც მოყვრულად წარმართავდა ცხოვრებას.

საქართველოში დაბადებული და გაზრდილი ქალბატონი ლ ი ლ ი ბ ა ა ზ ო ვ ა , საკმაოდ მაღალი დონის ისტორიკოსი, ავტორი ფუნდამენტური მნიშვნელობის წიგნისა: „ებრაელები საქართველოში“, აღიარებული შთამომავალია საქართველოს ებრაელთა ეროვნული მოძრაობის წინამძღოლისა, რომელიც ებრაელთა საერთაშორისო კონგრესებზე გამოსვლების დროს, ქება-დიდებით მოხსენიებას არ აკლებდა ქართველ ერსა და საქართველოს, როგორც გამონაკლის ქვეყანას, სადაც არასოდეს ყოფილა ებრაელთა დევნა და შევიწროვება, ერთი მისხალითააც კი. მისი წიგნი „ებრაელები საქართველოში“, რომელიც რუსულ ენაზეა დაწერილი , გამოცემულია მოსკოვში.

და რადგან ხსენება მომიხდა ქალბატონი ლილი ბააზოვისა და მისი წიგნის, მართალია ეს ცალკე, თემაა, მაგრამ მაინც შევნიშნავ, როგორც ძალიან მნიშვნელოვან მის პოზიციებს: აღნიშნავდა ქართველი ბაგრატიონების წარმომავლობას ებრაელთა ბიბლიური მეფის დავით წინასწარმეტყველისაგან! ქალბატონი ლილი ბააზოვა, ეს ტრადიციული და განათლებული ებრაული ოჯახის შვილი ირონიით მოიხსენიებს ყოველივეს, როგორც გამორიცხულს.

უნდა შევნიშნო, რომ ეს მეორე გამოკვეთილი ირონიაა, ქართველი ისტორიკოსის ზ ა ქ არ ი ა ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს მიერ 1904 წელს გამოცემული პირველი წიგნის შემდეგ, საქართველოში შემოხიზნული ებრაელების შესახებ ბატონი ზაქარია ჭიჭინაძე, რომელსაც სასაცილოდ არ ჰყოფნის ეს აზრი, როგორც ისტორიკოსს. თავის განმარტებას მაინც არ აკლებს: ეს აზრი უსათუოდ ებრაელების გამოგონილი იქნებაო, იმისთვის რომ საქართველოს მეფეთაგან პატივისცემა ჰქონოდათო...

სერიოზული ანალიტიკისაკენ მოწოდებაა დღეს საჭირო არა მხოლოდ ქართულ პოლიტიკაში. მსოფლიოსაც ეს მოწოდება, როგორც აზრი და პოზიცია არის შესანიშნავი აზრობრივი დატვირთვა ქართული პოლიტოლოგიური აზროვნების, ყოვლად საჭირო და აუცილებელი, რომლითაც ქართველმა ხალხმა უნდა შეძლოს საკუთარ სახელმწიფოებრივ რეალობაში გარკვევა, უნდა შეძლოს საკუთარი ქვეყანის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითგამორკვევა, თუ ვინ არის ის დღეს როგორც სახელმწიფო... ამიტომ მიმაჩნია რომ ეს მოწოდება აღემატება ყველა მის ქველმოქმედებას და სიკეთეს, გაწეულს ქართველი ხალხისათვის...

ჩვენ მართლაც გვჭირდება სერიოზული დაფიქრება და უახლოესი წარსულის სწორი ანალიზი! იმ უახლოესი წარსულის, რომელიც სწორედ საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური პრეზიდენტის ტრაგიკული ისტორიით იწყება!“ იმ უახლოესი წარსულის, ანალიზი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი პრეზიდენტის გაძევებით იწყება, მოიცავს მთელი მსოფლიოს ე. წ. „ახალი წესრიგის“ ანალიზსაც და შეიძლება ითქვას, რომ მოწოდება მარტო ზვიად გამსახურდიას და მისი მშობლიური ხალხის ურთიერთმიმართების გარკვევას როდი ემსახურება?!

ბატონ ზვიად გამსახურდიას გაძევების ისტორიაში ძევს ყველა ბოროტება მსოფლიოს ე. წ. „ახალი წესრგისაც“ და ქართული პოლიტიკისაც, რომელიც ხელში ჩაიგდო მთლიანად ამ ე. წ. მსოფლიოს „ახალმა წესრიგმა“ წინასწარ მომზადებული პროექტით.

და თუ თვითონ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა – ხელისუფლება ჩაუდგება სათავეში ბატონ ზვიად გამსახურდიას გაძევების ისტორიის სერიოზულსა და სწორ ანალიზს, შესაძლოა ამ ანალიტიკამ მიგვიყვანოს არა მხოლოდ ბატონ ზვიად გამსახურდიას გამძევებელთა და მკვლელთა მხილებასთან, არამედ მსოფლიოს ე. წ. „ახალი წესრიგის“ სწორი გზის ძიებასთან. სწორედ ამიტომ ვერ ხორციელდება საქართველოში ის ანალიტიკა, რომელიც ამხელს ბატონ ზვიად გამსახურდიას გაძევებით გამოწვეულ ყველა ბოროტებას, არა მხოლოდ ქართველი ერის მიმართ....

მინდა ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 85 წლისთავის აღსანიშნავ დღეს შევახსენო ზვიად გამსახურდიას ყველაზე დიდ გულშემატკივარ პოლიტიკურ გაერთიანებას – „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ წარმომადგენლობას და მისი ავტორიტეტული და მორალური

ვალდებულების განცდა ვაქციოთ აღსრულებად ქართველი ხალხის მიერ გაცემულ პასუხად, უმაღლესი მორალური და პოლიტოლოგიური აზროვნების დონეზე ...

თუ არ გავატარეთ და არ გავცერით ეს ბრალეულობა ანალიტიკურ საცერში. თუ არ ვაღიარეთ, რომ ქართველ ხალხს არ გაუძევებია ბატონი ზვიად გამსახურდია, ქართველი ხალხი ნამდვილად უბსკრულში გადაიჩეხება. ცხადია, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, როგორ მოხდა რომ ქართველ ხალხს არც არაფერი არ შეშლია, სრულიად საქართველომ წერილობით, რეფერენდუმით დაუდასტურა ბატონ ზვიად გამსახურდიას თავისი ურყევი ერთგულება და მხარდაჭერა. სწორედ ბატონ ზვიად გამსახურდიას გაძევებასთან დაკავშირებით დაისვა საკითხი „ქართველი ხალხის“ წოდებისა და უფლებამოსილების შესახებ. არსებობდეს ნამდვილი „ქ ა რ თ ვ ე ლ ი ხ ა ლ ხ ი“, მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება“, რომელმაც არა მხოლოდ დაიცვა ზვიად გამსახურდიას ღირსება და გააცხადა მისი ნამდვილი გამძევებელი ძალა, არამედ შექმნა პოზიცია ზვიად გამსახურდიასთან დაპირისპირებული ადამიანებისათვის „ქართველი ხალხის“ სტატუსის მოხსნისა. აი, ეს არის ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება“. მსოფლიოს ე. წ. ახალი წესრიგის ერთ-ერთმა არქიტექტორმა – ედუარდ შევარდნაძემ, თავის თავზე აღებული ვალდებულება საქართველოს ჩაბარებისა მსოფლიოს ე. წ. ,,ახალი წესრიგის“ დაქვემდებარებაში, მშვენივრად აღუსრულა თავის „შეფს“, ბატონ უფროს ბუშს, აშშ-ის პრეზიდენტს, ის დავალება, რომელიც მსოფლიო პოლიტოლოგიაში იყო ცნობილი და რომელშიც ქართველი ხალხი არ იყო გარკვეული. რამდენადაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მაინც გაირკვა ზედაპირულად, რომ საბჭოთა კავშირის დაშლით განხორციელდა მისი „სიონისტური პერესტროიკა“, რაც მსოფლიოს ე. წ. ახალი წესრიგის დამყარებას ნიშნავდა.

ლოგიკური იყო ქართველ ხალხს, მთელი მსოფლიოს გასაგონად გამოეცხადებინა ბატონი ზვიად გამსახურდია მსოფლიოს ე. წ. ,,ახალი წესრიგის“ მოწინააღმდეგე ძალად. ესეც არ აკმარეს საქართველოს. მსოფლიოს ე. წ. ,,ახალი წესრიგის“ არქიტექტორის, ბატონი შევარდნაძის ზურგს უკან მდგარმა მსოფლიო ძალამ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას გაძევება დააგვირგვინა საქართველოს სახელმწიფოს ეროვნული დროშის გაძევებითა და ს ი ო ნ ი ს ტ უ რ ი დ რ ო შ ი ს, ანუ ჰერალდიკის ისტორიაში იერუსალიმის დროშის აფრიალებით. საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს დროშად. თქვენ ჩემამდე, ე. ი. ჩემს პრეზიდენტობამდე, აცხადებს ცრუ, ვითომ პრეზიდენტი სააკაშვილი, ერი არ იყავითო. ტერიტორია იყავითო და მე გაგხადეთო ერადო. ის კი აღარ უთქვამს იერუსალიმის დროშითო.

დღესაც, გუგუნებს კანონიერი ხელისუფლებისა და მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ ზარების რეკვა საქართველოს სახელმწიფოს გამოყვანისათვის პოლიტიკური სიცრუის იმ ჭაობიდან, რომელშიც ქართველი ხალხის ეროვნული მოძრაობა ჩააგდო მსოფლიოს ე. წ. ,,ახალი წესრიგის“. არქიტექტორმა ბუშებისა და სოროსების აგენტმა შევარდნაძემ.

მათი, ეროვნულ ძალთა ხმა უსათუოდ მიგვიყვანს მსოფლიოს ე. წ. ,,ახალი წესრიგის“ გაანალიზების აუცილებლობასთან, ხოლო ეს გაანალიზება აუცილებლად მიგვიყვანს მსოფლიოს ე. წ. ,,ახალი წესრიგის“ ავანტურისტული პოლიტიკის აღიარებასთან.

ჩვენ უკვე რამოდენიმე წელია დავაყენეთ ეს საკითხი ჰელსინკის 1975 წლის საერთაშორისო დეკლარაციასთან მიმართებაში და მადლობა უფალს, ერთ პოზიციაზე ვდგავართ. ჩვენი მოძრაობა: თეოლოგიურ-პოლიტიკური მოძრაობა: ,,მესიის მახვილი – ერის უფლება და ღირსება“ და მპგ ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება“ ერთსულოვნად ვაყენებთ საკითხს ჰელინსკის 1975 წლის დეკლარაციაზე ხელისმომწერი 35 სახემწიფოს პასუხისმგებობისას, რომლებიც ხმას არ იღებენ არც ეროვნული თვითმყოფადობის და არც საერთოდ ერის ფენომენის დასაცავად. ხმას არ იღებს გაეროში არც საქართველოს ელჩი ჩვენს მიერ საკითხის დაყენების თხოვნაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ნება მიბოძეთ, ამ ვრცელი ზოგადი შესავლის შემდეგ კონკრეტულად, ციტირებული მაგალითებით შევეხო წარმოდგენილ პრობლემას: ბატონ ზვიად გამსახურდიას გაძევებისას საქართველოდან, როგორც მსოფლიოს ე. წ. ,,ახალი წესრიგის“ მორალურსა და მსოფლმხედველობის სახეს: ლოგიკურს, აბდაუბდას და მსოფლმხედველობრივს, რომელიც უსათუოდ დაიყვანება რუსთაველის აფორიზმზე – ,,კარგი რამ გჭირდეს, გიკვირდეს, ავი, რა საკვირველია!“ და შევეცადოთ, შევქმნათ პრეცენდენტი ჩვენი ქვეყნის იმ ანალიზით ,,მკვდარი თევზების ეპოქა“ ვუწოდეთ და სწორედ ჩვენი ქვეყნის იმ უახლოესი წარსულის ანალიზიდან გამომდინარე, რომელიც ბატონ ზვიად გამსახურდიას მსოფლმხედველობის დაპირისპირებას შეეხება. მსოფლიოს ე. წ. ,,ახალი წესრიგის“ დინებასთან

მიმართებაში – მივიღეთ გადაწყვეტილება, მიგვეწერა აშშ-ების არჩეული პრეზიდენტისადმი, ბატონ დონალდ ტრამპისამი, რომელსაც გაბედულება ეყო დაპირისპიებოდა სოროსების და ბზეჟინსკების ,,მსოფლიო წესრიგს“, რათა ჩართულიყო საქართველოს პოლიტიკურ რეალობაში განხორციელებული იმ უსამართლოებისა და ბოროტმოქმედების შეფასებაში, რომელიც მოიცავდა საქართველოში მსოფლიოს ე. წ. ,,ახალი წესრიგის“ რაობას, საქართველოში განხორციელებული ეროვნული მოძრაობის ლიდერების დახოცვისა და მათ მიერ მოპოვებული და უპატრონოდ წარმოდგენილი დამოუკიდებელი სახელმწიფო მანქანის მიტაცებაში ავანტურისტული სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის გზით.

ჩვენ ვწერდით ბატონ ტრამპს მისი სინაუგურაციო გამოსვლისთანავე, 2018 წელს და ჩვენი წერილი მისდამი საპრეზენტაციოდ წარვადგინეთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ,,ეროვნული პრობლემების შემსწავლელი კომისიის გაფართოებულ სხდომაზე“. 2019 წლის 13 თებერვალს ჩვენ ვწერდით ბატონ ტრამპს, როგორც ნოტას საქართველოს პოლიტიკური პარტნიორის როლში გამოცხადებული ქვეყნის პრეზიდენტს: ,,ქართველი ხალხის გულამოხეთქილი წყურვილით, მერაბ კოსტავას მოწამეობრივი თავგანწირვითა და ზვიად გამსახურდიას მებრძოლი სულით მოპოვებული დამოუკიდებელი

საქართველოდან, ედუარდ შევარდნაძის მხარდამჭერი მსოფლიო ძალების მიერ მოწყობილი სახელმწიფო გადატრიალების, ანუ დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი პრეზიდენტისა და მისი სახელისუფლებო გუნდის გაძევებისა და ედუარდ შევარდნაძის შემოყვანის გზით, მსოფლიოს მასონურმა ძალებმა განახორციელეს საქართველოს სახელმწიფო ხომალდის მიმართულების შეცვლა 180 გრადუსით, რითაც მათ ფაქტობრივად შეძლეს დღის წესრიგიდან საერთოდ მოეხსნათ საქართველოს დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის სახელმწიფო ორიენტაციაც...

ქართველმა ხალხმა არ იცის, რა მოხდა მის თავს, როგორ და რა უბედურება დაატყდა საქართველოს ეროვნული მოძრაობის ლიდერთა მოშორებით და მსოფლიოს ,,ახალი წესრიგის“ ერთ-ერთი არქიტექტორის, გამოცდილი“ პოლიტიკოსის, ედუარდ შევარდნაძის მხარდაჭერით!

შესწევს კი, დღეს სახელმწიფოებრივი მორალური ძალა და ენერგია ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც ჩვენს ოფიციალურ პოლიტიკურ პარტნიორს და მეგობარ ზესახელმწიფოს მხარში დაგვიდგეს ამ მსოფლიო მასშტაბის სამარცხვინო ავანტიურიზმის მხილებაში?! (გვ. 28-29 2018 წ. დენიზა სუმბაძე: ,,ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებისაგან“ ,,ღია წერილი მის აღმატებულებას, აშშ პრეზიდენტს, ბ-ნ დონალდ ტრამპს“). აქვს კი, დღეს საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების წარმომადგენლობას ის მორალური ძალა და ენერგია იმისათვის, რომ მან აღიაროს მრავალჯერადად შეფასებული სამართლებრივი საკითხი?!

თავს უფლებას ვაძლევთ ამ შეკითხვის დასმისას იმის გამო, რომ პოლიტიკაში მობრძანებულმა და დამფუძნებელმა ,,ქართული ოცნების“ მესვეურებმა ღიად განაცხადეს: ,,ჩვენ არ ვცვლითო სახელმწიფოს პოლიტიკას“, რაც, რაღათქმაუნდა, ნიშნავდა იმას, რომ იგი, შევარდნაძის დამყარებული სახელმწიფო მმართველობის მესამე თაობა, არ ცვლიდა არც საქართველოს იმ სახელმწიფო იდეოლოგიას, რომელიც შემოიტანა უფროსი ჯორჯ ბუშის აგენტად ცნობილმა, ჯორჯ სოროსის, სიონისტური ლოჟის, ,,მაგისტერიუმის“ ერთ-ერთი თავკაცის მოწაფემ და თანამოაზრემ, მსოფლიოს ე. წ, ,,ახალი“, ანუ სიონისტური წესრიგის ერთ-ერთი არქიტექტორის ტიტულით შემოსილმა ედუარდ შევარდნაძემ.

სახელმწიფო მმართველობაში გამოუცდელ ადამიანს ყველაფერს ვერ მოვთხოვთ. „ქართული ოცნების“ ლიდერიც თანახმამყოფი აღმოჩნდა იმ პოლიტიკის განგრძობისა, რომელიც შევარდნაძე-სააკაშვილის აზროვნებასა და მორალში იყო მომწყვდეული, არ ჰქონდა უფლება არც იმისა, რომ კოჰაბიტაციაში შესულიყო იმ წინამორბედი პოლიტიკური გაერთიანებისადმი, რომელიც ქართველმა ხალხმა სრულიად მონოლითური პოლიტიკური პროტესტებით აფეთქებული მანიფესტაციებით გაისტუმრა. რა თქმა უნდა, „ქართული ოცნება“ და გაძევებული ნაცმოძრაობის კოჰაბიტაციაში მოქცევა დაუშვებელი იყო. მაგრამ ქართველი ხალხი იმდენად იყო გამწარებული ,,ქართული ოცნების“ წინამორბედი ხელისუფლებით, რომ მისი მოცილება ,,ოცნების“ მიერ ზეიმად უღირდა და ,,ქართული ოცნების“ მიმართ არავითარი კრიტიკის სურვილი არა ჰქონდა.

სხვათაშორის უნდა მაინც აღვნიშნოთ, რომ ბატონ ბიძინას პიროვნებაში, მის მამულიშვილობაში იმდენად ვიყავი დარწმუნებული, რომ ჩემი წიგნი: ,,გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ახლად მობრძანებულს პოლიტიკაში, წარწერით გავუგზავნე“. მეგონა გავახარებდი და დავმეგობრდებოდით, მაგრამ სამწუხაროდ სრული დუმილი მივიღე პასუხად მხოლოდ. ალბათ არც უნდა მიკვირდეს, დღეს ისეთი ღირებულებების მსოფლიოში ვცხოვრობთ.

ახლა წარმოვიდგინოთ ბატონ ზვიად გამსახურდიას ,,საქართველოს სამეფო ლიგა“ მის მიერ შედგენილი საქართველოს სადროშოები და შევადაროთ ლევან ვასაძის მონარქისტული საქმიანობა საქართველოს სამეფო ტახტის საქართველოს დღევანდელი ეკლესიური აღდგენის სამზადისში.

საით არის გადაყვანილი ქართველი ერის ეროვნული ცნობიერება, მსოფლიოს ე. წ. ახალი წესრიგით“..

მე ვფიქრობ, ქართულ პოლიტიკაში ბატონ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების გაძევებისა და დამნაშავეთა მხილებაში ახსნა-განმარტებაში არავის იმდენი არ გაუკეთებია, რამდენიც მპგ ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირმა - ეროვნულმა აღორძინებამ“ გააკეთა, ამასთან კვალდაკვალ გახმოვანებით დამნაშავეთა მხილებისა. მპგ ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ წარმომადგენელი იყო ეროვნული მოძრაობის ვეტერანი გმირი ქალბატონი კლარა ტონია, რომელმაც დანაშაულის ჩადენის პროცესშივე მიმართა ბატონ ზვიად გამსახურდიაზე პიროვნულად განაწყენებული ადამიანების მთელ ლაშქარს, რომელიც ედუარდ შევარდნაძემ დაიყენა გვერდში, როგორც მსოფლიოს ე. წ. ,,ახალი წესრიგის არქიტექტორმა“ და დაპირისპირებულმა ზვიად გამსახურდიასთან არა პიროვნული საფუძვლით, არამედ მსოფლიოს იმ ,,ახალი წესრიგის“ იდეოლოგიით, რომელიც ეროვნულ ინტერესებს უარყოფდა.

შევარდნაძემ იკისრა მსოფლიოს პოლიტიკის ავანტიურას ჩასდგომოდა სათავეში და გვერდში დაეყენებინა ის ქართილი ელიტარული წარმომადგენლობა, რომელიც ხელმძღვანელობდა ერთი მარტივი არგუმენტებით: შევარდნაძე არის გამოცდილი სახელმწიფო მოღვაწე, ხოლო ბატონი ზვიად გამსახურდია გამოუცდელი პოლიტიკოსი. საქართველოს ისტორიას გმირი ქალბატონები არ აკლდა. ქართველ ხალხს არ დასჭირვებია დიდი ფიქრი იმისათვის, რომ შევარდნაძის ფრთა შეეფასებინა, როგორც სამშობლოს ღალატი და ქ-ნ კლარა ტონიასგან საქვეყნოდ მიეღო სასჯელი დიდი ქართველი პოეტის, აკაკი წერეთლის სიტყვებით: ,,ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველოვ!“. ქალბატონი კლარა ტონია იმ ნამდვილი საქართველოს წარმომადგენელი გახლდათ, რომელსაც ედუარდ შევარდნაძე საქართველოდან ამტკიცებდა, დაჯერებული მსოფლიოს იმ ახალი იმპერიის შექმნაში, რომლისთვისაც საბჭოთა კავშირის დაშლას მოაწერა ხელი, როგორც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ის, ვინც წარსულის სერიოზულ ანალიზს განახორციელებს, ლოგიკურია, დასჭირდება შეფასება მისცეს ორი პოტენციური მსოფლიო იმპერიის მსოფლმხედველობრივ რაობებს: საბჭოთა კავშირის, როგორც „ხალხთა მეგობრობის ქვეყნის პოლიტიკურ მოდელს, მსოფლიო ერთ-ერთი პერსპექტიული იდეისას და სიონისტური პერსპექტივით“ დაშლილი საბჭოთა კავშირის ადგილზე აღმოცენებას მსოფლიოს „სიონისტური

იმპერიისას, რომელსაც დღეს ,,მსოფლიოს ახალი წესრიგი“ ჰქვია საქართველოშიც და მსოფლიოშიც.

ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც რომ მსოფლიოს ეს ე. წ. ,,ახალი წესრიგი“ მსოფლიოს მოევლინა თავზე დატეხვის წესით, რადგან მსოფლიოს ხალხები არ იყვნენ ინფორმირებული, რა ელოდათ მათ მსოფლიოში არსებული პოლიტიკური იატაკქვეშეთიდან, რომელიც ფარულად მოედინებოდა, როგორც მსოფლიოს ,,ქვისმთლელთა“, ანუ ბიბლიური მეფის, ,,სოლომონის ტაძართა“ მოძრაობა, დღევანდელი ტერმინით: მასონურ-სიონისტური მოძრაობა. რამდენადაც სიონისტური მოძრაობის ოფიციალური საერთაშორისო რეგისტრაციის განმახორციელებლებმა და თანამედროვე სამართლებრივი წესრიგით დამფუძნებლებმა გამოიჩინეს პატიოსნება და გააცხადეს, რომ ჩვენი ნამდვილი მანდატი არისო ,,ბიბლია“, წესით მსოფლიი საზოგადოებრიობის წინაშე ვალიც მოიხადეს, რომ მათ სცოდნოდათ: არსებობდა ძალა, მსოფლიოს სიონისტური მოძრაობის სახით, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ემზადებოდა მსოფლიო ხალხებისა და მათი ქვეყნების დასაპყრობად. და, როდესაც საქართველოს დღევანდელი ფაქტობრივი ხელისუფლება მოგვიწოდებს ჩვენი ქვეყნის უახლოესი წარსულის სერიოზული ანალიზისაკენ, ჩვენ, ბუნებრივია გვიჩნდება კითხვა მისდამი: ითვალისწინებს თუ არა, რომ უახლესი წარსულის სერიოზული ანალიზი დაკავშირებულია უშორესი წარსულის სერიოზულ ანალიზთან და დარწმუნებული ვარ ეს ინფორმაცია თქვენამდე არ მოსულა: 2004 წელს, როდესაც მე დავბრუნდი ჩემი სამეცნიერო მივლინებიდან აშშ-დან სადაც თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ერთერთი სამეცნიერო ცენტრის, არეოპაგიული პრობლემების სამეცნიერო ცენტრის თეორიულ ბაზაზედ ნიუ იორკის ბიბლიის შემსწავლელი ქართველოლოგიური ცენტრი დავაფუძნე „ბიბლია და საქართველო“ და პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმის სამზადისიც დავიჭირე, თბილისში „ქართუ ბანკის“ საქველმოქმედო საზოგადოებას მივმართე ამ სიმპოზიუმის მხარდაჭერისათვის. ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა კატგორიული უარით გამოგვისტუმრა.

სიმპოზიუმის თემა გახლდათ: „ქალდეველები და ქართველები“. ეს სიმპოზიუმი არავის არ ჭირდებაო – გამოგვიცხადა ბატონმა ირაკლიმ ისეთი კატეგორიულობით, რომ ვერაფერი შევძელით. ამას იმისათვის მოგახსენებთ, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილის მოთხოვნა ქართველი ხალხისაგან რომ მან, ქართველმა ხალხმა თავისი უახლესი წარსულის სერიოზული ანალიზით საქართველოში მსოფლიოს ე. წ. „ახალი წესრიგის“ შემოტანის ბატონ ზვიად გამსახურდიას და მისი ხელისუფლების გაძევების ნამდვილი ისტორია უნდა ამხილოს, ნიშნავს, რომ ამხილოს მსოფლიოს იმ ახალი წესრიგის რაობა, რომელსაც ბატონმა ბიძინამ ახალი, დიდი ეპოქის დასაწყისი უწოდა მსოფლიოში.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ ტრადიციულმა ჟურნალმა ,,მატიანემ“ „მემატიანეს“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში, დააყენა საკითხი ზვიად გამსახურდიას და მისი ხელისუფლების გაძევების მხილებისა მსოფლიოს ,ახალი წესრიგის მიერ, რამეთუ ეს ეპიზოდი, როგორც სიმბოლური მოვლენა მსოფლიოს ახალი წესრიგის პოლიტიკის ვინაობა-რაობისა, მთლიანად ანადგურებდა მსოფლიოს ე. წ. ,,ახალი წესრიგის“ იმიჯს, მაგრამ საქმეს საკითხის ამგვარმა დაყენებამაც არ უშველა, რას ვგულისხმობთ ,,საქმეში“? ... „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ მიერ ახლად აღმოჩენილი არგუმენტებს.

ზვიად გამსახურდიას გაძევებაში ედუარდ შევარდნაძის როლის მადასტურებელი არგუმენტის მსოფლიო შეფასებას თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიოს სიონისტური მოძრაობა მსოფლიოს ასპარეზზე მე-19 საუკუნის მიწურულში გამოდის თავისი ახალი იურიდიულ-სამართლებრივად ნორმატივებით და მივიღებთ მისი დამფუძნებლების განცხადებასაც, რომ ამ მოძრაობის მანდატია დღევანდელი კაცობრიობის მიერ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წმინდა წიგნად აღიარებული ბიბლია: ვერ ავცდებით ვერც იმ შეფასებას დღევანდელი მსოფლიოს ,,ახალი წესრიგისას“, რომ ის სოციალურ-მსოფლმხედველობრივი მოვლენაა და მისი საერთო ანალიზი, უსათუოდ გვაიძულებს დღევანდელი მსოფლიოს პოლიტიკის განხილვას, როგორც კაცობრიობას ისტორიის შედეგისასაც, მისი რელიგიური ცნობიერების ისტორიის ნიშნით. ამ მხრივ მე-20-ე და 21-ე საუკუნეების მნიშვნელობას ბიბლიური წიგნების აღმოცენების თვალსაზრისით თვალს ვერ ავარიდებთ თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში განხორციელებულ ვერც ტერორისტულ აქტებს, ქრისტიანების თავების წაჭრის რიტუალის დაწესებას, მარტო იმიტომ რომ ისინი ქრისტიანები არიან და ვერც ისეთი ახალი სახარების გავრცელებას მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე, როგორიც არის ,,იუდას სახარება“. მე ვფიქრობ, ,,იუდას სახარება“, რომელიც მე მსოფლიოს ერთ-ერთ პოპულარულ ჟურნალში ,,ნეშონალ ჯეოგრაფიკში“ ამოვიკითხე. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა დღევანდელი მსოფლიოს ე. წ. ,,ახალი წესრიგის“ მორალური ვინაობის ამოსაკითხად. ეს გახლავთ ,,შტევრი“ სიონისტური ინფორმაციული ომის, რომელიც ძალიან ბევრს მეტყველებს სიონისტური
მოძრაობის იმ მორალურ და ინტელექტუალურ დონეზე, რომლითაც ჭკვიანი ხალხი ასეთი სახარების შექმნას არ იკადრებდა.

იუდას სახარების“ მოკლე შინაარსი ასეთი გახლავთ: იუდა ყველაზე საყვარელი მოწაფე იყო იესო ქრისტესი, ამიტომ იესო ქრისტემ თავის საიდუმლო ჩანაფიქრი, რომ მის ავტორიტეტს სჭირდებოდა ჯვარცმა, მას მიანდო. იუდამ ეს ყველაფერი შეუსრულა იესო ქრისტეს, ანუ ჯვარცმა „ჩაუწყო“. უცნაური რამ ხდება კოსმიურად, ღვთის განგებით. ,,ახალი აღთქმა“ ყველა სხვა საკუთრივ დანიშნულებასთან ერთად წარმოადგენს გარკვეული მიმართულებით ,,ძველი აღთქმის“ განმარტებასაც.

ეს უახლესი სახარება, ,,იუდას სახარება“ ერთგვარად მართლა აგრძელებს ოთხთავი სახარების დამიშნულებას, განიმარტოს ,,ძველი აღთქმა“, როგორც იმავე ცნობიერების შექმნილი, რომელმაც ,,იუდას სახარება“ შექმნა. ეს დღევანდელი, ანუ ჩვენი თანამედროვეობის ბიბლიური აზროვნების გამოვლენაა. ყოველივე ზემოთქმულით, გვინდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ, ქართველ ერს არ გვეკადრება მსოფლიოს იმ ახალი წესრიგით ცხოვრება, რომლის პროგრესულ აზროვნებად მიიჩნევა ერების გაუქმება და ისეთი კაცობრიული ღირებულებების გაუქმება, როგორიც არის ოჯახი, დედაკაცისა და მამაკაცის ქორწინება,

ღვთიური საიდუმლოდ აღიარებული ეკლესიურ ცხოვრებაში და სხვა...

დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკაში გაუთვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მსოფლიოს ე. წ. ,,ახალი წესრიგი“ გათვლილია, როგორც შურისძიება ებრაელი ერისა კაცობრიობის მიმართ, რომლის წარმომადგენელი ხალხებიც მთელი კაცობრიული ისტორიის მანძილზე ეწეოდნენ ებრაული ერის დევნას. ღმერთი ებრაული ერისა, შურისმაძიებელი ღმერთია.

თუ გავიხსენებთ ქ-ნ სალომე ზურაბიშვილის ინფორმაციას ისრაელის დიპლომატებთან შეხვედრებით, მათ უთხრეს მას, როგორც „საქართველოს პრეზიდენტს“: ,,თქვენ ერთადერთი სალხი ხართ, რომელსაც ბოდიში არა აქვს მოსახდელი ჩვენთან.“ ამით ქ-ნ პრეზიდენტს ისიც უთხრეს, რომ დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკა ეს არისო შურისძიება და ბოდიშის მოხდის შანსი ყველა ქვეყნისათვის. რამდენად ზუსტია ეს ქათინაური ქართველი ერის მიმართ, ცალკე საკითხია.

ამრიგად, თუ საქართველოს ფაქტობრივ ხელისუფლებასა და კანონიერ ხელისუფლებას შორის დავამთავრებთ პოლარიზაციას, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებას ქართველი ხალხის სახით ეყოლება ის მოდგმა ქართველი ხალხისა, რომელმაც განახორციელა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და მოიპოვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის უფლება: ბატონმა ზვიად გამსახურდიამ მოასწრო და საქართველოში სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა ქრისტიანობა. ის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა კი რომელიც მას ეოცნებებოდა, ეოცნებებოდა საქართველოს სამეფო ტახტის აღდგენისათვის, ამისთვისაც შეექმნა „მრგვალი მაგიდის“ სტრუქტურაში ,,საქართველოს სამეფო ლიგა“, როგორც ცალკე და საგანგებო პარტიული სტრუქტურა.

ზვიად გამსახურდიას საქართველოს სამეფო ტახტი და მითუმეტეს საქართველოს საპატრიარქო ტახტი ტამპლიერებისათვის არ უნდოდა და არც მათ საპატრონოდ. საქართველოს სამეფო ტახტი ქართულ ცნობიერებაში უკვე დადგენილი იყო, როგორც გარდუვალ აუცილებელი ნორმატივი ქართველი ერის.

დიმიტრი ყიფიანის მიერ ილია ჭავჭავაძის ტრიადაზე დართული – ,,ენა, მამული, სარწმუნოება, ტახტი“.

ისინი, რომელნიც დაინტერესებულნი არიან საქართველოს სამეფო დინასტია გამოაცხადონ დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებად, სამწუხაროდ, ვერ ერკვევიან ჩვენი მეფეების სიდიადეში: თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლის ბადალი მეფეები ისრაელს არ ჰყოლია. ამისთვის მოინანია დავით აღმაშენებელმა მათდამი მიბაძვის სურვილი თავის სიჭაბუკეში, რომელიც თვითონვე სძლია და თავის სინანულებში გვიანდერძა: ,,ისრაელისა მეფეთა ვბაძე, გარნა ურჯულოთა და ვაცოდვის ერი ჩემიო, ვითარცა მეფეთა მათ – ისრაელიო“.

განსაკუთრებული თაყვანისცემის ეტაპი ისრაელის მეფეთადმი, საქართველომ გაიარა ტაო-კლარჯეთის სავანის ეპოქაში, როდესაც პირველი აღიარება და მხარდაჭერა მიმდინარეობდა ბიბლიისა ქრისტიანულ სამყაროში. ბიბლიის, როგორც ძველი აღთქმის, ანუ ისრაელიანთა წმინდა წიგნისა და ქრისტიანთა სახარების გაერთიანებისა. ეს ეპოქა დაამთავრა დავით აღმაშენებელმა გელათის ფილოსოფიური აკადემიით, რომლისათვისაც ,,ბიბლია“ თავისი ,,ძველი აღთქმით“, კაცობრიობის გონით ისტორიაში ნეოაქტონური ფილოსოფიური მიმართულების წყალობით ,,ქალდეური ორაკულებით“ იქნა შეცვლილი და აღარ წარმოადგენდა ისეთივე ღირებულებას, როგორც გრიგოლ ხანძთელის დროის სამოციქულო-ქრისტიანული ხედვის სივრცეში.

თუ გრიგოლ ხანძთელისთვის იდეალური მეფე დავით წინასწარმეტყველი იყო, ტაო კლარჯეთისათვის, რომელიც ქართველთა სინას მთად იყო აღიარებული სრულიად ახალი საქართველოს მოძღვრება იყო ამოკითხული, თავად გრიგოლ ხანძთელისავე მიერ გაცნობიერებული, როგორც აღმატებულისა მთელს საქრისტიანო მსოფლიოში. რაც გიორგი მთაწმინდელის პავლე მოციქულისადმი სავედრებელშია კანონიერ ფორმულად ასახული: გიორგი მთაწმინდელის ერი, ის ახალი საღმრთო ერია, რომლის კანონიერებაც პავლე მოციქულმა უნდა აკურთხოს და დაამტკიცოს. იმ პავლემ, რომელმაც ,,ბილწებაი ჰაერიათაა“ დანთქა უფსკრულთა და აღიარა, რომ ისრაელი ვერ მისწვდა ქრისტეს. (იხ. ეპისტოლეები პავლესი).

საქართველოს ისტორიაში აღმოცენებისათვის უკვე დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის, ბიზანტიის ლეგენდარული ქართველი დედოფლის მართა-მარიამ ბაგრატიონის ფენომენები ემზადებოდნენ აღმოცენებისათვის. საქართველოს ეკლესიამ, რომელმაც საქართველოში შემოჭრილი მსოფლიოს ე. წ. ახალი წესრიგის პოლიტიკასთან კონკორდაციულ კავშირში იტვირთა საქართველოს სამეფო ტახტის აღდგენა ერთგვარად დაარღვია ისტორიული წესრიგი მეფის კურთხევისა საქართველოს კანონიერ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლობით, ხოლო იმისათვის, რომ საქართველოს სამეფო ტახტი აღდგეს, ამისათვის კი საჭიროა ქართველი ხალხის მორალური და პოლიტიკური განწყობა უნდა ახლდეს თან. ჯერ ქართველი ერის მიერ უნდა შედგეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი თვითგამორკვევა და გათავისუფლება იმ ბარბაროსული ე. წ. მსოფლიოს ახალი წესრიგისაგან, რომელიც არა თუ არ ჩამოუვარდება პირველი საუკუნეების დამპყრობლებს, არამედ ბევრად აღემატება თავისი ბარბაროსობით.

ასე რომ დღეს საქართველოს მთავარ ამოცანაა დაუბრუნდეს თავის თავს ქვეყანაში და გაამზადოს თავისი ქვეყანა თავისი სამეფო ტახტისთვის, რომელიც მას გააერთიანებს საკუთარ ღირსეულ ეროვნულ წარსულთან და საკუთარ ნამდვილ ეროვნულ ვინაობასთან, ამისათვის ჩვენ უნდა გამოვიდეთ მტკ „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ თანამებრძოლებად და არა იმ ინერტულ ძალად ვიქცეთ მკვდარი თევზების ეპოქიდან დინებას რომ მიჰყვებიან! ...

# „დ ი დ ე ბ ა“
## (ჰიმნი)

**„დიდება” — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნი 1918–1921 წლებში და საქართველოს რესპუბლიკის ჰიმნი 1990 წლიდან დღემდე. ის ამავადროულად პირველი ქართული ეროვნული ჰიმნია. ტექსტი და მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილს.**

დამოუკიდებელ საქართველოში სახელმწიფოს ჰიმნის მიღების საკითხი წამოიჭრა. შეიქმნა კომისია და გამოცხადდა კონკურსი. მასში, სხვა მუსიკოსებთან ერთად, კოტე ფოცხვერაშვილიც მონაწილეობდა. საკონკურსო კომისიამ განიხილა წარდგენილი ნაწარმოებები და საუკეთესოდ კოტე ფოცხვერაშვილის ჰიმნი — „დიდება“ აღიარა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ კომპოზიტორს ჰიმნის რამდენიმე ვარტიანტი ჰქონდა წარდგენილი. ჰკითხეს ჰიმნის ავტორს: „რა არის ბატონო კოტე, ამდენი ჰიმნის წარმოდგენა, ნუთუ ერთი არ იყო საკმარისი?!“ რაზეც მუსიკოსმა უპასუხა: „რა ვქნა, ბატონებო, ჰიმნებით ვარ გაჟღენთილი“.

1921 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა. კ. ფოცხვერაშვილის მიერ შექმნილი ჰიმნი არათუ უარყვეს, არამედ საერთოდ აიკრძალა მისი შესრულება.

2004 წლის აპრილში, „დიდება“ ფაქტობრივი, ასევე, არალეგიტიური ხელისუფლების მიერ შეიცვალა ახალი სახელმწიფო ჰიმნით.

ლეგიტიმური ჰიმნის – „დიდების’’
ტექსტი:

## დ ი დ ე ბ ა ზ ე ც ი თ  კ უ რ თ ხ ე უ ლ ს!

დიდება ქვეყნად სამოთხეს!
ტურფა ივერსა,
დიდება ძმობას, ერთობას!
დიდება თავისუფლებას!
დიდება სამარადისო
ქართველ მხნე ერსა!
დიდება ჩვენსა სამშობლოს!
დიდება ჩვენი სიცოცხლის
მიზანს დიადსა!
„ვაშა!“ ტრფობასა, სიყვარულს,
„ვაშა!“ შვებასა, სიხარულს,
„სალამი!“ ჭეშმარიტების,
შუქ — განთიადსა.



# 2 6   მ ა ი ს ი

ვამაყობ, როგორც გულზვიადი მეისრაბარი,
დასისხლულ მარჯნით იჭედება ჩემი სახელი.
ცხელ არმაზიდან ატირდება შავი ძახილი...
აცეცხლებული ტოპაზებით ამაყი სახლი.
მზე პერანგს იცვამს ყირმიზისას – მთებში ნაფარი;
რკინის კვნესაში ხმალსა ჰფერავს მეისრაბარი!..
საწყალ აჩრდილებს, რომ სდიოდათ სუნი მიწისა,
აღარ აცვიათ ტურნირებზე თეთრი რძიანა;
ველარ ანახლებთ ხმა სოლომონ ლეონიძისა –
დგებიან როგორც კეისარი ვესპასიანე...
შვინდის დროშებით გავაგიჟებ ყომრალ მოედანს...
– დღევანდელი მზე საქართველოს ისევ მოიტანს.
ნელდება ცეცხლის კოშმარებში ოდრიკალები –
თეთრი ფიქრები მახვევია მადრიგალებად...
და გორგასლანის მელანდება შავი სურათი.
მისრეთი... ჰინდი... ბაბოლონი და ასურეთი.
ჩემსკენ მოჰქრიან იალქნებით: სპარსი, აბაში,
ჩემი სახელი დაიხევა აღტაცებაში.
დღეს სიხარული – ვით ცეკვაში მთვრალი სალომე,
როგორც ეთერის სარეცელზე აბესალომი!..
ქართლოსის ლანდი ბრწყინვალებით გამეთარეშა –
არმაზისაკენ! ნუღარ წავალთ ლეგა ზამთარში.

გიორგი ლეონიძე

ISSN 1987-7986 helsinkiunion@gmail.com

სარედაქციო კოლეგია: ნუკრი ბაღდავაძე - კოლეგიის თავმჯდომარე; ნოდარ კიკნაძე - თავმჯდომარის მოადგილე; მთავარი რედაქტორები: მალხაზ მუსერიძე, გიორგი წივწივაძე, თორნიკე ამაშუკელი; თამუნა რაზმაძე - სარედაქციო კოლეგიის მდივანი და მანუჩარ თოფაძე - სარედაქციო წარმომადგენელი საზღვარგარეთ.